

ვინ მოკლა სტალინი

XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

გამოძიება „გზაში“

ერთიანი საგზაო ... ინტენსიური ...

საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐᲕᲚᲘᲗᲐᲠ
№16 (358)
19 - 25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 2007 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐᲕᲚᲘᲗᲐᲠ ᲒᲖᲐ ᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ

თუ მამაკაცი ჭალის ეუბნება, მამ ნახევარი ხილეფილაც ყი ეხმის მიხი, ვეღლხმაზ, მამ ჭალი ხატრამზე მეღხ ლაჭამაყობ.

მწვანეში ჩაფლული სახლის იდუმალი ბინადარი

მოლაღატე ღაისაჯა

39-70

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲛᲓᲒᲛᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ
ᲐᲜᲣ ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ 5
■ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ 6
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ,
ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲣᲛᲐᲯᲚᲐᲠᲘᲐ“... 6
■ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ
ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ 8
■ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲤᲐᲡᲔᲑᲘ, ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ...
„ᲛᲐᲒᲐᲠᲑᲘᲭᲝᲑᲐᲜᲐᲡ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ... 10
■ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ
„ᲘᲧᲔᲤᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ,
ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲜ ᲗᲣ ᲠᲐ?!“ 12
■ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢ 13
■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
✓ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲓᲘᲖᲛᲘᲗ ᲐᲚᲡᲐᲕᲡᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ 15
✓ ᲨᲣᲐᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ
ᲒᲕᲐᲛᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲛᲐ ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ 16
■ ᲐᲛᲐᲚᲣᲐ
ᲓᲐᲗᲝ ᲘᲚᲣᲠᲘᲫᲔ „ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘᲡ“
ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ 19
■ ᲡᲙᲝᲚᲐ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ
ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲯᲠᲝᲑᲔᲡ
ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ 20
■ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ
ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ 22
■ ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲐ
ᲪᲝᲓᲕᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ
— ᲠᲐ ᲫᲜᲐᲡ „ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲐᲓ“ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ? 24
■ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ
„ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ“ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ 26
■ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲗᲝ ᲙᲘᲙᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ
ᲔᲙᲐ ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ 28

„ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ“ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲘᲓᲒᲛᲔᲑᲐ

„ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ, ᲗᲔᲣᲨᲖᲔ ᲪᲔᲙᲕᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ. ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲡᲐᲡᲔᲘᲠᲜᲝᲓ. ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲐᲤᲐᲠᲡ ᲨᲔᲐᲮᲢᲐ ᲛᲮᲠᲔᲑᲖᲔ, ᲦᲝᲑᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ...“

26

ᲔᲥᲡᲢᲐᲖᲘ – ᲦᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐ „ᲛᲝᲓᲣᲠᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ“

„ᲗᲣ ᲔᲥᲡᲢᲐᲖᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲣᲑᲣᲒᲔᲥᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲐ“.

36

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ. ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲕᲘᲜ ᲐᲮᲢᲐ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲡᲒᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲒᲜᲐᲢᲘᲔᲕᲛᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ...

88

■ საკითხავი ქალებისთვის
ეროტიკული სამზარეულო
და „სიყვარულის მენიუ“ 30
■ ანტიდეპრესანტი 32
■ სასიძო
„საფლირტაოდ აქტიურ გოგონას ავირჩევდი“... 32
■ ჯანმრთელობა
✓ დიეტა ქვებისგან დაგვიცავს 34
✓ წითელი ქარი 35
■ პლუს-მინუსი
ექსტაზი — ღამის გართობა
„მოდური სიკვდილით“ 36
■ ქურნალი ქურნალში
გზავნილები 39-70
■ ღიმილი
მოხერხებული ცოლ-ქმარი და... 71
■ ტაიმ-აუტი 72
■ დიდი წინაპარი
ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში 74
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. გველის ქერქში (გაგრძელება) 76
■ თინეიჯერული პონტები
რატომ დაშორდა ნიკა
გრიგოლია თავის „მეგობარს“... 80
■ ვარსკვლავები
✓ მეტ დეიმონი — ოფიციანტის ერთგული ქმარი... 84
✓ სნუპ დოგს 4 წლით თავისუფლების
აღკვეთა ემუქრება 86
■ გამოძიება
სტალინის მკვლელები (გაგრძელება) 88
■ ჭრელი მსოფლიო 91
■ ასპარეზი
შოთა არველაძე: „სააკაშვილი მეუღლესთან
ერთად ამსტერდამში ორჯერ მესტუმრა“ 92
■ სპორტული მოზაიკა 94
■ ეკრანს მიღმა
როგორ გახდნენ „ასას“ მსახიობები
ვიტალი ხაზარაძის „ოჯახის წევრები“ 95
■ ღვინლი
კრივის ჯენტლმენი ანუ მოკრივე, რომელიც
მოწინააღმდეგეს ნოკაუტისთვის ვერ იმეტებდა 96
■ კრიმინალური ნოველა
რიჩარდ პარდუიკი.
ქერათმიანი ქალი (დასასრული) 98
■ ავტო 102
■ სკანვორდი 103
■ ტესტი 104
■ პორნოსკოპი 105
■ ქალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

რა ქნას „მამაკაცად“ გაჩენილმა ქალმა?..

„თქვენ რა უფრო გაინტერესებთ — ის, თუ როგორ შეგვიყვარდა ერთმანეთი მე და ეკას, თუ როგორ შევიცვალე სქესი?.. ისე, ძალიან არ მიყვარს, როდესაც ამ ტერმინს ჩემი მისამართით იყენებენ“.

24

პოტენციის ასამაღლებელი „მამაკაცური შეჭამანდი“

მამაკაცებისთვის პოტენციის ასამაღლებლად კარგია, თუ მიირთმევენ ოხრახუშის ან ნიახურის სალათას (რომელსაც უნდა დაუმატოთ ძმარი და მზესუმზირის ზეთი), მოხარშულ თალგამს ხორცთან ერთად, მგრედის კვერცხს, ჭარხალს (ნებისმიერი სახით).

30

„საფლირტაოდ აქტიურ გოგონას ავირჩევდი“...

„დიდი სურვილი მაქვს, ზუგდიდში დადიანების სასახლის ეზოში, შუა საუკუნეების დროინდელი წვეულების მსგავსი ნადიმი გავმართო. ულამაზესი ადგილია...“

32

გველის ქერქში

— ის ხომ იცით, რასაც ეტანება ხალხი, რა აინტერესებს და რისი ნახვა სურს?

— სადღა გვყავს ხალხი? — ხელები გაშალა მწერალმა. — იმ დღეს ქალი გამოდიოდა ტელევიზორში და — ნახირად, პირუტყვებად გვაქციესო, გაიძახოდა. არ იყო მართალი? დღეს ბრბოსაც ვერ დაარქმევ იმათ, ვინც დაგვრჩა.

— რას გულისხმობთ?

— აბა, რა ვიცი... აირია ქვეყანა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა, ნახევარი ციხეში ჩაყარეს...

ციხის გაგონებაზე, ირაკლის უსიამოვნოდ გაჰკენწლა.

76

მდგმურად საკუთარ ბინაში
ანუ მდიდრების სამართალი

ჩემი ნება რომ იყოს, პარლამენტის შენობას, კერძოდ, უმრავლესობის ფლიგელის მხარეს დიდ წარწერას მივაკრავდი, უფრო სწორად, სარეკლამო განცხადებას: „ვაცხობთ ნებისმიერი სახის, ფორმის, ზომისა და გემოს კანონებს. ვიღებთ შეკვეთებს ბინაზე მიტანითაც“. დიახ, აცხობენ, მაგრამ ხშირად შაქრის ნაცვლად ზედმეტ მარილს, პილპილსა და წიწაკას უშვრებიან. ეს დოზირება განსაკუთრებით აერიათ იმ კანონპროექტზე მუშაობისას, ახლა რომ „აცხობენ“. ვერ გეტყვით, რომელი ქვეყნის კანონ-მზარეულისგან გადაიწერეს რეცეპტი, მაგრამ ცხადია, ისეთი ნახელავი გამოუვათ, ვინ „ჭამს“ იმას?!

დიახ, ისტორიულ უბნებში მცხოვრებთა გადასახადს ვგულისხმობ, ერთ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართზე თვეში 10 თეთრიდან 3 ლარამდე უნდა გადაიხადო. მე მგონია, რომ ამ კანონმა, შეიძლება ითქვას, „სულზე მოგვისწრო“, მაგრამ ჯერ ბევრი რამაა გაურკვეველი: მაგალითად, რას ნიშნავს ისტორიული და არაისტორიული? საქართველოს ისეთი პატარა ტერიტორია და იმხელა წარსული აქვს, რომ მიწის თითოეული გოჯი მტრების შემოსევასთან, ხმალთა ჭიდილთან, ოფლთან და სისხლთანაა დაკავშირებული და რომელიმე მოქალაქეს რომ უთხრა, არ ცხოვრობ ისტორიულ ადგილზე, ამიტომ გადასახადიც არ უნდა გადაიხადოო, მინიმუმ, „უქარქაშო ხმლების“ ოთხივე ტომს გადაგაყლაპებს.



ამიტომ გადასახადი მთელ მოსახლეობაზე უნდა გავრცელდეს, მაგრამ გააჩნია ისტორიას: ახლანდელ აბანოთუბანში ანუ სადაც 16 საუკუნის წინ გორგასლის მიმინო და ხოხობი ჩაიხარშნენ და დედაქალაქის აშენებას დაედო საფუძველი, 3 ლარი ნამდვილად ცოტაა და ახლანდელ გლდანში, სადაც 300 წლის ყვავი მოკვდა 30 წლის წინ და ნაგავსაყრელს ჩაეყარა საფუძველი, 10 თეთრიც ბევრია. ყველაზე მეტად კი ის მიკვირს, რომ ჩვენი კანონმდებლები, ისტორიული და ნაკლებად ისტორიული უბნები რომ უნდა განსაზღვრონ, საერთოდ ვერ ერკვევიან ისტორიაში, თორემ იმ შენობაში გამოკეტვის ნაცვლად ხალხში გავიდოდნენ და მის აზრსაც გაიგებდნენ — აი, ისე, ძველად მეფეები რომ გლახის სამოსს ჩაიცვამდნენ და მდაბიოებში გაერეოდნენ. მაშინ გაიგებდნენ, რა დღეშია მოსახლეობა და შეძლებს თუ არა ამ კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში გადარჩენას. მაგრამ ვინაა ამის გამკეთებელი?! ამ იდეის ინიციატორმა დეპუტატებმა გლახის სამოსი კი არა, „სვარშჩიკის მასკა“ რომ ჩამოიფხატონ, მათ მაინც იცნობენ და ისტორია და ცემა-ტყეპა მერე ნახეთ თქვენ...

მოკლედ, თუ ეს კანონი მიიღეს, მოვლენ, ბინის ფართს აგიზომავენ, გადასახადს დაგიწესებენ (ისტორიულობის მიხედვით) და იმ ფართში, რომელშიც შენმა მამა-პაპამ სისხლი ჩაანთხია, მდგმურივით იცხოვრებ — გადაიხდი, დაგრჩება, არ გადაიხდი, — მდგმურების მეტი რაა?! ასე რომ, სახლში მისულს, მეუღლის თბილი სიტყვებისა და ცხელი ვახშმის მაგივრად შეიძლება, კარზე განცხადება დაგხვდეთ: „ვაქირავებ ბინას ჩემს მეუღლეზე და ორ შვილზე, 6 თვის ქირის წინასწარი გადახდით“. გადაიხდი? — შეგიშვებს; არ გადაიხდი და ვინც გადაიხდის, იმას შეუშვებს...

როგორც ჩემი პროვოკატორული წყაროებიდან შევიტყვე, თურმე პარლამენტი ამ კანონის სამომავლოდ გავრცობას აპირებს. აბა, რა გეგონათ, მარტო ისტორიას კი არ სწავლობდნენ სკოლაში. მერე ზოოლოგიურ, მათემატიკურ, ქიმიურ და სხვა სტატუსებს მიანიჭებენ უბნებს და იმათზეც შესაბამისი გადასახადი იქნება. მაგალითად, გლდანი ხომ თბილისის ყველაზე ზოოლოგიური უბანია, რადგან ცა ყვავებით და მიწა მაწანწალა ძაღლებითაა სავსე, რომლებიც ჩინელებივით მრავლდებიან და ახალ-ახალ „უნიკალურ“ ჯიშებს გვაძლევენ ანუ ამდიდრებენ საქართველოს ფაუნას — ზოოლოგიურ საგანძურს. ეს მსოფლიოს ხომ უნდა ვანახვოთ?! ამიტომ გამოცხადდება ზოოტურისტულ ზონად და გლდანში ცხოვრებაც ძვირი სიამოვნება გახდება.

ასევე იქნება მათემატიკურ უბანში — ე.წ. „ჭიაბერაშვილის სამკუთხედი“. ეს ხომ საუკეთესო საშუალებაა ტურისტების მოზიდვისა — ერთადერთი სამკუთხედი მსოფლიოში, რომლის შიდა კუთხეების ჯამი არ უდრის 180 გრადუსს! თუ ასე რაციონალურად ვიმსჯელებთ, ყველა უბანს, ქუჩას, ჩიხს, და ა.შ. შეიძლება რაიმე სტატუსი „ავკიდოთ“, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა ავახიოთ მოსახლეობას. თუ გადახდა არ უნდა, გადასახლდეს მოზამბიკში, სომალიში და სხვა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჩვენი პარლამენტისთვის არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ ფასეულობას...

P.S. *ფართის გადასახადის ინკასატორი ოჯახში:*

— შავლა ელიზბარის ძე ჩოლოყაშვილის ბინაა?

— არა, ბატონო. ბინის პატრონი ახლა ვაშინგტონშია, იქიდან ბრიუსელში, ლონდონში, პარიზსა და ამსტერდამში უნდა შეიაროს და დააგვიანდება.

— როგორ, თქვენ ჩოლოყაშვილი არ ხართ?

— კი ვარ, ბიძიკო, მაგრამ ბინა სააკაშვილისაა, მე მდგმური ვარ...

პროვოკატორი

ალექსანდრე ბასილაია 65 წლისაა

21 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცნობილი ქართველი საესტრადო კომპოზიტორის, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიის“ დამაარსებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, ალექსანდრე ბასილაიას ბენეფისი გაიმართება. ეს საღამო კომპოზიტორის 65 წლის იუბილეს ეძღვნება. შესრულდება კომპოზიტორის, როგორც ძველი, ყველასათვის საყვარელი, ასევე ახალი სიმღერები. კონცერტში მონაწილეობენ: მერაბ სეფაშვილი, ლელა წურწუმია და ნინო ქათამაძე, ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ორკესტრი, რომელსაც ავთო მამაცაშვილი და გელა ფარჩუკიძე უდირიჟორებენ, ინსტრუმენტული ბენდი ოთარ ყუფუნიას ხელმძღვანელობით და ალექსანდრე ბასილაიას მიერ შექმნილი ახალი ახალგაზრდული ანსამბლი. ■

ჩინელი ბიზნესმენები აფხაზეთში

საზოგადოების დიდ ნაწილს ძალზე აწუხებს საქართველოში ჩინელების მომრავლების პრობლემა. როგორც საინფორმაციო სააგენტო „კავკაზსკი უზელ“ იუწყება, უცხოელი „ვიზიტორები“ ძირითადად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საზღვაო პორტებისა და სამშენებლო მასალების წარმოების სფეროებში არიან დაკავებული. რამდენიმე დღის წინ, ჩინელი საქმოსნები აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის სპიკერს ნუგზარ აშუბას შეხვდნენ. როგორც აშუბამ შეხვედრისას აღნიშნა, აფხაზეთი სასარგებლო წიაღისეულითა და მინერალური წყლებით ძალზე მდიდარია. იქ შესაძლებელია განვითარდეს საზღვაო კომუნიკაციები, დიდი პერსპექტივა აქვს სასოფლო-სამეურნეო სექტორსაც. თერმული წყლების არსებობის წყალობით შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების განვითარება. აშუბას თქმით, გასაღების ბაზრისა და სამუშაო ძალის არარსებობის გამო, აფხაზეთში ჩაის სექტორი არ ვითარდება, თუმცა რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს იქაური მანდარინი. მისი განცხადებით, ყველაზე მომგებიანი აფხაზეთში სამშენებლო მასალების წარმოებაა. „აფხაზეთი ასე თუ ისე შენდება. მეზობელი სოჭი კი, 2014 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქიც რომ ვერ გახდეს, რუსეთის საზაფხულო დედაქალაქი იქნება. მშენებლობა იქ სწრაფი ტემპით ვითარდება. რუსეთის ხელისუფლება უახლოეს 7 წე-

„ვისაც მეტი ფული აქვს, უფრო გაუმაძღარია“...

გასული კვირა საპროტესტო აქციებით გამოირჩეოდა და როგორც ჩანს, ეს მომდევნო დღეებშიც გაგრძელდება. მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი — თანაც არაერთი — ცნობილია. პარლამენტში კი სესიების კვირა არ არის, ამიტომ „წამლადაც“ რომ გჭირდებოდეს, მთავრობის სასახლეში უმრავლესობის წევრებს პრაქტიკულად, ვერ ნახავ. მათი მდივნების თქმით, ზოგი საზღვარგარეთაა „აუცილებელ“ საქმეზე წასული, ზოგის ასავალ-დასავალი კი ხელქვეითებმაც არ იციან. პარლამენტარებს შორის, ოპოზიციონერები ჭარბობენ და კითხვებზე პასუხსაც თავაზიანად დაგთანხმდებიან...

სათქმელი ქუჩაში მოსიარულე ბევრ მოქალაქესაც უხვად აქვს, უმეტესად — უკმაყოფილება ცხოვრების დონითა და ხელისუფლების პოლიტიკით... ჩვენს რესპონდენტებს უკვე ტრადიციული 2 კითხვით — გასულ კვირას ყველაზე მეტად რამ აღგაშფოთათ და რამ გაგახარათ? — მივმართეთ.

პოლიტიკოსები

დავით ბერძენიშვილი, *დემოკრატიული ფრონტი:*

— საერთოდ, არაფერი არ აღმაშფოთებს ხოლმე, ყოველთვის მშვიდი და გაწონასწორებული ვარ, რადგან ჩემი აზრით, პოლიტიკოსს სწორედ ეს მოეთხოვება. მხოლოდ ბოლო კვირის განმავლობაში კი არა, უკვე წლებია, კარგი არაფერი ხდება საქართველოში. ყველაფერი ცუდადაა. ამ კვირის მოვლენებიც ასეთია: გაზის გაძვირება, რესტორნების დემონტაჟი, ძველი თბილისის უბნებში საცხოვრებელი ფართობის გადასახადები და ა.შ. ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ქვეყანაში არაკვალიფიციური მმართველობაა.

არასამთავრობოები

ლაშა ჩხარტიშვილი, *„თანასწორობის ინსტიტუტი“:*

— აღმაშფოთებელი ფაქტების მეტი რა ხდება?! პირველ რიგში, ეს არის გაზის ტარიფის გაზრდა, რაც ყოვლად მიუღებელია პირადად ჩემთვის, რადგან ეს სოციალური გენოციდია. ხალხისთვის ეს ხელმიუწვდომელია და ხელისუფლებას ყველაფერი უნდა ეღონა, რომ ეს არ მომხდარიყო. მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც არაფერი გააკეთეს ხალხისთვის. გარდა ამისა, აღმაშფოთა კიდევ ერთმა ფაქტმა — ეს არის პოლიციის მორიგი ძალადობა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. მიხვდით ალბათ, ხოსიტაშვილის ამბავს ვგულისხმობ. მნიშვნელობა არა აქვს, იგი სცემეს პოლიციელებმა თუ არ დაეხმარნენ მას და ამის გამო გარდაიცვალა (ამას სულ მალე ექსპერტიზა დაადგენს), მაგრამ ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში ბრალი პოლიციას მიუძღვის. იმედი მაქვს, საზოგადოება ამას აღარ შეეგუება და უფრო აქტიურად იბრძოლებს კანონდამრღვევებთან.

საზოგადოება

მარინა სხირტლაძე, *ინჟინერი, 49 წლის:*

— საშინელება იყო, როცა შევიტყვეთ, რომ თურმე თბილისის ძველ უბნებში მცხოვრებმა ხალხმა საკუთარი საცხოვრებელი ბინის ფართობის მიხედვით გადასახადი უნდა იხადოს. მე 140 კვადრატული მეტრის ფართობი მაქვს პუშკინის ქუჩაზე, საიდან უნდა გადავიხა-

დო ამხელა თანხა?!. მნიშვნელობა არა აქვს, 3 ლარი ეღირება თუ 5 თეთრი: მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ და პენსიას — 38 ლარს ვიღებ. საკვებისთვის ძლივს გვყოფნის ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო პენსიის სახით მაძლევს და რასაც ჩემი ქალიშვილი თავის შრომაში იღებს... ეს არის სახელმწიფო? დათვალეთ, დღეში რამდენი საპროტესტო აქცია მიმდინარეობს! ამდენი უკმაყოფილო ხალხი უნდა ჰყავდეს ნორმალურ ხელისუფლებას?!. თუმცა, ვერ ვიტყვი, კარგს არაფერს აკეთებენ-მეთქი. არაჩვეულებრივია, ეს რეზერვისტობა რომ მოიფიქრეს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ომი თუ იქნება, ხალხს იარაღის ხელში დაჭერა მაინც ეცოდინება...

ჯუმბერ სურმანიძე, *პენსიონერი, 74 წლის:*

— გაზის გაძვირება მაღელვებს ყველაზე მეტად. გასაგებია, რომ უცხოეთში ყველაფერი ძვირია და უფასო არაფერი აქვთ, ღამის ჰაერზეც კი ფული გადაახდევინონ მოსახლეობას, ჩვენ კი გვინდა, ცივილიზებულ ხალხს მივბაძოთ. მაგრამ იქ არც სამსახურის პოვნაა ძნელი და ხელფასებიც იმდენად მაღალი აქვთ, რომ ყველა გადასახადისთვის ჰყოფნით. ჩვენში ჯერ ეს პრობლემა უნდა მოაგვარონ; ამდენი უმუშევარი ადამიანი რომ არის საქართველოში, ყველა თუ არა, ნაწილი მაინც უნდა დაასაქმონ, მხოლოდ საკუთარ ნათესავებზე კი არ უნდა ზრუნავდნენ და 200 ლარის ნაცვლად, ცოტა მაღალი ხელფასები უნდა დაუნიშნონ. პენსიაზე აღარაფერს ვამბობ — რა აზრი აქვს, მის მომატებაზე მაინც არავინ ფიქრობს... შუქი გაცილებით ძვირი იყო და ყველა გაზით თბებოდა. ახლა კი ზაფხული მოდის და მომავალ ზამთარს შესაძლოა, ვეღარც მოვესწრო, მაგრამ შვილები და შვილიშვილები ხომ მრჩებიან, რა უნდა ქნან ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში?.. კარგი არაფერი მომხდარა, შვილო. სულ არეულია ქვეყანა, ვერ ხედავთ? ჩვენთან კარგს რა უნდა?!.

ბესო ბოტკოველი, *ეკონომისტი, 45 წლის:*

— ცუდი ის მოხდა, რომ ერთ-ერთ ორგანიზაციაში წლების განმავლობაში ვმუშაობდი, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ის დაიხურა და უმუშევარი დავრჩი. შინ მეუღლე და 3 ქალიშვილი მყავს. ერთი სკოლაში სწავლობს, ორი კი — სტუდენტია. ერთი კვირაა, მშივრები მყავს. დავდივარ სხვადასხვა ორგანიზაციაში და სამსახურს ვეძებ. ერთ-ერთი ფირმის თანამშრომელმა მითხრა — სამწუხაროდ, დისტრიბუტორად ვერ აგიყვანთ, თქვენი ასაკი ამ სამუშაოსთვის შეუფერებელია — ანუ ბებერი ხარო. ველოდები ახლა პასუხს, იქნებ დარაჯად მაინც მამუშაონ. თუ არა და, თავი უნდა მოვიკლა, სხვა რა გზა მაქვს?! ბავშვები ინსტიტუტში ფეხით დადიან...

გაიოზ მეფარიძე, *იურისტი, 27 წლის:*

— მიუხედავად ჩემი პროფესიისა, მაინც ძალზე მთრგუნავს ის ფაქტი, რომ ყოველ საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში ახალ-ახალ მკვლელობებზე ლაპარაკობენ. 15 წლის ბავშვი მოკლეს, პოლიციელებმა ახალგაზრდა კაცი იმსხვერპლეს და ა.შ. ჯერ ერთი, ქვეყანაში ასეთი განუკითხაობა არ უნდა იყოს და ხელისუფლებამ ამის აღმოსაფხვრელად რაღაც გზა უნდა გამონახოს, მეორეც — არ შეიძლება ყოველ საღამოს ტელევიზიით ასეთი კადრების ჩვენება. ქართველ ხალხს ისედაც იმდენი პრობლემა აქვს, კიდევ მიცვალებულებისა და მოკლულების ნახვა უნდა?!. დღეს შევიტყვე, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი ჯაბა ჯიშკარიანი 30-დღიანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ძალიან გამიხარდა. სიმართლის გამო ადამიანების ციხეში ჩასმა არასწორია, მაგრამ რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება სწორად? არაფერს.

ნინო ვარდოსანიძე, სტუდენტი *20 წლის:*

— კვირის მოვლენებიდან რესტორნების დემონტაჟის ფაქტმა გამაღიზიანა, თუმცა არა იმიტომ, რომ ისინი ხელისუფლების ბრძანებით დაანგრიეს, არამედ მეპატრონეების გამოსვლა არ მომეწონა: ისე ისაწყლებენ თავს, თითქოს არც გადასახადები დაემალოთ და თან ძალზე გაჭირვებულებიც იყვნენ. ასეა, ვისაც მეტი ფული აქვს, იმას კიდევ უფრო მეტი უნდა და უფრო გაუმაძღარია... მე მიმაჩნია, რომ რიყე ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანია და იქ გაცილებით საინტერესო და საჭირო შენობები უნდა იყოს. რესტორნის ადგილი კი ქალაქგარეთ არის... რეზერვისტების პირველი ნაკადი რომ დამთავრდა, ამანაც ძალიან გამახარა. მინდა, რომ მეც წავიდე ერთხელ და სამხედრო ცხოვრებით ვიცხოვრო. სროლასაც ვისწავლი და სანგრებშიც დიდი სიამოვნებით ვიხოხებ. მომავალში კი თუ ჩვენს ქვეყანას დასჭირდა, ომშიც წავალ. მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ დაგვჭირდება. ისე, ერაყში წასვლა კი შეიძლება, ამბობენ, ბევრ ფულს იხდიანო... ■

მნიშვნელობა არა აქვს, 3 ლარი ეღირება თუ 5 თეთრი: მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ და პენსიას — 38 ლარს ვიღებ

ლიწადში ქალაქის მშენებლობაში 10-13 მილიარდი დოლარის ჩადებას აპირებს“, — განაცხადა აშუბამ. როგორც დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა აღნიშნა, აფხაზურ ვარდისფერ მარმარილოს, გრანიტსა თუ ბაზალტს კონკურენტი სოჭში არ გამოუჩნდება. აფხაზეთი თვითგამორკვევის პროცესში მყოფი ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას ჯერ კიდევ არ უღიარებია, მაგრამ ჩვენთან უკვე წარმატებით მუშაობენ რუსული და თურქული კომპანიები. საქართველოსთან მოუგვარებელი კონფლიქტის მიუხედავად, აფხაზეთით ინტერესდებიან ევროპული ბიზნესსტრუქტურებიც, — აღნიშნა აშუბამ. დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, აფხაზეთში ინვესტორებისთვის შეღავათებიც არის დაწესებული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე აფხაზეთის ეკონომიკაში 100 ათასზე მეტი დოლარის ჩადებას მოისურვებს, საქმიანობის პირველ 3 წელიწადში მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება. აშუბას თქმით, დე ფაქტო მთავრობა აფხაზეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას აპირებს, — აღნიშნა ჩინელ ბიზნესმენებთან შეხვედრისას ნუგზარ აშუბამ. ■

ოგბაიძეს ხულიგნობის გამო ჯარიმის გადახდა მოუწევს

საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ოგბაიძეს ინციდენტი მოუხდა და სამართალდამცველებმა ხულიგნობისთვის დააკავეს. როგორც მათ აღნიშნეს, 15 აპრილს შალვა ოგბაიძემ მარჯანიშვილის ქუჩაზე მოქალაქე ალექსანდრე ჯანელიძე და სხვა პირები სცემა. სამართალდამცველთა თქმით, ჩხუბი ფედერაციის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და დაახლოებით 10 წუთი გრძელდებოდა... ოგბაიძე დაკავების დღესვე საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ელიავილის გადაწყვეტილებით სხდომათა დარბაზიდანვე გაათავისუფლეს. მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შალვა ოგბაიძეს აღმკვეთი ღონისძიების ნაცვლად, გირაო — 3.000 ლარი შეუფარდა. ■

ამერიკულმა Newsweek-მა გამოაქვეყნა ევროპის იმ ტურისტული ადგილების სია, რომლებსაც ჟურნალის ექსპერტები მოგზაურობის დარგში საუკეთესოდ მიიჩნევენ.

ევროპის საუკეთესო ადგილები

საუკეთესო კინოთეატრები

როცა საუბარი კინოთეატრებზე მიდგება, ალბათ, პარიზს მსოფლიოს ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება. თანაც, პარიზი არა მარტო ევროპაში ყველაზე დიდი კინოდარბაზებით, არამედ იმ პაწაწინა კინოთეატრებითაც გამოირჩევა, სადაც სეანსები ჩვეულებრივზე გვიან იწყება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ასეთ კინოთეატრებში მოლარისა და კინომექანიკოსის ფუნქციებს ერთი ადამიანი ითავსებს, ჩვენებით კი ფრიად უცნაურ ფილმებს უჩვენებენ...

სახელგანთქმული პარიზული კინოთეატრის — La Pagode — შენობა უნივერმაღის — Le Bon Marche მეპატრონე მილიონერმა საკუთარი ცოლის გულის მოსაგებად ააშენა. მართალია, ბიზნესმენი ცოლმა შემდგომ მაინც მიატოვა, მაგრამ სამაგიეროდ, კინომანები მას დღემდე ემადლიერებიან. ამ შენობაში კინოთეატრმა 1930-იანი წლებიდან დაიდო ბინა, საუკეთესო ფილმების ჩვენების გარდა, La Pagode-ს პატარა, მაგრამ მდიდრულ ეზოში საუცხოო ჩაისაც შემოგთავაზებენ.

ლეგენდარულ Le Grand Rex-ს ევროპაში ყველაზე დიდი კინოდარბაზი აქვს. ის ერთდროულად 2650 მაყურებელს იტევს და ორი ფართო აივანი და დიდი შადრევანიც ახლავს. 1932 წელს გახსნილი ეს კინოთეატრი, კინოჩვენებებთან ერთად, კონცერტების ჩასატარებლადაც დღემდე გამოიყენება...

პოლონეთის ყველაზე მიმზიდველი პატარა ქალაქი

მას ლუბლინი ჰქვია და სილამაზით სახელგანთქმულ ვარშავასა და კრაკოვს არაფრით ჩამოუვარდება. ამ ქალაქში ფანტასტიკური პატარა რესტორნები, შესანიშნავი პაბები, დიდებული ტაძარი და პაწაწინა მოკირწყლულქუჩებიანი ძველი უბანია. თუ ქალაქის ულამაზესი ხედით დატკბობა გსურთ, ამჟამად მუზეუმად გადაქცეული ლუბლინის ციხე-კოშკს უნდა მიაშუროთ.

საუკეთესო მასარუჯი და ჩიტების სათვალთვალო ადგილი

მალტასა და გოზოს შორის მდებარე კირქვის პაწაწინა კუნძული კომინო ოდესღაც მეკობრეებისა და კონტრაბანდისტების თავშესაფარს წარმოადგენდა. სულ რაღაც 2,5 კმ სიგრძისა და 1,5 კმ სიგანის კომინო მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში გამორჩეული მზის აბაზანების მისაღებ და საცურაო ადგილად მიიჩნევა. გარდა ამისა, კუნძულს საკუთარი ეროვნული პარკი და ფრინველების ნაკრძალიც აქვს. თუ ბედი გაგიღიმებთ, ამ ნაკრძალში ნამდვილი მალტური არწივის ხილვასაც შეძლებთ.

საუკეთესო ლიტერატურული კაფე

ის იტალიის ყველაზე ბოჰემური ქალაქის, ნეაპოლის გულში მდებარეობს და Intre Moenia ჰქვია. კაფეს შიდა კედლებზე წიგნები, ხელნაწერები და სახელგანთქმული მწერლების პორტრეტებია გამოფენილი. წიგნის წასაკითხად და შთაგონების მისაღებად ადამიანი ამაზე უკეთეს ადგილს ვერ მოიგონებს. გარდა ამისა, კაფეში შესანიშნავი ადგილობრივი სალათითა და ოჯახებში დამზადებული ღვინითაც უხვად გაგიმასპინძლდებიან.

თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო მუზეუმი

კოპენჰაგენიდან 35 კილომეტრით დაშორებული თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი — „ლუიზიანა“ იმ მუზეუმის რეპუტაციით სარგებლობს, რომელსაც სპეციალურად უნდა ეწვიო. „ლუიზიანაში“ კოლდერის და კიფერის, პიკასოსა და რაუშენბერგის ნამუშევართა შესანიშნავი კოლექციაა გამოფენილი. „ლუიზიანა“ მდინარე ზილანდის ჩრდილოეთ ნაპირზე გაშლილი ულამაზესი პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ პარკში მდგარი ჰენრი მურის ქანდაკებები კი ასე საუცხოოდ სხვაგან არსად გამოიყურება.

საუკეთესო ზღვისპირა სოფელი

სამხრეთ-დასავლეთ შვედეთში მდებარე მეთევზეთა პატარა სოფელი — ტორეკოვი საცურაო და ნავით სასეირნო საუკეთესო ადგილად გლობალურმა დათბობამაც აქცია. ვალენბერგებისა და სხვა მდიდარი

საუკეთესო ძველი მეჩეთი

სტამბოლის ევროპულ ნაწილში რუსტამ ფაშას მეჩეთი დგას, რომლის ისტორიაც ოტომანთა იმპერიიდან იღებს სათავეს. ის მეჩეთი სახელგანთქმულ ცისფერ მეჩეთზე ანდა აია-სოფიის ტაძარზე ბევრად პატარაა და არც იმდენად სახელგანთქმულია, მაგრამ უფრო მყუდრო და ლამაზი კი ნამდვილადაა. მეჩეთის შესასვლელს დიდებულს ნამდვილად ვერ უწოდებ, მაგრამ საკმარისია შიგნით აღმოჩნდე, რომ უმალ გასაოცარი მოზაიკა მოგტაცებს თვალს. ეს დასვენებისა და მედიტაციისთვის საუკეთესო ადგილია. და კიდევ ერთიც: ტაძარში მყოფი ძნელად თუ დაიჯერებ, რომ ეს ადგილი ჯერ კიდევ ევროპად მიიჩნევა.

არ-ნუვოს სტილის საუკეთესო არქიტექტურა

ლატვიელებს უყვართ არ-ნუვოს დედაქალაქად რიგის მოხსენიება და ამ ამბიციის სამართლიანობაში ქალაქში ხანმოკლე გასეირნებაც კი ადვილად დაგარწმუნებთ. ქუჩების გასწვრივ ხომ ამაყადაა ჩამწკრივებული ამ სტილის შესანიშნავი ნიმუშები — საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ნაგებობები. მდიდრულად მორთული ფასადები მნახველს ექსტრავაგანტური დეტალების სიმრავლითაც აოცებს. შეიძლება, ვიღაცამ ეს ყველაფერი გადაჭარბებულად მიიჩნიოს, მაგრამ მოსაწყენს ნამდვილად ვერ უწოდებს. ისიც უთუოდ უნდა ითქვას, რომ ამ განძის დიდი ნაწილი, მათ შორის, რიგის უმაღლესი იურიდიული აკადემიაც, საბჭოთა მარწუხებისგან გათასუფლებულმა ლატვიელებმა დიდი სიყვარულით აღადგინეს. იუნესკომ კი რიგა მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილად აღიარა.

შვედების საყვარელი დასასვენებელი ტორეკოვი პრეტენზიულობით ნამდვილად არ გამოირჩევა. ამიტომაც, დილის ბანაობის შემდეგ, შეგიძლიათ, საბანაო ხალათი პირდაპირ სველ ტანზე შემოიცვათ და მაღაზია — Parkis-სთან ცხელი პურის საყიდლად გაჭიმულ რიგში სრულიად მშვიდად ჩადგეთ. კარგი იქნება, თუ ამ დროს ადგილობრივ ტრადიციასაც დაიცავთ და ზედმეტ კითხვას არავის დაუსვამთ.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, ერთიმეორის მიყოლებით იზრდება გაზის, დენის, წყლის, მიწის გადასახადები, კულტურის სამინისტრომ კი ეს ყველაფერი ახალი მოსაკრებლის შემოღების ინიციატივით დააგვირგვინა. ამ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების დიდი ნაწილი შეშფოთებას გამოხატავს და მოსალოდნელ სირთულეებზე ლაპარაკობს.

ფასები, ხელფასები და...

„მაგარგიჯოგანას“ თამაში...

ხათუნა ბახტურიძე

ელენე ხუციშვილი, *ფილოლოგი:*

— შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ მასხრად აგვიგდო. ხალხი, რომელიც საზოგადოებაზე ზრუნვის იდეოლოგიით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ახლა სულს გვხდის და შევარდნაძის პერიოდს სანატრელად გვიხდის. იქნებ ვინმემ მირჩიოს, რა ჯანდაბით გადავიხადო ეს ამხელა გადასახადები?..

გოჩა ხვედელიძე, *ომის ვეტერანი:*

— ჩვენი ამბავი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თუ რაიმე შეღავათი არსებობდა, ყველაფერი მომიხსნეს, გადასახადები კი მომიმატეს, სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩემი მწირი შემოსავლით მხოლოდ გადასახადებს თუ გადავიხდი, პური რითი ვჭამო?.. ამ ხელისუფლებამ თავისთვის რამდენიმეათასლარიანი ხელფასები დაინიშნა, მათთვის, რა თქმა უნდა, ადვილია მომატებული ტარიფების გადახდა, მაგრამ იქნებ ჩვენც გვკითხონ, რა დღეში ვართ. იქნებ ფიქრობენ, რომ მათი მონობისთვის გაგვაჩინა ღმერთმა?!.

თეონა ოტიაშვილი, *სტუდენტი:*

— სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. სასწავლებელს დავამთავრებ თუ არა, უცხოეთში წავალ. ჩემს მშობლებს რომ ვუყურებ და ვხედავ, რა დღეში არიან, აქ გაჩერება აღარ მინდა: 24 საათი შრომობენ, რომ როგორმე ოჯახი არჩინონ. ახლა ისეთ გადასახადებს აწესებენ, რომ ცხოვრების საშუალებას გვისპობენ. მხოლოდ იმიტომ ხომ არ ვიმუშავებ, რომ ხელისუფლებაში მოსული გაუნათლებელი ღლაპების ჯიბეები ამოვავსო? გადასახადები ბიუჯეტში შედისო, რომ გვეუბნებიან, იმ ბიუჯეტიდან მერე მათ ჯიბეებში მიდის. მაგათ გარდა, ვის აქვს სამიათასლარიანი ხელფასები?! არ ვიცი, რაში იღებენ ფულს, ქვეყანაში პოზიტიური არაფერი კეთდება.

არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით რადიკალური დამოკიდებულებით გამოირჩევა ეკონომიკური ექსპერტი ***გია ხუციშვილიც****. მისი აზრით, ხელისუფლებაში მოკალათებულ ადამიანთა ჯგუფი მხოლოდ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებისთვის იბრძვის და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე საერთოდ არ ზრუნავს.*

— ბატონო გია, შეძლებს თუ არა მოსახლეობა, ბოლო დროს დადგენილი მოსაკრებლებისა და გაზრდილი ტარიფების გადახდას?

— საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამას ნამდვილად ვერ შეძლებს. გადასახადების გაძვირება, ასე ვთქვათ, პირდაპირი უარყოფითი ეფექტია, მაგრამ მას ემატება ირიბი უარყოფითი ეფექტიც — ანუ ახალი ბიძგი ეძლევა ინფლაციას, განსაკუთრებით ენერგომატარებლების ფასების ზრდის შემდეგ. ეს კი გაძვირებების მთელ კასკადს იწვევს, მათ შორის — პირველადი მოხმარების საგნებზეც. დღეს საარსებო მინიმუმის ზღვარი სულ უფრო და უფრო ზემოთ მიიწევს და ქართული ოჯახების მატერიალური მდგომარეობა თანდათან მძიმდება. ფაქტობრივად, ქვეყანაში ეკონომიკა ვერ ვითარდება. ეკონომიკის განვითარება ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს და არა ვირტუალურ, ტელევიზორიდან მოწოდებულ ინფორმაციას. თუ ადამიანები არ დასაქმდებიან, ვერც ეკონომიკა განვითარდება და ვერც გაზრდილ გადასახადებს გადაიხდიან. წესით, ყველა სფერო რენტაბელური უნდა იყოს — ე.ი. ხარჯებს მიღებული შემოსავალი უნდა ფარავდეს. მაგრამ ეს იმ ქვეყანაში ხდება, სადაც ხალხს ნორმალური შემოსავალი აქვს. საქართველოში ხალხი გაკოტრებულია და ხელისუფლების მიერ დანესებული გადასახადები მათ შემოსავალს ბევრად აჭარბებს. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ თავისი ვირტუალური მართვის მეთოდებით მოახერხა ის, რომ გაჭირვებულ ადამიანს თავი უმცირესობაში ჰგონია და ფიქრობს, რომ მას უჭირს, თორემ სხვა ყველა დალხინებულია. რეალობა სხვაგვარია — სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ღარიბები არიან უმრავლესობაში.

— მერიის ინიციატივით, რიყეზე რამდენიმე რესტორანი დაანგრიეს. რა უფრო დიდი პრობლემაა —

გადასახადები ბიუჯეტში შედისო, რომ გვეუბნებიან, იმ ბიუჯეტიდან მერე მათ ჯიბეებში მიდის

სემეკის თავმჯდომარე ტარიფის გაზრდის მოწინააღმდეგეთა იერიშებს იგერიებს

მიდიან და პირდაპირ ეუბნებიან — ან შენი საკუთრება გვაჩუქე, ან არა და, დაგინგრევთო

კერძო საკუთრების ხელყოფა თუ იქ დასაქმებული ადამიანების უმუშევრად დარჩენა?

— ამ შემთხვევაში ორ პრობლემასთან გვაქვს საქმე. მართლაც რომ პარადოქსული ვითარებაა: ჩვენი ხელისუფლება თან გვეუბნება, გადასახადები იმიტომ არის მაღალი, რომ მემარჯვენე პოზიციებიდან გამომდინარე, გადასახადი ხარჯების ადეკვატური უნდა იყოსო და თან მემარჯვენე საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულების — კერძო საკუთრების ტოტალურ ექსპროპრიაციას ახდენს: ვითომდა შეთანხმების, იძულებითი „ჩუქების“ წესით კერძო მესაკუთრეებს ქონებას ართმევენ და ამით ქვეყნის განვითარების ვექტორს ფუნდამენტს აცლიან. არ ვამტკიცებ, რომ ყველა მეწარმე ანგელოზია, მაგრამ ისინი ასეულობით ადამიანს ასაქმებენ. გარდა ამისა, წლების წინ ამ ქვეყანაში ისეთი თამაშის წესები იყო, რომ ახლა, თუ დღევანდელი ხელისუფლება მოინდომებს, ფორმალურად ნებისმიერ ადამიანს შეედავება. ხელისუფლების წარმომადგენლები მეწარმესთან მიდიან და პირდაპირ ეუბნებიან — ან შენი საკუთრება გვაჩუქე, ან არა და, დაგინგრევთო. ასეთი მიდგომით იმ ადამიანების „დაბლოკვა“ ხდება, რომლებმაც ქვეყნის ეკონომიკა უნდა ამუშაონ, კაპიტალი ფრთხება და მთელი ფული „მუთაქებში მიდის“, ყველა გაჩერებულია და არავინ ფიქრობს, რომ ქვეყანაში გრძელვადიანი ინვესტიცია განახორციელოს, უამისოდ კი ქვეყანაში ეკონომიკა ვერანაირად ვერ განვითარდება.

— თუ ასეთი სავალალო შედეგებია მოსალოდნელი, ხელისუფლება კურსს რატომ არ ცვლის?

— ამ კითხვაზე პასუხი მეც ძალიან მაინტერესებს. არ შეიძლება არ იცოდე, რომ თუ საზოგადოების მთელ რიგ ფენებს ოპონენტის მდგომარეობაში ჩაიყენებ და უსამართლობის უზარმაზარ შეგრძნებას გაუჩენ, საბოლოო ჯამში ამომრჩეველს დაკარგავ. ვფიქრობ, ისინი იმდენად ახალგაზრდები არიან, რომ ვერ აცნობიერებენ, თუ რით დამთავრდება ეს ყველაფერი მათთვის, ან იმედი აქვთ, რომ გამწარებულ ხალხს სადმე გაასწრებენ. შეიძლება, ზოგიერთ მათგანს ჩემოდნებიც ჩალაგებული ჰქონდეს. ფაქტია, რომ ქვეყანაში პერსპექტიული ამოცანები არ წყდება და ყველაფერი მოკლევადიანი, ტაქტიკური ამოცანების გადაჭრით შემოიფარგლება.

— იმ მწვავე საკითხებს შორის, რომლებიც ბოლო დღეებში საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, კულტურული მემკვიდრეობის ზონად გამოცხადებულ უბნებში მცხოვრებთათვის მოსაკრებლის დაკისრებაა. რას ფიქრობთ ამ ინიციატივის შესახებ?

— სრულიად ალოგიკურია. მე ამ მოსაკრებელს გაჭირვებით გადავიხდი, მაგრამ ჩემი 20 მეზობლიდან 18 ვერ გადაიხდის. ლარ-ნახევარს კი არა, 50 თეთრსაც ვერ გადაიხდიან. ჩემ ზემოთ, ხუთ მეზობელს საერთო სველი წერტილი აქვს, სამაგიეროდ ცხოვრობენ ოთახში, რომლის ფართობიც 50 კვმ-ია. მათ 75 ლარი უწევთ, რომელსაც ვერანაირად ვერ გადაიხდიან. ჩემი აზრით, კულტურის მინისტრს ამ უბანში არ გაუვლია და არ იცის, რომ აქ მცხოვრები ადამიანების სოციალური მდგომარეობა კატასტროფულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ხალხს ქალაქში თავისუფლად გადაადგილებაც კი არ შეუძლია, იმიტომ, რომ ტრანსპორტში გადასახდელი ფული არა აქვთ.

— ოპოზიციური ძალების ერთი ნაწილი საზოგადოებას ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს. თვენი პროგნოზით, რას იზამს საზოგადოება?

— არსებობს ცნება — კრიტიკული წერტილი. შესაძლოა, ხელისუფლებას ჰგონია, რომ სიტუაციას აკონტროლებს და დღეს შექმნილ ვითარებას კრიტიკულ წერტილამდე არ მიიყვანს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ხალხს მოთმინების ფიალა მალე აევსება. საზოგადოებას არ ეძლევა ელემენტარული, ორთქლის გამოშვების შესაძლებლობაც კი. ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ თუ ცოტას დათმობენ, სისუსტეს გამოავლენენ, ძველებიჭური ფსიქოლოგიით მოქმედებენ. აქედან გამომდინარე, წნევა იზრდება და კრიტიკული მასის მიღწევამდე ბევრი აღარ უკლია. მცირე ჯგუფებმა, რომლებიც დღეს დაქსასულები არიან, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს გაერთიანება დაიწყონ. ერთი ადამიანიც რომ გამოჩნდეს ისეთი, რომელსაც ხალხი ენდობა, პროცესი ძალზე სწრაფად განვითარდება. უბრალოდ, ხელისუფლებას უმართლებს, რომ ასეთი ადამიანი ჯერ-ჯერობით არ გამოჩნდა. მაგრამ თუ ასე გაგრძელდება, საზოგადოება თავის წიაღში იპოვის ასეთ ადამიანს და მერე მას ვეღარც საომარი რიტორიკა შეაჩერებს და ვერც „მაგარბიჭობანას“ თამაში.

■

„იყეფე, რამდენიც გინდა, სიმართლეს დაადგენ თუ რა?!“

ის, რაც სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მიღების სამმართველოს მისაღებში ხდება

სახალხო დამცველის აპარატს ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი მიმართავს განცხადებით. ვის რა აწუხებს და ვის — რა. მათგან უმრავლესობა კი სასამართლოებში გამეფებულ უსამართლობას აპროტესტებს. „კარგია, რომ ჟურნალისტები უბრალო ხალხის ბედით დაინტერესდით. ყველა ინსტანცია მოვიარე და სამართალი ვერა და ვერ ვიპოვე, ახლა აქ მოვედი, იქნებ სიმართლის აღდგენაში, სახალხო დამცველი მაინც დამეხმაროს“, — მითხრა მოქალაქეთა მისაღებში მყოფმა ერთ-ერთმა ქალბატონმა. „ესენი კი დაადგენენ სიმართლეს, მაგრამ რა შეიცვლება? ვინ უჯერებს სახალხო დამცველს?! დღეს ჩვენს ქვეყანაში ისე მიდის საქმე, როგორც ერთ ძველ ქართულ ანდაზაშია ნათქვამი: ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის. იყეფე, რამდენიც გინდა, სიმართლეს დაადგენ თუ რა?!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა მეორემ. სამწუხაროდ, არც ერთმა მათგანმა თავის პრობლემებზე ჩვენთან ღიად საუბარი არ ისურვა: „რა ვიცით, შვილო, საქმე კიდევ უფრო არ დავიმძიმოთ“, — გულახდილად გამიზიარა წუხილი ერთ-ერთმა ქალბატონმა. ზედმეტი კითხვებით აღარც მე შემიწუხებია. ცოტა ხანში მოქალაქეთა მისაღებში კიდევ ერთი მამაკაცი შემოგვემატა. მასაც გამოველაპარაკე, მე ადვოკატი ბურკაძე გახლავარ, — გამეცნო და სახალხო დამცველის ოფისში ვიზიტის მიზეზიც გამიმხილა.

თამუნა კვინიკაძე

— მე ბრალდებულ გ.ბ-ს ადვოკატი გახლავართ. იგი ბებიასთან ერთად 2006 წლის 12 დეკემბერს ფოთში მამიდასთან სტუმრად იმყოფებოდა. შემდეგ მამიდის შეუძლოდ ყოფნის გამო, ბებია იქ დატოვა, თვითონ კი თავის საცხოვრებელ სახლში ხობის რაიონში უნდა დაბრუნებულიყო, როდესაც მისი დაკავება მოხდა. პოლიციამ ჩხრეკის შემდეგ, თავისსავე ხელით ჩადებული მარიხუანა და „ლიმონკა“ ამოიღო. ჩხრეკის პროცესს არც ერთი ადამიანი არ დაასწრეს — იმ მოტივით, რომ შეიძლებოდა, ნივთმტკიცება გაენადგურებინა. მე თქვენ გეკითხებით — პიროვნებას, რომელიც მიწაზე ჰყავდათ დაგდებული და თავზე პოლიციელები ადგნენ, „ლიმონკა“ როგორ უნდა გაენადგურებინა? თავს ხომ არ აიფეთქებდა?! მას დაკავებისთანავე ჩაუტარეს ანალიზი, რომლის პასუხის შედეგად, დაკავებული, მარიხუანის მომხმარებელიც კი არ აღმოჩნდა. შემდეგ მის საცხოვრებელ სახლშიც ჩაატარეს ჩხრეკა, კვლავ კანონის დარღვევით და დამსწრეთა გარეშე. მათი თქმით, სახლიდან 2 დაუანგული ვაზნა ამოიღეს, ხოლო ერთ-ერთი დამსწრის ნაცვლად, პოლიციელმა მოაწერა ხელი. ადგილზე არ მომხდარა არც ნივთმტკიცების დალუქვა და არც ჩხრეკის ოქმის შედგენა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვით, რომ ბრალდების ფორმულირება მთლიანად სიყალბეზეა აგებული. მე ადვოკატად იანვრის შუა რიცხვებში ამიყვანა. არაერთხელ მოვითხოვე გამოძიებისგან, საქმე ეჩვენებინათ, მაგრამ დამიმალეს და მასალები ისე გადაგზავნეს პროკურატურაში, რომ არ გამაცნეს. მომხდარის გამო მივმართე ფოთის, საოლქო და გენერალურ პროკურატურებს, მაგრამ სამართალი ვერ ვიპოვე. მოსამართლე უარს ისე აწერს ჩემს განცხადებას, არც კი ეცნობა, ხოლო როდესაც ვეკითხები, თუ რატომ იქცევა ასე, მპასუხობს — მე არაფრის შეცვლა არ შემიძლიაო. დღეს მოვედი და სახალხო დამცველის ოფისში განცხადება მოვიტანე: იქნებ, მათი დახმარებით მაინც გავარკვიო სიმართლე. არ შეიძლება 21 წლის ბიჭის ასე გაფუჭება. დღეს ჩადენილი უსამართლობა მომავალში ძალზე ცუდად დაუბრუნდება უკან ჩვენს ქვეყანას.

რამდენად ხშირად ხდება დღეს საქართველოში მოქალაქეთა უფლებების დარღვევა? წინა წლებთან შედარებით, იკლო თუ იმატა მიმართვების რაოდენობამ, როგორია სტატისტიკური მაჩვენებელი? აქტუალობის მიხედვით, შეიცვალა თუ არა პრობლემატიკა? რამდენად ახერხებს მოქალაქეთა უფლებების დაცვას სოზარ სუბარის უწყება? — ამ და სხვა კითხვებით სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მიღების სამმართველოს უფროსს, ***ელიზბარ ხაჭაპურიძეს*** *მივმართეთ.*

— ბატონო ელიზბარ, დღის განმავლობაში რამდენი მოქალაქის განცხადება შემოდის თქვენს სამმართველოში?

— ყოველდღიურად, 10-დან 22 განცხადებამდე შემოდის. გვქონია შემთხვევა, როდესაც 30 განცხადებაც შემოსულა. ჩვენ თითოეულ მათგანს ვუტარებთ იურიდიულ ექსპერტიზას, თუ მივიჩნევთ, რომ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნა არ სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს, შემდეგ მას გადავცემთ გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის შესაბამის სამმართველოებს — სოციალურ-ეკონომიკურს, მართლმსაჯულების და ა.შ. შარშან სულ 3467 განცხადება მივიღეთ.

— წინა წლებთან შედარებით, იკლო თუ იმატა მომართვების რაოდენობამ?

— 2005 წელს 2254 განცხადება, 2004 წელს — 1280, 2003 წელს — 1564, ხოლო 2002 წელს — 1625 განცხადებაა შემოსული. მომართვების რაოდენობა თანდათან მატულობს.

— აქტუალობის მიხედვით, შეიცვალა თუ არა პრობლემატიკა?

— დიახ, შეიცვალა. 3-4 წლის წინ ადამიანთა წამების ფაქტები იყო პირველ ადგილზე. ხშირად ჩვენთან საჩივრით მოსული ადამიანები გვთხოვდნენ, არ გაგვემჟღავნებინა მათი ვინაობა. ადამიანის წამების ფაქტები ძირითადად პოლიციის განყოფილებებში მიყვანის დროს ხდებოდა. ასეთმა ფაქტებმა თანდათან იკლო, მაგრამ პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. წინა წლებში გამწვავებული იყო რელიგიური უმცირესობის დევნის საკითხი. სახელმწიფო ხელისუფლების წაყრუებით თუ გულგრილობით, რელიგიურ ექსტრემიზმს მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული. დღეს ეს საკითხი შედარებით დარეგულირებულია და ნაკლებია პრეტენზია.

— დღეს ყველაზე მწვავე პრობლემად რას მიიჩნევთ?

— ყველაზე მწვავედ მართლმსაჯულების სფეროში შემავალი საკითხები რჩება, აგრეთვე — სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა, წინასწარი გამოძიების არაობიექტურობა და ა.შ. 2006 წლის მონაცემებით, მართლმსაჯულების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით 1606-მა მოქალაქემ მოგვმართა, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საკითხებზე 824 განცხადება შემოვიდა, მათ შორის: შრომითი უფლების დარღვევის ფაქტზე — 169, საკუთრების უფლების — 119, საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით — 157, ხოლო სამედიცინო საკითხებზე (პაციენტთა უფლებების დარღვევის გამო) — 109 განცხადება, თავისუფლებისა და თანასწორობის დარღვევის საკითხებზე — 201.

სახალხო დამცველის აპარატს ყოველდღიურად ათეულობით ადამიანი მიმართავს განცხადებით

— რამდენად ახერხებთ თქვენთან მოსულ მოქალაქეთა უფლებების დაცვას?

— მეტ-ნაკლებად. კანონი სახალხო დამცველის შესახებ მკაფიოდ აყალიბებს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს. მაგალითად, არ შეგვიძლია სასამართლოს საქმიანობაში, ასევე — დავის საკითხების განხილვაში მედიატორის ფუნქციის შესრულება. ომბუდსმენის ინსტიტუტს არა აქვს კლასიკური ტიპის იძულებითი ხასიათის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლება. ჩინოვნიკები და სახელმწიფო მოხელეები კი ხშირად, ჩვენს შენიშვნებს არ ითვალისწინებენ. ხშირად მოგვმართავენ თხოვნით, დავასაქმოთ ადამიანები, უმუშევარ ადამიანთა არაერთი განცხადება მიგვიღია. ბუნებრივია, ჩვენ მათ მოთხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ და დელიკატური ფორმით უარის თქმა გვიწევს.

— არ აპროტესტებენ?

— როგორ არა?! აბა, თქვენ რის სახალხო დამცველები ხართო?! — გვეუბნებიან.

— გამიგონია, აქ სრულიად უჩვეულო თხოვნითაც მოგმართავენ ხოლმე. ბევრჯერ ჩავარდნილხართ კურიოზულ მდგომარეობაში?

კურიოზის მეტი რა არის, მაგრამ არ ღირს, რომ ამის შესახებ დაწეროთ, არ მინდა, ვინმე გაგვინაწყენდესო, — მიპასუხა ბატონმა ელიზბარმა ისეთივე დელიკატური უარით, როგორითაც თავის დროზე, კურიოზული მოთხოვნების ავტორები გაუსტუმრებია. დიქტოფონი გამოვრთე და — ასეთი მაინც რა ხდებამეთქი? — არ მოვეშვი (ჟურნალისტი რისი ჟურნალისტია, თუ რესპონდენტს საინტერესო ინფორმაცია არ გამოსტყუა?!).

იმედია, არ გამინაწყენდება, თუ მისი მონათხრობიდან ზოგიერთს გაგიზიარებთ...

— ჩვენს სამსახურს ფრონტის წინა ხაზს ეძახიან, მე კი „ხალხის მეგობარს“ — ბევრ უცნაურ ადამიანთან მიწევს ურთიერთობა. იმაზე, რომ ძალიან ხშირად მოდიან და სამსახურს მთხოვენ, აღარაფერს ვამბობ. ერთხელ გოგონა მოვიდა, დედასთან ერთად და მეუბნება — იცით, ჩემი უფლება დაირღვაო. — როგორი ფორმით-მეთქი? — ვკითხე. — როგორი ფორმით და, გამაუპატიურეს, ქალიშვილი ვიყავიო... ზრდილობიანად ავუხსენი, რომ ასეთი საქმეების გარჩევა სახალხო დამცველის კომპეტენციაში არ შედის... შემდეგ მომმართა ერთმა მამაკაცმა: სვანეთიდან ვარ, იქ სახლი მაქვს. დიდი ხანია გაყიდვა მინდა, მაგრამ მყიდველი არა და არ გამოუჩნდაო. — ჩვენ რით შეგვიძლია, დაგეხმაროთ-მეთქი? — თქვენი სოზარ სუბარი ხომ სვანეთიდან არის, მან უნდა იყიდოს ჩემი სახლი, მომეცი ფურცელი ამას განცხადებაშიც დავწერო. როდესაც ავუხსენი, რომ ასეთ განცხადებას ვერ განვიხილავდით და დაწერას აზრი არ ჰქონდა, ეს შეურაცხყოფად მიიღო: ეგ რა სახალხო დამცველია, თუ ჩემი ბინის ყიდვა არ შეუძლიაო?.. ■

კონდოლიზა რაისი – „მურმანის ეპალი“?

როგორც ამ ცოტა ხნის წინ ბატონი მელორ სტურუა „იზვესტიაში“ წერდა, ამერიკაში გამოჩნდა ცნობა ჯორჯ და ლორა ბუშების სავარაუდო განქორწინების შესახებ. ამ ცნობის თანახმად, ცოლ-ქმარი ჯენტლმენურად შეთანხმდა, რომ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ერთად დარჩებიან და შემდეგ თავ-თავიანთ ბედს ეწევიან.

ამერიკული პრესის ცნობით, ჯორჯისა და ლორას დაცილებაში სახელმწიფო მდივნის — კონდოლიზა რაისის „მსახვრალი ხელი“ ურევია. ამერიკული ჟურნალები უკვე კარგა ხანია, რაც სრულიად მოურიდებლად აქვეყნებენ ერთმანეთს ჩახუტებული და მოღიმარი ბუშისა და კონდოლიზას ფოტოებს. რასაც ფონად „საქმიდან გასული“ სევდიანი ლორას ფოტოებიც გასდევს. რაისი, თურმე, ჯორჯ ბუშს მის საყვარელ ტეხასის რანჩოშიც ხშირად სტუმრობს. ჟურნალისტებს მხედველობიდან არც ის გამორჩენიათ, რომ ერთხელ ეჭვიანობით განრისხებული ლორა თეთრი სახლიდან დროებით უახლოეს სასტუმროშიც კი გადასახლდა. თუმცა, ამერიკის პირველი ლედი ბედს ბოლომდე უბრძოლველად მაინც არ დანებებია. თავის დროზე, სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით დაიწყო ჯორჯ ბუშმა ოჯახური უთანხმოებების შემსწავლელ სპეციალისტებთან სიარული. თუმცა, მოგვიანებით, ეს ვიზიტები, დროის უქონლობის მომიზეზებით, შეწყვიტა. ლორა მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რომ ყველაფერი დასრულდა და ბედს შეურიგდა... თუმცა, გასული წლის ბოლოს, მცირეოდენი იმედის სხივი მაინც გაკრთა და მაღალი საზოგადოების ქრონიკაც მაშინვე აქტიურად ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ როგორც იქნა, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის, პიტერ მაკეის სახით, კონდოლიზა რაისსაც გამოუჩნდა ოფიციალური საქმრო. ჟურნალისტების ცნობით, კონდიმ და პიტერმა რამდენიმე დღე ახალ შოტლანდიაში ერთად გაატარეს და რესტორნები და კაფეებიც მოიარეს. ის კი არა და, მაკეიმ კონდი თავის მშობლებსაც კი წარუდგინა, მაგრამ როგორც ბოლოს გაირკვა, მათი რომანი ფიქციური აღმოჩნდა — უცოლო კანადელი დიპლომატი რაისთან მხოლოდ თვალის ასახვევად ფლირტაობდა და ამით ამერიკის პრეზიდენტის საჩოთირო სიტუაციიდან გამოყვანას ცდილობდა... ■



საფრანგეთი ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე არსებულ დოსიეს ხსნის

„საფრანგეთი გახდება პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე არსებული ყველა მონაცემის გამოქვეყნება გადაწყვიტა,“ — განაცხადა ახლახან პროექტი Geipan-ის (ამოუცნობი აეროკოსმოსური ფენომენების შესწავლისა და ინფორმაციის კვლევითი ჯგუფის) ხელმძღვანელმა ჟაკ პატენემ. მისი თქმით, მიმდინარე წლის ბოლომდე ინტერნეტში განთავსდება 1977 წლიდან დღემდე, ამოუცნობ აეროკოსმოსურ ფენომენებზე დაკვირვების ყველა მონაცემი და ნებისმიერ მსურველს მისთვის საინტერესო ინფორმაციის დაწვრილებით გაცნობის საშუალება მიეცემა.



კვლევითი ჯგუფის მიერ შეგროვილი მასალის — ყოველმხრივ შესწავლილი 1600 შემთხვევის მოცულობა მართლაც რომ უზარმაზარია. პატენეს თქმით, მათ ხელთ არსებული ყველა მონაცემის (თვითმხილველთა მონათხრობის, ამოუცნობი ობიექტების ნაკვალევის აღწერის, ჟანდარმერიის მიერ შედგენილი ოქმების) ქაღალდზე ერთდროულად გადატანის შემთხვევაში, ქაღალდების დასტა სამსართულიანი შენობის სიმაღლე იქნებოდა. ამასთან, წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის მიერ გაანალიზებულ შემთხვევათა მხოლოდ 9%-ს მოეძებნა სრული ახსნა, 33%-ის თაობაზე გაკეთებული ახსნა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ხოლო 30%-ისთვის ახსნის მოძებნა ფრიად ჭირს.

დაბოლოს, ჟაკ პატენე დაინტერესებულთ იმის თაობაზეც აქვე აფრთხილებს, რომ ისინი რაიმე განსაკუთრებულ სენსაციას ტყუილად დაელოდებიან...

La Repubblica **(იტალია)** ■

დედამიწაზე „ინდიგო“ ბავშვები იბადებიან

ალბათ, აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ჩვენს პლანეტაზე სულ უფრო და უფრო ხშირად იბადებიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები, რომლებსაც მეტსახელად „ინდიგო“ შეარქვეს. რუსული News.Rin.ru-ს ცნობით, ერთი ასეთი „ინდიგო“ ბიჭი, 11 წლის ბორისი ვოლგოგრადის ოლქის პატარა ქალაქ ჟირინოვსკშიც ცხოვრობს. მას საკმაოდ განათლებული და გულღია მშობლები ჰყავს, რომლებსაც საკუთარი პირმშოს ფენომენალური მონაცემები უკვე სერიოზულ თავსატეხად აქვთ ქცეული. ბავშვის დედას, რომელიც პროფესიით ექიმია, მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ დაბადებიდან მეხუთმეტე დღეს, პაწია ბორისმა თავის დამაგრება შეძლო, 4 თვისამ პირველი სიტყვა „баба” წარმოთქვა, 7 თვისამ კი, კედელში ჩაჭედებული მოზრდილი ლურსმნის დანახვაზე, მთელი ფრაზაც — „ლურსმანი მინდა“, — სრულიად უპრობლემოდ წარმოთქვა. წლინახევრის ბიჭუნა უკვე გაზეთების მსხვილ სათაურებს კითხულობდა, 2 წლისამ ფანქრით, ხოლო ორწლინახევრისამ კი საღებავებით ხატვაც დაიწყო. თუმცა, ამ ფაქტებზე მეტად, ბორისის მშობლებს ის აოცებს და აშფოთებს კიდეც, რომ მათი ბიჭუნა ცოდნას მარტო გარემომცველი სამყაროდან კი არა, რაღაც სხვა, მათთვის უხილავი და შეუცნობელი წყაროდან იძენს და იღრმავებს. „ჩვენი შვილისთვის „ლოტოსის“ პოზაში ჯდომა ნამდვილად არავის უსწავლებია, — იხსენებს ბორისის დედა, — მაგრამ საკმარისია, მან ეს პოზა მიიღოს, რომ ყურებს ვერ უჯერებ, ისეთი ინფორმაციის ფრქვევას იწყებს. ის ისე დაწვრილებით გვიამბობს მარსზე, პლანეტების სისტემაზე, სხვა ცივილიზაციებზე, რომ მე და ჩემს ქმარს გაოცებისგან თვალები შუბლზე აგვდის“, — აცხადებს ბავშვის დედა. თავად „ინდიგო“-ბავშვს კი მშობლების გაოგნება არა და არ სწყინდება. ის ხშირად იხსენებს, ოდესღაც მარსზე როგორ ცხოვრობდა, შემდეგ ამ პლანეტამ სერიოზული კატასტროფა როგორ განიცადა და ატმოსფერო როგორ დაკარგა. ბორისის მტკიცებით, მარსზე სიცოცხლე დღესაც არის, ოღონდ მისი ძალზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა მხოლოდ მიწისქვეშა ქალაქებშიღა ცხოვრობს... როცა ბორისი თავადაც მარსიანელი იყო, თურმე, სავაჭრო და სამეცნიერო-კვლევის ექსპედიციებთან ერთად, დედამიწასაც ხშირად სტუმრობდა. მეტიც, თურმე, ხშირად კოსმოსურ ხომალდსაც თვითონ მართავდა. ბორისს დედამიწაზე ახლო მეგობარიც ჰყავდა, რომელიც მის თვალწინ დაიღუპა, რასაც დღემდე მტკივნეულად განიცდის... ■

მეცნიერები – ჰოროსკოპების წინააღმდეგ

საზოგადოდ ცნობილია, რომ ჰოროსკოპებისა და ასტროლოგების რჩევებს დღევანდელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი — ხელოვნების ცნობილი მოღვაწეებით დაწყებული, სერიოზული პოლიტიკოსებით დასრულებული — ენდობა და ითვალისწინებს კიდეც. ამ ადამიანებისთვის, ალბათ შოკის მომგრველი იქნება დასკვნა, რომელიც მანჩესტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა ქორწინებაში მყოფი 20 მილიონი დიდი ბრიტანელის გამოკითხვის შემდეგ გამოიტანა. მეცნიერთა აზრით, იღბლიან ქორწინებასა და ზოდიაქოს ნიშნებს შორის საერთოდ არანაირი კავშირი არ არსებობს.

„თუ ჰოროსკოპების არ გჯერათ, შეამოწმეთ ისინი“, — მშვიდად იღებს მეცნიერთა გამოწვევას ცნობილი იტალიელი ასტროლოგი პაოლო ფოქსი. „რადგან ჩემს რჩევებს ბევრი ითვალისწინებს, ესე იგი, ისინი პროგნოზებს ამოწმებენ“. ხოლო ჰოროსკოპების ერთგული, მაგრამ მეცნიერთა დასკვნებით შეშფოთებული ცალკეული ადამიანის კითხვაზე: როგორ შევეგუოთ იმ აზრს, რომ ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით დახასიათება ბედნიერი სიყვარულის გარანტიას არ წარმოადგენსო, ასტროლოგი ასე პასუხობს: „ეჭვგარეშეა, რომ ჰოროსკოპის მეცნიერებასთან დაპირისპირების შემთხვევაში, წაგებული ჰოროსკოპი დარჩება, რადგან ასტროლოგიაში მეცნიერული მტკიცებულებები არ არსებობს... თუმცა, საზოგადოდ, ალბათ, ცოტა ვინმე თუ შემომედავება, რომ აგვისტოში დაბადებული, მხურვალე მზის მოყვარული და თავადაც მხურვალე და ძლიერი ლომი ძნელად თუ შეეგუება იანვარში დაბადებულ, ბევრად უფრო დუნე და ცივ თხის რქას...“

Newsru.com ***(რუსეთი)*** ■

იტალიას რუსული მაფია უტევს

მაფიოზურ სტრუქტურებთან მებრძოლი იტალიის ნაციონალური პროკურატურის ყოველწლიური მოხსენების მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი უცხოური (ჩინური, ნიგერიული, ბულგარული და რუსული) მაფიები სულ უფრო აქტიურდებიან და უკვე ადგილობრივ „კამორასთან“, „ნდრანგეტასა“ — და „კოზა ნოსტრასთან“ შესაკავშირებლადაც მზადყოფნაში არიან.

ჩინელი მაფიოზები, ძირითადად, იტალიის კუნძულოვან და სამხრეთ რაიონებში მოქმედებენ. ჩინელების განსაკუთრებული მოზღვავება მილანში (9 ათასი მუდმივი მცხოვრები), ფლორენციასა და პრატოში (15 ათასი), აგრეთვე, ტურინში, ტრიესტში, უდინეში, მოდენასა და რეჯიო-ემელიაში იგრძნობა. ჩინური მაფია აქტიურადაა ჩართული სარესტორნო ბიზნესსა და ტანსაცმლით ვაჭრობაში. ისინი სულ უფრო ხშირად ხსნიან ახალ ტურისტულ და სარეკლამო სექტორებსაც. ნიგერიული და ბულგარული მაფიოზური კლანები, ძირითადად, ადამიანებით (პირველ რიგში, ქალებითა და არასრულწლოვნებით) ვაჭრობით არიან დაკავებულნი. თვით ამ მძიმე ფონზეც კი იტალიური ანტიმაფიოზური უწყების განსაკუთრებულ შეშფოთებას მაინც რუსული მაფია იწვევს. სწორედ რუსული მაფია განაგებს ტოსკანის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ინვესტიციებსა და უძრავ ქონებას — ლიგურის რივიერაზე და თვით იმ მინიავტობუსების სადგომებსაც აქტიურად აკონტროლებს, რომლებიც იტალიასა და უკრაინას შორის ადამიანების მიმოსვლასა და საქონლის მიმოქცევას ახორციელებს. რუსული მაფია მოქმედებს ლომბარდიაშიც, სადაც ის ძვირად ღირებული საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციას, ხოლო ლაციოში, ტოსკანაში, პიემინტოში, რომანასა და კამპანიაში კი ექსპორტ-იმპორტის ფირმებს აკონტროლებს. რუსული მაფია მართავს ნარკოტიკების უმსხვილეს ნაკადებს და აზიიდან მათი შემოტანის მარშრუტებსაც საგანგებოდ აკონტროლებს.

La Repubblica ***(იტალია)*** ■

საბედისწერო შემთხვევა და საეჭვო ადსავსე დანაშაული

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გვამზე 30-ზე მეტი ჭრილობა დაუფიქსირეს...

სასამართლოს წინაშე წარმდგარ განსასჯელს, კობა ჯანელიძეს ბრალდების მხარემ ხუთი სხვადასხვა, მათ შორის ერთი უმძიმესი მუხლით — განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში — წაუყენა ბრალი. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯანელიძე ამ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო და ჩადენილი დანაშაულისთვის მას მკაცრი სასჯელი — 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ასეთი განაჩენით, მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი უკმაყოფილონი დარჩნენ და საჩივრით სააპელაციო სასამართლოს მიმართეს. პრეტენზია გამოთქვეს როგორც მკვლელობის მუხლთან, ასევე დანარჩენ ბრალდებებთან დაკავშირებით. მათ მკვლელობის მუხლის გადაკვალიფიცირება, იარაღის უკანონო შეძენა-ტარებასა და ქურდობაში, ასევე სხვა განზრახ მკვლელობის მცდელობაში გამართლება და ამ მხრივ, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვეს. მსჯავრდებული აღნიშნულ ბრალდებებს არ აღიარებდა, საქმე კი განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ შემზარავ დანაშაულს ეხება. როგორც ბრალდების მხარემ აღნიშნა, საშინელი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მკვლელმა დანა გამოიყენა, რითაც დაზარალებულსა და აწ გარდაცვლილს სიცოცხლისთვის სახიფათო მრავალი ჭრილობა მიაყენა. სასტიკ დანაშაულს ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა — დანით უმოწყალოდ აჩეხილი, შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. მოკლულს მუცელი გამოფატრული ჰქონდა, გულმკერდის არეში კი სადისტურად მიყენებული უამრავი დაზიანება აღენიშნებოდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გვამზე 30-ზე მეტი ჭრილობა აღმოაჩინეს...

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობას წინ ქურდობა უძღოდა. საშინელი დანაშაული სწორედ ქურდობის კვალის დაფარვისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით იქნა ჩადენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ დანაშაულში თავიდანვე ეჭვმიტანილი, შემდეგ კი ბრალდებული ჯანელიძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმალვაში იმყოფებოდა. პოლიციამ მისი ადგილსამყოფლის დადგენა, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეძლო, ხოლო დამნაშავის დაკავება და გასამართლება მკვლელობიდან მხოლოდ 10 წლის შემდეგ მოხერხდა. ახალდაკავებულმა ჯანელიძემ გამოძიებას აღიარებითი და დეტალური ჩვენება მისცა, თუმცა როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, სიტუაცია სასამართლო პროცესზე რადიკალურად შეიცვალა: განსასჯელმა ყველაფერი უარყო, აღიარებითი ჩვენებები კი გამოძიების მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებით ახსნა.



განაჩენის მიხედვით, ქურდობის შესახებ განზრახვა მან თავის ნახევარძმას გაანდო. ოქტომბრის შუა რიცხვებში, ორივენი შეთანხმდნენ და წინასწარ შეთვალიერებული სახელოსნოს გაქურდვის გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. გეგმის თანახმად, ობიექტთან გვიან საღამოს უნდა მისულიყვნენ, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, შენობიდან სხვადასხვა ნივთი უნდა გაეტანათ, რის რეალიზაციასაც შემდგომში მოახდენდნენ და აღებულ თანხას ერთმანეთში გაინაწილებდნენ. მართალია, სახელოსნოში განსაკუთრებულად ძვირად ღირებული არაფერი იყო, მაგრამ რამდენიმე სპეციალური ხელსაწყოსა და დაზგის გაყიდვის შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქურდებს გარკვეული ოდენობის თანხის აღების იმედი ჰქონდათ. ბრალდების ინფორმაციით, ხელსაწყოების გარდა, მათ სამიზნეს სახელოსნოში არსებული თუნუქის ღუმელიც წარმოადგენდა...

გეგმის განსახორციელებლად, გვიან საღამოს, ქურდები აღნიშნულ შენობასთან, შეუმჩნევლად მიიპარნენ, საყარაულო ოთახშიც შეაღწიეს, ხოლო იქიდან სახელოსნოში შევიდნენ. თუნუქის ღუმელსა და ინსტრუმენტებს ხელი დაავლეს და ის-ის იყო, სახელოსნოდან გასვლას აპირებდნენ, როცა მოულოდნელად მათ თავზე წაადგნენ. რომ არა ეს საბედისწერო შემთხვევა, ალბათ, ყველაფერი მხოლოდ ქურდობით დასრულდებოდა და საშინელი ცოდვაც არ დატრიალდებოდა. ბოროტმოქმედებისთვის ამ არასასიამოვნო შეხვედრას, სისხლის ღვრა და ნამდვილი ვანდალიზმი მოჰყვა.

სწორედ იმ დროს, როცა დატვირთული ქურდები სახელოსნოდან გასვლას აპირებდნენ, მოულოდნელად, კარში სახელოსნოს მეპატრონის შვილი — გოჩა ვაშაკიძე და მისი ახლობელი — ვლადიმერ პაპაშვილი შევიდნენ და ფაქტზე წასწრებულ ქურდებს დანაშაულში მხილებით დაემუქრნენ. ამ მუქარის რეალობაში დარწმუნებულმა კობა ჯანელიძემ, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და სხვა დანაშაულის — ქურდობის დაფარვის მიზნით, ვაშაკიძისა და პაპაშვილის მოკვლა განიზრახა. საქმის მასალების მიხედვით, მას დანაც თან ჰქონდა. როგორც განაჩენში წერია, ჯანელიძემ დანა უბიდან ამოიღო, შესაფერისი მომენტი შეარჩია, ვაშაკიძეს უკნიდან მიეპარა და დანა პირდაპირ კისერში გაუყარა. განსასჯელი აღიარებით ჩვენებაში აღნიშნავს, თუ როგორ გაიფიქრა იმ მომენტში, რომ დაზარალებულს უმძიმესი ჭრილობა მიაყენა. მიუხედავად ამისა, დანა ისევ მოიქნია ვაშაკიძის მიმართულებით და იარაღი ამჯერად გულმკერდის არეში ჩაარტყა. ვაშაკიძემ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ბოროტმოქმედს დანის პირზე ხელი უტაცა, მაგრამ ამ დროს თითები გადაიჭრა და იმ მომენტში წაიქცა კიდეც.

საქმეში არსებული ჩვენებების მიხედვით, ყველაფერი წამებში მოხდა. დანამომარჯვებული ჯანელიძე ამჯერად პაპაშვილს მიუტრიალდა, რადგან დარწმუნდა, რომ ვაშაკიძეს საძილე არტერია გადაუჭრა და მის სიკვდილში ეჭვი აღარ ეპარებოდა. სწრაფი მოძრაობით, მან დანა პაპაშვილს მუცელში ჩაარტყა. პაპაშვილი წელში მოიხარა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაეცა. ჯანელიძე წაქცეულს მივარდა და დაჭრილისთვის გადარჩენის შანსი რომ არ დაეტოვებინა, მას დანა ზედიზედ, სხეულის სხვადასხვა ადგილას ძლიერად ჩაარტყა. მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით იქნა ჩადენილი. მოგვიანებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გვამზე 17 შემავალი — მძიმე ხარისხის და 12 მსუბუქი ხარისხის დაზიანება აღმოაჩინეს.

დანით აჩეხილი პაპაშვილი სისხლისგან დაიცალა და შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. ამასობაში, მძიმედ დაჭრილმა ვაშაკიძემ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, წამოდგა და სახელოსნოდან გაქცევა მოახერხა. მან პირველსავე მოსახლის ეზომდე მიაღწია, მაგრამ ეზოში შევიდა თუ არა, გონება დაკარგა და იქვე დაეცა. ბედად გამოსულმა სახლის პატრონმა მის ეზოში წაქცეული მამაკაცი რომ დაინახა, გარშემო მყოფებს დაუძახა. დაჭრილი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. უმძიმესი ჭრილობების მიუხედავად, ექიმებმა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება შეძლეს.

საზარელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ჯანელიძე შემთხვევის ადგილს გაეცალა და მიიმალა. სამართალდამცველებმა მასზე ძებნა გამოაცხადეს. რაც შეეხება მის ნახევარძმას, საქმის მასალების მიხედვით, მას მკვლელობის მცდელობასა და მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

მთელი ექვსი წლის განმავლობაში, როგორც გამოძიების მასალებით ირკვე-

ვა, ჯანელიძე საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა და სხვადასხვა რაიონსა და სოფელს აფარებდა თავს. მკვლელობიდან მეექვსე წელს კი რუსეთში გამგზავრება გადაწყვიტა. ძებნილის სტატუსის მიუხედავად, ყალბი საბუთების გამოყენებით, მან ეს მოახერხა. ბრალდების ინფორმაციით, რუსეთის ქალაქ როსტოვში ცხოვრებისას, ჯანელიძემ, შემთხვევით, ქართველის გვარზე გაცემული საქართველოს რესპუბლიკის პასპორტი და მოქალაქის პირადობის მოწმობა იპოვა, აღნიშნული დოკუმენტები გააყალბა, პასპორტსა და პირადობის მოწმობაში თავისი ფოტოსურათები ჩააკრა და საქართველოში დაბრუნდა.

სამართალდამცველების თქმით, მთელი ამ ხნის მანძილზე, ჯანელიძე კრიმინალურ საქმიანობას განაგრძობდა. სწორედ საქართველოში ახლად ჩამოსულმა, მართლსაწინააღმდეგოდ ცეცხლსასროლი იარაღი — „იჟ-18“ მოდელის გადაჭრილი სანადირო თოფი და „ტობ-17“ მოდელის მცირეკალიბრიანი კარაბინი შეიძინა. თუ ვისგან და რა დროს, გამოძიებამ ვერ დაადგინდა. მასალებში აღნიშნულია, რომ იარაღთან ერთად მან საბრძოლო მასალა — 97 ვაზნაც იყიდა. ჯანელიძე ამ ყოველივეს უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. როგორც პოლიციის თანამშრომლები აღნიშნავენ, განსასჯელის დაკავების დროს, მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ზემოთ ჩამოთვლილი იარაღი და ვაზნები აღმოაჩინეს; მათთან ერთად იპოვეს გაყალბებული პასპორტი და პირადობის მოწმობაც.

სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანელიძემ ნამდვილად ჩაიდინა ის ქმედებები, რაშიც მას ბრალი წაუყენეს. მტკიცებულებების სახით, ბრალდებამ დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებების გარდა, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული, ბალისტიკური და სასამართლო-ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები დაასახელა. მტკიცებულებები უტყუარად მიიჩნიეს მოსამართლეებმაც, ჯანელიძის მიერ პროცესზე მიცემული ჩვენება კი არ გაიზიარეს. განაჩენში უზუსტობა მხოლოდ სასჯელის დანიშვნის ნაწილში დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, დამამძიმებელი გარემოებებით განზრახ მკვლელობის მუხლი, განსაკუთრებულ ღონისძიებას — სიკვდილით დასჯას, ხოლო ალტერნატიული სასჯელის — ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ზომად 15-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა. ვინაიდან ჯანელიძის გასამართლების პერიოდში სიკვდილით დასჯა უკვე გაუქმებული იყო, სასამართლოს უფლება ჰქონდა, მისთვის მაქსიმუმ 15 და არა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებინა. ერთადერთი ცვლილება, რაც განაჩენში შევიდა, სწორედ ეს გახლავთ. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაენიშნა.

■

შუახნის მამაკაცის დანაწევრებული გვამი მცირეწლოვანმა ბავშვებმა აღმოაჩინეს

ანგარების მიზნით ჩადენილ საზარელ მკვლელობაში ორ ახალგაზრდას ედება ბრალი

რუსეთში, ალტაის მხარეში, მდინარე ობის სანაპიროზე გამაოგნებელი დანაშაულის კვალს წააწყდნენ. შუახნის მამაკაცის საოცრად დასახიჩრებული და დანაწევრებული გვამი ნაპირთან გამორიყულ ჩანთებში აღმოაჩინეს. უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ მამაკაცს ოჯახის წევრები მთელი ორი კვირის მანძილზე უშედეგოდ ეძებდნენ. მას ვერც ახლობლებში, ვერც ნათესავებთან ან ნაცნობებთან მიაკვლიეს. ბოლოს მიმართეს მილიციასაც. სამართალდამცველების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკარგული მამაკაცი მოსკოვის მოქალაქე გახლდათ და საკმაოდ შეძლებულიც იყო. პირველი ვერსია სწორედ ფულის გამოძალვის მიზნით, მის შესაძლო გატაცებასთან დაკავშირებით გაჩნდა. თუმცა, დრო გადიოდა, ოჯახის წევრებს კი ბოროტმოქმედთაგან არავინ უკავშირდებოდა. გაუჩინარებიდან 15 დღის შემდეგ, 62 წლის ვლადიმერ პროხოროვის საშინლად დანაკუწებული გვამი, სრულიად შემთხვევით, მდინარეში აღმოაჩინეს. შემზარავია ისიც, რომ მოკლულის სხეულის ნაწილები მცირეწლოვანმა ბავშვებმა იპოვეს. შიშისგან მუხლმოკვეთილმა ბავშვებმა როგორღაც დასახლებამდე მიაღწიეს და უფროსებს ნანახის შესახებ უთხრეს...

შემთხვევის ადგილზე მილიციის ოპერატიული ჯგუფი დაუყოვნებლივ გამოცხადდა. რაიონის მილიციის უფროსის — ოლეგ რაზინის თქმით, რაიმე რეალური სამხილის პოვნა ოპერატიულ მუშაკებს გაუჭირდათ. „ნანახმა ყველა შოკში ჩაგვაგდო. საქმე გვაქვს წარმოუდგენელ, ბარბაროსულ დანაშაულთან. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა იმ ფაქტმა, რომ დანაშაულის კვალი თითქმის წაშლილი დაგვხვდა. ანაბეჭდების აღება ვერ მოხერხდა, გვამი იმდენად იყო დასახიჩრებული, რომ მისი ვინაობის დადგენაც ძალიან გაგვიჭირდა“, — აღნიშნა მილიციის უფროსმა.

მიუხედავად ამისა, გვამის აღმოჩენიდან მესამე დღეს, სამართალდამცველები, როგორც თავად აცხადებენ, სწორ კვალს დაადგნენ და ეჭვმიტანილების გვარებიც გამოაცხადეს. ისინი ორნი აღმოჩნდნენ, ერთ-ერთი მათგანი — წარსულში ძარცვისთვის ნასამართლევი. ამ დროისთვის ორივე დაკავებულია და უმძიმეს დანაშაულში ბრალიც წაყენებული აქვთ. გამოძიებას მათ აღიარებითი ჩვენებები მისცეს...

მილიციის უფროსის — რაზინის ინფორმაციით, იმ დღეს, მდინარე ობის სანაპიროსთან ორი პირველკლასელი ბიჭი თამაშობდა. ერთმანეთს კენჭების სიგრძეზე სროლაში ეჯიბრებოდნენ. წინასწარ მომზადებული კენჭები რომ შემოელიათ, ახალი მარაგის შეგროვებას შეუდგნენ. თამაშისთვის შესაფერისი ქვების საძიებლად ბიჭები სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ. სწორედ მაშინ, მოულოდნელად, ერთ-ერთმა, მდინარის ნაპირთან ახლოს, წყალში მოტივტივე დიდი სპორტული ჩანთა შენიშნა. მაშინვე მეგობარს დაუძახა და ხუმრობით უთხრა — ჩქარა, მოდი, „განძი“ ვიპოვეო! ბიჭებს ჩანთის წყლიდან ამოთრევა გაუჭირდათ, რადგან ის ძალიან მძიმე იყო. ბავშვებმა, როგორც ჩანს, მართლაც იფიქრეს, რომ მასში რაღაც ფასეული იდო, ამიტომაც არ მოეშვნენ. რთული აღმოჩნდა ჩანთის გახსნაც. წყლით გაჟღენთილი ელვაშესაკრავი სისველისგან გაჭედილიყო. მაშინ დამხმარე ინსტრუმენტის ძებნა დაიწყეს. იქვე, შუშის ნატეხი იპოვეს და ქსოვილი გაჭრეს. როცა ჩანთა გადააპირქვავეს, იქიდან პოლიეთილენის პარკში, ცალ-ცალკე შეხვეული სამი ფუთა გადმოვარდა. ბავშვების ჩვენებების მიხედვით, ერთი მრგვალი იყო და დამრეც ნაპირზე გაგორდა. გაგორებისას პარკი შემოეხსნა და მამაკაცის თავი გამოჩნდა. შეშინებული ბავშვები იქიდან გაიქცნენ და მომხდარის შესახებ, უახლოესი უბნის მცხოვრებლებს შეატყობინეს...

შემთხვევის ადგილზე მისულმა მილიციის თანამშრომლებმა ნახეს, რომ დანარჩენ ორ პარკში მამაკაცის მკლავები იყო გახვეული. როგორც ჩანს, გვამი ბოლომდე არ იყო სისხლისგან დაწრეტილი, რადგან ცელოფანის პარკები მუქი შინდისფერი, მოყავისფრო სითხით იყო მოსვრილი.

თუმცა ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე მილიციის თანამშრომლები და ექსპერტები მეორე სპორტულ ჩანთასაც წააწყდნენ. პირველის მსგავსად, ისიც წყალში ეგდო. ამჯერად, მასში მამაკაცის მარცხენა ფეხი და სხეულის ქვედა ნაწილი იპოვეს. სამართალდამცველების თქმით, ცხადია, რომ არსებობს მესამე ჩანთაც, სადაც მოკლუ-

ლის სხეულის დანარჩენი ნაწილები — მარჯვენა ფეხი და გულმკერდის ნაწილი უნდა იყოს მოთავსებული. მას ჯერჯერობით ვერსად მიაგნეს...

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, სხეული, სავარაუდოდ, ხერხითა და სხვა ბასრი იარაღით, დიდი ზომის დანით ან ნაჯახის გამოყენებით გახლდათ დანაწევრებული. საქმეს მოგვიანებით, თავად ბრალდებულებმა მოჰფინეს ნათელი. დაკითხვისას მათ ნაჯახის გამოყენება უარყვეს. თქვეს, რომ ხერხი და დანა მესამე ჩანთასთან ერთად ტყეში დატოვეს. სამართალდამცველებმა ისინი მათ მიერ დასახელებულ ადგილზე გაიყვანეს, მაგრამ იქ არც ჩანთა აღმოჩნდა და არც დანაშაულის იარაღი ...

„ალტაის მხარის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა მოკლულის ვინაობის დასადგენად ყველა მეთოდს მიმართეს, მაგრამ საჭირო ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო, მასალები, მათ შორის გვამის ფოტოსურათები, ცენტრალურ ბიუროში გადავგზავნეთ. შესაძლებელი გახდა გარდაცვლილის თითებიდან ანაბეჭდების აღებაც, მაგრამ ის აღრიცხვაზე აყვანილ პირთა შორის არ აღმოჩნდა. იმის გამო, რომ სახე ძალიან დასახიჩრებული და ფორმადაკარგული იყო, გვამისთვის გადაღებული სურათების კომპიუტერული დამუშავება გახდა საჭირო. სპეციალისტებმა შეძლეს ნაკვთების აღდგენა და მიახლოებითი ფოტოპორტრეტის შედგენა. მონაცემები დაემთხვა წინა დღეებში გაუჩინარებულ ვლადიმერ პროხოროვს, რომლის შესახებაც განცხადება ამ შემთხვევამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე შემოვიდა. დავუკავშირდით მისი ოჯახის წევრებს. მართალია, გარდაცვლილს სახე გადაგვარებული ჰქონდა, მაგრამ შვილმა მოკლულში მამა მაინც ამოიცნო...“ — აღნიშნავს მილიციის უფროსი.

ვადიმ პროხოროვი, დაზარალებული:

„წლების მანძილზე მოსკოვში ვცხოვრობდით. დედა ადრე გარდაიცვალა, რის გამოც მამასთან და ბებიასთან ვიზრდებოდი. ბებიის დაღუპვის შემდეგ, მე და მამა მარტო დავრჩით. ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცოლი შევირთე, აიჩემა — ცალკე უნდა გადავიდე საცხოვრებლადო. მთელი ცხოვრება მიწის ნაკვეთსა და პატარა აგარაკზე, მყუდრო, განმარტოებით ცხოვრებაზე ოცნებობდა. ოჯახში ნამდვილად არ ვავიწროებდით, პირიქით, დატვირთული და საპასუხისმგებლო სამსახურის გამო, ხშირად მიწევდა საზღვარგარეთ გამგზავრება, მოსკოვში ყოფნისას კი, შინ გვიანობამდე ვერ ვბრუნდებოდი. ამიტომ, საოჯახო საქმეების მოგვარება მთლიანად მამამ აიღო თავის თავზე. ეს ჩემი დაქორწინების შემდეგაც ასე გრძელდებოდა, რადგან ბუნებით ძალზე აქტიური და მობილიზებული ადამიანი გახლდათ. მიუხედავად ჩემი და ჩემი მეუღლის არაერთგზის თხოვნისა — ცალკე არ გადასულიყო, თავისი არ დაიშალა. მიიჩნევდა, რომ მისგან დამოუკიდებლად უნდა გვეცხოვრა. ბოლოს აღარ შევეწინააღმდეგე. იმის არ შემშინებია, რომ მარტოობას ვერ გაუძლებდა. სოფლის მეურნეობა და მიწაზე მუშაობა ძალიან უყვარდა. თავად წარმოშობით, ალტაის მხარიდან გახლდათ, საცხოვრებლადაც ეს ადგილი შეარჩია. გამგზავრებიდან მეორე დღეს დამირეკა და მითხრა, შესაფერისი მიწის ნაკვეთი შევარჩიე და ბინაც დავიქირავე დროებით საცხოვრებლად, ვიდრე სახლს ავაშენებო. როგორც ვიცი, ნაკვეთში პატარა, კოტეჯის სტილის სახლის ჩადგმას აპირებდა. თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. საქმის კურსში მაყენებდა, მეუბნებოდა, რომ მუშები დაიქირავა, თანხაზე მოელაპარაკა, ყოველ წვრილმანს მიყვებოდა. მშენებლობას რამდენიმე თვე დასჭირდა. დაახლოებით ხუთ თვეში, ძირითად სამუშაოებს მორჩა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მოუცლელობის მიზეზით, მამასთან აღარ ჩავსულვარ, არც თავად ჩამოსულა. ბოლოს ტელეფონზე ვესაუბრე. ჩვეულებრივ ხასიათზე იყო, მისთვის აფორიაქება ან მღელვარება არ შემიმჩნევია. მითხრა, წყლის მილებია შესაყვანი და დასამონტაჟებელი, კარგ ხელოსნებს ვეძებო. მეორე დღეს თავად დავაპირე დარეკვა, მინდოდა, გამეგო, გაარკვია თუ არა რამე ხელოსნებთან დაკავშირებით. ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა. რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ვერაფრით დავუკავშირდი. არც თავად რეკავდა. ზედიზედ სამი დღის მანძილზე რომ აღარ გამოჩნდა, იმ ბინის პატრონს დავურეკე, სადაც მამაჩემი დროებით ცხოვრობდა. სახლის ნომერი ადრე მამამ თავად მომცა. ბინის პატრონმა მითხრა, რომ არც მას უნახავს, — შინ არ მოსულაო. ამის შემდეგ, იქ გამგზავრება გადავწყვიტე. მისი ოთახის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ისიც ვიფიქრე, რამე ხომ არ დაემართა, შიგნით ხომ არ წევს გარდაცვლილი-მეთქი, მაგრამ სახლის პატრონმა მითხრა, დილით რომ გავიდა, დავინახე, მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა, ზუსტად ვიციო. ვინაიდან გასაღები თან უნდა ჰქონოდა წაღებული, გადავწყვიტეთ კარი გაგვეტეხა. ოთახში ყველაფერი წესრიგში იყო, ყველა ნივთი თავის ადგილზე იდო, ფული და მობილური ტელეფონი არსად ჩანდა. ამის შემდეგ იმ დასახლებაში მცხოვრებლები გამოვკითხე. არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს, გადავწყვიტე, მამის დაკარგვის თაობაზე ადგილობრივი მილიციისთვის შემეტყობინებინა...“

ნაქირავები ბინის პატრონმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ აწ გარდაცვლილის საქმეების შესახებ არაფერი იცოდა. ბინა, მისივე თქმით, იმიტომ მიაქირავა, რომ ნორმალური, წარმოსადეგი პიროვნება ჩანდა. *„მის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, ფულს ყოველთვის წინასწარ მიხდიდა და ჩვენი ურთიერთობაც ამით ამოიწურებოდა“*, — თქვა მან დაკითხვისას.

აღნიშნული ბინა მილიციის თანამშრომლებმაც დაათვალიერეს. საეჭვო და ხელჩასაჭიდი, როგორც ამბობენ, ვერაფერი იპოვეს, გარდა გაზეთების დასტისა, რომელიც პატარა მაგიდაზე იდო. ეს ფაქტი საგამოძიებო ჯგუფის წევრებს მნიშვნელოვნად ეჩვენათ. უფასო განცხადებების გაზეთებში ყველაზე ახალი ნომერი ხუთი თვის წინანდელი აღმოჩნდა. გამომძიებლებმა მათში ოცამდე, სავარაუდოდ, აწ გარდაცვლილის მიერ შემოხაზული განცხადება იპოვეს. ყველა განცხადება მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვას ეხებოდა. მითითებული კოორდინატების გადამოწმების შემდეგ, უძრავი ქონების იმ სააგენტოსაც მიმართეს, რომლის მეშვეობითაც პროხოროვმა მიწის ნაკვეთი შეარჩია და შეიძინა. სააგენტოს თანამშრომლების თქმით, მათ შესაბამისი ხელშეკრულება მართლაც გააფორმეს, მაგრამ ამის შემდეგ აწ გარდაცვლილთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. ეჭვმიტანილები სააგენტოსთან კავშირში არ აღმოჩნდნენ.

გამოძიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი, რამაც ფაქტობრივად, საქმე გახსნა კიდეც, პროხოროვის კუთვნილ, ახალაშენებულ სახლში იპოვეს. სავარაუდო დამნაშავეების შესახებ ინფორმაციას პატარა უბის წიგნაკი შეიცავდა. წიგნაკი აწ გარდაცვლილს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, მას ბოროტმოქმედებმა თავის დროზე დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს და დანაშაულის კვალის დაფარვის დროს, ყურადღების გარეშე დატოვეს...

ვადიმ პროხოროვი:

„საერთოდ მამაჩემს ყოველი წვრილმანის გაანალიზება სჩვეოდა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო, საყოფაცხოვრებო დეტალებზეც კი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა, ყველაფერს წინასწარ იწერდა, გეგმავდა. ამ ბლოკნოტშიც, როგორც აღმოჩნდა, ჩანაწერები ჰქონდა გაკეთებული. ბოლო ჩანაწერი სწორედ იმ დღითაა დათარიღებული, როცა მას უკანასკნელად ვესაუბრე. ეწერა მობილური ტელეფონის ნომერი, იქვე ორი მამაკაცის სახელი — რომანი და ვლადიმერი, სანტექნიკოსები. ტელეფონის ნომერი, აღმოჩნდა, რომ საერთო იყო.“

29 წლის ვლადიმირ სოკოლოვი და 23 წლის ვლადიმირ (ვოვა) მისკინი პირველსავე დაკითხვის შემდეგ, ავტომატურად ეჭვმიტანილები გახდნენ. მილიციის უფროსის ინფორმაციით, თავდაპირველად ისინი მოწმის სახით დაჰკითხეს, თუმცა იმავე დღეს დააკავეს და მორიგი ჩვენებები, უკვე როგორც ეჭვმიტანილებს, ისე ჩამოართვეს. სამართალდამცველთა თქმით, მათ პირველ ჩვენებებში წინააღმდეგობები დაფიქსირდა, რამაც გამოძიება თავიდანვე დააეჭვა.

ეჭვმიტანილის — **ვლადიმირ სოკოლოვის** აღიარებითი ჩვენებიდან:

„მე და რომა დიდი ხანია ერთად ვმუშაობთ. ყოველთვის ბევრი კლიენტი გვყავდა, მაგრამ იმის გამო, რომ ხალხს ამ მხარეში მატერიალურად ძალიან უჭირს,

კლიენტებს იაფად ვემსახურებოდით. პროხოროვმა თვითონ დაგვირეკა. ფასზე ადვილად შევთანხმდით. გვითხრა, უკმაყოფილოებს არ დაგტოვებთო. პირველად რომ შევხვდით მას, მაშინვე შევატყვეთ, რომ შეძლებული კაცი იყო. შევთანხმდით, რომ საქმეს მეორე დღეს შევუდგებოდით, რადგან მილები და სხვა ნაწილები იყო შესაძენი. საღამოს, რომამ შემომთავაზა, ახალი კლიენტი გაგვეძარცვა, მისთვის ფული წაგვერთმია, სახლში არსებული ძვირად ღირებული მასალებიც წაგვეღო და შემდეგ გაგვყიდა. მის მკვლელობაზე მაშინ არ შევთანხმებულვართ. მეორე დღეს, შინიდან სპორტული ჩანთები წავიღეთ, რათა მათში პროხოროვის სახლიდან აღებული მასალები ჩაგვეწყო... იქ რომ მივედით, უკვე გველოდებოდა. რამდენიმე წუთის საუბრის შემდეგ, რომამ მისგან შეუმჩნევლად, ხის ნაჭერი აიღო და უკნიდან თავში ჩაარტყა. ის მაშინვე გაითიშა და დავარდა. ჯიბიდან ფული და ტელეფონი ამოვაცალეთ. შემდეგ რომას ვუთხარი, ეს თუ არ მოვკალით, მილიციაში დაგვასმენსმეთქი. რომაც დამეთანხმა. ორივემ ერთად, ის ზედა სართულზე, მანსარდაში ავიყვანეთ. მანამდე, გონს რომ არ მოსულიყო, რომამ განმეორებით ძლიერად ჩაარტყა თავში რკინის ნაჭერი. თავიდან სისხლი წასკდა და ამიტომაც, იქვე ნაპოვნი ქსოვილის ნაჭერი შემოვახვიეთ, სისხლს რომ არ ეწვეთა. მანსარდზე აყვანის შემდეგ, რომა წავიდა, დანა მოიტანა და ყელში გამოუსვა. მითხრა, გვამს აქ ვერ დავტოვებთო. მე ხერხს მივმართე: გვამი ჭერზე გადებულ ფიცარზე, ბაწრით, ფეხებით დავკიდეთ, ქვეშ კი დიდი გობი დავუდგით, სისხლი მასზე რომ დასხმულიყო...“

ჩვენებაში პროხოროვი დაწვრილებით და დეტალებში აღწერს, თუ როგორ დახერხეს და დაანაწევრეს მან და რომა მისკინმა მოკლულის გვამი, შემდეგ ჩანთებში ჩააწყვეს და იქიდან წაიღეს...

როგორც ოფიციალური ცნობებით ირკვევა, რომან მისკინი წარსულში ნასამართლევი ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში შემჩნეული არ ყოფილა. მისთვის ეს პირველი დანაშაული გახლავთ... იმ შემთხვევაში, თუ შემზარავ მკვლელობაში ბრალდებულებს დანაშაული სასამართლოს მიერ დაუმტკიცდებათ, სავარაუდოდ, მათ კანონით გათვალისწინებული უმკაცრესი სასჯელი — სამუდამო პატიმრობა ელის. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი შემზარავი დანაშაული არ გახლავთ, რაც ბოლო პერიოდში ამ რაიონში დაფიქსირდა. დაახლოებით ორი თვის წინ, სამართალდამცველებმა 18 წლის გოგონას გაუპატიურებული და დასახიჩრებული გვამი აღმოაჩინეს. საქმე ჯერჯერობით გაუხსნელია. პროხოროვის მკვლელობასთან დაკავშირებით დაკავებულ პირებს ამ დანაშაულთან კავშირი ამ ეტაპზე არ უმტკიცდებათ, თუმცა სამართალდამცველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ორი დანაშაულის ხელწერა ძალიან ჰგავს ერთმანეთს... ■

პოლიციის მაღალჩინოსნებს მექრთამეობაში ამხელენ

ამ დღეებში შს სამინისტროს თანამშრომლებმა თავიანთივე კოლეგებისა და სხვა თანამდებობის პირების მექრთამეობასთან დაკავშირებით, ზედიზედ რამდენიმე ფაქტი გაახმაურეს. მათ შორის, აღსანიშნავია თბილისში დაფიქსირებული დანაშაული და ასევე საქმე, რომელიც გარდაბნის რაიონში გამოვლენილ ფაქტს ეხება. შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, სწორედ ქრთამის აღებისთვის, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის საბინაო კომუნალური განყოფილების მთავარი სპეციალისტი მიხეილ ბოყოველი დააკავეს. სამართალდამცველების თქმით, მან საპრივატიზაციო დოკუმენტის გაყალბების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 500 დოლარი აიღო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ასეთივე ბრალდებით დააკავეს კოლეგაც — შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს, გარდაბნის რაიონის პოლიციის თანამშრომელი — ლევან გუგუნაშვილი. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ხსენებული პოლიციელი ერთ-ერთ მოქალაქეს პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა და ამის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, მისგან 400 ლარი აიღო. ამ დანაშაულს მხოლოდ გუგუნაშვილის კარიერა როდი შეეწირა. შს სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დააქვეითეს დაკავებული პოლიციელის უშუალო ხელმძღვანელი — ბესიკ გიორგაძე; ხოლო გარდაბნის პოლიციის უფროსს — ტარიელ კამკამიძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. მომხდარ ფაქტზე საქმე 338-ე მუხლითაა აღძრული. საქმეს შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებს. ■

გვიჩიანის აღვოკატები ღიღ პალატას მოუსმენენ

„ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის — ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმეზე განაჩენის გამოცხადებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში ხმაური მოჰყვა. საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი, 2006 წლის 15 აგვისტოს გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დარჩა. სწორედ ამ განაჩენით, სასამართლომ გიორგი გვიჩიანი მკვლელობის შეკვეთასა და ორგანიზებაში დამნაშავედ გამოაცხადა. დამნაშავედ ცნეს ნიკა ჩემიაც, როგორც მკვლელობის უშუალო შემსრულებელი. ჩადენილი დანაშაულისთვის ორივე მათგანს უმკაცრესი სასჯელი — სამუდამო პატიმრობა შეეფარდა. საქმეში მესამე განსასჯელი — ავთანდილ ხერკილაძეც ფიგურირებდა. მასთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა და გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის, მას მხოლოდ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარეს.

მსჯავრდებულების ახლობლებმა და მხარდამჭერებმა განაჩენი გააპროტესტეს. განაჩენი არ გაუსაჩივრებია მხოლოდ ხერკილაძეს. გვიჩიანისა და ჩემიას ადვოკატებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება, მსჯავრდებულთა დაუყოვნებლივ გამართლება და გათავისუფლება მოითხოვეს. მათი მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ — უსაფუძვლოდ, ხოლო არგუმენტები არადამჯერებლად მიიჩნია, რის გამოც საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

გიორგი გვიჩიანისა და ნიკა ჩემიას მიმართ გამოტანილ განაჩენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლემ — ლია ორკოდაშვილმა კანონიერი უწოდა. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ საქმეში ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები დევს, რაც გამამტყუნებელ განაჩენს სავსებით კანონიერად დაედო საფუძვლად.

„საქმის მასალებში დევს მნიშვნელოვანი ჩვენებები. ისინი ოთხ მსჯავრდებულს, მათ შორის, ავთანდილ ხერკილაძესა და გიორგი პაპაჩაშვილს ეკუთვნის. ამ ჩვენებებით ისინი გიორგი გვიჩიანს ჩადენილ დანაშაულში ამხელენ. ყველა ჩვენება შეესაბამება ერთმანეთს და საქმეში მკვლელობის მოტივიც გამოკვეთილია — „ეი-ი-ეს თელასში“ განხორციელებული უკანონო ფინანსური გარიგებები, რის გამოც გვიჩიანმა დანაშაულის ჩადენა განიზრახა“, — განაცხადა სპიკერ-მოსამართლემ. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ საქმის მასალებს სიღრმისეულად არ იცნობს, რის გამოც ზოგიერთ დეტალზე დასმული კითხვების პასუხის გაცემისგან თავი იკავებს. კითხვები კი მსჯავრდებულთა ადვოკატების პრეტენზიებიდან, მათ მიერ ხაზგასმული რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი დეტალისგან გამომდინარეობს. საქმე ეხება შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ნიმუშებზე ჩატარებულ აშშ-ის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას, რომელიც თავის დროზე საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა და ასევე, „მაკაროვის“ პისტოლეტის 9 მმ-იანი კალიბრის ტყვიის მოცულობისა და მოკლულის სხეულზე დაფიქსირებული ჭრილობის ხვრელის შეუსაბამობას.

„ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ კიდევ ერთხელ დაანახვა საზოგადოებას, რა მართლმსაჯულებაც არსებობს დღეს საქართველოში. ამ განაჩენით კიდევ ერთხელ გამოააშკარავა თავისი მანკიერი მხარე. სიმართლე გითხრათ, სხვა რამეს არც ველოდი. განაჩენს აუცილებლად გავასაჩივრებთ და მოვითხოვთ, საქმე უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილოს. თუმცა, ობიექტურობისა და სამართლიანობის იმედი არც დიდი პალატისგან გვაქვს“, — აღნიშნა მსჯავრდებულის ადვოკატმა **მალხაზ ჯანგირაშვილმა**. ■

დათო ილურიძე „გლობუსის" თავიდან შექმნას გეგმავს

„სამი წლის განმავლობაში ერთობოდა მაყურებელი ჩემი და დათო გოგიჩაიშვილის იუმორით"...

წელს, კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თეატრის მმართველების შესარჩევად კონკურსი ჩატარდა. რამდენიმე თეატრს უკვე ახალი მმართველი ჰყავს. ამასთან, თეატრი „გლობუსი" და თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი გაერთიანდა და მის მმართველად დავით ილურიძე დაინიშნა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ის რვა წელი მერიის კულტურის სამსახურში მუსიკალური განხრით, მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. ამასთან, მუნიციპალური ბენდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ამ ბენდმა მონაკოს საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი აიღო. ახალ თეატრთან დაკავშირებით დათო ილურიძეს დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ ენთუზიაზმი იმდენად გაუნელდა, რომ ახლა თეატრზე ლაპარაკსაც კი თავს არიდებს. ეს ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ გაერთიანებული თეატრისთვის მხოლოდ 50 ათასი ლარია გამოყოფილი, შენობა სავალალო მდგომარეობაშია, პრობლემები კი — თავზე საყრელი. ამიტომაც, საუბარი „მხიარული სტარტებით" დავიწყეთ.

ლელა ჭანკოტაძე

— „მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციისა" და „რუსთავი 2"-ის ურთიერთთანამშრომლობა შედგა, რის შედეგადაც განახლდა ძველი, მივიწყებული, მაგრამ კარგი პროექტი — „მხიარული სტარტები". სახელი უცვლელად დავტოვეთ. უკვე მესამე გადაღება მიმდინარეობს. ჯერ მხოლოდ ორი წელია, რაც „საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია" ჩამოვაყალიბეთ. ფედერაციის დამფუძნებლები ოთხი ადამიანი ვართ. გადავწყვიტეთ, პრეზიდენტად ლევანი — დათო კიკალიშვილის ძმა აგვერჩია. „მხიარული სტარტები" ჩვენი პირველი სერიოზული პროექტია.

— „რუსთავი 2"-ის პროექტები სოლიდური პრიზებით გამოირჩევა. ამჯერად რას შესთავაზებთ გამარჯვებულებს?

— ბევრი სპონსორი გვყავს. იმედია, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. გამარჯვებულ გუნდს შესაძლებლობა ექნება, მინიმუმ საქართველოს ფარგლებში მაინც იმოგზაუროს, ისტორიული ადგილები დაათვალიეროს. ეს იდეა განათლების სამინისტრომ შემოგვთავაზა. ვნახოთ, სპონსორები დამატებით რას შემოგვთავაზებენ. გამარჯვებული გუნდის „დისნეი ლენდში" წაყვანა რომ მოხერხდეს, ძალიან კარგი იქნებოდა... დარბაზი ერთ დიდ სტუდიად გადაკეთდა. თამაშების ჩასატარებლად სივრცე საკმარისზე მეტია. შეჯიბრებები ჯერ მხოლოდ თბილისის სკოლებს შორის გაიმართება, მალე კი მთელი საქართველოს სკოლებს მოვიცავთ. თითოეულ გუნდში 18 ბავშვია, ორი მასწავლებელი და კიდევ, ორი მშობელი. თამაშები ძალიან მრავალფეროვანია და საინტერესო. ცხრა თვის განმავლობაში 32 გადაცემა გავა. შევეცდებით, ფინალი ახალ წელს დავამთხვიოთ. მოგეხსენებათ, „რუსთავი 2"-ის პროექტების ფინალი ყოველთვის 31 დეკემბერს ტარდება ხოლმე. ტრადიციას ალბათ, არც ამჯერად დავარღვევთ.

— ეი. „რუსთავი 2"-თან ურთიერთობის შეწყვეტას არ აპირებთ?

— არა. საერთოდაც, „ღამის შოუდან" არ წამოვსულვარ. უბრალოდ, ეკრანზე აღარ ვჩანვარ, თორემ ბენდს ვეხმარები, მუსიკალურ მხარეს ისევ მე ვაკეთებ. მაყურებელი სამი წლის განმავლობაში ერთობოდა ჩემი და დათო გოგიჩაიშვილის ექსპრომტად შექმნილი თუ წინასწარ დაწერილი იუმორით. ჩემი აზრით, როგორი მისაღები სახეც არ უნდა იყო, ერთსა და იმავე გადაცემაში დიდი ხნით მაინც არ უნდა დარჩე. ეთერისთვის 3 წელი ძალიან ბევრია. იგივე შემიძლია გითხრათ დათო გოგიჩაიშვილზეც.

— კულუარული ინფორმაციით, დათო სხვა არხზე აპირებს გადაბარგებას. თქვენც გაჰყვებით?

— ასეთი ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს. მე და დათო მეგობრები ვართ, მაგრამ ამ თემაზე საუბარი არ გვქონია. არ ყოფილა იმის საჭიროება, რომ მისთვის მსგავსი შეკითხვა დამესვა.

— „ღამის შოუდან" პირდაპირ „ჯეობარში" გადაინაცვლეთ. იქ მუშაობა უფრო საინტერესო იყო?

— მე და ჩემი ბენდი მხოლოდ „ლაივ შოუს" ვაფორმებდით. მართალია, კვირაში ერთხელ ვმუშაობდით, მაგრამ მაინც დამღლელი სამუშაო გახლდათ. გადაცემა პირდაპირ ეთერში გადიოდა და თან, ძალიან გვიან. „ღამის შოუსაც" და „ჯეობარსაც" საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა. იმედი მაქვს, „მხიარული სტარტებიც" მაღალრეიტინგული იქნება.

— თუ სამუშაოდ თეატრში გადახვალთ, ალბათ არჩევანის გაკეთება მოგიწევთ, თორემ როგორ მოახერხებთ ამ ორი, საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს შეთავსებას?

— ვფიქრობ, რომ შევძლებ. იმედია, 24 საათის განმავლობაში არ ვიქნები დაკავებული. ჩემი მოღვაწეობა ორივე პროექტში მუსიკასთან არის დაკავშირებული. რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიყო, მგონია, რომ ამ საქმიანობას ბოლომდე გავყვები. რაც შეეხება თეატრს, ეს საკითხი ჯერჯერობით, შეჩერებულია, რადგან უნდა შეიქმნას ახალი თეატრი — „გლობუსი". მანამდე კი, თანამშრომლები დათხოვნილები არიან. ისინი გარკვეულ კომპენსაციას მიიღებენ. ახალი თეატრი ალექსანდრეს ბაღში მოთავსებული „გლობუსის" შენობაში განთავსდება, რომელიც ახლა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ის ხისგან არის აგებული, ამიტომ მის რემონტში თანხის ჩადება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მგონია, ჩვენი მთავრობის წევრებმა არ იციან, თუ რა მდგომარეობაა იქ. თავიანთი თვალით რომ ნახავენ, შიგნით რაც ხდება, მერე გადაწყდება, შენობა თავიდან უნდა აშენდეს თუ არა. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, ვნახოთ, რა და როგორ გადაწყდება. ■

განცხადება

საგამომცემლო სახლი **„კვირის პალიტრა"** **აცხადებს კონკურსს** წიგნის მაღაზიაში კონსულტანტის და უფროსი კონსულტანტის თანამდებობებზე.

ანაზღაურება 180 ლარიდან.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, გამოგზავნოთ CV (ავტობიოგრაფია) იმეილით: hr@kvirispalitra.com ან მოგვაწოდოთ მის.: თბილისი, იოსებიძის ქ.№49.

პირველი პოსტსაბჭოური სასკოლო შენობები ანუ როგორ აჯობეს სტუდენტებმა პროფესიონალებს

საქართველოში ათი ახალი სკოლა უკვე აშენდა. ათის მშენებლობა კი ამჟამად მიმდინარეობს და წლის ბოლოსთვის დასრულდება. სამწუხაროდ, ისევ არის შემთხვევები, როცა სკოლები სარდაფებში, მაღაზიებსა და ვაგონებში ფუნქციონირებს. მათ ადგილას ულტრათანამედროვე სკოლების მშენებლობა მიმდინარე წლიდან დაიწყება და 2009 წელსაც გაგრძელდება. იმისათვის, რომ სკოლები ნამდვილად თანამედროვე ტიპის ყოფილიყო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არქიტექტურული პროექტის კონკურსი გამოაცხადა.



კონკურსის მონაწილეებს, პროექტების შესაქმნელად 2 თვეზე ცოტა მეტი დრო მიეცათ

ლელა ჭანკოტაძე

ვახტანგ დავითაია, *ჟიურის წევრი:*

— პირველად საბჭოთა კავშირის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში არქიტექტორებს მიეცათ დავალება — შეექმნათ არქიტექტურული ნაწარმოებები და არა „თავშესაფარი“ ან „ეკონომიური“ შენობა. როდესაც ფრანგები, გერმანელები, ამერიკელები აცხადებენ კონკურსს, იქ დიდი ოდენობით პროექტები განიხილება, საქართველოში კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 50, 55-ია; ამაზე მაღალი მაჩვენებელი არასდროს დაფიქსირებულა. ამჯერად წარმოდგენილი იყო 118 პროექტი და 263 საპროექტო განაცხადი. ეს აქტივობა საერთაშორისო კონკურსების დონის მაჩვენებელია... საქართველოში ძირითადად მაღალმთიან სოფლებშია სკოლები, რომლებიც ვაგონებსა და დანგრეულ, გაპარტახებულ შენობებში ფუნქცნიორებს. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ 2009 წლიდან ასეთ შენობაში სწავლა არც ერთ ბავშვს აღარ მოუწევს.

კონკურსის შედეგად შვიდი საუკეთესო პროექტი შეირჩა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია ახალგარემონტებულ №51 საჯარო სკოლაში გაიმართა. საუკეთესო პროექტების ავტორები განათლების მინისტრმა სოლიდური ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. ახალი პროექტებით აშენდება: თბილისის 84-ე საჯარო სკოლა, სოფელ ვაზიანის №1 საჯარო სკოლა. სოფლების: ტაძრისის, ჩხალთის, გუგაანის, ახუთის, ხაჯალის საჯარო სკოლები. შვიდი შერჩეული პროექტის გარდა, ორი კიდევ შეირჩევა.

დავით აბულაძე, *არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე:*

— კონკურსის მონაწილეებს, პროექტების შესაქმნელად 2 თვეზე ცოტა მეტი დრო მიეცათ. ჩვენი რეალობისთვის საპრიზო ფონდიც არ ყოფილა ურიგო: პრემია 6.000 ლარს ითვალისწინებდა, წამახალისებელი პრემია კი — 2.000 ლარს. ამან შედეგებზეც იმოქმედა — ბევრი საინტერესო პროექტი იქნა წარმოდგენილი. კომისიას განათლების მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილი ხელმძღვანელობდა. არქიტექტორებიდან ჩართულები ვიყავით: მე, თემურ ბოჭორიშვილი, მერაბ გაგნიძე და ვალერი ბახტაძე. კონკურსით უნდა მიგვეღო ასეთი შედეგი: ზოგადად გაგვეაზრებინა ქართული სასკოლო შენობების სახე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შემუშავდეს სასკოლო სტანდარტები და ამ სტანდარტებით აშენდეს მომავლის სკოლები.

— ძირითადად რა განასხვავებს ახალ შენობებს საბჭოთა პერიოდის სკოლის შენობებისგან?

— დღევანდელი ბავშვების მიმართ დამოკიდებულება უფრო ლიბერალურია. ისინი თავისუფალ აზრს თამამად გამოთქვამენ, უფრო აქტიურად მოქმედებენ, მოძრაობენ და ა.შ. აქედან გამომდინარე, განსხვავებული სივრცე სჭირდებათ. ამიტომ ერთ ბავშვზე გათვალისწინებულია 2 კვმ — ასეთი გახლდათ განათლების სამინისტროს მოთხოვნა. თითოეული სასკოლო ოთახი გათვლილია 30 ბავშვზე, ე.ი. კლასის ფართობი 60 კვმ იქნება. და კიდევ ის ფართი დაემატება, რომელიც პედაგოგზე მოდის. ზოგიერთ პროექტში თითოეული კლასი 72 კვმ-ა. გათვალისწინებულია გასახდელები. ნებისმიერ ბავშვს ექნება ადგილი, სადაც დატოვებს თავის პირად ნივთებსა და ტანსაცმელს. გაცილებით მეტი სველი წერტილია გათვალისწინებული. სანიტარული ნორმები კომუნისტური რეჟიმის დროს საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დაცული. მახსოვს დრო, როცა ტყავს გვაძრობდნენ ამ ნორმების დარღვევისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სკოლა მყარ და საფუძვლიან განათლებას აძლევდა ახალგაზრდას. მაგრამ შენობა როგორც წესი, 400 ბავშვზე იყო გათვლილი, ხოლო იქ 600-800 ბავშვი სწავლობდა.

— ახლა, მიღებული პროექტების შესახებ მოგვიყევით.

— ჟიურის გადაწყვეტილებით, სოფელ ჩხარის (თერჯოლის რაიონი) სკოლის პროექტი ერთსულოვნად იქნა მოწონებული. ეს სკოლა 600 მოსწავლეზეა გათვლილი და 3-სართულიანია. 4-სართულიანი მხოლოდ თბილისის 84-ე სკოლა იქნება. ამ სკოლის აშენება მცირე ტერიტორიაზე უნდა მოხდეს და 4 სართული ამიტომ დასჭირდება. საერთოდ, ჯობს, სასწავლო პროცესი დაბალ სართულზე მიმდინარეობდეს, მიუხედავად იმისა, რომ ლიფტი თითოეულ პროექტშია გათვალისწინებული. ლიფტი ძირითადად იმისთვისაა საჭირო, რომ უნარშეზღუდულ ბავშვებს მიეცეთ გადაადგილების საშუალება, როგორც საკლასო ოთახებამდე, ასევე ბიბლიოთეკამდე. იმის ილუზია არ მაქვს, რომ ეს პროექტები უნივერსალურია, მაგრამ საბჭოთა დროინდელი სკოლებისგან მაქსიმალურად განსხვავე-



ეს აბსოლუტურად ღია კონკურსი გახლდათ და ყველას შეეძლო მონაწილეობა

ბულ შენობებს ნამდვილად მივიღებთ. ჯერჯერობით ქარის ან მზის სხივებით ელექტროენერგიის მისაღები მოწყობილობებს ვერ შემოგთავაზებთ. ძალიან გვინდოდა, რომ სოფლის სკოლებში გაზის მიღება ნარჩენების გადამუშავების გზით მომხდარიყო, მაგრამ ასეთი ფუფუნების უფლებაც არ მოგვეცა. ასევე ვერ მოხერხდება ყველა სკოლაში აუზის აგება, რადგან ეს რთული ტექნოლოგიური ნაგებობაა და მის მოვლა-შენახვას ბევრი სკოლა ვერ შეძლებს.

— ახალგაზრდებს თუ ჰქონდათ კონკურსში მონაწილეობის საშუალება?

— ეს აბსოლუტურად ღია კონკურსი გახლდათ და ყველას შეეძლო მონაწილეობა. მაგალითად, საზღვარგარეთ არქიტექტორთა კონკურსში მხოლოდ პროფესიონალები მონაწილეობენ, ჩვენს კონკურსში კი სტუდენტი არქიტექტორებიც იყვნენ ჩაბმულნი. ასე რომ, ლიბერალურები აღმოვჩნდით. უფრო მეტიც, პირველ ადგილზე სწორედ სტუდენტების მიერ შედგენილი პროექტი გავიდა. ახალგაზრდებს წავუყენეთ მოთხოვნა, რომ მათ გამოცდილ არქიტექტორებთან ტანდემში ემუშავათ. გამარჯვებულ არქიტექტორებს გავუფორმეთ 2-თვიანი ხელშეკრულებები: ამ დროის განმავლობაში სამშენებლო პროექტები უნდა დაამუშაონ. შემდეგ კომისიის წევრები მივცემთ შენიშვნებს, მოხდება პროექტების კორექტირება და მიეცემა საბოლოო სახე. ასევე უნდა მოხდეს კიდევ ორი პროექტის შერჩევა.

სხვათა შორის, არც დაწუნებული პროექტები იყო ურიგო, უბრალოდ, ისინი არ იყო გათვლილი კონკრეტულ გარემოზე. მაგალითად, არ შეიძლება, ბორჯომში ასაგებ შენობას ბრტყელი სახურავი გავუკეთოთ. იქ ბევრი ნალექი მოდის და არ უნდა შევქმნათ სახურავის გადმოთოვლის პრობლემა.

ამ პროექტის დაფინანსება სახელმწიფოს 15 მილიონი დოლარი დაუჯდება. თერთმეტი სკოლიდან რვის მშენებლობას მსოფლიო ბანკი აფინანსებს, სამის მშენებლობისთვის კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თანხები უკვე გამოყო.

ანა ნაცვლიშვილი, *გამარჯვებული პროექტის ავტორი:*

— მე და თამარ ვალიშვილმა ერთობლივი პროექტი წარვადგინეთ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ვართ. ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის საშუალო სკოლის პროექტი შევიმუშავეთ. წინასწარ ვიცოდით, რომ სკოლა 400 მოსწავლეზე იყო გათვალისწინებული. ორსართულიანი შენობა გახლავთ. მასში გათვალისწინებულია: ლიფტი, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკა ორივე სართულზე იქნება. სველი წერტილი განცალკევებულია — ადმინისტრაციისთვის, ბუფეტისთვის და — ოთხი — სველი წერტილი მოსწავლეებისთვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ საკლასო ოთახი თორმეტია, მოსწავლეებმა საკმაოდ კომფორტულად უნდა იგრძნონ თავი. ჩვენი პროექტი ერთხმად მიიღო ჟიურიმ. ცხადია, ამან ძლიერ გაგვახარა. მაგრამ უფრო მეტი სიხარული და სიამაყე დაგვეუფლება, როცა აშენდება. სხვათა შორის, საშუალება არ მოგვეცა, ტაძრისში ჩავსულიყავით და სკოლის ძველი შენობა გვენახა — ძალიან გვიან გადავწყვიტეთ კონკურსში მონაწილეობა, პროექტი სულ რაღაც ხუთ დღეში გავაკეთეთ. ამიტომ იმ გარემოს მხოლოდ ფოტოსურათებით გავეცანით.

ნებისმიერ ბავშვს ექნება ადგილი, სადაც დატოვებს თავის პირად ნივთებსა და განსაცმელს

ვალერი რცხილაძე, *არქიტექტორი:*

— მე და ლერი კუპრაშვილმა თბილისის 84-ე საშუალო სკოლის პროექტი შევიმუშავეთ. ეს სკოლა შარშან დაიწვა. ის ისტორიულ უბანში, ვარდის მოედანზე მდებარეობს. კონკურსის პირობებში არ იყო ჩაწერილი, რომ უნდა შეგვენარჩუნებინა იმ უბნის სახე, მაგრამ სხვანაირად ვერც მოვიქცეოდით. გვერდით სამსართულიანი შენობებია და უფრო მაღალსართულიან სკოლას ვერ წამოვჭიმავდით. საბოლოოდ მივიღეთ არასრული ოთხი სართული — ქუჩიდან სამსართულიანი, ეზოდან კი — ოთხიანი. ყველა სართულზეა სველი წერტილი. სპორტული ნაწილი ისეა განლაგებული, რომ შესაძლებელია, მოსახლეობამაც გამოიყენოს. სპორტულ ნაწილში აუზიცაა გათვალისწინებული.

— რა განასხვავებს 84-ე სკოლას ჩვეულებრივი სტანდარტული შენობისგან?

— საბჭოური სკოლა ისე გახლდათ გაკეთებული, რომ ყველა რესპუბლიკისთვის ის ერთნაირი ყოფილიყო — მაგალითად, ტაშკენტშიც და თბილისშიც ერთნაირი სკოლის შენობები დგას. ახლა კი განათლების სამინისტროს ექნება მშვენიერი კატალოგი, რომლითაც შემდგომში სხვა სკოლებიც აშენდება. ამ კატალოგში გამორჩეული სწორედ ჩვენი პროექტია. 84-ე სკოლის შენობა ერთგვარი რეტროს სტილშია გადაწყვეტილი. ამასთანავე, მრავლად არის სიახლეც. სხვა პროექტებიც საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ. ჩვენ ვნახეთ ევროპული სკოლების ნიმუშები. დამიჯერეთ, ისინი არაფრით სჯობს იმ პროექტებს, რომლებიც კონკურსის შედეგად შეირჩა. ავლაბარში ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით უკვე აშენდა ულტრათანამედროვე სკოლა. ჩვენთვის ის სკოლა იყო ნიმუში, ვცდილობდით, რომ ჩვენი პროექტი იმ სკოლაზე ნაკლები დონის არ ყოფილიყო. ვფიქრობთ, გამოგვივიდა.

■



სტუმრად ცოლის საშობლოში

„გული მწყდება, რომ მეუღლის გარეშე ჩამოვედი"

ჩვენს ჟურნალში ხშირად ვწერთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციებზე, კულტურასა და იქ მცხოვრებ ადამიანებზე გვიამბობენ. ამჯერად კი ჩვენი სტუმარი საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოსული, ქართველების ამერიკელი სიძე, როჯერ გილმანი გახლავთ, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია, ქართველი ცოლი ჰყავს, სააღდგომოდ კი საქართველო პირველად მოინახულა. როჯერი თავის მეუღლესა და ორ შვილთან ერთად მაიამიში ცხოვრობს და ავტოგიგანტ „ტოიოტის" ფირმაში ფინანსურ მენეჯერად მუშაობს. პროფესიით იურისტია.

ნათია ქივიძე

— როჯერ, რატომ გადაწყვიტე, რომ ცოლად ქართველი გოგონა შეგერთო?

— იმაზე სულ არ ვფიქრობ, რომ ჩემი ცოლი ქართველია, რადგან მას საერთოდ არა აქვს ქართული ხასიათი. პირიქით, ამერიკელს უფრო ჰგავს. არასოდეს მიფიქრია, რომ მაინცდამაინც ქართველი ცოლი უნდა მყოლოდა, უბრალოდ, ასე მოხდა. მე ის შემიყვარდა და ჩემთვის მის ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონია. ილონამდე სხვა ქართველ ქალთან არასოდეს მიცხოვრია და სიმართლე გითხრათ, მათში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ მგონია, რომ ილონა თვისებებით უფრო ამერიკელს ჰგავს, ვიდრე ქართველს. ის უფრო დამოუკიდებელი, უკომპლექსო და თავისუფალია. სხვათა შორის, რამდენიმე დღე ვიყავი საქართველოში და აქ ჩემს ცოლზე ლამაზი ქალი არ მინახავს.

— უკვე 4 წელია, ქართველი ცოლი გყავს, მაგრამ ახლა საქართველოში პირველად ხარ. ამდენ ხანს რატომ არ ჩამოდიოდი და მანამდე თუ გსმენია რაიმე ჩვენი ქვეყნის შესახებ?

— რა თქმა უნდა, მსმენია. საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ რაღაც-რაღაცები გამიგონია. მაგალითად, ვიცი, რომ მსოფლიოში ცნობილი პიროვნება, სტალინი საქართველოდან იყო. აქ ჩამოსვლის სურვილი კარგა ხანია მაქვს, მაგრამ ხან ფული არ მქონდა და ხან დრო, ამიტომ ვერ მოვახერხე ამდენ ხანს. გული მწყდება, რომ ახლაც მხოლოდ რამდენიმე დღით ვარ ჩამოსული.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ათეისტი ხარ. საქართველოში კი, სააღდგომოდ ჩამოხვედი. ეს უბრალო დამთხვევაა თუ სპეციალურად მოიქეცი ასე, რათა აქ ამ დიდ დღესასწაულს დასწრებოდი?

— შემთხვევით მოხდა ასე. როცა აქ ჩამოვედი, მხოლოდ მაშინ შევიტყვე, რომ თქვენ აღდგომას ზეიმობდით. თუმცა მოხარული ვარ, რომ სწორედ ამ დღეს მომიწია თქვენთან სტუმრობამ. ძალზე მაინტერესებს, როგორ აღნიშნავთ დღესასწაულებს. ჩემი მეუღლე მიყვება ხოლმე ამ ყველაფრის შესახებ, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი, მაინც სულ სხვაა. მომწონს თქვენი სადღესასწაულო ტრადიციები.

— მიუხედავად იმისა, რომ მაიამიში რამდენიმესთან მეგობრობ, ახლა ამდენი ქართველი ერთად, პირველად ნახე. როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა ამერიკელებსა და ქართველებს შორის?

— მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ არის. საქართველოში ცოტა ხანს ვიყავი და კარგად ვერ გავიცანი ქართველები, მაგრამ ყველაზე მეტად თქვენი ის მომეწონა და ის განსხვავებაა ჩვენ შორის, რომ აქ ოჯახის წევრები ერთად ცხოვრობენ, მათ ერთმანეთთან ახლო დამოკიდებულება აქვთ და არაჩვეულებრივი ნათესაობა იციან. ამერიკაში ასე არ ხდება. ადამიანი სრულწლოვანი გახდება თუ არა, მაშინვე დამოუკიდებლად იწყებს ცხოვრებას და არც ასე ახლოს არიან ნათესავებთან. ჩემი მშობლები ნიუიორკში ცხოვრობენ, ჩვენ — მაიამიში და ერთმანეთს წელიწადში ერთხელ თუ ვნახულობთ. ბიძაშვილებთან, დეიდაშვილებთან, მამიდაშვილებთან და ა.შ. ხომ საერთოდ არა მაქვს ახლო ურთიერთობა. ჩემს მეუღლეს კი იმდენი ასეთი ნათესავი ჰყავს და ისე მოიხსენიებს მათ, ვგიჟდები ხოლმე. ყველას სათითაოდ ურეკავს, ყველას ამბავი ზეპირად იცის, ყველას ტკივილს განიცდის და ყველას სიხარული უხარია. ჩვენთან ასე არ არის. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ თბილისი პატარა ქალაქია. მინდა, რომ ეს ტრადიცია ჩემმა შვილებმაც შეითვისონ და გაიგონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახი ადამიანისთვის.

— იქ მცხოვრები ქართველებისგან თუ გქონდა შთაბეჭდილება შექმნილი ჩვენზე? გვგვანან თუ უკვე გაამერიკელებულები არიან?

— ბევრი რამ მსმენია ქართველებზე, მაგრამ მათზე უფრო მეტის გასაგებად მათი ნახვაა აუცილებელი. იქ არიან ქართველები (თუმცა არცთუ ისე ბევრი) და შესაბამისად, თქვენს ერს გარკვეულწილად ვიცნობდი კიდეც. ახლა კი გავიღრმავე ეს ცოდნა.

— მართალია, ცოტა ხნით ხარ ჩამოსული, მაგრამ რაღაცების დათვალიერება მაინც მოახერხე. რა მოგეწონა და რამ აღგაფრთოვანა ყველაზე მეტად საქართველოში?

— თბილისი საერთოდ განსხვავებული ქალაქია. უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და უამრავი ქალაქი მაქვს ნანახი, მაგრამ მსგავსი არასოდეს მინახავს. თქვენს ქალაქთან, შედარებით ახლოს, ბუდაპეშტია. მხოლოდ იმას შემიძლია შევადარო, ისიც ნაწილობრივ, რადგან ის გაცილებით დიდია. გარდა ამისა, მე სიძველეებს დიდ პატივს ვცემ, ამიტომ მცხეთა განსაკუთრებულად მომეწონა. ჩემთვის ძალზე ამაღელვებელი და საინ-

მინდა, რომ ეს ტრადიცია ჩემმა შვილებმაც შეითვისონ და გაიგონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახი ადამიანისთვის

ტერესო იყო, როცა ეს ქალაქი დავათვალიერე. საერთოდ, ეკლესიების დიდად მოყვარული არ ვარ — ათეისტი გახლავართ, მაგრამ თქვენი ტაძრები სიძველის გამო მომეწონა. მოკლედ, საინტერესო ერი ხართ თქვენი კულტურითა და ტრადიციებით.

— როგორც წესი, უცხოელებს ქართული სამზარეულო ხიბლავთ. შენ რა აზრის ხარ ამაზე?

— რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი აზრის ვარ. რაც ქართველი ცოლი შევირთე, მას შემდეგ, ამერიკაშიც ხშირად მივირთმევ ქართულ კერძებს, მაგრამ იქ თურმე აქაურისგან ოდნავ განსხვავებული ყოფილა. ძალიან მიყვარს მჭადი და ჩახოხბილი. ამერიკულ სიმინდის ფქვილს ცოტა სხვანაირი გემო აქვს, აქ კი მართლა ძალიან გემრიელია. გული დამწყდა, რომ აქ ყოფნის განმავლობაში ხინკალი ვერ გავსინჯე. გამიგონია, ძალიან გემრიელი ყოფილა. აუცილებლად გავსინჯავ შემდეგ ჩამოსვლაზე. ასევე, ჩვენს ოჯახში აუცილებელი ატრიბუტია ქართული ტყემალი და აჯიკა. მოგეხსენებათ, ამერიკული კერძები თქვენისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ყველა ქვეყნის კერძებს ქართული ტყემლის ან

უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და უამრავი ქალაქი მაქვს ნანახი, მაგრამ მსგავსი არასოდეს მინახავს (მასპინძლებთან — მეუღლის მეგობრებთან ერთად თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისას)

აჯიკის თანხლებით მივირთმევ. ახლაც ბევრი ბოთლი მიმაქვს, იმედი მაქვს, აეროპორტში გამატანენ. ასევე, არაჩვეულებრივი ღვინო გაქვთ. ქართველები ამერიკაში რომ ჩამოდიან, აუცილებლად ჩამოაქვთ ხოლმე რამდენიმე ბოთლი და მეც მასინჯებენ. შარშან ჩემი მეუღლე იყო ჩამოსული საქართველოში და რამდენიმე ბოთლი იმანაც ჩამომიტანა. ახლა მეც მისახსოვრეს ჩვენმა ქართველმა ნათესავებმა და მეგობრებმა და მიმაქვს. აქ ყოფნის განმავლობაში ხომ მთელი დღე ღვინის ჭიქა მეჭირა ხელში. ვგრძნობ, რომ ძალზე ნატურალური და გრადუსიანია.

— შენ ქართველი გერი გყავს, რომელიც შვილად მიიღე...

— ის ჩემი გერი კი არა, ჩემი შვილია. კი ბატონო, წარმოშობით ქართველია, მაგრამ ახლა ჩემს გვარს — გილმანს ატარებს და ვერავინ იტყვის, რომ ის ქართველია. ასე რომ, მე ორი შვილი მყავს და ორივე — ამერიკელი.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— როგორც გითხარით, მე და ჩემს მეუღლეს ორი შვილი გვყავს, ნიკი და მიჩი. ვფიქრობთ, რომ აბსოლუტურად საკმარისია და მეტის ყოლას არ ვგეგმავთ. მომავალში აზრს შევიცვლით თუ არა, ჯერ არ ვიცი.

— რატომ გადაწყვიტეთ ბავშვების საქართველოში დატოვება და რამდენ ხანს გასტანს მათი „დედულეთში“ ვიზიტი?

— ჩვენ მაიამიში ქირით ვცხოვრობთ. მეც და ჩემი მეუღლეც ვმუშაობთ, დამხმარე კი არავინ გვყავს. ილონა სამსახურსაც და ბავშვებსაც ერთად ვერ აუდის. ჩვენმა საელჩომ ილონას დედას ამერიკაში გამგზავრებაზე უარი უთხრა, ამიტომ იძულებულნი გავხდით, ბავშვები აქ ჩამოგვეყვანა. ეს ალბათ რამდენიმე თვე გასტანს, მერე კი ყველანაირად შევეცდებით, ბებო ამერიკაში წავიყვანოთ, რადგან ჩვენ ის ძალიან გვჭირდება.

— ბავშვებს ქართველებად აღზრდით?

— არა. რა თქმა უნდა, მინდა, რომ მათში გარკვეული ქართული თვისებები იყოს, მაგალითად ნათესავების ისეთი სიყვარული, როგორიც თქვენ იცით, მაგრამ მსურს, რომ ისინი ამერიკელები იყვნენ.

— ამაღამ უკვე ამერიკაში მიფრინავ. გული თუ წწყდება რამეზე? იქნებ იყო ისეთი რაღაც, რისი ნახვაც გულით გინდოდა და ვერ მოახერხე?

— გუდაურისა და ბათუმის ნახვა მინდოდა ყველაზე მეტად. საერთოდ, მე გოლფთან ერთად თხილამურებიც ძალიან მიყვარს და სპორტის ორივე ამ სახეობას მოყვარულის დონეზე მივდევ. კარგად ვფლობ თხილამურებს და მინდოდა, ერთხელ საქართველოს მთებიდანაც დავშვებულიყავი. ბათუმში კი შავი ზღვა მაინტერესებს ძალიან და მინდა, ერთხელ მაინც გავცურო. თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. გული მწყდება, რომ საქართველოში პირველად ჩემი მეუღლის გარეშე ჩამოვედი, მაგრამ მომავალში ამ პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებთ. რამდენიმე თვეში აქ ერთად ჩამოვალთ და იმ ყველაფერს მოვინახულებ, რაც ვერ ვნახე. ულამაზესია ძველი თბილისი. აქ რაიმე სამსახური რომ მაშოვნინა ცოტა ნორმალური ანაზღაურებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიამოვნებით ვიცხოვრებდი საქართველოში. მაინტერესებს, აქ როგორი ცხოვრებაა. მიყვარს მრავალფეროვნება. თბილისი კი ისეთი ქალაქია, სადაც ცხოვრება შეიძლება. ყველაზე მეტად ის მესიამოვნა, რომ ილონას ნათესავები გავიცანი. ყველა მათგანის სახელი ვიცოდი, მაგრამ ვიზუალურად არც ერთზე არ მქონდა წარმოდგენა. ილონა კი მათ შესახებ ხშირად მიყვება რაღაცებს. ახლა როცა კიდევ რაღაცას მომიყვება, მივხვდები, ვისზე ლაპარაკობს.

ვიდრე ბავშვები აქ იქნებიან, მე და ჩემი მეუღლე ჩვენს კარიერაზე უკეთ ვიზრუნებთ და კაპიტალს დავაგროვებთ.

— ეი. კმაყოფილი მიდიხარ საქართველოდან?

— რა თქმა უნდა. ყველამ ისე კარგად და თბილად მიმიღო, რომ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს კარგა ხანია უკვე აქ ვარ. ქართველები სტუმართმოყვარე და თბილი ხალხი ხართ. ამიტომ მომეწონა თქვენთან ყოფნა.

— ქართული ენის სწავლას არ აპირებ?

— ჩემი მეუღლე და უფროსი შვილი რაღაც-რაღაცებს მასწავლიან. რამდენიმე ქართული სიტყვა ვიცი. მეორედ რომ ჩამოვალ, გპირდებით, უფრო მეტი მეცოდინება. ■

ცოდვა თუ სასჯელი – რა ძნას „მამაკაცად" გაჩენილმა ქალმა?..

იმედია, სექსუალური უმცირესობების შეურაცხყოფაში არ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ სამწუხაროდ გეების, ლესბოსელების, ტრანსვესტიტებისა და მათი მსგავსების საზოგადოებაში გამოჩენა, აღარავის უკვირს. ის კი არა და, ამ ბოლო დროს, ჩემი სვანი ნათესავიც აღარ მეკითხება: უი, დია მიშგუ ცოდვა, რა უნდა „უქნას" ქალმა — ქალს და კაცმა — კაცსო? ასეა, ბატონებო, აგერ მეზობელ რუსეთში, სექსუალუარი უმცირესობები, მოსკოვის ქუჩებში, აღლუმების მოწყობის ნებართვას ითხოვენ და ერთ დღეს თუ მათ ქართველ ძმებსა და დებსაც მოუნდებათ თბილისის ქუჩებში დემონსტრაციულად გასეირნება, ვაი, ჩვენ ბრალი!

ემა ტუხიამვილი

ამ ცოტა ხნის წინ, ჩემი მეგობრის დახმარებით, ერთ თბილისურ არატრადიციულ ოჯახს ვესტუმრე. კარი ოჯახის უფროსმა, როგორც ჩვენში ამბობენ — მამამარჩენალმა, იგივე ქმარმა, ბექამ გაგვიღო. ეს ბატონი ბექა კი, უწინ ქალბატონი ნინო ყოფილა. არატრადიციული ოჯახის დიასახლისმა ეკამ, ქართული ტრადიციული კერძებით გაწყობილ სუფრასთან მიგვიპატიჟა და ისე მშვიდად ამიხსნა: ბავშვობაში ჩემს ქმარს ნინო დეიდას ვეძახდიო, რომ საბოლოოდ დამაბნია. მოკლედ, ვინ ვინ იყო და ახლა ვინაა, უმჯობესია, თავად ჩემი რესპონდენტების ნაამბობიდან გავარკვიოთ.

— ბექა, როგორც ვიცი, თქვენ სვანი ხართ, არა?

ბექა *(რესპონდენტების თხოვნით, მათ გვარები მითითებული არ არის):*

— ჰო, სვანი ვარ. მესტიის რაიონში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაც მესტიაში დავამთავრე. სხვათა შორის, ჩემი მეუღლეც სვანია. ჩვენი ოჯახები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. თუმცა სვანეთში ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველა ყველას შორეული ნათესავია.

— არ გეწყინოთ, მაგრამ თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა თვალში საცემია.

— რა უნდა მეწყინოს, ის, რომ ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი მყავს? ასეთი სიტყვები ნებისმიერი მამაკაცის გულს გაახარებდა. არც მე ვარ ძალიან ბებერი, ჯერ ნახევარი საუკუნეც არ მიცხოვრია. ეკა, ჩემი საუკეთესო მეგობრის დისშვილია და ჩვენ შორის სხვაობა 13 წელია.

— რადგან ინტერვიუზე დამთანხმდით, ალბათ უარს არ მეტყვით თხოვნაზე, რომ დაწვრილებით მიამბოთ თქვენ შესახებ...

— თქვენ რა უფრო გაინტერესებთ — ის, თუ როგორ შეგვიყვარდა ერთმანეთი მე და ეკას, თუ როგორ შევიცვალე სქესი?.. ისე, ძალიან არ მიყვარს, როდესაც ამ ტერმინს ჩემი მისამართით იყენებენ. მართალია, პლასტიკური ოპერაციის შემდეგ, ჩემმა სხეულმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ შინაგანად ყოველთვის მამრი ვიყავი. ჩემში კაცურმა „ეგომ" ჯერ კიდევ მაშინ გაიღვიძა, როდესაც სამყაროს შეცნობა დავიწყე. მართალია, ორი ვაჟის შემდეგ, ოჯახში სანატრელი გოგო დავიბადე, მაგრამ მშობლების სიხარული ვერ გავამართლე. ძალიან მიყვარდა ჩემი ძმების სათამაშოებით თამაში, მათი სამოსით სიარული. თავიდან მშობლები ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავდნენ, მამა მოფერებით ქალაბიჭას მეძახდა, დედა კი იტყოდა ხოლმე: ბიჭებთან ერთად იზრდება და ამიტომაც იქცევა ბიჭივითო. ცხენსაც საუცხოოდ ვაჭენებდი და საქონელსაც მარტო მივერეკებოდი მთაში. ერთხელ ბიჭებთან ერთად სანადიროდ წასვლა დავაპირე, მაგრამ მამამ არაფრით გამიშვა. შემდეგ მეზობლის მკერდსასვსე გოგოს დავუწყე კუდში დევნა და მშობლების ეჭვი ჩემი არასწორი ორიენტაციის შესახებ, დადასტურდა. ვინ იცის, რამდენჯერ ვუცემივარ მამას მათრახით?! მიყვიროდა — კაბა ჩაიცვი და თმა გაიზარდეო! მათრახით მიყენებული ჭრილობები ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ მამაკაცური ღირსება ყველა ტკივილზე უფრო მაღლა დავაყენე და ყველა კაბა მაკრატლით დავჭერი, რომ მათი ჩაცმა არ ეიძულებინათ.

— ასე ცხოვრება არ გიჭირდათ?

— რა თქმა უნდა, აუტანელი იყო, როდესაც ქუჩაში გასულს ყველა ისე მომჩერებოდა, როგორც უცხო პლანეტიდან ჩამოვარდნილს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიახლოვეს აღარც გოგო მეკარებოდა და აღარც ბიჭი. უფრო მეტიც, ჩემმა შეურაცხყოფილმა ძმებმა ენგურში გადაგდებაც დამიპირეს. მერე ალბათ იტყოდნენ: კლდეზე ფეხი დაუცდა და მდინარეში ჩავარდაო. ამისთვის პასუხსაც არავინ აგებინებდა. ვინ იცის, ასე რამდენი სვანია მკვდარი?!. ჩვენი ოჯახის ბადიშები (ასე ჩვენში დედის ნათესავებს უწოდებენ) რომ არა, უკვე დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი. სწორედ მათ აიძულეს ჩემი ძმები, რომ ჩანაფიქრზე უარი ეთქვათ. მაგრამ ყველაზე მეტად იცი, რა მაშინებდა? მესტიაში ერთი კაც-ქალა — ციალა ცხოვრობდა. ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ ვერაფრით გაეგოთ, სინამდვილეში კაცი იყო თუ ქალი. ქალებსა და ბავშვებს მისი ეშინოდათ, მამაკაცები კი მასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ციალა შეურაცხადად გამოაცხადეს და ისე უყურებდნენ, როგორც შეშლილს. სწორედ ასეთი მოპყრობის მეშინოდა; ყველაზე მეტად კი იმის შიში მიპყრობდა, რომ მეც ციალას ხვედრს გავიზიარებდი და რაღაც საშუალო სქესის არსებად გამომაცხადებდნენ.

— ამიტომაც გადაწყვიტეთ საცხოვრებლად თბილისში ჩამოსვლა?

— ეს ერთადერთი გამოსავალი იყო, მაგრამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად თავის მოკატუნება დამჭირდა: მშობლების დამჯერ შვილად ვიქეცი, კაბა ჩავიცვი, თმა გავიზარდე და თბილისში სწავლის გაგრძელების სურვილი გამოვთქვი. დედა ამბობდა: ჩემთვის მეორედ დაიბადეო. ცოტა ფული მომცეს და მეზობელ თანატოლ გოგოსთან ერთად, თბილისში ერთი ოთახი ვიქირავე. ერთხანს ვშიშობდი მაიასთვის სიმართლის თქმას. მეგონა, ვერ გამიგებდა და ჩემთან ცხოვრებას არ ინდომებდა. მარტო კი, ბინის ქირის გადახდას ვერ შევძლებდი. ერთხელ, გამბედაობა მოვიკრიბე და მაიას ყველაფერი გაულახდილად ვუამბე. ამას ჩვენი თანაცხოვრებისთვის ხელი არ შეუშლია, მეტიც, სწორედ აქედან დაიწყო ჩემი და მაიას დიდი მეგობრობა. საკუთარი დასავით მედგა მხარში. სამწუხაროდ, დღეს მას ჩემთან ურთიერთობა აღარ სურს. ვერ მაპატია, რომ მისი დისშვილი შემიყვარდა და ცოლად შევირთე.

— სქესის შეცვლა როდის გადაწყვიტეთ?

— კარგი სწავლით არასდროს გამოვირჩეოდი, ამიტომ თბილისში სწავლის გაგრძელება მხოლოდ საბაბი იყო იმისათვის, რომ ოჯახიდან წამოვსულიყავი. მე და მაიამ მცირე ბიზნესი წამოვიწყეთ. თბილისის ძველ უბანში ფართი ვიქირავეთ და ე.წ. „ძონძების" მაღაზია გავხსენით.

მათრახით მიყენებული ჭრილობები ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ მამაკაცური ღირსება ყველა ტკივილზე უფრო მაღლა დავაყენე



ხალხს არ სურს შეიგნოს, რომ ჩვენც ამ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ვართ

ცოტა ფული რომ ვიშოვე, კიდევ ერთი ასეთი მაღაზია გავხსენი და შემიძლია გითხრათ, რომ დღეს მეორადი სამოსის ბიზნესში დიდი წილი მაქვს. ერთხელაც, ერთ-ერთ რუსულენოვან გამოცემაში წავიკითხე, რომ მოსკოვში, სქესის შეცვლის ოპერაცია წარმატებით გაუკეთებიათ. აქვე დავაზუსტებ, რომ ეს დაახლოებით 15 წლის წინ იყო და ქართველ პლასტიკურ ქირურგებს ასეთი ოპერაციის ჩატარების გამოცდილება არ ჰქონდათ. მოვიძიე მოსკოველი ქირურგების კოორდინატები, რამდენიმე მათგანს ტელეფონითაც ვესაუბრე, მაგრამ მაფრთხობდა თანხა, რომელსაც იმ დროს ოპერაციისთვის ითხოვდნენ. როგორც რუსი ქირურგები მიხსნიდნენ, ჯერ ორივე მკერდი უნდა მომეკვეთა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი — საშვილოსნოსა და საკვერცხეებს ამომაჭრიდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ფიქრი ე.წ. მამაკაცური ღირსების გადანერგვაზე. თან მაფრთხილებდნენ, რომ არსებობდა დონორი ორგანოს შეუთავსებლობის საშიშროება, რაც კიდევ ერთი ოპერაცის ჩატარების საჭიროებას გამოიწვევდა. ყოველივე ამის შემდეგ, პაციენტის სურვილისამებრ, დამატებით ხდება სახის კორექტირება — უფრო მამაკაცური იერის შეძენა, სახეზე თმის გადანერგვა, რომ შემდგომში წვერის გაპარსვა შეძლო და ა.შ. მოკლედ, სულ ცოტა — 20 ათასი დოლარი მაინც მჭირდებოდა ჩემი ოცნების ასახდენად, მაგრამ მაშინ ამდენ ფულს ვერაფრით ვიშოვიდი. ერთ დღეს, სასწაული მოხდა ერთ-ერთი ქართველი პლასტიკური ქირურგი დამიკავშირდა და მითხრა, რომ თბილისში ჩამოდიოდა რუსი ექიმი და ქართველი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, რამდენიმე თვე აქ დარჩებოდა. მოკლედ, ოპერაციის რეალური შანსი მეძლეოდა, თანაც — მხოლოდ რამდენიმე ათას დოლარად. რა თქმა უნდა, რისკი მაღალი იყო. ოპერაცია არალეგალურად ჩატარდებოდა, რადგან იმდროინდელ სამედიცინო კანონმდებლობაში სქესის შეცვლის ოპერაციის ხსენებაც კი არ იყო. ადგილობრივი ექიმების გადაწყვეტილებით, ოპერაციის ჩასატარებლად ნაკლებად თვალში საცემი სამედიცინო დაწესებულება შეირჩა და ასეთი იმ ხანად, საავიაციო ქარხანასთან არსებული საავადმყოფო აღმოჩნდა. ჩემი ოპერაცია ოფიციალურად გაფორმდა, როგორც მუცლის ღრუს თიაქრის ოპერაცია. სინამდვილეში კი ეს იყო სქესის შეცვლის პირველი პრეცედენტი საქართველოში. თითქმის წელიწადი გავატარე საავადმყოფოში, მაგრამ ახალი ცხოვრების დასაწყებად, ეს ერთადერთი გზა იყო. ახალი პასპორტი ავიღე, სადაც გარკვევით წერია, რომ ბექა მქვია და მამაკაცი ვარ.

— საინტერესოა, როგორი იყო თქვენი მშობლების, ნათესავების რეაქცია, როდესაც ამის შესახებ შეიტყვეს?

— მშობლებს შვილად აღარ მივაჩნდი. სამწუხაროდ, დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან. ძმებმა კი ხატის წინ დაიფიცეს, რომ ოჯახის შემარცხვენელს ცოცხალს არ დატოვებდნენ. სვანისთვის ხატის წინ დაფიცება საკუთარ ღირსებაზე მაღლა დგას, ამიტომ მათ დღემდე ვემალები.

— თქვენისთანა ადამიანის ცოლობა ადვილი არ უნდა იყოს...

— მე და ეკამ ბევრი სირთულე გამოვიარეთ და რომ არა დიდი სიყვარული, ასეთ ზეწოლას ვერ გავუძლებდით. ყველამ ზურგი გვაქცია. ცოტა ხნის წინ, ინსულტით ჩემი სიმამრი გარდაიცვალა და ეკა მის დაკრძალვაზე ნათესავებმა არ მიუშვეს. ხალხს არ სურს შეიგნოს, რომ ჩვენც ამ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ვართ. რატომ უნდა მეშინოდეს იმის აღიარების, რომ ოდესღაც ქალი ვიყავი და სქესი შევიცალე?! მე და ეკას ბედნიერი ოჯახი გვაქვს. ერთადერთი, რასაც ვინატრებდით, ბავშვია, მაგრამ საკუთარი შვილის ყოლა არ შეგვიძლია. ვფიქრობ, უკვე დროა, ბავშვის აყვანაზე ვიფიქროთ.

ჩვენი საუბრის განმავლობაში, მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ თვალში საცემი და გამაღიზიანებელი არ ყოფილიყო ჩემი დამოკიდებულება არატრადიციული ოჯახებისა თუ სექსუალური უმცირესობების მიმართ. მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი განცვიფრებული სახე ყველაფერზე თავად მეტყველებდა. თავის მხრივ, ჩემი მასპინძელი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ისინი მართალია, უმცირესობაში, მაგრამ მაინც, არც ისე ცოტანი არიან, როგორც ჩვენ გვგონია. ამის დასამტკიცებლად, ბექამ შინ კიდევ ერთი უჩვეულო წყვილი მოიპატიჟა. იკას — იმავე იას მამაკაცური მანერებით მივხვდი, რომ მას ამ არატრადიციულ ოჯახში ქმრის როლი ჰქონდა და კითხვებიც მას დავუსვი.

— თქვენც სექსუალურ უმცირესობას წარმოადგენთ?

— იცი, რაია, ჩემო დაიკო (*ადვილი მისახვედრი იყო იკას ქუთაისური წარმომავლობა. — ავტ.*)?! ჩვენ ჩვენი გაგება და ამბავი გვაქვს... ხმა რომ დამბოხებოდა, ბავშვობაში ბევრ სიგარეტს ვეწეოდი. რომ წამოვიზარდე, სახის გაპარსვა დავიწყე. მინდოდა, რომ სხვა ბიჭებივით წვერ-ულვაში მეც ამომსვლოდა. ხომ გახსოვთ ქართული ფილმი — „მაია წყნეთელი“? ჰოდა, უბანში, სადაც გავიზარდე, მეც მათე ბიჭს მეძახდნენ. საშინლად ვბრაზდებოდი, როდესაც გოგოს მეძახდნენ. ახლაც ასეა. ამის გამო ერთხელ კაციც კი დავჭერი.

— ადამიანს სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ იმეტებდით, რომ ქალი დაგიძახათ?

— თბილისის რამდენიმე რესტორანსა და ღამის კლუბში ვმღერი. ხშირად ჩემს სიმღერებს, რესტორანში მყოფ მანდილოსნებს ვუძღვნი. მაშინაც ასე იყო, ვმღეროდი და ერთ-ერთ სუფრასთან მჯდომ ლამაზ ქალს თვალს ვერ ვწყვეტდი. მისმა თანმხლებმა მამაკაცმა ეს ვერ აიტანა და მუშტებით წამოვიდა ჩემკენ. რესტორნის დაცვამ ჩვენი გაშველება სცადა და ჩემს მოწინააღმდეგეს რაღაც გადაულაპარაკეს, რის შემდეგაც ის მომიბრუნდა და დამცინავად მითხრა: მაპატიე, ქალის ცემას ჩვეული არ ვარო. ყველა მე მომაშტერდა. ასეთი დამცირებული და გასრესილი ჯერ არასდროს ყოფილვარ. ბრაზი და ბოღმა მახრჩობდა. იქვე მაგიდაზე დანა დავინახე, ხელი ვტაცე და იმ კაცს რამდენიმე ჭრილობა მივაყენე. საქმე პოლიციის ყურამდე არ მისულა — „შავებში“ გავარჩიეთ და „მისაღები“ ორივემ მივიღეთ.

— სქესის შეცვლას თქვენც აპირებთ?

— რამდენიმე თვის წინ, პლასტიკური ქირურგიის ცენტრში ორივე მკერდი მოვიკვეთე. საკმაოდ დიდი ზომის მკერდი მქონდა და მისი დამალვა სქელი სარტყლის ქვეშ მიწევდა. ახლა სპეციალურ წამალს ვსვამ, რომ მათ ადგილას კუნთოვანი მასა გაჩნდეს. მართალია, ჩვენს პლასტიკურ ქირურგებს გამოცდილება არ აკლათ და რაღაცების მოჭრა-მიკერება მათთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს, მაგრამ ამ საკითხს მე მაინც დიდი სიფრთხილით ვეკიდები. ახლა პრაქტიკაშია სხვადასხვა სახის, ფაქტურის პროთეზების გამოყენება, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როდესაც ორგანიზმი ვერ ეგუება გადანერგილ პროთეზს, რასაც შემდეგ უამრავი გართულება მოსდევს. ეს პრობლემა ჩემთვის მეორეხარისხოვანია. მე და ჩემი მეუღლე ამის გარეშეც ბედნიერად ვცხოვრობთ. ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, რომ არ შეგვიძლია ოფიციალურად დავარეგისტრიროთ ჩვენი ქორწინება. იქნებ ჩვენი პარლამენტარებიდან ვინმემ გულთან ახლოს მიიტანოს სექსუალური უმცირესობების გასაჭირი და საკანონმდებლო ორგანოში შევიდეს ინიციატივით — კანონიერად დარეგისტრირდეს საქართველოში ქორწინება ქალსა და ქალს, მამაკაცსა და მამაკაცს შორის.

უბანში, სადაც გავიზარდე, მეც მათე ბიჭს მეძახდნენ. საშინლად ვბრაზდებოდი, როდესაც გოგოს მეძახდნენ

სულ მალე მარჯანიშვილის თეატრში „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ პრემიერა გაიმართება. რეჟისორი ლევან წულაძე დაუყოვნებლივ დათანხმდა დრამატურგსა და ისტორიკოსს — გურამ ქართველიშვილს ამ შემოთავაზებაზე. ლევან წულაძე ამ თემამ ჯერ კიდევ ბავშვობაში მიიზიდა. მაშინ, როცა ოჯახში საქართველოს ანექსიაზე საუბრობდნენ უფროსები.

ᲥᲝᲥᲣᲪᲐ ᲘᲧᲝ ᲗᲣᲠᲥᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲡᲘᲣᲚᲘ, ᲗᲘᲗᲥᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ სცენაზე იდგმება

ᲚᲔᲚᲐ ᲧᲘᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ

— ბებია ცირღილაძის ქალი მყავდა, მისი გაზრდილი ვარ. ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ბევრს არაფერს მიამბობდა, მაგრამ იმას კი მიმეორებდა: ქაქუცა ისეთი გმირი იყო, მთაზე ავიდა და თქვა, ტყვია თუ გამითავდა, ფეხით ქვას დავაგორებ და ბოლშევიკებს მაინც არ შემოვუშვებ საქართველოშიო.

— თქვენი ოჯახის წევრებიც ყოფილან პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულნი...

— ბებიას ექვსი ძმა ჰყავდა. ორნი ნიკოლოზის არმიის ოფიცრები იყვნენ. უფროსმა ძმამ პეტერბურგში მიიღო სამხედრო განათლება და ნიკოლოზ მეორემ უბოძა წოდება და ხმალი. ეს ჩვენი ოჯახისათვის უმნიშვნელოვანესი ამბავი იყო. დიდი არტისტიზმით ჰყვებოდა ბებია: როცა სამხედრო სასწავლებელი დაამთავრეს ძმებმა ცირღილაძეებმა, სულ თერთმეტმა კაცმა აიღო დამთავრების მოწმობა. ერმიტაჟში მათ ბანკეტიც მოუწყვეს. ნიკოლოზ მეორეც მიბრძანდა. ჩემი ბაბუა, ვანო, თურმე ღვინოს არ სვამდა... დალიეს რუსეთის სადღეგრძელო. ვანომ აიღო ჭიქა, ადღეგრძელა და დადგა. მეზობელი სუფრიდან შეექილიკნენ. ცირღილაძემ გაიწია შეურაცხმყოფლისკენ. ეს მეფის წინაშე დანაშაული და უკადრისი საქციელი იყო. ბებია ჰყვებოდა, — მეფემ შეხედა და თვალით ანიშნა, გადიო. დახარა საწყალმა ვანომ თავი, დაემორჩილა ხელმწიფეს. უცებ რექტორის ხმა ჩაესმა: — თქვენო აღმატებულებავ, ცირღილაძე ერთადერთია, ვისაც ყველაფერში უმაღლესი შეფასება — 15 ქულა აქვს, ნუ გააგდებთო. ნიკოლოზმა დარბაზში მობრუნების ნება დართო. მერე ჰკითხა: ქართულ ღვინოს როგორ არ სვამო. ამან: მამაჩემს შევპირდით ძმები, — ვიდრე სამხედრო სამსახურში ვართ, ღვინოს არ გავეკარებით... ისე კი მამაჩემს თავისი ღვინო აქვსო. გაუკვირდა ნიკოლოზსო... შემდეგ სერაპიონ ცირღილაძემ, ვანოს მამამ, თავისი მარნიდან 200 ლიტრი ღვინო გაუგზავნა მეფესო. ბებია ძალიან ამაყობდა ამ ამბით. ბევრი რამ შეიძლება დამატებულიც არის, მაგრამ... მაინც სასიამოვნოა.

— რელიკვიად რაიმე შემოგრჩათ?

— მხოლოდ რამდენიმე წერილი და ფოტო.

— ხშირად გქონიათ ოჯახში პოლიტიკური დისკუსიები?

— ჩემთან ვინ იმსჯელებდა... ბებიაჩემი ფაცია ცირღილაძე ცოლად გაჰყვა ვალერიან დვალიშვილს, რომელმაც 1942 წელს, სამამულო ომის დროს, თბილისში დააარსა ხსნის კომიტეტი. მტრის საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში, ეს ორგანიზაცია მზად იყო, გარდამავალი ხელისუფლების მოვალეობა შეესრულებინა. კომიტეტი გასცეს. ვალერიანი დააპატიმრეს (მასთან ერთად დააპატიმრეს მსახიობი გრიგოლ კოსტავაც). ვალერიან დვალიშვილზე საინტერესო მოგონებები აქვს ბატონ აკაკი დვალიშვილს. ერთგან წერს: „ოთახის კარი შევაღე... ბიძაჩემი მაგიდას უზის, რომელიც წიგნებითა და გაზეთებით არის დაფარული... ოთახში ჩვენს მეტი არავინ იყო. მოულოდნელად ხმამაღლა

მომმართა: „Молодой человек, скажите, пожалуйста, что пройсходит в Коммунистической Партии Большевиков и Советском правительстве“. ეს ისეთი მკაცრი და იმპერატიული ტონით წარმოთქვა, პირველად შევკრთი კიდეც. შემდეგ განმარტა, თუ რას გულისხმობდა. მცირე პაუზის შემდეგ შევეცადე მისთვის ამეხსნა... ჩემი პასუხით უკმაყოფილომ ხმამაღლა მითხრა: „Нет, молодой человек! Появилась трещина в жизни партии и государства, которая с геометрической прогрессией растет и скоро настанет время, рухнет коммунистическая система и Советское государство. Жаль, что я не доживу до этого дня, но ты активно будешь принимать участие в этой разрухе“. მაშინ, 1962 თუ 1963 წელს ვინ იფიქრებდა, ეს სიტყვები თუ გამართლდებოდა.

— რასაც თქვენ მიამბობთ, ცხადია, მნიშვნელოვანი იყო თქვენი სუბიექტური განწყობილების ჩამოსაყალიბებლად.

— რა თქმა უნდა.

— გახსენდებათ ეს ძველი ამბები, როცა ახლა „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“ მუშაობთ?

— მახსენდება და მეხმარება...

— თქვენთვის, როგორც რეჟისორისთვის, ქაქუცა რითაა ყველაზე საინტერესო?

— კოტე ჩოლოყაშვილმა გვიამბო, როგორ გაიქცა ციხიდან ქაქუცა. მოცეკვავე იყო თურმე და ისე მართავდა სხეულს, თეფშზე ცეკვა შეეძლო. ეშინოდათ მისი გაქცევის და ცალკე გაჰყავდათ სასეირნოდ. ერთ დღეს ჩაფარს შეახტა მხრებზე, ღობეს გადაევლო და გაიქცა... არაჩვეულებრივი დეტალებია ქაქუცას ცხოვრებაში. თურმე რუსეთ-ავსტრიის ომში ნიკოლოზის არმიაში იბრძოდა. ორი გიორგის ჯვრის ორდენი აქვს მიღებული... ოქროს ხმლითაც დაუჯილდოებიათ, მესოპოტამიის უდაბნოში რეიდისას ბედუინი დაუტყვევებია და ანტანტის ჯარების შტაბში მიუყვანია... ეს ამბები იქნება სპექტაკლში.

1914 წლის ომში რუსეთს ხელი ჩაუქნევია — საქართველოს ვეღარაფერი გადაარჩენს, თურქები შემოვლენო. ყარსი და ბაქო უკვე დათმობილი ჰქონდა. გენერალმა დავით ჭავჭავაძემ 3000 კაცს მოუყარა თავი და გაუმკლავდა 25000-იან არმიას. გადამწყვეტ ბრძოლაში კი ჩოლოყაშვილმა გაიმარჯვა ორი ტყვიამფრქვევით და ასი კაცით.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი პოლიტიკოსი არ იყო, ის იყო უზადო მეომარი და ოფიცერი.

— დიდი გატაცებით საუბრობთ სამხედრო კარიერაზე...

— საერთოდ ვფიქრობ, რომ მამაკაცისათვის ყველაზე ღირსეული სამხედრო კარიერაა. საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს სამხედრო ინტელექტუალური ელიტა. ეს აუცილებლად მოხდება, რადგან ჯიში სხვანაირად მოქცევის ნებას არ მოგვცემს. ბევრი ქართველი რუსულ ჯარში წასვლას თავს არიდებდა, მაგრამ ახლა ქართული ჯარი გვყავს, საქართველოს ჯარში სამსახურზე უკეთესი რა უნდა იყოს!

— ისე მელაპარაკებით, მგონი, რეზერვისტად გაწვევაზე ოცნებობთ.

— ამის ვადა, სამწუხაროდ, გამივიდა. ფეხიც მაქვს მოტეხილი და არ ვვარგივარ ამ საქმეში ტატო ბარათაშვილივით, თორემ, რა თქმა უნდა, წავიდოდი. ცოტა ხნის წინ სამხედრო ნაწილში მომიხდა მისვლა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გვაჩუქა ძველი მუნდირები, ჩექმები, იარაღი სპექტაკლისათვის. ამის გამო მოვხვდი იქ. რაც ვნახე, მართლა გამიხარდა. სულ სხვანაირი ჯარი დამხვდა, მოწესრიგებული, ლამაზი...

— დაბოლოს, არის თუ არა საინტერესო ეპიზოდები, რომლებიც სპექტაკლში არ შევა?

— არის. ყველაფერი ერთ პიესაში ვერანაირად ვერ ჩაეტეოდა, ამიტომ შემცირება მოგვიხდა.

■

1914 წლის ომში რუსეთს ხელი ჩაუქნევია — საქართველოს ვეღარაფერი გადაარჩენს, თურქები შემოვლენო. გადამწყვეტ ბრძოლაში კი ჩოლოყაშვილმა გაიმარჯვა ორი ტყვიამფრქვევით და ასი კაცით

ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეუღლესთან ერთად

ქართველ პატრიოტთა ჯგუფი (ცენტრში – ქაქუცა ჩოლოყაშვილი)

„პოპოსეთურ“ საბასურში მამეფეზული „ჭრელი“ ფური

ნათია ქინქიძე

იმის გამო, რომ გადაცემა „პოსტ სკრიპტუმის“ ავტორი და წამყვანი დავით კიკალიშვილი და მისი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი — ეკა ქადაგიშვილი პროფესიონალები არიან, ჟურნალისტის როლის მორგება, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდათ. ის კი არა და, როგორც ჩანს, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ერთმანეთთან ბევრ საკითხზე საუბარს ვერ ახერხებენ, ჩვენ კი ამის საშუალება მივეცით.

ღა რატომ არ უნდა ღათო კიკალიშვილს ეკა ქადაგიშვილის გათხოვება

ქურნალისტი – ღათო კიკალიშვილი
რესპონდენტი – ეკა ქადაგიშვილი

— ეკა, ბაღში რომ დადიოდი, მაშინ გადაწყვიტე ჟურნალისტობა თუ ბებიამ ზოოპარკში რომ წაგიყვანა — მაშინ?

— არა, მე მგონი, სკოლაში როცა დავდიოდი, მაშინ გადავწყვიტე ეს სპეციალობა ამერჩია; თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, ზუსტად არც კი მახსოვს, ეს როდის იყო.

— სკოლაში რომელ წლებში დადიოდი?

— მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მაშინ თუ არ ვცდები, 1990 ან 1991 წელი იყო.

— მაშინ „მეორე არხი“ და სერგი გვარჯალაძე იყვნენ ძალზე პოპულარულები...

— მახსოვს ეგ პერიოდი. „იბერვიზიაც“ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

— როგორ დაიწყო შენი ჟურნალისტური გზა, ეს გავარკვიეთ. ახლა ის მითხარი, ვინ იყო შენი პირველი რედაქტორი?

— პირველად მუშაობა გაზეთ „7 დღეში“ დავიწყე და მაშინ ზვიად ქორიძე იყო ჩემი რედაქტორი. მას მერე ბევრგან ვიმუშავე და ამდენი წლის შემდეგ, ახლა ზვიადი ისევ ჩემი ხელმძღვანელი — ჩვენი გადაცემის პროდიუსერია. კარგად მახსოვს მასთან მუშაობის პირველი პერიოდი.

— ხომ ხედავ, ყველაფერი წრეზე ბრუნავს... პირველი სტატია რაზე დაწერე და მასზე რამდენ ხანს მუშაობდი?

— თავიდანვე სკანდალური ჟურნალისტი არ ვყოფილვარ *(იცინის)*. სულ პირველად მერიაში გამიშვეს. თუ არ ვცდები, მუკბანიანი იყო პრესსამსახურში. მან პატარ-პატარა სოციალური ინფორმაციები მომაწოდა, რომლებიც მე დავამუშავე და სტატიის სახე მივეცი. ძალიან დიდხანს ვწერდი ამ ყველაფერს. მთელი ის პერიოდი ვფიქრობდი — ნეტავ, სტატიებს როგორ წერენ-მეთქი? მაგრამ გამომივიდა.

— პირველად „კურიერში“ რომ მოხვედი, გული არ გაგისკდა?

— რა თქმა უნდა. „კურიერში“ მოსვლისას ვფიქრობდი, მხოლოდ ერთი კვირა ვიმუშავებ, რას ვკარგავ, მერე კი წავალ, რადგან მეტს მაინც ვერ გავძლებ-მეთქი, მაგრამ როგორც ხედავ, ამდენ ხანს შემოვრჩი.

— აფერუმ, შენს „კაცობას“!.. ალბათ მოგზაურობაც გიყვარს. ჩვენთან მუშაობის განმავლობაში, რომელი უფრო მოგეწონა, საფრანგეთის ალპები თუ ინდოეთი?

— ორივე ძალიან კარგი იყო. რაც იქიდან ჩამოვედი, სულ იმას ვამბობ, რომ ერთმანეთს ვერც კი შევადარებ-მეთქი. ინდოეთიდან ჩამოსვლიდან ერთ თვეში, ალპებში წავედი. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. აბსოლუტურად სხვადასხვა სამყაროში ვიყავი. ალპები იმით მომეწონა, რომ იქ კომფორტულ გარემოში ვიმყოფებოდი, რითიც ინდოეთი ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა ისიც თავისებურად საინტერესოა. არ არის აუცილებელი, ყოველთვის კომფორტულად გრძნობდე თავს.

— რომელია შენი ოცნების რეპორტაჟი?

— არ დავაკონკრეტებ, რადგან არ მინდა, ეს ხმამაღლა განვაცხადო. მიახლოებით გეტყვი: მინდა წავიდე ისეთ ადგილას, სადაც არასოდეს არავინ ყოფილა და იქ შევხვდე ისეთ ადამიანს, რომელიც არავის უნახავს. სწორედ ასეთ ადამიანთან მინდა ინტერვიუს ჩაწერა.

— შენ მგონი, თოვლის კაცთან გინდა შეხვედრა.

— დაახლოებით ასეა. მაქვს მაგის პრეტენზია. ასეთი ადგილი ძალზე ბევრია. მინდა, რომ მაყურებელს შევთავაზო ის, რაზეც ფიქრობს — ცხოვრებაში ვერასოდეს ვნახავო.

— შენ რევოლუციაგამოვლილი ჟურნალისტი ხარ, ხომ?

— არა. აღარ გახსოვს? ნოემბრის რევოლუციის მერე, დეკემბრის ბოლოს მოვედი თქვენთან და ამით კმაყოფილი ვარ. მიხარია პოსტრევოლუციური ჟურნალისტი რომ ვარ და იმ პროცესებში მონაწილეობა არ მივიღე. ამით იმ დროს მომუშავე ჟურნალისტებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჟურნალისტი ასეთ რაღაცებში არ უნდა ერეოდეს, ის ნეიტრალური უნდა იყოს. კი უნდა გააშუქოს მსგავსი მოვლენები, მაგრამ ის, რაც „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებმა მაშინ შეძლეს, გმირობის ტოლფასი იყო. შენ რას ფიქრობდი მაშინ, როცა ამ ყველაფერს აშუქებდი?

— ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, საზოგადოებამ სხვა არჩევანი არ დაგვიტოვა. ამ საზოგადოებას უნდოდა, რომ „რუსთავი 2“ მაშინ ასეთი ყოფილიყო. ახლა თემა შევცვალოთ და მითხარი, შენთვის როგორი უფროსი ვარ? ნებას გაძლევ, რომ რაც გინდა, ის თქვა.

— ცუდს არაფერს ვამბობ, რადგან გულწრფელად ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგი უფროსი, გაწონასწორებული ადამიანი ხარ. არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ ძალზე რბილი ან ძალზე მკაცრი ყოფილიყავი, თუმცა ხშირად გვიკამათია. ეს კი იმის ბრალია, რომ საკმაოდ ჯიუტი ხარ. ჩვენი კამათის მერე მიფიქრია, რომ ეს არ იყო საკამათო თემა, მაგრამ ეს ყველაფერი ალბათ იმის ბრალია, რომ მეც ძალზე ჯიუტი ვარ.

— მაგაშია მთელი გემო, როცა კამათობ, ამით უფრო მეტ რაღაცას სწავლობ.

— მართალია. ეს შემოქმედებითად უფრო საინტერესოა. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაიმარჯვებს, მთავარია, რაიმე შედეგს მივაღწიოთ. ამ ბოლო დროს აღარ, მაგრამ ადრე ხშირად ხდებოდა, რომ ცუდ ხასიათზე იყავი და შეიძლებოდა უცებ გაბრაზებულიყავი.

— ყველაზე დიდხანს მივლინებით რომელ ქვეყანაში იყავი?

— ყველაზე დიდხანს ინდოეთში ვიყავი. ორი კვირა დავრჩით იქ.

— ჰო, სანამ იქ იყავით, სულ ვნერვიულობდით, აცრები მაინც გაგვეკეთებინა ეკასთვის და ოპერატორისთვის-თქო...

— მგონი გადავრჩით, მაგრამ ცოტა მაინც მოვიწამლე. იქაურ წყალს საერთოდ ახლოს არ გავკარებივარ. როგორც ჩანს, საკვებმა მომწამლა.

— „რუსთავი 2“-ის გადამკიდე,

MK

პირადი ცხოვრებისთვის თუ იცლი? მე კი ძალზე მეეჭვება, მაგრამ...

— სწორი ეჭვი გაქვს. დღის განმავლობაში 12 საათი სამსახურში ვარ და როდისლა მოვასწრებ პირადი ცხოვრების მიხედვას? არ გეშინია, რომ გასათხოვარი დავრჩე?

— **სერიოზულად ვნერვიულობ მაგ საკითხზე. სულ ვფიქრობ ხოლმე, ახლა ეკას თავში რომ დაარტყას და გათხოვდეს, მერე დაახლოებით სამი თვე ხომ მაინც წავა სამსახურიდან-მეთქი. არა, სამი მეტისმეტია, ერთი თვე წახვალ ალბათ. მერე ბავშვის გაჩენასაც რომ დააპირებ, კიდევ წახვალ და სიუჟეტებზე ვინღა იმუშავებს? არა, არ უნდა გათხოვდე.**

— არ გეშინია, უცხოეთში ჩემს პრინცს რომ შევხვდე და რეპორტაჟზე გაშვებული, იქ დავრჩე?

— **არა, სამსახურში ეგეთი თავქარიანი ხალხი არ მყავს. მათ შორის, არც შენ ხარ ეგეთი, თანაც ორ-სამ დღეში იმედი მაქვს, ვერ მოასწრებ.**

— დათო, ქორწილში დაგპატიჟებ, არ გინდა?

— **ეგ კი იქნება პატარა კომპენსაცია (იცინის). მაგრამ იცოდე, ქალისთვის, რომელიც მუშაობს, ოჯახი დიდი ტვირთია...**

ჟურნალისტი – ეკა ქადაგიშვილი
რესპონდენტი – დავით კიკალიშვილი

— **როგორც ცნობილია, გიგი უგულავამ თქვენთან ძალზე ცოტა ხანს იმუშავა, მერე კი ქალაქის მერი გახდა. შენ როგორ ფიქრობ, ჯობია, ისეთი წარმატებული ჟურნალისტი იყო, როგორიც შენ დღეს ხარ, თუ ქალაქის მერობა უკეთესია?**

— რა ვიცი. პირადად მე, ქალაქის მერი ვერასოდეს ვიქნებოდი. მე მთელი არსებით ჟურნალისტი ვარ. რასაც ვაკეთებ, ის საქმე მიყვარს. გიგი კი ყოველთვის „პროტესტანტი“ იყო. მას შეუძლია ქალაქის მერობა.

— **შენ არ იყავი „პროტესტანტი“?**

— მაშინ ორივე ახალგაზრდები ვიყავით და გვეგონა, ქვეყანას ამოვაბრუნებდით. გიგის ეს გამოუვიდა, რაც ძალიან გამიკვირდა. ჩვენ იმ თაობის წარმომადგენლები ვართ, რომლებმაც სამოქალაქო ომი გამოიარეს, რომელთაც იმედი გაუცრუეს ეროვნულმა ლიდერებმა, რომლებიც ბევრს ყაყანებდნენ, მაგრამ არაეფექტური პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ. მათ ვერ გათვალეს, რომ ქვეყნის სათავეში მოსვლა დიდი პასუხისმგებლობა იყო. ქვეყანა სამართავი იყო. მათ ჩვენს თაობას აჩვენეს: სამოქალაქო ომი, დაკარგული ცხინვალი და აფხაზეთი, რასაც ჩვენ მათ ახლაც კი ვერ ვუვიწყებთ... სწორედ ამ უკმაყოფილების შედეგი იყო ის რევოლუციაც. ზვიად გამსახურდიას შემდეგ ვინც ქვეყნის სათავეში მოვიდნენ, მათ მიიჩნიეს, რომ სიტუაცია უნდა დაებალანსებინათ და დაეკონსერვებინათ. მერე ეს კონსერვაცია ისე მოეწონათ, რომ იფიქრეს, მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ შეცდნენ. ეს ყველაფერი კარგი გაკვეთილია მათთვის, ვინც ახლაა ხელისუფლებაში მოსული. გიგიმ სხვა გზა გაიარა. ის „ენჯეოში“ მუშაობდა და სხვანაირი გამოცდილება ჰქონდა, რაც ბიუჯეტის განკარგვასთან იყო დაკავშირებული. ფინანსებთან მუშაობას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. მერე პარტიაში იყო, რაც პოლიტიკის ნაწილია. ეს მისთვის საკმაოდ დიდი გამოცდილების მომტანი იყო... კარგად მოლაპარაკე ადამიანი იმას არ ნიშნავს, რომ ის კარგი პოლიტიკოსი იქნება...

— **როცა ჩვენთან ახალი ჟურნალისტი მოდის, პირველ რიგში, რას აქცევ ყურადღებას?**

— „რუსთავი 2“-ზე ყოველთვის ასეთი წესი იყო: ერთი წლის განმავლობაში ჟურნალისტისთვის აქ ყოფნა ჯოჯოხეთის ტოლფასი იყო. ამ ერთ წელს თუ გადაურჩებოდა, მერე მუშაობდა ჩვენთან თავისუფლად. ისიც არის, რომ ადამიანს რაღაც ამბიცია უნდა ჰქონდეს. ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიტუაციასთან შეგუებას ცდილობს და საკუთარი აზრის გატანაზე არ ზრუნავს, ვერაფერს მიაღწევს. ამბიციური ადამიანი, რომელიც სულ კამათობს, გაცილებით დიდ შედეგს აღწევს, ვიდრე ის, რომელიც მხოლოდ სხვის დავალებას ასრულებს.

— **ასეთი ადამიანები არ გაღიზიანებენ?**

— არა, რადგან ტელევიზიაში არის ისეთი ფენა, რომელიც, ჩვენი ენით რომ ვთქვათ, კადრ-სინქრონზე მოსიარულეა. სამწუხაროდ ჯერჯერობით ეს დონეა. იქიდან მერე შერჩევა ხდება და „ზევით“ ადიან.

— **არ ფიქრობ, რომ დამწყები ჟურნალისტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამართლებას?**

— არა, გამართლება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ გაგიმართლებს და ძალიან მაგარ რეპორტაჟს მოამზადებ.

— **მე ასე არ ვფიქრობ, რადგან როცა აქ მოვედი, გამიმართლა და ნათია ზამბახიძემ რაღაც სიუჟეტის მომზადება დამავალა ანუ მან მომცა შანსი, რომ წინ წავწეულიყავი. ხომ შეეძლო, რომ არ დაევალებინა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ შენ უკვე აქ იყავი და იმიტომ დაგავალეს... ჩემს პირველ რეპორტაჟს ზუსტად ორი კვირის განმავლობაში ვამზადებდი. ახლა რომ არის ანსამბლი „შინი“, ადრე მას „ადიო“ ერქვა და რეპორტაჟი მისი წევრების შესახებ გავაკეთე. ორი კვირა ვიმუშავე და ზუსტად ერთწუთიანი სიუჟეტი გავიდა ეთერში. მაშინ „მეორე არხზე“ ვმუშაობდი.

— **რაც აქ ვმუშაობ და მივლინებებში დავდივარ, სულ ეს კითხვა მაწვალებს და ახლა უნდა დაგისვა: არ გშურს ხოლმე ჩვენი, როცა იცი, რომ რამდენიმე ადამიანი სულ სხვადასხვა ქვეყანაში დავდივართ, შენ კი სულ სტუდიაში ზიხარ და ვერსად წახვალ?**

— რა თქმა უნდა, მშურს. ეს შური კი მხოლოდ თეთრი და შავი კი არა, ყველანაირი ფერის არის. მოგზაურობა მართლაც კარგია. შესაძლოა, იმ კონკრეტულ რეპორტაჟში არ გამოიყენო, მაგრამ თავისთავად იმდენ ახალ ინფორმაციას იგებ, იმდენ რაღაცას აწყდები, რომ მომავალში აუცილებლად ამოტივტივდება შენს მუშაობაში. უეცრად თავში რაღაც იდეა მოგივა და როცა გააანალიზებ, თუ საიდან მოვიდა ეს ყველაფერი, მაშინ ხვდები, რომ თურმე რომელიღაც ქვეყანაში რაღაც მსგავსი გინახავს.

— **მაშინ კითხვას ასე დაგისვამ: როცა ჩვენ მიერ უცხოეთში გაკეთებულ რეპორტაჟებს უყურებ, სად გინდება წასვლა ყველაზე მეტად?**

— ასეთნაირად თუ ვიმსჯელებთ, ყველგან მინდა, რომ ვიმოგზაურო. ინდოეთიც საკმაოდ საინტერესოა, საფრანგეთიც, ესპანეთიც...

— **თუ გინდა, დაგითმობ ერთ-ერთ მოგზაურობას... როგორ ეგუები ჩვენი გადაცემის ახალ სტუდიას?**

— კარგია, ამხელა სივრცე რომ გვაქვს, ჩვენ ეს გვჭირდებოდა, რადგან შეუძლებელია, ერთი და იმავე ადგილიდან მკვლელობაზეც გელაპარაკა და მოგვიანებით, სექსმუზეუმის შესახებ მოგეთხრო. ამისთვის დინამიკა იყო საჭირო. ამიტომაც ეს სივრცე მოძრაობის საშუალებას გვაძლევს. ჩვენი მიზანია, რომ გადაცემა უფრო მრავალფეროვანი გახდეს, უფრო დინამიკური და გვინდა, რომ ყოველი თემით საზოგადოების ინტერესი გავაღვივოთ.

— **ნერვიულობდი, ვიდრე ახალ სტუდიაში გადახვიდოდი?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერს მიჩვევა უნდა. თავში ხომ უნდა ჩამებეჭდა, სად იდგა მეოთხე კამერა, რამდენი მეტრია, რა სივრცეა, ამ სივრცეში როგორ გადაადგილდები. თანაც პროგრამაში ჟურნალისტებთან ურთიერთობის უფრო მეტი საშუალება მაქვს. საერთოდ, ყველაფერი წინასწარ გათვლილი და მოზომილი უნდა იყოს. ■

2007 ცალი ეკეთვალა ეროტიკული

ეროტიკული სამგარეულო და „სიყვარულის მენიუ“

ანუ პოტენციის ასამაღლებელი „მამაკაცური ფიჭამანდი“

ხშირად ადამიანის სექსუალური შესაძლებლობა მისი კვების მენიუზეა დამოკიდებული. უძველესი დროიდან მოყოლებული, ადამიანები მიირთმევენ მცენარეული და ცხოველური წარმომავლობის ისეთ პროდუქტს, რომელიც პოტენციის ამაღლებას უწყობს ხელს. ასეთ გრძნობების აღმძვრელ პროდუქტებს მიეკუთვნება კიბორჩხალა, კვერცხი, ხახვი, თაფლი, თხილი და კაკალი, შოკოლადი, ხამანწკა, ნიორი, სუნელ-სანელებლები, ნიახური. თანამედროვე მედიცინა ამტკიცებს, რომ საკვების მირთმევის შემდეგ, ადამიანის აღგზნებას მასში შემავალი A, E, B და C ვიტამინები იწვევს.

როგორც ქალის, ისე მამაკაცის სექსუალური სიმტკიცე (თანაც, რკინისებრი) დამოკიდებულია E ვიტამინზე. ამ ვიტამინს შეიცავს კვერცხი, შემწვარი თევზი, კენკრა.

A ვიტამინი დადებით გავლენას ახდენს როგორც მხედველობის ორგანოზე, ისე ნივთიერებათა ცვლაზე, რაც დადებითად აისახება ადამიანის სექსუალურ შესაძლებლობებზე. A ვიტამინს შეიცავს ცხოველური ცხიმი, რძე, ყველი, სტაფილო, სალათის ფოთოლი, ისპანახი, ნიახური.

B ჯგუფის ვიტამინები ხელს უწყობს ნერვულ გამტარობას, რაც მნიშვნელოვანი პროცესია სქესობრივი აღგზნებისას. B ჯგუფის ვიტამინებს დიდი რაოდენობით შეიცავს კარტოფილი, პარკოსანი კულტურები, რძის ნაწარმი, ხორცი, თევზეული, ყვავილოვანი კომბოსტო, პამიდორი, მარცვლეული.

ვიტამინი C არა მარტო იმუნიტეტის გაძლიერებას, არამედ სისხლის მიმოქცევის მოწესრიგებასაც უწყობს ხელს. ეს ვიტამინი დიდი რაოდენობითაა ისპანახში, მოცხარში, ლიმონში, ჩვეულებრივ თუ ყვავილოვან კომბოსტოში, ქაცვში.

გარდა ვიტამინებისა, ეროტიკული კერძი საკმაო რაოდენობით უნდა შეიცავდეს ცილას, ცხიმსა და ნახშირწყლებს. საკვები უნდა იყოს მაღალკალორიული და თანაც, დაბალანსებული.

სახალხო მედიცინა ასწლეულების მანძილზე აგროვებდა ცოდნას იმ ხილის, ბოსტნეულის თუ ბალახების შესახებ, რომელიც ადამიანს აღაგზნებდა. ცხადია, მაგალითად ის, რომ ნებისმიერი ბოსტნეული თუ ხილი რაღაც დოზით პოტენციის ამაღლებას უწყობს ხელს. ასეთი ეფექტის მოხდენა შეუძლია: თხილს, ფსტას (ე.წ. „ფისტაშკა“), მიწის თხილს, კაკალს... სუნელ-სანელებლები და მწვანილები სისხლის მიმოქცევას აძლიერებს და ამიტომ, ისინიც უნდა შედიოდეს ეროტიკული საკვების რაციონში (დანდური, პიტნა, კრაზანა, ზირა (იგივე ზირაკი), ტარხუნა).

დეკორატიული მცენარეებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სამკურნალო ბაბუაწვერა იქცევს.

მისი რამდენიმე ფურცელი ან ყვავილი მამაკაცებს „სასიყვარულო ლოჟაში“ ყოფნისას, თავდაჯერებას მატებს... ტყის მცენარეებიდან კარგია ჭინჭარი და ოროვანდის ფოთლები. თუ ამ მცენარეებს მამაკაცებთა რაციონს სისტემატურად დაუმატებთ (უმჯობესია, თუ მათ სალათის სახით მიართმევთ), მაშინ თქვენი პარტნიორის სექსუალური შესაძლებლობები საგრძნობლად გაიზრდება.

„სიყვარულის მენიუს“ განსაკუთრებულ კომპონენტად მიიჩნევა ყველი და ხაჭო. მას მიირთმევენ ბოსტნეულის სალათასთან, ხორცის ან თევზისგან მომზადებულ კერძთან ერთად.

მამაკაცებისთვის პოტენციის ასამაღლებლად კარგია, თუ მიირთმევენ ოხრახუშის ან ნიახურის სალათას (რომელსაც უნდა დაუმატოთ ძმარი და მზესუმზირის ზეთი), მოხარშულ თალგამს ხორცთან ერთად, მტრედის კვერცხს, ჭარხალს (ნებისმიერი სახით).

ეროტიკულ კულინარიაში მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ამუშავებენ პროდუქტს კერძის მომზადების დროს. ამისთვის, ხორცს ან ბოსტნეულს წინასწარ ცხელი, მარილიანი წყალი უნდა დაასხათ, ქურაზე შემოდგათ და წყალი ადუღებამდე მიიყვანოთ. შემდეგ ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგათ და ნახევარი საათის მერე, ისევ წამოადუღოთ.

2007 ეროტიკული ვარცხნილობა

ეროტიკულ კულინარიაში გავრცელებულია მეთოდი, ე.წ. „ბალახის ბალიშები“, რომლის მომზადებისას ქვაბის ფსკერზე აწყობენ ბალახის ერთ ფენას, რომელსაც სანელებელს მოაყრიან, შემდეგ ფენა-ფენა ბოსტნეულს, ხორცს, თევზს ან კარტოფილს იმისდა მიხედვით, თუ რისი მომზადება სურთ. სულ ბოლო ფენა სანელებელმოყრილი ბოსტნეული უნდა იყოს.

„სიყვარულის ღამეს“ დათრობას ან კუჭის გადატვირთვას მსუყე, ძნელად მოსანელებელი კერძებით ნამდვილად არ გირჩევთ. რომანტიკული ვახშმის შემდეგ, კაცი არც მშიერი უნდა იყოს და არც — მაძღარი. მიირთვით გემრიელი, მსუბუქი და როგორც კუჭისთვის, ისე სექსუალური შესაძლებლობებისთვის სასარგებლო საკვები. მაგალითად, მოლუსკი ან კიბორჩხალას ნებისმიერი სახეობა...

აღმგზნები შემადგენლობით გამოირჩევა ნაზავი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: თაფლს დაასხით 300 გ რძე, შეურიეთ 2 კვერცხი, 1 ს/კ ლუდის საფუარი და მიირთვით. ეს მასა ინტიმური ურთიერთობის შემდეგ ძალების კარგ აღმდგენ საშუალებადაც მიიჩნევა.

ბარდა, ვაშლი და ბროწეული შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ქალის სქესობრივი ჰორმონების გააქტიურებას უწყობს ხელს. თანაც, თუ სუსტი სქესის წარმომადგენლები ამ პროდუქტებს დიდი რაოდენობით მიირთმევენ, ეს იმის გარანტიაა, რომ კლიმაქსური პერიოდი გვიან დაეწყებათ.

სიყვარულის მენიუ

• ინდურ წიგნში — „კამასუტრა“ — აღწერიალია სიყვარულის ტექნიკა. იქვე აღნიშნულია, რომ კარგია, თუ სასიყვარულო ღამის დაწყებამდე რძეში მოხარშულ ან ხახვთან და თაფლთან ერთად მოშუშულ ბრინჯს მიირთმევთ.

ეროტიკულ კერძს, რომლის რეცეპტსაც ახლა შემოგთავაზებთ, საკუთარი ხელით ამზადებდა საფრანგეთის მეფე, ლუდოვიკო XV მანამ, სანამ პაემანზე წავიდოდა.

მოსამზადებლად საჭიროა: 6 კვერცხი, 100 გ კარაქი, 200 გ შაქარი, 6 ნუშის ორცხობილა. მომზადების წესი: კვერცხის გული ცილისგან გააცალკევეთ, დაუმატეთ შაქარი და კარგად ათქვიფეთ. ცალკე ათქვიფეთ ცილა და შემდეგ, ფრთხილად შეურიეთ კვერცხისგულიან მასაში. დაუმატეთ რძე და დაფშვნილი ორცხობილა. გააცხელეთ ტაფა, მასზე მოათავსეთ კარაქი. როცა გალღვება, მიღებული მასა ტაფაზე დაასხით და მსუბუქად შეწვით. დესერტი 2 ნაწილად გაყავით, ორივე ნაწილი ცალ-ცალკე, ლამაზ ლანგარზე მოათავსეთ და ზემოდან ვანილი მოაყარეთ.

• ადრეულ წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „პაპების სოუსი“, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: რამდენიმე ნაჭერ ხბოს ხორცს დაუმატეთ 1 ჩ/კ კარაქი, წვრილად დაჭრილი ლორი, ნიახური, ხახვი, ოხრახუში და სტაფილო. ცოტა ხანს დააყოვნეთ და შემდეგ მოასხით 1 ს/კ თეთრი ღვინო და ბულიონი, მოაყარეთ მიხაკი, დარიჩინი, ლიმონის დაქუცმაცებული ქერქი, რამდენიმე კბილი დაჭყლეტილი ნიორი. ეს მასა შეწვით ნელ ცეცხლზე. როგორც ცნობილია, ეს კერძი სასწაულებს ახდენდა, რადგან ადამიანს სექსუალურად ძალიან აქტიურს ხდიდა.

• მამაკაცური პოტენციის გაძლიერებაში დაგეხმარებათ ასევე ბრინზა (ყველი) კვერცხით.

მოსამზადებლად საჭიროა: 2 კვერცხი, 1 ს/კ გახეხილი ბრინზა, 1 ს/კ ხაჭო, 1 ცალი გახეხილი კიტრი, 1 თავი ხახვი და მარილი (გემოვნებით).

მომზადების წესი: კვერცხი მოხარშეთ, დაჭერით და დაუმატეთ გახეხილი ბრინზა, კიტრი, წვრილად დაჭრილი ხახვი, ხაჭო და მარილი.

• XV-XX საუკუნეებში, რუსეთში პოტენციის ასამაღლებლად ამზადებდნენ ე.წ. „მამაკაცურ შეჭამანდს“.

მოსამზადებლად საჭიროა: 2 ს/კ ძალიან წვრილად დაჭრილი ან ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ხორცი, ცოტა დაფშვნილი ძვალი, 1 სტაფილო, 1 ხახვი, 1 საშუალო ზომის თალგამი, ბაბუაწვერას 4-5 ფურცელი, 1 ს/კ დაქუცმაცებული ჭინჭარი, ცოტა არაჟანი, მარილი.

მომზადების წესი: ქვაბში ჩაყარეთ ძვლის ნაფხვენი და ხორცი, აურიეთ, დაუმატეთ სტაფილო, ხახვი, თალგამი, დაასხით ადუღებული, მარილიანი ცხელი წყალი და შემოდგით ქურაზე. ადუღების შემდეგ, ხარშეთ 10 წუთის განმავლობაში. მერე ქურიდან გადმოდგით და 30 წუთი ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ. გარეცხილი და დაჭრილი ბაბუაწვერას ფოთლები და ჭინჭარი ლანგარზე დააწყვეთ, დაუმატეთ თბილი შეჭამანდი და ბოლოს, არაჟანი მოასხით. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. სტრესი უსასტიკესი მკვლელია.
2. ადამიანთა უმრავლესობა ტრავმებს საკუთარ ბინაში იღებს.
3. მომღერალ რომან ბასკოვს რუსები ასე ეძახიან — „ზოლოტოი გოლოს რასიი“.
4. დრიფტერი საზღვაო თევზსაჭერი გემია, რომლიდანაც ბადით თევზაობენ.
5. ძველ საბერძნეთში, მსუბუქად შეიარაღებულ მებრძოლებს გიმნეტებს ეძახდნენ.
6. ღია კოსმოსში მომუშავე არც ერთ ასტრონავტს დღემდე არაფერი დაშავებია.
7. გორბაჩოვს „პერესტროიკის“ არანაირი პროგრამა არ ჰქონია.
8. სტატისტიკის მიხედვით, რუსეთში ყველაზე იშვიათად ავტომობილ „მოსკვიჩს“ იტაცებენ.
9. „ამ ქალაქისგან არასდროს იღლები“, — ამბობენ პარიზის შესახებ უცხოელი მილიონერები.
10. ამას წინათ, ვიღაც გარეწრებმა მიხაილ ჟვანეცკი უმოწყალოდ სცემეს და ავტომობილი წაართვეს.
11. „ქვეყნად არაფერია უმრავლესობაზე უფრო მეტად ამაზრზენი“, — ამბობდა იოჰან ვოლფგანგ გოეთე.
12. პუშკინს და დოსტოევსკის საკუთარი ბინები არ ჰქონიათ. ისინი პეტერბურგში ქირით ცხოვრობდნენ.
13. „ლეჟატ პოეტი ნა ხოლმახ პუსტინნიხ, ი ნეპონიატნო, ვ ჩომ ჟე კორენ ზლა, შტო ვ პოედინკე უცელელ მარტინოვ, ი შტო სუდბა დანტესა სბერეგლა“, — წერდა ალექსანდრ გოროდნიცკი.
14. რედიარდ კიპლინგი „მაუგლის“ პერსონაჟს, ძერა ჩილის ყველაზე გულგრილ არსებას ეძახის და ამბობს: იცის, ადრე თუ გვიან, ყველა მისი ლუკმა გახდებაო.
15. თხევადი პროდუქტების შესყიდვის დროს მიცემულ შეღავათს, ფასდაკლებას გაჟონვის გათვალისწინებით, კულაჟი ჰქვია.
16. „ვაშლის ჩაკბეჩის შემდეგ, მასში საღ-სალამათი მატლის აღმოჩენა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ვაშლთან ერთად მოკბეჩილისა“, — ამბობს მარტი ლარნი.

17. უინსტონ ჩერჩილი, ერნესტ ჰემინგუეი, ფიდელ კასტრო კუბურ სიგარას აღმერთებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ იგი აუცილებლად ხელით უნდა ყოფილიყო დამზადებული.
18. მავრიკიის გერბზე გამოსახული და

„ცოლის შერთვას და ოჯახის შექმნას, მანამდე არ ვაპირებ, სანამ ცხოვრებას ისე არ მოვიწყობ, როგორც მე მინდა“, — მითხრა ყოფილმა „ჯეოობარელმა“, ამჯერად კი ჩვენმა „სასიძომ“ ბესო სარჯველაძემ. მის თაყვანისმცემლებს ვეტყვი, რომ თუკი რომელიმე თქვენგანი ბესოს გულის მოგებას აპირებს, მისი ინტერვიუ გულდასმით წაიკითხეთ და აუცილებლად მიხვდებით, თუ როგორ მოაწონოთ მას თავი.

„საფლირტაციო აქტიურ მოგონას ავირჩევდი, სერიოზული ურთიერთობისთვის - ტიპურ ქართველს“...

სოფო ჭონიშვილი

— ბესო, თავდაპირველად, შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს, დედ-მამა და ბევრი ნახევარდაძმა *(იცინის)*: მამაჩემს ცოლების „კოლექცია“ ჰქონდა... თითოეულ მათგანთან კარგი ურთიერთობა მაქვს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბოლო დროს უფროს დასთან ურთიერთობა დამეძაბა, რაშიც თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ამიტომ, შევეცდები, ეს შეცდომა როგორმე გამოვასწორო. თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მე-60 სკოლა დავამთავრე.

— რა პროფესიის ხარ?

— სხვათა შორის, ბევრი პროფესია მაქვს. ტექნიკურ უნივერსიტეტში, გეოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, პარალელურად პრაქტიკული ფსიქოლოგიის კურსებს გავდიოდი. ამ ბოლო დროს კი საზოგადოებრივი პიარის შესწავლით დავინტერესდი, უამრავი ლიტერატურა მოვიძიე და ვცდილობ, ამ საქმეს საფუძვლიანად დავეუფლო.

— რამდენი წლის ხარ?

— 24-ის.

— ხშირ შემთხვევაში, ადამიანებს საკუთარ თვისებებზე თამამად და გულახდილად ლაპარაკი უჭირთ, თუ შეგიძლია ჩამოთვალო, შენი დადებითი და უარყოფითი თვისებები?

— საკუთარ თავსა და თვისებებზე საუბარი თამამად შემიძლია, რაშიც ფსიქოლოგიური ცოდნა მიწყობს ხელს. დიდი ხანია, მივხვდი იმას, რომ თუკი საკუთარი თავი თვითონ არ წარმოაჩინე, შენ მაგივრად ამას, ვერავინ გააკეთებს. ადამიანს, რომელსაც საკუთარ თვისებებზე ლაპარაკი უჭირს, მიზანს ვერასოდეს მიაღწევს. ჩემი ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ძილი მიყვარს. ამ ბოლო დროს ვცდილობ, ამ მხრივ გამოვსწორდე, დილით ადრე გავიღვიძო, ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვრო. მეორე — არ ვიქნები მართალი, რომ გითხრა — არასდროს ვიტყუები-მეთქი, თუმცა ჩემი ტყუილებით არავის ვაზარალებ. ხანდახან არის ისეთი მომენტები, როცა იძულებული ხდები, მოიტყუო.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— თვის მიხედვით — კურო, წლის მიხედვით — ძაღლი.

— ძაღლის წელში დაბადებული ადამიანები ერთგულებით გამოირჩევიან. შენ თუ შეგიძლია დაიკვეხო ამ თვისებით?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთგული ადამიანი ვარ. თუმცა ხშირად მეუბნებიან, რომ... როცა ადამიანისგან რამდენჯერმე იგრძნობ, რომ შენ მიმართ ორგულობას იჩენს, მაშინ მის მიმართ ერთგულების გამოხატვა ზედმეტად მიმაჩნია.

— ეი. გქონია ისეთი შემთხვევა, როცა შენთვის ულალატიათ?

— საერთოდ, ადამიანის ცნობის დიდი ნიჭით ვარ დაჯილდოებული. როცა პიროვნებაში ეჭვი მეპარება, მასთან ყველანაირ ურთიერთობას ვწყვეტ ანუ არ ვაძლევ საშუალებას, ურთიერთობა იქამდე მიიყვანოს, რომ მიღალატოს.

— რა არის შენი ჰობი?

— ნადირობა, მთაში სიარული... ხშირად მეგობრებთან ერთად, ორგანიზებულად რამდენიმე დღით მთაში მივდივარ, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. სხვათა შორის, სწორედ იქ ვახერხებ ადამიანების — ანუ ამ შემთხვევაში მეგობრების კარგად გაცნობას, იმის გაგებას, თუ ვინ როგორი ადამიანია, ვის რა შეუძლია, ვინ არის კეთილი და ვინ — ბოროტი.

— რას ნიშნავს შენთვის პასუხისმგებლობა?

— მთლად გაბედულად ვერ გეტყვი, პასუხისმგებლობის გრძნობა უმაღლეს დონეზე მაქვს განვითარებული-მეთქი, მაგრამ რაც მთავარია, ვცდილობ, ამ მხრივ საკუთარ თავზე ბევრი ვიმუშაო.

— კიდევ, რა ცუდი თვისება გაქვს, რომელიც იცი, რომ ცუდია და ცდილობ, გამოასწორო?

— ვიცი, რომ სიგარეტის მოწევა ცუდი ჩვევაა, მაგრამ კიდევ უფრო ცუდი ის არის, რომ არ მინდა, ამ მავნე ჩვევაზე უარი ვთქვა.

— უნებისყოფო ადამიანი ხარ?

— არა. ნებისყოფა მაქვს და საჭიროების შემთხვევაში, ვავლენ კიდეც, მაგრამ სიგარეტისთვის თავის დანებებაში უნებისყოფო აღმოვჩნდი.

— ალკოჰოლური სასმელები გიზიდავს?

— ხშირად არ ვსვამ, გააჩნია სიტუაციას. ყველგან და ყველასთან არ ვთვრები...

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— იდეალური. თუ ვინმე არ ამიშარდა, ჩემთვის ჭკვიანად ვარ.

— გაბრაზებას როგორ ამჟღავნებ?

— ოო, ძალიან ცუდად... თუმცა გააჩნია, ვინ მაბრაზებს. თავიდან ვცდილობ, გაბრაზება მკვეთრად არ გამოვხატო... თუ ტკბილი სიტყვით არაფერი გამომივიდა, მერე უკვე თავზე კონტროლს ვკარგავ... საერთოდ კი „საბრძოლო მოქმედების“ მომხრე ნამდვილად არ ვარ. თუმცა 25 აპრილს რეზერვისტად მივდივარ.

— შენს საუკეთესო თვისებად რას მიიჩნევ?

— იმას, რომ სიყვარული შემიძლია და არა მარტო სიყვარული — სიყვარულის სიყვარულიც შემიძლია.

— სიკეთის თესვა გიყვარს?

— ვეთანხმები გამონათქვამს: „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“.

— ოჯახში ყველაზე ხშირად რის გამო გაყვედურობენ?

— არ მოსწონთ, როცა თმას ძალიან მოკლედ ვიკრეჭ, არც ის მოსწონთ, ბლანჟეს რომ ვატარებ. დედა მეჩხუბება — გაბერებსო. სხვა მხრივ, არაფერზე. ჩემმა მშობლებმა იციან, სადაც არ უნდა ვიყო და რა სიტუაციაშიც არ უნდა მოვხვდე, ცუდს არაფერს გავაკეთებ — საკუთარ თავს არაფერს ვავნებ.

— ეი. ჭკვიანი ბიჭი ხარ?..

— *(იცინის)* შეიძლება ასეც ითქვას.

— თუ გეუბნებიან, დროა, ცოლი მოიყვანო და ოჯახი შექმნაო?

— ჯერჯერობით არა. საერთოდ, მშობლებს არ უყვართ, როცა შვილები მიდიან და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ.



— ეი. გადაწყვეტილი გაქვს — როცა ცოლს მოიყვან, ცალკე უნდა იცხოვროთ?

— აუცილებლად. მშობლებთან ერთად ცხოვრებას არ ვაპირებ. თუმცა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა ხშირად გვექნება.

— მამაკაცური საქმის კეთება თუ გეხერხება?

— კი, როგორ არა. ელექტრო და წყალგაყვანილობის შეკეთებაც კი შემიძლია. ყველაფერი მეხერხება, სახლში თუ რაიმე გაფუჭდება, შეკეთების პრობლემა არ მაქვს.

— საჭმლის მომზადება თუ იცი?

— კვერცხის და კარტოფილის შეწვა ვიცი. რთულ კერძებს ვერ ვამზადებ.

— ოდესმე პერანგი თუ გაგიუთოებია?

— გამირეცხავს და გამიუთოებია კიდეც. მარტო ცხოვრებამ რომ მომიწიოს, ჩემს თავს მშვენივრად მოვუვლი.

— მოდი, ახლა, საუბრის თემა შევცვალოთ და მითხარი, როგორი გოგონები მოგწონს?

— თინეიჯერობის პერიოდში, შავგვრემანი და ხუჭუჭთმიანი გოგონები მომწონდა. შემდეგ უკვე, უპირატესობას ქერა გოგონებს ვანიჭებდი. ამჟამად ზუსტად ვერ გეტყვი... საერთოდ მიმაჩნია, რომ გარეგნობა მთავარი ნამდვილად არ არის. მთავარი ურთიერთგაგება და პატივისცემაა.

— ყველაზე მეტად, ქალში რა თვისებას აფასებ?

— ერთგულებას და ისევ ერთგულებას... ხშირად ხუმრობენ — როცა გოგოზე ამბობენ, კარგი ბუნებისააო, — ბუნება ბორჯომშიც კარგიაო... ურთიერთობის აწყობა სწორედაც რომ ადამიანის ბუნებასა და მის სულიერ სამყაროზეა დამოკიდებული.

— ოდესმე თუ გიფიქრია იმაზე, როგორი უნდა იყოს შენი ქორწილი?

— კი. საერთოდ რაც უფრო ხშირად აწყობ გეგმას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გინდა და როგორ, კონკრეტულ შემთხვევაში ამ გეგმის განხორციელება შედარებით გიადვილდება. დიდი სურვილი მაქვს, ზუგდიდში დადიანების სასახლის ეზოში, შუა საუკუნეების დროინდელი წვეულების მსგავსი ნადიმი გავმართო. ულამაზესი ადგილია, იქვე ეკლესიაცაა, სადაც მე და ჩემი რჩეული ჯვარს დავიწერდით. ამ წვეულებაზე, რა თქმა უნდა, ჩოხა მეცმებოდა. იმავე საღამოს კი საქორწინო მოგზაურობაში წავიდოდით.

— რომელ ქალაქში?

— თაფლობის თვეს, დიდი სიამოვნებით პარიზში გავატარებდი. პარიზი ხომ სიყვარულის ქალაქია.

— ბესო, როგორი გოგონები იქცევენ შენს ყურადღებას — თამამი და აქტიური თუ მორცხვი და კდეადამამოსილი?

— გააჩნია სიტუაციას — ანუ იმას, თუ მასთან დაახლოება რა ურთიერ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ამჟამად გადაშენებული ფრინველი დრონტი კუნძულზე დასახლებულმა ჰოლანდიელებმა გაწყვიტეს. დრონტი 16 კილოგრამს იწონიდა და ფრენის უნარი დაკარგული ჰქონდა.

19. აბას ხალაფი ერაყის ყოფილი ელჩი რუსეთში და სადამ ჰუსეინის პირადი თარჯიმანი გახლდათ. ერაყის დიქტატორისადმი განსაკუთრებული ერთგულებისთვის, მან მისგან ოქროსგან დამზადებული პისტოლეტი მიიღო საჩუქრად.

20. „მთავარია მონაწილეობის მიღება და არა — გამარჯვება...“ — თავს იმშვიდებდნენ გერმანელები 1945 წლის 9 მაისს“, — არ ეშვება გერმანელების დაცინვას მიხაილ ზადორნოვი.

21. „შესაძლოა, ყოველთვის ასულელო ზოგიერთნი, შესაძლოა, ცოტა ხნით ასულელო ყველა, მაგრამ არ შეიძლება ყოველთვის ყველა ასულელო“, — ამბობდა აბრაამ ლინკოლნი.

22. დავით სოსლანი საქართველოს სამეფო კარზე თამართან ერთად იზრდებოდა. ორივეს თამარის მამიდა, რუსუდანი (გიორგი III-ის და და სამშობლოში მობრუნებული ერაყის სულთნის ქვრივი) ზრდიდა.

23. ერთ-ერთი რუსული ტელეარხის იუმორისტულ გადაცემაში ნაჩვენებ კურიოზს, რომელშიც ვიღაც ლამაზმანს ქვედა საცვალი შემთხვევით ჩასძვრა, დიქტორის გენიალური კომენტარი ახლდა: „ტაკაია ვოტ, ნეჩაენნაია რადასტ!“

24. II მსოფლიო ომისდროინდელ ამერიკულ ტანკ „შერმანს“ წინ დამონტაჟებული ჰქონდა მექანიზმი, რომელსაც „შერმანის კიბორჩხალას“ ეძახდნენ. მოძრაობისას წინ გაშვერილი ცილინდრი იწყებდა ტრიალს, მასზე დამაგრებული ჯაჭვები მიწის ზედაპირს ხვდებოდა და ქვეითი ჯარისთვის განკუთვნილ მინებს აფეთქებდა. ტანკი წინ მიიწევდა და ქვეითი ჯარისთვის უსაფრთხო კორიდორს ქმნიდა.

25. 1957 წელს, მოსკოვში სტუმრად ჩამსულ გაბრიელ გარსია მარკესს მასპინძლების ბინაში მოსახვედრად ფეხით 16 სართულის ავლა მოუხდა, რადგანაც შენობაში არსებული ორი ლიფტიდან, არც ერთი არ მუშაობდა. სტუმრის მისვლამდე მასპინძლებმა ქალაქის კომუნალური მომსახურების ყველა უწყება ააწრიალეს, მაგრამ ლიფტის შესაკეთებლად თავი არავის შეუწუხებია. ამის მნახველმა კოლუმბიელმა მწერალმა მხრები აიჩეჩა და ერთადერთი სიტყვა ჩაილაპარაკა თავისთვის: „სოციალიზმი!..“

თობისთვის მინდა. მაგალითად: საფლირტაოდ თამამ და აქტიურ გოგოს ავირჩევდი, ისეთს, რომელსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და საბოლოო ჯამში, ამ წარმოდგენას გაუქარწყლებ... სერიოზული ურთიერთობისთვის აუცილებლად ტიპურ ქართველ ქალს ავირჩევდი.

— „აზიატი“ ხარ?

— რაც არ უნდა ბევრი ვიყვირო — ევროპელი ვარ-მეთქი! — საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივალ, რომ ჩემში „აზიატური“ თვისებები ჭარბობს. სხვათა შორის, ჩემი „აზიატობით“ ვამაყობ კიდეც.

— შენი „აზიატობა“ ძირითადად რაში ვლინდება?

— ველაფერს ვერ დაგიკონკრეტებ (*იცინის*). საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ როცა ორ ადამიანს ერთად ყოფნა უნდა, ორივე მათგანი უნდა ცდილობდეს მოიქცეს ისე, როგორც მის რჩეულს მოსწონს და უნდა. სხვანაირად, უბრალოდ ურთიერთობა არ შედგება. ერომანეთის გემოვნება ყველაფერში უნდა გაითვალისწინონ. და რაც მთავარია, ორივე მათგანს კომპრომისზე წასვლა უნდა შეეძლოს.

— ხშირად მიდიხარ კომპრომისზე?

— ძალიან ხშირად.

— ცალმხრივად თუ გყვარებია?

— არასოდეს. ცალმხრივად რომ მყვარებოდა, ალბათ ლექსების წერასაც დავიწყებდი.

— ლექსი არ დაგიწერია?

— კი, როგორ არა, ერთი-ორჯერ. მაგრამ აღარ მახსოვს, რა დავწერე — ეს დიდი ხნის წინ იყო.

— პოეზია გიყვარს?

— კი, მაგრამ ლექსების დამახსოვრება ძალიან მიჭირს.

— რომელ პოეტს გამოყოფდი?

— გალაკტიონ ტაბიძე და ანა კალანდაძე ჩემი საყვარელი პოეტები არიან.

— ახლა ის მითხარი, ამჟამად შეყვარებული ხარ?

— მოდი, ასე გეტყვი — ჩემი გული თავისუფალია.

— შენს სახელზე მოსულ „ესემესებს“ თუ გაეცნობი?

— აუცილებლად. თუ საჭირო იქნება, თითოეულს ვუპასუხებ კიდეც. ერთ ამბავს გიგიმხელ: რაც „ჯეობარიდან“ გამოვედი, ბევრი რაღაცის გაკეთება დავგეგმე, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი არ გამომივიდა. იმედი მაქვს, რომ ახლა რასაც ვაპირებ, აუცილებლად გამოვა. ჩემს მეგობართან ერთად დიდი ღონისძიების ჩატარებას ვაპირებ, სადაც ჩემს თაყვანისმცემლებს ჩემთან შეხვედრის საშუალება მიეცემათ და... დანარჩენი მოდი, სიურპრიზად დავტოვოთ.

P.S. მაშ ასე, ბესოს თაყვანისმცემლებს შეგიძლიათ, დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე 8.98.23.09.21. თქვენს გზავნილებს ჩვენს „სასიძოს“ გავაცნობ. თუკი რომელიმე თქვენგანის მესიჯით დაინტერესდება, შეიძლება, გამოგეხმაუროთ კიდეც. წარმატებებს გისურვებთ! ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

როგორ ავიცილოთ თავიდან ოსტეოპოროზი

ოსტეოპოროზი პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელსაც ძვლის სიმკვრივის შემცირება იწვევს. ამ დროს ძვლები უფრო მყიფე ხდება და მოტეხილობა ხშირდება. დაავადება უმეტესად ქალებს და როგორც წესი, მენოპაუზის შემდგომ ემართებათ. საქმე ის გახლავთ, რომ მენოპაუზის შემდეგ, საკვერცხეები ადრინდელზე გაცილებით ნაკლებ ესტროგენებს გამოიმუშავებს, რაც ძვლებიდან კალციუმის გამოლექვას უწყობს ხელს და ოსტეოპოროზის რისკს ზრდის. ოსტეოპოროზის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

I. რისკ-ფაქტორები, რომელთა შეცვლა შუძლებელია:

- მდედრობითი სქესი;
- ასაკი;
- ოჯახური ანამნეზი;
- აზიური და კავკასიური წარმოშობა.

II რისკ-ფაქტორები, რომელთა მართვაც შეიძლება:

- მენსტრუაციის არაფიზიოლოგიური უქონლობა;
- ესტროგენების (ქალებში) და ტესტოსტერონის (მამაკაცებში) დაბალი დონე სისხლში;
- სიცოცხლის განმავლობაში კალციუმის ან D ვიტამინის არასაკმარისი მოხმარება.
- დაბალი ფიზიკური აქტივობა და ლოგინში ხანგრძლივად წოლა;
- თამბაქო;
- ალკოჰოლის ჭარბად მიღება;
- სტეროიდული ჰორმონების ხანგრძლივად გამოყენება.

ოსტეოპოროზის განვითარების შეფერხების ყველაზე მარტივი და უსაფრთხო გზა, საკვებთან ერთად, კალციუმის მიღებაა. მოზარდებსა და ახალგაზრდებს ეს ელემენტი უფრო მეტი სჭირდებათ. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად, კალციუმის შეწოვა ქვეითდება.

კალციუმის დღიური მოთხოვნილება 51 წლის შემდეგ, 1200 მგ-ია.

სხვადასხვა პროდუქტში კალციუმის შემცველობა სხვადასხვაგვარია, მაგალითად, 1 ჩ/ჭ 2%-იანი რძე 295 მგ კალციუმს შეიცავს, 1 ჩ/ჭ ნაკლებცხიმიანი იოგურტი ან მაწონი — 450 მგ-ს, 1 ცალი ფორთოხალი — 50 მგ-ს.

კალციუმი დიდი რაოდენობითაა ხილსა და ბოსტნეულში (ფორთოხალში, პამიდორში, წიწაკაში...), რომელსაც, გარდა ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისა, უამრავი სხვა დადებითი ეფექტიც აქვს.

რაღა თქმა უნდა, არსებობს მედიკამენტებიც, რომლებიც ოსტეოპოროზის განვითარებას აფერხებს, მაგრამ მათი დანიშვნა ექიმის კომპეტენციაა. ■

დიეტა ქვებისგან დაგვიცავს

ჰარვარდის უნივერსიტეტის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ უჯერი ცხიმებით მდიდარი პროდუქტებით კვება, ნაღვლის ბუშტის დაავადების პროფილაქტიკას ახდენს.

ჰარვარდელმა მეცნიერებმა 45756 ადამიანის სამედიცინო ანკეტის მონაცემები შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ მათ, ვინც ხმელთაშუა ზღვის დიეტას ანიჭებენ უპირატესობას (იგი მაქსიმალურად მდიდარია უჯერი ცხიმებით — ზეითუნის ზეთითა და მცენარეული პროდუქტებით), საშუალო სტატისტიკურთან შედარებით, 18-20%-ით ნაკლებად აქვთ ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების განვითარების ალბათობა. ეს კი სპეციალისტებს საფუძველს აძლევს, ასეთი დიეტა დაავადების პროფილაქტიკის ყველაზე ეფექტურ გზად მიიჩნიონ. ■

წითელი ქარი

ინფექციის წყარო

ინფექციის წყარო წითელი ქარით ან სტრეპტოკოკული ინფექციის სხვა ფორმით დაავადებული ადამიანია. ზოგჯერ დაავადებას ისეთი ადამიანებიც ავრცელებენ, რომელთაც წითელი ქარის კლინიკური სურათი არ აღენიშნებათ, მაგრამ ორგანიზმში მის გამომწვევს ატარებენ.

ინფიცირება

დაავადება მაშინ ვითარდება, თუ სტრეპტოკოკი დაზიანებულ კანში ან ლორწოვანში შეიჭრა. თუმცა ამის გარდა, სხვა ფაქტორების არსებობაც არის აუცილებელი, კერძოდ:

- იმუნიტეტის არასრულფასოვნება;
- სტრეპტოკოკისადმი ჭარბი მგრძნობელობა;
- მიკრობის შეჭრის ადგილას კანის ფუნქციური ან მორფოლოგიური არასრულფასოვნება;
- ამ ფაქტორთა გარეშე, მიკრობმა კიდეც რომ შეაღწიოს კანში, მხოლოდ ბანალური ჩირქოვანი პროცესი — ფურუნკული, აბსცესი ან ფლეგმონა — განვითარდება.

დაავადების კლინიკა

წითელი ქარი უფრო ხშირად სახესა და კიდურებზე ლოკალიზდება, რადგან კანი ყველაზე ხშირად სწორედ ამ ადგილებზე ზიანდება.

დაავადების სიმპტომები მის ფორმაზე, მიმდინარეობასა და შესაძლო გართულებებზეა დამოკიდებული.

წითელი ქარის საინკუბაციო (ფარული) პერიოდი (მიკრობის შეჭრიდან კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე), ჩვეულებრივ, 6-7 დღეა, თუმცა არის შემთხვევები, როცა პირველი სიმპტომები მიკრობის შეჭრიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოვლინდება. ზოგჯერ ანთებას წინ უძღვის საერთო სისუსტე, შრომის უნარის დაქვეითება, სიმძიმის შეგრძნება არაინფიცირებულ კიდურში, ლიმფური კვანძების ტკივილი, უფრო ხშირად კი დაავადება მწვავედ იწყება: თავის ტკივილით, შემცივნებით, საერთო სისუსტით, ზოგჯერ — გულისრევის შეგრძნებითა და ღებინებით. ტემპერატურა პირველსავე საათებში 39-40 გრადუსამდე იმატებს.

მძიმე შემთხვევაში, ადამიანს გონება ებინდება, ბოდავს, ხშირად აღებინებს, პულსი და სუნთქვა უხშირდება. ავადმყოფს უდიდდება ღვიძლი და ელენთა.

განარჩევენ დაავადების რამდენიმე კლინიკურ ფორმას:

- ერითემულს;
- ბულოზურს;
- ფლეგმონურს;
- ნეკროზულს.

ერითემული ფორმისთვის დამახასიათებელია კანის შეწითლება, შეშუპება, გაცხელება, დაჭიმულობა და მტკივნეულობა. შეწითლებული უბნის საზღვრები გეოგრაფიული რუკის მსგავსად არის დაკბილული. შეშუპების ხარისხი პროცესის ლოკალიზაციაზეა დამოკიდებული: ყველაზე მეტად იგი ქუთუთოებზე, ტუჩებზე, სასქესო ორგანოთა არეში, მუცლის წინა კედელზეა გამოხატული.

ბულოზურ ფორმას, გარდა ჩამოთვლილი სიმპტომებისა, კანზე ბუშტუკების გაჩენა ახასიათებს.

ფლეგმონური ფორმის დროს გამოხატულია ზოგადი ინტოქსიკაცის ნიშნები და კანის ჩირქოვანი დაზიანება.

ნეკროზული ფორმა დაავადების მძიმე მიმდინარეობით, კანის დანეკროზებით ხასიათდება.

გარდა ამისა, განასხვავებენ წითელი ქარის პირველად, განმეორებით და მორეციდივე ფორმებს.

- **პირველადი ფორმის** დროს, ანთებითი პროცესი უფრო ხშირად სახეზეა ლოკალიზებული.
- **განმეორებითი ფორმის** შემთხვევაში, დაავადება ანთების ჩაცხრობიდან, განმეორებით 2-3 წლის შემდეგ ვითარდება. ხშირად პროცესი სხვაგან ლოკალიზდება, თუმცა კლინიკური გამოვლინებები და მიმდინარეობა ისეთივეა, როგორიც ადრე.
- **მორეციდივე ფორმამ** პირველადი დაავადების გადატანიდან რამდენიმე დღის შემდეგაც შეიძლება იჩინოს თავი და 1,5-2 წლის შემდეგაც. ამ დროს პროცესი მეტწილად ქვედა, იშვიათად — ზედა კიდურებზე ლოკალიზდება.

დაავადების რეციდივის (ახალი გამწვავების) განვითარებას ხელს უწყობს:

- **პირველადი პროცესი** არასრული და არასწორი მკურნალობა;
- კანის ქრონიკული დავადებები;
- ქრონიკული სტერპტოკოკული ინფექციის კერები.
- მუშაობის არახელსაყრელი პირობები, გაცივება, მიკროტრავმები და სხვა.

მკურნალობა

წითელი ქარის მკურნალობა კომპლექსურია. იგი მოიცავს:

- ანტიბიოტიკოთერაპიას;
- ჰორმონოთერაპიას;
- მასტიმულირებელი პრეპარატების გამოყენებას;
- ფიზიოთერაპიულ პროცედურებს.

ანტიბიოტიკებიდან რეკომენდებულია პენიცილინი, ამპისიდი, ტეტრაციკლინი, ერითრომიცინი. მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა 7-10 დღეა.

ხშირი რეციდივებისას რეკომენდებულია: გლუკოკორტიკოსტეროიდების (ჰორმონული პრეპარატების) კურსი.

გარდა ამისა, ინიშნება C ვიტამინი რუტინთან ერთად, B ჯგუფის ვიტამინები, ნიკოტინმჟავა.

ფიზიოთერაპიულ პროცედურებს მიმართავენ დაავადების მწვავე პერიოდში.

პროფილაქტიკა

წითელი ქარის პროფილაქტიკისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია:

- პირადი ჰიგიენის დაცვა;
- კანის თანმხლები დაავადებებისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა პათოლოგიების მკურნალობა;
- ქრონიკული სტერპტოკოკული ინფექციის კერების სანაცია.

ექსტაზი

ღამის გართობა „ოდური სიკვდილით“

ექსტაზი და ჰეროინი ერთნაირად საზიზღათოა

ღამის კლუბური ცხოვრება ჩვენს ქალაქში შედარებით უცხო ხილია. ალბათ ამიტომაც, ქართველი ახალგაზრდებიც (მათ შორის არასრულწლოვნებიც) დიდი ინტერესით ეტანებიან. რა ქნან, მოდას ხომ ვერ ჩამორჩებიან?! ვინც ხშირად სტუმრობს ამ ტიპის დაწესებულებებს, შესანიშნავად იცის, რომ იქ რაღაც „შავი“ გზებით შესაძლებელია ისეთი ვითომცდა „უწყინარი“ ნარკოტიკის შოვნა-მიღება, როგორიც ექსტაზია. არადა, ამ პრეპარატის მიღება სიცოცხლისთვის სახიფათოა(!). მას ასე უწოდებენ — ღამის გართობა, „მოდური სიკვდილით“. რუბრიკა „პლუს-მინუსში“ საუბრის თემად სწორედ ექსტაზი ვაქციეთ, როგორც ღამის კლუბური გართობის საშიში ატრიბუტი. საუბარში მონაწილეობენ: ექიმი-ნარკოლოგი, ჯანდაცვის სამინისტროს ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს თავმჯდომარე თამარ სირბილაძე, ფსიქოლოგი მაია ჯავახიშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალგაზრდული გადაცემა „კედლის“ წამყვანი სანდრო გაბისონია და გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი და ამასთანავე ანტინარკოტიკული მედიაკლუბის სპიკერი ნინო ბურჭულაძე.

ლალი ფაცია

— მართლაც, გავარკვიოთ, რა არის ეს ექსტაზი?

თამარ სირბილაძე:

— ექსტაზი არის სინთეზურად მიღებული პრეპარატი, რომელსაც ერთდროულად სტიმულანტისა და ჰალუცინოგენის ეფექტები აქვს. მის სახეობათა რაოდენობა თანდათან გაიზარდა — ის ტაბლეტის, კაფსულის, ფხვნილის სახით გამოდის და ღამის გასართობ დაწესებულებებში — კლუბებში, დისკოთეკებზე ვრცელდება. ექსტაზი ფორმითა და ფერთა გამით მიმზიდველია, რაც იმას ემსახურება, რომ უფრო მეტად მიიზიდოს ახალგაზრდები. მაგრამ მთავარი ის არის, თუ რა ძევს ამ „გარეგნული ხიბლის“ შიგნით. სამწუხაროდ, ეს არც მისმა გამყიდველმა იცის და არც მყიდველმა. მისი შემცველობის დადგენა ქიმიური ანალიზით არის შესაძლებელი. ანალიზის შედეგად მასში შეიძლება აღმოჩნდეს აფეტამინი, ზოგში კოფეინია დამატებული ან ეფედრინი, ფსევდოეფედრინი — ე.ი. ისეთი ნივთიერებები, რომელთა ქმედება მოსალოდნელისაგან განსხვავებულ ეფექტს იწვევს.

მაია ჯავახიშვილი:

— ფაქტია, ექსტაზი ნარკოტიკული საშუალებაა, არალეგალურია და მას ახალგაზრდები ეტანებიან. ანუ ჩვენშიც შემოვიდა მოდაში ახალგაზრდებში მისი მიღება, რაც ჩემთვის ყველაზე მეტად შემაშფოთებელია.

— აქ აღინიშნა, რომ ადამიანები ინფორმირებულები არ არიან იმის შესახებ, თუ რა შემცველობის არის ექსტაზი და მას ბრმად მოიხმარენ...

მაია:

— მეტსაც გეტყვით, წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ის ნარკოტიკია. ასე არ არის, სანდრო?

სანდრო გაბისონია:

— ბევრი მართლაც მოდას არის აყოლილი: საერთოდ აზრზე არ არიან, რას სვამენ.

თამარი:

— ბევრმა არც ის იცის, რომ ის აკრძალული ნარკოტიკია, რომელიც არალეგალურად იყიდება და ის მხოლოდ ღამის კლუბში ვრცელდება. უცხოეთში მას „კლუბების ნარკოტიკს“ უწოდებენ და დამკვიდრდა, რომ მისი მიღების შემდეგ, უნდა მოუსმინო დიჯეის მიერ შემოთავაზებულ მუსიკას.

ცოტა რამ მისი ისტორიის შესახებაც მინდა გიამბოთ: ეს პრეპარატი გასული საუკუნის 1912 წელს ამერიკელი ფარმაცევტის მიერ იყო სინთეზირებული, როგორც მადის დამთრგუნველი საშუალება, მაგრამ მას დიდი ხნის განმავლობაში არ იყენებდნენ, მიივიწყეს. ექსტაზი 70-იან წლებში გაიხსენა ერთ-ერთმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა, რომლსაც ადამი ერქვა, ამიტომ ექსტაზის ერთ-ერთი ჟარგონული სახელი ადამია. ფსიქოთერაპიული სეანსების დროს, ის პაციენტს ექსტაზის ასმევდა, რომ გაად-

ბევრმა არც ის იცის, რომ ის აკრძალული ნარკოტიკია

ვილებოდა მასთან კონტაქტი და მისი გახსნა. მერე ამ პრეპარატს სამედიცინო დანიშნულებით იყენებდნენ, რასაც შემდეგ უკონტროლო ხასიათი მიეცა და ამიტომაც შეწყდა, მაგრამ ფარულად მისი მოხმარება მაინც გრძელდებოდა.

მაია: ფაქტია, ექსტაზი ნარკოტიკული საშუალებაა, არალეგალურია და მას ახალგაზრდები ეტანებიან

თამარი: ყოფილა გულის გაჩერების შემთხვევებიც

1983 წელს, სასწრაფო წესით, ექსტაზი აკრძალული ნარკოტიკების სიაში შეიტანეს. ის შედის ზუსტად იმ სიაში, რომლშიც ჰეროინი. ეს გაეროს კონვენციითაც ასეა.

— ექსტაზის მიღების შემდეგ, რამდენ ხანს გრძელდება ადამიანზე პრეპარატის ზემოქმედება?

თამარი:

— ის მიღებიდან, დაახლოებით 30 წუთის შემდეგ იწყებს მოქმედებას. პიკს 3-4 საათში აღწევს და ზემოქმედება 6-8 საათი გრძელდება.

— პრეპარატის მიღების შემდეგ, „გამოსვლის პერიოდი“ როგორია?

თამარი:

— საკმაოდ უსიამოვნო. ამ დროს ადამიანი მოთენთილი, დეპრესიულია, შფოთავს, უძილობა აწუხებს, დაქვეითებული აქვს მადა (მადის დაქვეითებას ზემოქმედების ქვეშაც გრძნობს და მერეც). ექსტაზის მიღებას ახლავს სხეულის ტემპერატურის საკმაოდ მომატება, რასაც ადამიანი ვერ გრძნობს, რადგან პრეპარატის ზემოქმედების ქვეშ და თანაც ღამის კლუბში დისკოთეკაზე იმყოფება, სადაც ისედაც ცხელა, ბევრი ხალხია. ეს ქმნის იმის საშიშროებას, რომ ადამიანს დაემართოს სითბური დაკვრა, გაუწყლოება — ამ დროს ორგანიზმიდან დიდი რაოდენობით სითხე გამოიყოფა. არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზმი ამას ვერ უძლებს და თავს იჩენს გართულებები გულსისხლძარღვთა სისტემაში. ყოფილა გულის გაჩერების შემთხვევებიც.

— ეს ექსტაზის ერთჯერადი მიღების დროსაც შეიძლება მოხდეს?

თამარი:

— კი, სწორედ ერთჯერად მიღებაზეა ლაპარაკი. განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც სისხლძარღვოვანი პათოლოგია აქვს, აწუხებს გული, ღვიძლი ან თირკმელი... ექსტაზის მიღებას თან ახლავს კუნთების დაჭიმულობა. ამ დროს ადამიანს მხოლოდ ყბის კუნთების მგრძნობელობა რჩება და სალეჭ რეზინს ღეჭავს. ამერიკაში წელიწადში საშუალოდ 4-5 ათას კაცამდე აკითხავს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრს. ექსტაზით გამოწვეული გართულების გამო, წელიწადში იქ 100 კაცი იღუპება.

ნინო გურჭულაძე:

— როგორც ვიცი, 2006 წელს, საქართველოშიც 3 ადამიანი შეიწირა ექსტაზის მიღებამ... მას უფრო თინეიჯერები ეტანებიან, მათ შორის — გოგონებიც. ზოგს, ვისაც ვთქვათ ცეკვის კომპლექსი აქვს, მისი მიღების შემდეგ, ეს კომპლექსი ეხსნება.

— აუ, რა მაგარიაო.

მაია:

— როდესაც ვამბობდი, არც კი იციან, რას აკეთებენ-მეთქი, ზუსტად ამას ვგულისხმობდი. როცა ადამიანს გაცნობიერებული აქვს, თუ რასთან აქვს საქმე, ის უფრო ღრმად ჩაუფიქრდება იმას, გადადგას თუ არა ასეთი ნაბიჯი.

თამარი:

— კარგი იქნებოდა, ჩვენს საუბარში ღამის კლუბების წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა. არა იმიტომ, რომ ისინი კედელთან მიგვეყენებინა და გვეთქვა, რა ცუდები ხართ, ექსტაზის რატომ ყიდით-თქო, არამედ იმისთვის, რომ სცოდნოდათ, რასთან აქვთ საქმე.

— კლუბების წარმომადგენლები ასეთ საუბრებში მონაწილეობას გაურბიან. რომც მოვიდნენ, იტყვიან, ჩვენთან ექსტაზი არ იყიდებაო.

ნინო:

— თუ ექსტაზი აკრძალული ნარკოტიკია, რომლის რეალიზება არ უნდა ხდებოდეს, შესაბამისად დამსჯელი ღონისძიებებიც უნდა ტარდებოდეს, როგორც სხვა ნარკოტიკების, მაგალითად, სუბუტექსის რეალიზატორების წინააღმდეგ ხდება. მაგრამ საზოგადოების ყურადღება სუბუტექსისკენ, ჰეროინისკენ არის მიმართული და არ მახსოვს, სამართალდამცველებს ექსტაზის რეალიზატორი დაეკავებინოთ.

— რატომ?! როგორც ცნობილია, „აჭარა მიუზიკ-ჰოლი“ ექსტაზის რეალიზებისთვის დაიხურა.

ნინო:

— ეს ერთი პრეცედენტი ნამდვილად იყო.

განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც სისხლძარღვოვანი პათოლოგია აქვს, აწუხებს გული, ღვიძლი ან თირკმელი...

სანდრო:

— გოგონებიდან ბევრი ამას იმიტომ აკეთებს, რომ ბიჭებს თავი მოაწონოს — აქაოდა, ნახეთ, რა მაგარი ვარო!

ნინო:

— ექსტაზი საკმაოდ ძვირი ღირს (20 ლარი — ერთი ტაბლეტი) და როგორც ვიცი, ერთმანეთს ეპატიჟებიან ხოლმე.

სანდრო:

— კი, ასეც არის და ბევრმა მართლა არ იცის, რას ყლაპავს. ზოგიერთს გამხმარი ტარხუნა მოუწევია და უთქვამს

ისიც კი მსმენია, რომ ბიჭმა გოგოს ექსტაზის აბი ან „ელესდე“ თუ აჩუქა, თურმე დიდი პაგივია

ნინო: ექსტაზი აკრძალული ნარკოგიკია, რომლის რეალიზება არ უნდა ხდებოდეს

თამარი:

— ნინოს ვეთანხმები, ქვეყნისთვის იმდენად დიდ პრობლემას წარმოადგენს ჰეროინი და სუბუტექსი, რომ ეტყობა, ექსტაზისთვის არ სცალიათ.

ნინო:

— ასეთივე იყო საზოგადოების დამოკიდებულება ყაყაჩოს მიმართ. სანამ სპეციალისტებმა არ ატეხეს განგაში — არიქა, ყაყაჩომ დაგვღუპაო! — მანამ საზოგადოება არ ფიქრობდა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტის სახით შემოტანილი ყაყაჩო შეიძლებოდა, რომ ნარკოტიკი ყოფილიყო. ასევეა დღეს ექსტაზისთან დაკავშირებით.

თამარი:

— თან ესეც არის, ექსტაზი კლუბის ცხოვრებაზეა მიბმული. მართალია, ჩვენში ბევრი არ არის ასეთი კლუბი და იქ მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ დადის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა არ არსებობს. სანდრო, თუ იცით, თქვენი თანატოლები ექსტაზის რა მოტივით სინჯავენ?

სანდრო:

— ძირითადი მოტივი ის არის, რაზეც ვილაპარაკეთ. მოდურობა, სხვებისთვის თავის მოწონების სურვილი, ინტერესი. ხედავენ იმას, თუ დასავლეთის კლუბებში როგორ ერთობიან და იმავეს გამოტანა უნდათ აქაც. დღეს პრობლემა აღარ არის ვთქვათ, 7 ევროდ „ელესდეს“ ჩამოტანა.

თამარი:

— ისიც კი მსმენია, რომ ბიჭმა გოგოს ექსტაზის აბი ან „ელესდე“ თუ აჩუქა, თურმე დიდი პატივია.

მაია:

— მოდურობასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა: 10-15 წლის წინ, მოდური იყო ჰეროინიც, ის კატასტროფულად გავრცელდა. დღეს უკვე ხედავენ, თუ რა შედეგები მოიტანა და ამ ნარკოტიკის მოხმარება საგრძნობლად შემცირდა.

— დავუბრუნდეთ ექსტაზის: მაინტერესებს ამ ნარკოტიკზე დამოკიდებულება რამდენად ძლიერია?

თამარი:

— ხშირად პირველ დოზას რომ მიიღებენ, მისი მოქმედებიდან გამოსვლის პერიოდის დადგომამდე, ისევ ამატებენ, რათა სიამოვნება გაიხანგრძლივონ, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე საშიშია.

სანდრო:

— ისე, ექსტაზიზე დამოკიდებულები მე არ შემხვედრია.

თამარი:

— ჩვენში შეიძლება, ასეთი თითოოროლა იყოს, თუმცა ექსტაზიზე დამოკიდებულებაც არსებობს. ვინც მას მუდმივად იღებს, მას უჭირს შედგომ ამის შეწყვეტა, რადგან საშინელ დეპრესიაში ვარდება, შეიძლება, ჰალუცინაციაც დაემართოს. აქვე ვიტყვი, რომ ეს ნარკოტიკი სქესობრივ აქტივობასაც აქვეითებს.

სანდრო:

— ისე, არსებობს ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულება და მგონი, ფიზიკური უფრო ადვილი გადასატანია, ვიდრე ფსიქიკური, არა?

თამარი:

— მთავარი რა არის, იცით? ფიზიკური და ფსიქიკური დამოკიდებულება კოკაინის, ოპიუმის, ჰეროინის მოხმარების დროსაც განირჩევა. როდესაც პაციენტებს ვეკითხებით — ე.წ. „ლომკაში“ (აღკვეთის მდგომარეობაში) რა უფრო შემაწუხებელია? — ბევრი ამბობს, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება უფრო აწუხებს.

ნინო:

— ვთქვათ, ექსტაზის მომხმარებელი ვარ. რამდენად დიდია იმის რისკი, რომ უფრო მძიმე ნარკოტიკებზე გადავიდე და მასზე დამოკიდებული გავხდე?

თამარი:

— ასე დაყოფა არ ხდება — მსუბუქ და მძიმე ნარკოტიკებად. ნარკოტიკი — ნარკოტიკია... რა თქმა უნდა, ამის რისკი და შანსი არსებობს.

— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეზიუმეს სახით უნდა ვთქვათ: საქმე გვაქვს საშინელ გართობასთან, რომელსაც „მოდური სიკვდილი“ შეიძლება ვუწოდოთ.

ნინო:

— რა თქმა უნდა. ექსტაზი ხომ ნარკოტიკია და როდესაც მას ვიღებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ საკუთარ თავს ზიანს ვაყენებთ; შემდეგ, ვარღვევთ კანონს და ვხვდებით ისეთივე ნარკოტიკის მოხმარებელი, როგორიც ვთქვათ, სუბუტექსია. მისი მიღება ნებისმიერი ადამიანისთვის, განსაკუთრებით მოზარდებისთვის, საზიანოა.

თამარი:

— ამიტომ ყველამ ერთად, რაღაც უნდა ვიღონოთ. განათლების სამინისტრო, სკოლა, ოჯახი — ამ საქმეში მასობრივად ყველა უნდა ჩაერთოს.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკი 3-ნახევარი წლით გაახალგაზრდავდა: თუ 2002 წელს მათი უმეტესობა 18 წლის იყო, 2006-ში ძალზე ბევრი, 15 წლის მოზარდი მოიხმარს ამა თუ იმ ნარკოტიკს, რაც საშინელი ტენდენციის მანიშნებელია.

საშუალოდ 4-5 ათას კაცამდე აკითხავს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრს. ექსტაზით გამოწვეული გართულების გამო, წელიწადში იქ 100 კაცი იღუპება

ნუ ავყვებით ბრმად მოდას. ნუ მივეძალებით მიმზიდველი ფერთა გამისა და ფორმის მქონე აბებსა თუ ფხვნილებს, რადგანაც სწორედ ეს გახლავთ მიზანმიმართული სვლა „მოდური სიკვდილისკენ“.

■

სანდრო: ზოგიერთს გამხმარი გარხუნა მოუწევია და უთქვამს — აუ, რა მაგარიაო

ჟურნალი ჟურნალში

მზეკვირილები

26.04-2.05.2007

მწვანეში ჩაფლული სახლის იდუმალი ბინადარი

თქვენთვისაც და მკითხველისთვისაც გრაფი თარხანი ვიქნები. რა თქმა უნდა, პაციენტები მყავს, მაგრამ ისინი მხოლოდ მდიდარი და ცნობილი ადამიანები არიან.

• ხელწერილი დავწერე ჩემი ნებით, რომ თანახმა ვიყავი გიოს გაშვილებაზე და არასოდეს ვიკითხავდი შვილს. მე პირობას შევასრულებ.

„სიცოცხლემისჯილი“

ორი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი პოლიციელის შემაძრწუნებული რეალური ისტორია

... ჯარგად დავაკვირდი და მასში ის ადამიანი ამოვიცანი, რომელიც თემურ მღებრი-შვილთან მუშაობის დროს, სპეცოპე-რაციისას დავიჭირეთ.

დალატი

...დილით რომ გავიღვიძე, აღარც ქალი იყო და აღარც ფული და „მობილი“.

...ყაცი გარდაიცვა-ლა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ცოლი არ დაუპატიმ-რებიათ.

მოღალატე დაისაჯა

როგორც იქნა, ჩვენს საიდუმლოს ფარდა აეხადა და როგორც ზოგიერთი მკითხველი წინასწარმეტყველებდა, „გზავნილები“ „გზის“ შუა ნაწილში „გადმოსახლდა“ და იმ პატარა ჟურნალად იქცა, რომელიც დიდი ჟურნალის განუყოფელი ნაწილი იქნება. რაღა თქმა უნდა, ამაში თქვენ, მკითხველებს მიგიძღვით დიდი წვლილი, რადგან სწორედ თქვენმა აქტიურობამ განაპირობა ეს, ვფიქრობ, ყველასთვის სასიამოვნო სიახლე. ამ საკითხზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ და დღევანდელი „გზავნილების“ თემას მივუბრუნდები. როგორც იცით, დღეს ჩვენ დასჯილ მოღალატეებზე ვისაუბრებთ. რა თქმა უნდა, როდესაც სიტყვა „ღალატს“ ვახსენებთ, მაშინვე მოღალატე ცოლი, ქმარი ან საყვარელი წარმოგვიდგება თვალწინ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღალატის სხვა „სახეობებიც“ არსებობს. მაგალითად, საქმის, სერიალის ან ფეხბურთის ყურების, ჩვეულების, მეგობრის და ა.შ. პირველი მკითხველი ყურადღებას თანამშრომლის ღალატზე ამახვილებს და საკმაოდ კურიოზულ ამბავს გვიყვება.

ერთი კაცის 2 ცოლი ანუ „მაიტა ნასოსი“

მარი ჯაფარიძე

ზეზვა „დურაქ“...

„ჩემს ამბავს მოკლედ მოგიყვებით. მე ზეზვა ვარ, 29 წლის. უკვე 6 წელია, ერთსა და იმავე ორგანიზაციაში ვმუშაობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შეფი არცთუ ისე მეხატება გულზე. ერთ მშვენიერ (თუ ავადსახსენებელ) კვირა დღეს, როდესაც კუთვნილი დასვენების სურვილისამებრ გამოყენებას ვაპირებდი, დილის 11 საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა და ტკბილი ძილი დამიფრთხო, მაგრამ როდესაც ყურმილში შეფის ხმა გავიგონე, ერთბაშად გამოვფხიზლდი. — გამარჯობა, ზეზვა. შენი კომპიუტერის პაროლი მითხარი, თორემ არ ირთვებაო. — ცივმა ოფლმა დამასხა. — არ მახსოვს-მეთქი, — ჩავილუღლუღე. — როგორ არ გახსოვს, კაცო, რატომ მატყუებ? მითხარი პაროლი! — ეს უკვე ბრძანება იყო. — არ გეტყვით! — არც მე დავიხიე უკან. — რატომ? რატომ არ გინდა, რომ გამიმხილო? — მოკლედ, მივხვდი, რომ ვერაფერს გავხდებოდი და ხავსს ჩავეჭიდე. — ვინ არის ოფისში თქვენ გარდა? — ვკითხე დაძაბულმა. — ლელა. — დამალაპარაკეთ, ბატონო მირიან. — ყურმილში ლელას ხმა რომ გავიგონე, ხმადაბლა ვუთხარი: ახლა მე შენ პაროლს გეტყვი, ოღონდ ისე შეიყვანე, რომ მაგან არ დაინახოს. „მირიანი „დურაკია“, — ვუკარნახე პაროლი. — მირიანი? — გაუკვირდა ლელას. — ჩუ, გოგო, ხმამაღლა ნუ ამბობ, — ხელმეორედ გამცრა ტანში. — არ შედის. — მეუბნება ცოტა ხნის შემდეგ. — „დურაკი“ როგორ აკრიბე? — როგორ და „დ-უ-რ-ა-კ-ი“, — დამიმარცვლა ლელამ. — „დურაკი“ კი არა, „დურაქი“, „ქ“, „ქ“! — ჩავძახე ყურმილში. — და პაროლი შემიცვალე, — ვუთხარი მომავალზე ხელჩაქნეულმა. — რა დავაყენო? — რა და „ზეზვა „დურაქია“ დააყენე, მაგის დედაც! — მეორე დღეს შეფმა დამიძახა და რომ არა ჩემი მოხერხებულობა, დღეს უმუშევარი ვიქნებოდი. ასე მიღალატა ლელამ და შეფს ჩემი პაროლი გააგებინა“.

„კეთილი“ სასჯელი

„ჩემს მეზობლად ოჯახი ცხოვრობდა. მათ ერთადერთი ბიჭი ჰყავდათ და რა თქმა უნდა, საუკეთესო სარძლოს ეძებდნენ. იმ ბიჭს გოგონები ძალიან უყვარდა. ერთხელ, დედამისმა მეზობლებს ამცნო, რომ რძალი მოჰყავდათ. აწრიალდა ოჯახი, მეზობლები... გაიშალა სუფრა სეფაში და მოიყვანეს მართლაც ულამაზესი პატარძალი. შუა ქორწილში, სეფის ბოლოში ატყდა ერთი ამბავი და გაწევ-გამოწევა. როგორც გაირკვა, სიძისგან დაორსულებული გოგონა მოადგა ჩვენს მექორწილეებს. გამწარებული გოგო ძლივს გაიყვანეს მეზობლებმა. იმ გოგოს რა ბედი ეწია, არავინ იცის. ამათთან კი აი, რა მოხდა: ცოლ-ქმარს 22 წელი შვილი არ გაუჩნდა. დაიტანჯა საწყალი რძალი. ამ ბიჭმა, ახლა უკვე კაცმა, სხვასთან გააჩინა ბიჭი. უნდა აღვნიშნო — უმახინჯეს ქალთან. ცოლმა ეს ვერ აიტანა და წავიდა... ამ კაცმა თავის უკანონო შვილსა და მახინჯ ქალს მოუწყო ცხოვრება, მაგრამ არც ლამაზი ცოლი დაივიწყა და ბინით უზრუნველყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, მასთან გოგონა შეეძინა. ჰოდა, ახლა ეს კაცი დარბის წინ და უკან, რადგან ვერც იმას ტოვებს და ვერც — ამას. ერთ გაწამაწიაშია. გამოდის, მოღალატე ნაწილობრივ კეთილად დაისაჯა, რადგან 2 შვილის მამა გახდა. ისე, გულჩათხრობილი კი დადის. გულმავიწყა“.

2 ალფონსი და „კიბორჩხალას“ ცოლი

„18 წლის ვიყავი, გიგამ რომ მომიტაცა. ერთმანეთი კი გვიყვარდა, მაგრამ როგორც შემდეგ მივხვდი, მისი მხრიდან მატერიალური დაინტერესება უფრო მეტი იყო, ვიდრე სიყვარული, რადგან მამაჩემი ამერიკაში ცხოვრობდა და არ მიჭირდა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მალე, ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა... შემდეგ, გიგა თვითონაც წავიდა ამერიკაში. თავიდან, მეც და ბავშვსაც თავისთან წაყვანას გვპირდებოდა, მაგრამ მერე, მისმა ზარებმა და მოკითხვის სიხშირემ იკლო. მე უკვე 23 წლის ვიყავი და საკმაოდ ლამაზიც. გიგას წასვლის შემდეგ, ერთ-ერთი ძველი თაყვანისმცემელი გააქტიურდა. დღე მისი მესიჯით იწყებოდა. მე გიგას დღეში 10 სასიყვარულო მესიჯს მაინც ვწერდი, ის კი პასუხსაც არ მცემდა. თაყვანისმცემლის აქტიურობამ და ქმრის პასიურობამ თავისი გაიტანა, ნიკას მიმართ გრძნობა გამიჩნდა. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ სწორედ ნიკაა „მორიელი“ და გიგა

— „კიბორჩხალა“. ჩვენი ურთიერთობა ძალიან რომანტიკულად დაიწყო. დიდი ხნის მერე, ნიკამ შეხვედრაზეც დამიყოლია. ვისხედით ერთ მყუდრო კაფეში და ვლაპარაკობდით. ვიგრძენი, რომ ლამაზი და სასურველი ქალი ვიყავი, მაგრამ ჩემი ქმარი ძველებურად ცივი იყო, ისევ არ მირეკავდა. ასე გავიდა 1 წელი. რადგან მე ნიკაზე უკეთესი მატერიალური მდგომარეობა მქონდა, ხშირად ისე ვურიცხავდი თანხას მობილურზე, რომ ვერც იგებდა. თუმცა, მალე მადა მასაც გაეხსნა — ჯერ თამაში დაიწყო, შემდეგ გავიგე, რომ არც წამალზე ამბობდა უარს. უკვე სერიოზულად დავფიქრდი: ჩემ გარშემო მამაკაცები უფრო ფულის ინტერესით იკრიბებოდნენ. ვინატრე, ღარიბი ვყოფილიყავი. ბოლოს, ჩემსა და ნიკას შორის ურთიერთობა დაიძაბა. დღეს ის შერიგებას მთხოვს, მაგრამ მე უკვე რწმენა დამეკარგა. მგონია, რომ მათ მარტო ფული აინტერესებთ. სერიოზულ დეპრესიაში ვარ. 25 წლისამ 2 დიდი იმედგაცრუება გადავიტანე, 2 ალფონსის გამო. იქნებ, სწორედ ღალატისთვის დავისაჯე? არ ვიცი, მკითხველი გამკიცხავს თუ გამიგებს... გკოცნით. „კიბორჩხალას“ ყოფილი ცოლი“.

ძიუდოისტი „დაჩმორდა“

„მარი, ნეტავ იცოდე, რა უნდა მოგიყვე. ერთ ღამაზ საღამოს, ჩემს ქმარუკას რომ ჩაეძინა, მობილი მოვპარე. ჰოოოდა, შემოსული ზარების ნომრები ამოვიწერე. როცა გათენდა, ერთ ყველაზე „აქტიურ“ ნომერზე დავრეკე. ყურმილი ერთმა ქალუკამ აიღო. ვკითხე: ამა და ამ ნომერზე ასე ხშირად რატომ რეკავ-მეთქი? — თქვენ ვინ ხართ? — შემომიბრუნა კითხვა. — მისი ცოლუკა ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. იმ ქალმა რაღაცები იბოდიალა და ტელეფონი გათიშა. საღამოს ჩემი ქმარი „გარეკილი“ მოვარდა და მითხრა: რატომ უთხარი, რომ ჩემი მეუღლე ხარ, ეგ ქალი „იმისთვის“ მინდოდაო. ამის მერე ჩემმა მეუღლემ დაიჯერა, რომ ყავის სერვიზი, თეფშები და ჭიქები დაფრინავენ. ცოტა ხნის მერე კი, პატიება მთხოვა. ასე რომ, „დაჩმორდა“ ესპანეთის მოქალაქე, ძიუდოისტი. პატივისცემით, ნანიკო“.

რაც მოგივა, დავითაოოო...

„მოკლედ მოგიყვებით ჩემს ამბავს. დედაჩემი ერთ-ერთ ეკლესიაში რეგენტი ანუ მგალობლების გუნდის ხელმძღვანელია. ერთხელ, ერთმა ქალმა დედას და მამაოს სთხოვა: თუ შეგიძლიათ, ჩემთან, სამსახურში მოდით და ავადმყოფები აზიარეთო. ის ქალი „ტუბიკების“ საავადმყოფოში ექთანად მუშაობს. მოკლედ, ყოველკვირა დაიწყეს იქ სიარული. ძალიან დავინტერესდი და ერთ პარასკევს მათ მეც გავყევი. შესვლისას დავინახე ჩამონგრეული კედლები და გაბოროტებული სახეები. ყველა ჩვენ გვიყურებდა, მაგრამ ერთი განსაკუთრებით დაჟინებით მომშტერებოდა. თავი დავხარე და გზა განვაგრძე. პალატაში ვერ შევედი, რადგან შემეშინდა, რამე არ გადამედოს-მეთქი. მოსაცდელში ვიდექი და იქაურობას ვაკვირდებოდი. 4 საათი მომიწია ლოდინმა, მაგრამ ფეხს მაინც არ ვიცვლიდი იმ ადგილიდან. დაჯდომისაც მეშინოდა. წამოსვლისას ის ბიჭი, ვინც ამდენი ხნის განმავლობაში მიყურებდა, ჩემთან მოვიდა და ჯიბეში რაღაც ჩამიდო. წერილი აღმოჩნდა, რომლის ბოლოში ტელეფონის ნომერი იყო მიწერილი. 1 კვირის მერე დავურეკე და მოვიკითხე. მან კი მთხოვა, 10-ლარიანი „მონო“ ჩამერთო. ხათრი ვერ გავუტეხე და დავეხმარე. 2 დღის მერე თვითონ დამირეკა და მასთან მისვლა მთხოვა. მივედი, მაგრამ სულ ცივი ოფლი მასხამდა, ისე მეშინოდა. მთხოვა, რომ ცოტა ხნით იქიდან წამეყვანა. ჯიბეზე გავიკარი ხელი. სულ 40 ლარი მედო. ვუთხარი: აქ მომიცადე და მალე მოვალ-მეთქი. მერე ჩემი 590-ლარიანი „ნოკია“ 520 ლარად გავყიდე და უკან ავბრუნდი, რომ წამომეყვანა. რესტორანში შევიყვანე. თვითონაც არ ერიდებოდა და მთხოვდა — ეს მიყიდე, ის მიყიდეო. ავდექი და მობილური ვუყიდე. როგორც იტყვიან, თან გადავყევი. ამის მერეც ხშირად ვნახულობდი, ფულს ვაძლევდი, კვირაში სულ მცირე, 100 ლარს ვხარჯავდი. ყოფილი პატიმარი იყო და ამიტომ უფრო მეცოდებოდა, პატივს ვცემდი. სულ ტაქსებით დავატარებდი აქეთ-იქით. მერე მომიყვა, რომ თურმე, ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ ცოლი ემალებოდა, შვილები კი მაგრად ენატრებოდა. ინფორმაცია შევაგროვე, მაგრად ვიწვალე და ერთ კვირაში ცოლი მივგვარე, მუხლზე დაჩოქილი. შვილებიც ნახა. მე კი ორი დღის მერე დამირეკა და მითხრა: კარგად იყავიო. ამას როგორ წარმოვიდგენდი? შეურაცხყოფილი დავრჩი, მაგრამ ღმერთმა მას ბედნიერება არ აღირსა, სამაგიერო მიეზღო“...

მოტეხილი ხელი და გატეხილი გული

„ძალიან მიყვარდა ერთი ბიჭი. მთელი წელი სიყვარულს მეფიცებოდა და მოულოდნელად შეიცვალა. ეჭვი გამიჩნდა, გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ ვიღაც ქმარს გაცილებულ ქალს დასდევდა. ძალიან ვინერვიულე. ერთ დღეს პაემანი დამინიშნა. მივედი. მეუბნება: შორენას შენი გაცნობა უნდაო (შორენა მისი საყვარელი ყოფილა). გავშეშდი. თურმე, ეს გოგოც იქვე იდგა და ჩვენთან მოვიდა. ტუჩებს კბილებით ვიჭამდი, რომ არ მეტირა. ის კი ხუმრობდა და იცინოდა. ის გოგოც დაიბნა. ადგილს მოვწყდი, გავიქეცი. მეტროს ესკალატორზე დავგორდი და ხელი მოვიტეხე. იმ დღიდან იმ ბიჭს დავშორდი. გავიდა ნახევარი წელი და ახლა სისხლი გამიშრა: დამდევს, პატიებას მთხოვს, შერიგება უნდა. მე კი მის დანახვაზე ის ავადსახსენებელი დღე მახსენდება და ცუდად ვხდები. იმ გოგომ სამსახურიც დააკარგვინა, რაც ფული ჰქონდა, დაახარჯვინა და მიატოვა. ახლა დაჩოქილი მევედრება, მაგრამ იმ დამცირებას ვერ ვაპატიებ. ასე მგონია, აღარავინ შემიყვარდება. ანასტასია“.

2 კურდღლის მადევარი

„პირველად ვამესიჯებ. როცა გავთხოვდი, ქმარი მიმტკიცებდა, ცოლთან გაშორებული ვარო. გავიდა ცოტა ხანი და აღმოჩნდა, რომ მე მასთან მღალატობდა, მას კი — ჩემთან. თან მიმტკიცებდა, როგორი უბედური იყო პირველ ცოლთან. მისი ცოლის გაცნობა მოვახერხე და ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ. მივხვდი, რომ ის მიტოვების ღირსი არ იყო. მიუხედავად ჩემი დიდი სიყვარულისა, ასეთი მოღალატე ადამიანის მიმართ გული გამიცივდა და ჩვენს ურთიერთობას წერტილი დავუსვი. ახლა მის ცოლსაც არ უნდა მისი ხსენება. ასე დარჩა ორი კურდღლის

თუ მამაკაცი ქალს ეუბნება, რომ ნახევარი ხიდუკვლიაც ყი ეხმარ მიხი, ეულიხმობ, რომ ქალი ხატლიმზე მეღხ ლაჭარაყობ.

მადევარი, მარტოდმარტო. მოღალატე ადამიანი სწორედ ამის ღირსია. დავრჩი მარტო, ჩემს პატარა გოგოსთან ერთად და კაცის გაგონებაც აღარ მინდა. თეო, რუსთავიდან“.

მომღერალი მოღალატე

„ჩემი მეორე ნახევარი მომღერალია, ერთ-ერთ ანსამბლში მღერის. ჰოდა, გასულ ზაფხულს „პაეზდკაში“ წავიდა. მოლაპარაკებული ვიყავით — იქიდან რომ დაბრუნდებოდა, მეორე დღეს დასასვენებლად ზღვაზე წავიდოდით. საღამოს ვემზადები, ბარგს ვალაგებ და ამ დროს „სკაიპში“ ვიღაც წერს ჩემს ქმარს — როგორ ხარო? ოთახში მარტო ვიყავი. ვცადე გამერკვია, თუ ვინ იყო. ჰოდა, გავარკვიე კიდეც. თურმე, ვაუკაცს ვიღაცასთან მინი რომანი გაუბამს და თან, ის გოგო მოუტყუებია, უთქვამს: ცოლი არ მყავსო. ყოველდღე ხვდებოდა და ურეკავდა. მე კი ერთხელაც არ შემხმიანებია. ვაი, ჩემს ქმარს დღე დაადგაააა, მტერს არ ვუსურვებ. აი, ასე დაისაჯა მოღალატე. დედას გიჟი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ“

„ჩემმა „ლოვემ“ სათამაშო აპარატთან მიღალატა. ჰოოდა, დაისაჯა რომელია... მეც დამკარგა და 1.700 ლარიც. აუ, არადა, მასთან დაშორების მიზეზსაც ვეძებდი. :) ტ-13“.

„ზუსტად საჩემო თემაა. ერთ ამბავს მოგიყვებით. უბანში ერთ ბიჭს შევუყვარდი (ის ახალი გადმოსული იყო). მაგარი „სვეტსკი“ ბიჭია. აბა, რა იქნება, ბიჭი ვაკიდან საბურთალოზე გადმოვიდა საცხოვრებლად. მოკლედ, სულ კუდში დამდევდა და სიყვარულს მეფიცებოდა. მეც შემიყვარდა. ჩემი ექსდაქალი, რომელიც ვითომ საქმეს მიწყობდა, თურმე სანდროს თავისთვის „იჩალიჩებდა“. ჩემს ზურგს უკან ინტრიგებს ხლართავდა და ჩემზე ეუბნებოდა, რომ არ მიყვარდა და ვეკაიფებოდი. ეს ამბავი ჩემმა ძმაკაცმა გაიგო და ყველაფერი „ჩამიკაკლა“. მე კიდევ, ჩემს „ლოვეს“ ვუთხარი და სიმართლე დავუმტკიცე კიდეც. ეს ამბავი მთელმა ეზომ გაიგო და იმ გოგოს ახლოს აღარავინ იკარებს. აი, ასე დაისაჯა მოღალატე... :) როკ-როკა“.

„დილაუთენია თანაკლასელი დიდი ხვეწნა-მუდარით გავგზავნე „გზის“ საყიდლად. ამის სანაცვლოდ რას აღარ დავპირდი. ჟურნალი გაკვეთილზე გადავშალე და კითხვას შევუდექი, მაგრამ ვინ დაგაცადა? დამესივნენ, — წამაკითხეო. მე ხომ ბედი არ მაქვს... სანამ ჩავამთავრე, გაკვეთილიც დამთავრდა. სახლში ჰგონიათ, რომ სულგანაბული ვუსმენ მასწავლებელს, მაგრამ „გზავნილების“ გადამკიდე, რას ვიზამ?.. მეჩე“.

„დაქალმა „გზა“ წამართვა. ჩვენ შორის მესამე ზედმეტიაო, — გაიძახის და მოღალატეს მეძახის. მარი, შენზე ეჭვიანობს. მთვრალია და ეპატიება, არა? :-) ნინკა“.

„მარი, ხომ იცი, რა ეჭვიანი ვარ? სადაც პირველი არ ვარ, იმ საზოგადოებაში ვერ ვჩერდები? ჰოდა, „გზავნილებში“ აღარ ვარ პირველებში. :(ამიტომაც, მგონი დროა, გავეცალო აქაურობას. :(ტუტის უკვე 3-4 მესიჯს უბეჭდავ, მე კი... მარი, მეც დამიბეჭდე, რა, ყველა მესიჯი, „გექელწებიიი“... მოკლედ, სანამ აქაურობას გავეცლები, მოგიყვებით, როგორ დაისაჯა ჩემი შეყვარებული არა ღალატისთვის, არამედ — ტყუილისთვის. მან ეკლესიის წინ მე დამიფიცა, რომ სიგარეტს აღარ მოსწევდა... თუმცა მერე გამომიტყდა, რომ ეწეოდა. ახლა მეხვეწება, შემირიგდიო. ხანდახან მინდა, ვაპატიო, მაგრამ არ შემიძლია. თან, ღმერთისაც მეშინია... რას მირჩევთ, ხალხო? ვაპატიო? მეგრელი კანიბალკა“.

„რა ამ თემის პასუხია და... დღეს ფეხსაცმელი ვიყიდე. ჰოოოდა, შინ მისულმა აღმოვაჩინე, რომ ძაااალიან მაღალი ქუსლი აქვს. ახლა ერთი ჭირი დამემატა: პარაშუტი უნდა ვიყიდო, თორემ ჩემი მტერი გადმოვარდა ამ სიმაღლიდან. ეჰ, ჩემი ცოდვა მოეკითხოს იმ გამყიდველს... ვაი, სად ვიყიდო პარაშუტი? მიშველეთ, ხალხოოო... ილინი“.

„ბიჭი, რომელზეც დღე და ღამე ვფიქრობ, ჯარშია. ახლა, რაღაც ერთთვიან კურსებზეა წასული და ძალიან მენატრება. იმედია, მალე გამიხსენებს, თორემ თუ მიღალატა, აუცილებლად დაისჯება. პუტიიიი! მენატრებიიი...“

„მე ოთიკოს დედიკო ვარ, იგივე — „ლომკიანი“. მარი, მართალი ხარ, 9 თვის ბავშვი მესიჯს რომ ვერ დაწერს, ამას მგონი, დიდი მიხვედრა არ სჭირდება... თუნდაც, ოთიკო მართლა გაიცნოს მსოფლიომ, ამაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. ასე რომ, მარის ტყუილად ბრალს ნუ სდებთ“.

„ეჰ, „მალი“... „მალი“... ჯერ „გზისთვის“ არ მიღალატია, ყველა ნომერს ვყიდულობ და სასოებით ვინახავ. შენ კი მაინც მსჯი იმით, რომ მესიჯებს არ მიქვეყნებ. რატომ? ენემი“.

„რაც თავი მახსოვს, სულ ვიღაც მღალატობს. არც მეგობრისგან მაკლია ღალატი, არც ცხოვრებისგან და არც საყვარელი ადამიანისგან. საბოლოოდ, ყველა მოღალატე დაისაჯა. ვინც დაუსჯელი დარჩა, იმას ცხოვრება წინ აქვს და მჯერა, მალე ისიც მწარედ ინანებს. არასოდეს მიღალატია ვინმესთვის და არ მესმის, მე რატომ მღალატობენ? შეყვარებულმა ვიღაც „ქონის მოზრდილ ნაჭერზე“ გამცვალა, მაგრამ ცოლის მოყვანიდან 2 თვეში, უკვე პატიების სათხოვნელად მომადგა. 1 წელი ბურღავდა ტვინს, მე კი სულ იმას ვეუბნებოდი — ოჯახს მიხედე, აღარაფერში მჭირდები-მეთქი. ბოლოს 2 კვირის წინ ვნახე და მგონი, საბოლოოდ მოვიშორე. ის მწარედ დაისაჯა — ცხოვრობს ადამიანთან, რომელთანაც ბედნიერი არ არის. „თეთრი ციყვი“.

„ხუთშაბათს ვიყიდე „გზა“, ჩავჯექი „მარშრუტკაში“ და „გზავნილების“ კითხვა დავიწყე. ჩემი მესიჯი რომ აღმოვაჩინე, ვიყვირე: ვაშაა! ხალხმა ყურება დამიწყო. მე კი ვითომ ტელეფონზე ვლაპარაკობდი: ჰო, გოგო, მაგარი ამბავი მითხარი-მეთქი (ყურსასმენი მეკეთა და მაგან მიშველა). ნაზი ფერია“.

„ახლა ჩემს დას დავახრჩოოობ! ბოლო თეთრებით ვიყიდი ხოლმე „გზას“ და სახლში რომ შევალ, ისე დამეტაკებიან, თითქოს მაგათი ვალი მქონდეს. :(ახლაც ჩემი და კითხულობს ჩემს ნაყიდ „გზას“ და რომ ვუთხარი, მომეცი-მეთქი, თვალები დამიბრიალა. მიშველეეეთ! პატარა ჟურნალისტკა“.

„მარი, მე უკვე ვხდები, რომ ჩემი დიდი ხნის ოცნება ხორცს ისხამს — „ჟურნალი ჟურნალში“, რა მაგარია! დიიიდი, ვეეებერთელა „გზავნილები“ გვექნება. მართლა, მარ, წავიდეთ ბაღდათში და ვიქეიფოთ. სხვა მგზავნელებსაც გავიცნობ და ერთი დიდი „ორგანიზაცია“ ვიქნებით, რომლის ლიდერი მარი, ჯაფარაანთ ქალი იქნება. მარი, იცი, რა ბედნიერი ვარ, როცა ვკითხულობ შენით დაინტერესებული და დაინტრიგებული ადამიანების მესიჯებს, რომლებსაც შენ შესახებ ყველაფერი აინტერესებთ? მათ აქვთ სრული ინფორმაციული ვაკუუმი. მე კი თვით მარის ვიცნობ. ელისო ლომიძე. ყველანი მიყვარხართ, მიუხედავად თქვენი ღირსებისა და ნაკლისა; მიუხედავად იმისა, ვინმეს მოსწონს თუ არა ჩემი „ფარული ვნება“ „გზავნილებისადმი“. გაკოცეთ ყველას. ეს ფრაზა კი ახალი ჟურნალისთვის გავაშანშალე...“

„მაგრად მიყვარს „გზავნილები“ და მესიჯომანები. ზაფხულში დაქალთან ვიყავი. სწორედ იქ წავიკითხე „გზა“ და „ესემეს“-მანი-

ით დავსნეულდი. ამის მერე არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია. მიყვარხართ ყველანი. მაწაკი გოგო“.

„მალიი, სუუ... დედამ ალ გაიგოს, მობილი ისევ მოვიპალე. ცოტნე, გამალჯობა! ქო, ლამაზი ქალ, გოგოები „დაეცემიან“ სენზე. მოდი, ელთმანეთი გავიცნოთ და საცოლეებიც ელთად მოვჯებნოთ. ოთიკო“.

„აუ, ვიღაც ჩემი ნიკით შემოპარულა. კისკა, მე ვარ, მე! სხვისი ნიკის მითვისება არაა კაი საქმე. რა, ამ ქვეყანაზე ნიკები დაილია? რატომ მომპარა იმ გოგომ ნიკი? აღშფოთებული ვარ! რა ცუდი ყოფილა, ნიკს რომ აგწაპნიან. კისკა, თუ დაგიჭირე, გალურჯებამდე გცემ. ნამდვილი კისკა“.

„ხალხო, რატომ არ გჯერათ „გზავნილების“ არსებობის? მარი, ასეთ მესიჯებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. რატომ ხართ ურწმუნოები? ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ, ვახ! :) ნეკატო“.

„დღეს სამსახურიდან შესვენებაზე გავედი, ჟურნალს ვიყიდი-მეთქი. გამყიდველი გაცხარებული თამაშობდა „ჯოკერს“. — უკაცრავად, იქნებ, ყურადღება მომაქციოთ და „გზა“ მომცეთ-მეთქი. — ვა, ვა, ვა, ვა... გოგონი, თქვენ „გზას“ კი არა, მთელ ჩემს ცხოვრებას და ქონებას მოგცემთო. ვუთხარი: შენ რომ ცხოვრება და ქონება გქონდეს, პლეხანოვზე ჟურნალებს კი არ გაყიდდი-მეთქი. ჟურნალი მაჩუქა, თავისი ქონებიდან. „რავა ყველას ვევასები“... კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„მარი, სვანებს რაღაც არ სწყალობ, არა? სულ არ მიბეჭდავ მესიჯებს. მესტია მოვინახულე. მაგარია! გინდა, მესტიის ფოტო? ორია“.

„ახლა ხუთშაბათია, „გზა“ გადავაბულბულე, მაგრამ ჩემი მესიჯი ვერსად ვნახე. დასჯით არ დასჯილა მოღალატე, მაგრამ აღდგომის საღამოს მიღალატა ჩემმა სიყვარულმა და მგონი, მე უფრო დავისაჯე, რადგან მეგონა, მოვკვდებოდი. გადავრჩი და გიმესიჯებთ. ქუთაისი“.

„იცით, რა დამემართა? ვუღალატე პირველ შეყვარებულს, შემიყვარდა მეორე, გამოჩნდა მესამე და ახლა შეყვარებული მყავს, რომლის ჩამოსვლასაც ერთი წელი უნდა ველოდო. ოღონდ ვერ მიეხვდი, ვინ დაისაჯა. მგონი, ზედმეტი ვინც იყო და ვინც ცოლად შერჩა ჩემს პირველ ტურფას. დელმარი“.

„დღეს პირველად ჩავიცვი ქუსლიანი ფეხსაცმელი. როგორ მომწონს, იცით? მაგრამ ყველა მეუბნება: დაიხარე, თორემ ვერ გწვდებიო. :) ეეჰ, ჩემი მტერი იყოს აბიტურიენტი. წავედი, „ჯაყო“ მაქვს სასწავლი. აუ, თან რამხელაააა, რა ისწავლიიის? მპუები ყველას... მალე მოვااალ. ბუბიკო.

„ეჰ, მარიკუზაااა, რა მავნე ხااარ... რა იყო, „მგზავნელებო“, რატომ მიყურებთ ასე გაოცებული? :) თქვენ რომ ბრაზობთ მარიზე და „ოპოზიციებს“ ქმნით, ეგ არაფერი და მე ეეერთადერთხელ „მავნე“ რომ ვუწოდე, გიკვირთ, არა? თქვენ უსაფუძვლოდ ბრაზობთ, მე კი მყარი არგუმენტები მაქვს: ყოველდღე გაზეთის ჯიხურში უიმედოდ შევდივარ და ვკითხულობ: ახალი „გზა“ არ გამოვიდა? თქვენ უნდა ნახოთ გამყიდველის სახე, როცა მეათასეჯერ მიხსნის, რომ „გზა“ მხოლოდ ხუთშაბათს გამოდის. აი, დგება ნანატრი „ტკბილ-მწარე“ ხუთშაბათი. სამი ლექციის მერე, დეკანის მუქარის მიუხედავად, გამოვრბივარ და „ვიტაცებ“ ჟურნალს. მერე ვჯდები მარტო, სადმე კაფეში, 1 გრადუს ყინვაში ნაყინს ვუკვეთ ან 40-გრადუსიან სიცხეში ცხელი ჩაით ვითუთქავ პირს. დღესაც, „გზის“ კითხვაში იმდენი ნაყინი შემომეჭამა, ახლა ერთიანად ვკანკალებ... ვიცი, ამ აკანკალებული თითებით დაწერილ მესიჯსაც არ დამიბეჭდავს მარი და მომავალ ხუთშაბათს ისევ უნდა ვიბუზღუნო... მანამდე კი შევალ ჯიხურში, იქნებ, კიდევ გამოვიდა ახალი „გზა“? :-) მეგრელი კანიბალკა“.

„აუუ... მარიი, მართლა რა მაგარი იქნება, ჩვენი მესიჯები ცალკე რომ აკინძო და გამოუშვა „გზასთან“ ერთად. მე კი სულ მეორედ ვამესიჯებ, მაგრამ იმ ადამიანების მესიჯებს რომ ვკითხულობდი, რომელთა „გზავნილებიც“ არ ქვეყნდებოდა, გული მეწვოდა, ისეთი გულდაწყვეტილები იყვნენ. აბა, ხალხოო... მგონი, გვეშველაააა...“

„აი, რა განსხვავებაა ჩვენსა და თქვენს შორის. ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, ერთმანეთს არასოდეს ვღალატობთ, არასდროს ვატყუებთ ერთმანეთს, არასდროს „ვჭამთ“ ერთმანეთს. ესეც ერთი განსხვავება. ეჰ, რა პატარები ხართ, ადამიანებო. ღამურა“.

„23 წლის ვარ და მეექვსე კლასიდან მიყვარდა ბიჭი, მთელი 12 წელი მისი ერთგული ვიყავი. მან კი, 15 თებერვალს, ერთი დღის ნაცნობი „პუტანკა“ მოიყვანა ცოლად. ჯერ ხომ ამით დაისაჯა, რომ მიღალატა და თანაც, ქუჩის ქალთან. მერე მირეკავდა, მაპატიე, ვიტანჯებიო. შემდეგ მის მეუღლეს მუცელი მოეშალა და გაშორდა. აი, ასე მოსდით მოღალატე მამაკაცებს. კაცებოოო, ნეტავ, როდის ისწავლით ლამაზი ქალის ფასს? კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„პირველად მერვე კლასში შემიყვარდა, წრფელი და ნამდვილი სიყვარულით. ჩემს გრძნობას საგულდაგულოდ ვმალავდი. მასაც ვუყვარდი და ეს ყველამ იცოდა. სადედამთილოს ჩემზე ჭკუა ეკეტებოდა. იმ ბიჭს მალე გავუმხილე, რომ მიყვარდა და უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მათ შორის, ბედნიერებასაც. მითხრა — აღარ მიყვარხარ, სხვა მომწონსო. საშინლად მეტკინა გული. ამას ისიც დაემატა, რომ საუკეთესო დაქალმა გამიმხილა: ეგ ბიჭი მეც მიყვარსო. ერთი წელია, რაც იმ გოგოსაც აღარ ველაპარაკები... ორი უსაყვარლესი ადამიანის ღალატმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. თუმცა, იმედი ბოლოს კვდება. ეშმაკუნა“.

„ცოტა ხნის წინ მეზობელმა ქალმა მთხოვა: ტელეფონი დამიჯდა და შენი მათხოვე, მესიჯის გაგ-

ჭალები ჭამდან იმიხვევენ ხმამაღლენ, მამ „მინიშნენ“ ან მაძაყალი, მიშელიც მიეწანეშეთ.

ზავნა მინდაო. რა თქმა უნდა, ვათხოვე. რომ დამიბრუნა, ვნახე, რომ გაგზავნილი მესიჯის წაშლა დავიწყებოდა. თურმე, საყვარელს უმესიჯებდა. მეორე დღეს ეს ამბავი მთელმა სამეზობლომ გაიგო. ისეთი ამბავი ატყდა, გახსენებაც არ მინდა (კიდევ კარგი, მისმა ქმარმა ვერ გაიგო). თუ ამ მესიჯს წაიკითხავს, მინდა, ბოდიში მოვუხადო. ლეო-91“.

„მარორიტა, ნუ დაგვტანჯე, მართლა გამოვა „გზავნილების“ დამატება? რა მაგარი იქნება! :) მოღალატეები და მატყუარები შორს ჩვენგან. ცოტნე, „მალთლა კალქი ბიჭი ქალ“. ნეკატო“.

„მე ის დავაშავე, რომ დამნაშავე არ დავსაჯე. მართალია, გოგო იყო, მაგრამ მაინც უნდა დამესაჯა. რას იზამ? ასეც ხდება. არა უშავს, იმის მაგივრად სხვას დავსჯი... აბა, რა ვიცი, დავსჯი? არა, არა, არ დავსჯი. „ჩორტიოზნაეტი“.

„ჩემი შეცდენის, მიტოვებისა და გაუბედურების გამო ადამიანი იმ ქვეყნად წავიდა. მოღალატე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მთელმა სადაქალომ მშობიარობამდე მიღალატა. წლების წინ დაქალმა შეყვარებულიც „დამაწერა“. მეგობარი აღარ მყავს და ალბათ, არც მეყოლება. სამწუხაროდ ქართველებმა სინდისი, ნამუსი, მეგობრობა და სიყვარული დავკარგეთ. პატარა დედა“.

„ჩემი მოღალატე „ექსლოვე“ იმით დაისაჯა, რომ ღალატი არ ვაპატიე და 1 კვირის წინ ცოლი მოიყვანა“.

„მარი, მართალია, ძალიან მაბრაზებ, მაგრამ მოღალატედ არ მიგიჩნევ იმის გამო, რომ მხოლოდ 1 მესიჯი დამიბეჭდე. სხვათა შორის, მგონი „გზავნილებში“ ის დაქალი აღმოვაჩინე, რომელიც ტვინს „მიბურღავდა“, რა გინდა „გზავნილებშიო“. ბებე, მიცანი? კამპოლინა“.

„იცით, დედაჩემის მობილურში მარის ნომერი აღმოვაჩინე. გადმოვიღე „გზის“ ძველი ნომრები და ხელახლა გადავიკითხე იმისთვის, რომ დედაჩემის მესიჯები ამომეცნო, მაგრამ ამაოდ... ეეეჰ... კისკა“.

„თქვენ გგონიათ კარგად ვარ? მამაჩემი სავარჯიშოდაა წასული (რამ გააგიჟა ეს კაცი?), დედაჩემი და ჩემი ძმა მზესუმზირას აკნატუნებენ და ამ კნატუნის გამო შესაძლოა, გავრეკო. ჰო, ბებიაჩემი კიდევ, მაგრად ხვრინავს (მაგას დავახრჩობ). ჰოდა, თუ ხუთშაბათს ეს მესიჯი „გზაში“ ვნახე, კარგია. შესაძლოა, ეს ბედნიერება ციხეში განვიცადო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ როცა მიხარია, სიხარულს ცუდად გამოვხატავ — ამ დროს ადამიანს უნდა „ვუჯიკო“. ჰოდა, ამ „ჯიკებისთვის“ კიდევ დამიმატებენ. მარი, დამიბეჭდე, რა, დედაჩემის გულს მაინც ხომ გაახარებ?“

„მოღალატე დაისაჯა და თანაც, ჩემი „წიხლებით“. მაშ, რა ეგონა? ალბათ იფიქრა, რომ ადვილი იქნებოდა ჩემი ქმრის დათრევა. ირინა, მიფრთხილდი და შეეცადე, არსად გადამეყარო“.

„რა ამის პასუხია და 21 აპრილს გოგოს მოტყუებით წაყვანას ვაპირებ. ვიცი, ვუყვარვარ და არ გამწირავს. თუ ჩემკენ არ დადგა და მიჩივლა, მოღალატე გამოვა და დავსჯი! როგორ? ოოო, ამას მერე გეტყვით. ისე, მეც დასასჯელი ვარ, მეც ხომ ვუმალავ სიმართლეს? გუკი“.

„წუხელ მაგარი ამბავი მოხდა. ჩემმა მამიდაშვილმა დაქალს და შეყვარებულს ლოგინში ნებივრობის დროს შეუსწრო. ის გოგო თმით ითრია და ისე დაკაწრა, კატის ნაფხაჭნი გეგონებოდათ, ვაჟბატონს კი თავში გრაფინი მოხვდა. არ ვიცი, მომავალში რა იქნება, მაგრამ მამიდაშვილი ისეა გამწარებული, რომ მეშინია, რომელიმე ხელში არ შემოაკვდეს“.

„ღმერთმა დასაჯა ჩემი ყოფილი ქმარი, რადგან ვერ ხედავს, როგორ იზრდება მისი შვილი. პუპსიკა“.

„ეჰ, მარი, აღარც სიყვარულის მჯერა და აღარც არაფრის. ვინც მიყვარს, ყველა მღალატობს, მეგობრებიდან დაწყებული, შეყვარებულით დამთავრებული. შენც მიღალატე, მარი. როგორ ველოდი ჩემს მესიჯს, მაგრამ რად გინდა? უიღბლო გოგო“.

„ჩემს შემთხვევაში მოღალატე კი არ დაისაჯა, პირიქით, ის დღეს ბედნიერია და შეხმატკბილებულად ცხოვრობს თავის გოიმ ცოლთან. ღმერთმა აპატიოს, მოღალატეს. მე კი თქვენ წინაშე, სახალხოდ ვაპატიებ ღალატს. მაკა“.

„აუ, ნეტავ მოგისწარით? სოფელში ვიყავი და „გზა“ ვერ წავიკითხე. გაზეთების ჯიხურთან „ფეხები გავფშიკე“ და მთელი ხმით ვკიოდი: „გზა“ მინდა-მეთქი. მაგრამ ვინ მოგისმინა? — არ მაქვს, ქალიშვილო და რა ვქნაო, — მიპასუხა გამყიდველმა. სულ უნდა დამეპუტა მისი „გადაკრასკული“ თმა. ერთით მეტი „გზა“ რომ მოეტანა, ხომ არ მომიწევდა ასე „შუსტრად“ ჩამოსვლა? აი, ასე „მოვისოფლე“. მის კალაძე“.

„მარი, მართლა „გზავნილები“ იქნება „ჟურნალი ჟურნალში“? აუ, რა მაგარია! ბოროტ ხალხს კი, ვისაც მარის არსებობის არ სჯერა, ვურჩევ, კარგად დაფიქრდნენ. ამკაბანკა“.

„აუუ, მართლა დიდებული შეგრძნებაა, როცა შენი მესიჯი „გზაშია“ გამოქვეყნებული. გმადლობთ, მარი. ახლაც პირველ კორპუსში ვარ და სიხარულისგან ლამის ვიკივლო. პარიჟანკა“.

„მარი, ახლა ლექციაზე ვზივარ და იმის მაგივრად, რომ ლექტორის ბუუტურს ვუსმინო, თავი ჟურნალში მაქვს ჩარგული. უკვე 2-ჯერ მივიღე შენიშვნა და თუ დამადგა ჩემი „სტერვუშკა“ და დამაბდღვნა მოვლილი თმაა... რად მინდა რელიგიის კულტურა, ჟურნალისტ ქალს? აუ, მარ, სათხოვარი მაქვს ერთი. შეგვკრიბე გზავნილომანები, რა. არ გაინტერესებს, როგორები ვართ? თან მგონი, ყველას გვინდა ერთმანეთის ნახვა... აუ, მარ, იფიქრე, რა, ამაზე... მპუა შენ. ილინი“.

„ახლახან სახლში მოვედი და ვეცი „გზავნილებს“. თანაც ისე, რომ დედაჩემს ჟურნალი ჯერ არ დაუთვალიერებია. დედა ისე მიყურებს, როგორც ერთი გააფთრებული ლომი მეორეს, რომელმაც ნადავლი წაართვა. რას იზამ, ყველაფერი დასწრებაზეა. თათა-კრის“.

„იცით, ნერვები როგორ მომეშალა? მაღაზიაში წავედი „ბალის“ საყიდლად და ქმარი ცოლს მკვდარს და ცოცხალს აგინებდა, რატომ იყიდე „ლაროციანი“ ღვინო და არა 2-ლარიანიო. გარეგნულად ორივე კარგი ტიპი იყო. აუ, როგორ შემეცოდა ის გოგო... — შენ სულ სასმლის გამო როგორ ჩხუბობო, — ეუბნებოდა ქმარს. ალბათ, ცოლს ხშირად ამწარებს. თევზი“.

„რათა, რათა, რათ არ მიბეჭდავ მესიჯებს, მარორიტა? არ ჭრის სეხნიობა და რამე? ისე, საჭიროა, ხომ იცი, „ჟურნალი ჟურნალში“. ამდენ გზააბნეულ, მარტოსულ და უპატრონო ადამიანს პატრონი და გაგება უნდა, მააშ! მარორიტა, ნუ გვაბრაზებ, რააა... მერი-ჯეი“.

„მაგარია, როცა შენი მესიჯი იბეჭდება, მაგრამ იცით, რა ვერ „დავამუღამე“? — ისეთი რა მივწერო მარის, რომ ნახატიც გაუკეთოს? ტუტი“.

„მე ღამურას ვუჩივი. სად წავიდა და სად დაიკარგა, ეგ მართ-

ყველა ყველა ჭალი ამამ გაჭამეს, მამაცალების მამავალი ნამცხვალად გადაიქცევა.

ლა ღამურა? ღამურააა! მარიმ ხომ არ გაგმურა, რომ არ ჩანხარ?“

„მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი „გზის“ გამოსვლას. ახლა პირველად გწერთ და მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგები ხართ. მათ კი, ვინც გულგატეხილია, ვეტყვი, რომ ცხოვრება მაინც მშვენიერია... მალე პატარა მეყოლება და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ჩემს პატარას მარის დავარქმევ“.

„ამას წინათ ერთ სამსახურებრივ, საიდუმლო საიტზე შევძვერი, სადაც პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოძებნა შეიძლება. ავკრიბე კლავიატურაზე მარი ჯაფარიძე და მივეცი შემდეგი ბრძანება: „ძებნა“. ნეტავ განახვა, რამდენი მარი „ამოაგდო“ — 91! გავოცდი და თან, გამიხარდა. ასე რომ, გაუმარჯოს სვანებს!“

„ჩემმა ექსდედამთილმა ქმარიც წამართვა და ჩემი პაწიაც მუცელშივე მომიკლა. ბაჩო შალიკიანო, დედიკო არსად დაკარგო. ღმერთის გეშინოდეთ, სატანები ხართ. ნათია“.

„გადავწყვიტე, ჩემს დაზე მოგწეროთ. სოფომ სახლის ტელეფონით გაიცნო ერთი ბიჭი — „ქოლესტერინა“. მერე მობილურის ნომერიც მისცა და ყოველდღე მესიჯობდნენ, არც ერთ დღეს არ „მაზავდნენ“. ჰოოოდა, ერთ დღეს საერთოდ აღარ გამოჩნდა, არც მესიჯებს სწერდა... გუშინ მოსწერა: ცოლი მოვიყვანეო. ახლა ჩემი და დგას და ფიქრობს: ნუთუ, მე ვარ მესამე და ზედმეტიო? სოფ, გენაცვალე, არ ინერვიულო, „იგი წავა და სხვა მოვა“... ჰო, „ქოლესტერინა“ კი იმიტომ შევარქვით, რომ ძალიან მსუქანია. თაფლაკვერა :-)“.

„საშინლად იმედგაცრუებული ვარ... ახლა არ იკითხავთ, რატომ? ჩემმა კურსელმა ცოლი მოიყვანა. ახლა მკითხავთ ალბათ, მერე შენ რაო? რაო და ეს „გათახსირებული“ კაცი ჩემსავე კურსელს „ეპადხოდებოდა“... ვიცოდი, შეყვარებულთან ნაჩხუბარი იყო და დახმარება რომ მთხოვა, სალოსთან საქმე ჩამეწყო, უარი არ მითქვამს... ვაიმეეეე... კიდევ კარგი, სალომ თავი დაიფასა, თორემ რა მეშველებოდა? ჰოდა, უცებ ცოლი არ მოიყვანა? ვაი, რა პირით შევხედო ახლა სალოს? ეეჰ, არა რა, არავის საქმეში აღარ ჩავერევი, პირობას ვდებ! მოღალატე კი ალბად დაისჯება... დიდი სიყვარულით, ილინი“.

„გაუმარჯოს შვანს, ლიშვანს ი მუშვან მაარეს. მარი, მესიჯებს თუ არ გამომიქვეყნებ, „გზას“ პროტესტს გამოვუცხადებ და დავწვავ 250 ცალ ჟურნალს. აუ, არ დამაწვევინო, რა... ლილე“.

„სულ ერთი ციდა „სმს“-ი ვარ. სადაც მგზავნიან, იქ მივდივარ. ზოგს ნერვებს ვუშლი, ზოგსაც ვახარებ, შენ? გაგაბრაზე? თუ გაგახარე? მიყვარხართ ყველანი. ლ-ლი“.

„უკვე ორი წელია უცხოეთში ვარ და მუდმივად ვკითხულობ „გზას“. ერთი ადამიანი მენატრება უზომოდ, გაფრენამდე! მას ჰგონია, რომ არ მაინტერესებს (მე ვუთხარი ასე). არა და რამდენი ღამე გამითენებია მასზე ფიქრში და კიდევ რამდენს გავათენებ, ვინ იცის? ეჰ, ასეთ თვითგვემაში ვარ უკვე, რამდენი ხანია და ვერ გავიგე, რატომ. ჰოდა, რომ მოჰბეზრდება ხვეწნა და დამიქნევს ხელს, მერე ვისწავლი ჭკუას. სიამაყე მღუპავს, ხალხო! გეფერებით მთელ საქართველოს“.

„გამარჯობა, მარი. პირველად შემოვდივარ „გზავნილების“ ქვეყანაში. თუ მომიღებთ, კეთილი იყოს ჩემი ფეხი. რატომ გწერ? იმიტომ, რომ მოვიწყინე და მარტოობა მომბეზრდა“.

„ვა, რა ხდება ტო, ამ ათენში? „გზის“ ახალი ნომერი არ შემხვდა და ძალიან გავბრაზდი. ახლა კი ათენში მცხოვრებ ქართველებს მინდა გთხოვოთ, კვირას ერთი ჟურნალი მეც დამიტოვეთ, რაა... ფსიხიმუ“.

„იქნებ ახლა მაინც ეღირსოს ამ მესიჯს „გზის“ ფურცელზე მოხვედრა. მით უმეტეს, თუ ჟურნალში ჟურნალი იქნება, ჩემნაირებისთვის განკუთვნილი :) მაშინ კი მართლა არ მოგაწყენ, მაგრამ ერთს გთხოვ, შენ არ მაწყენინო!“

„სამი წლის წინ ჩემმა შეყვარებულმა გადაწყვიტა, ორ გოგოსთან ერთად ეგრიალა. ერთი მე ვიყავი, მეორე კი თავისი ყოფილი შეყვარებული. თურმე მალულად ხვდებოდა მას. ეს რომ გავიგე, მაშინვე დავთმე ის მოღალატე. ახლა კი ის დებილი დასჯილია იმით, რომ აშარი და ანჩხლი ცოლი ჰყავს. მე კიდევ, უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, ჩემს ქმარუკასთან და პატარასთან ერთად. ვოტ! ზიფსო.

„მარი, ტრადიციას არ უღალატო და მესიჯი არ დამიბეჭდო, თორემ ტრადიციის ღალატისთვის დაისჯები. სასჯელად კი ყოველ ხუთშაბათს ჩემი მესიჯის გამოქვეყნება გექნებაააა... ალი-ბუსა“.

„მინდა გითხრათ, რომ ღალატისთვის დავისაჯე და იცით, როგორ? ჯერ ერთი, ის სიამოვნება ვერ მივიღე, რასაც ველოდი და მეორეც, დილით რომ გავიღვიძე, აღარც ქალი იყო და აღარც ფული და „მობილი“ ჯიბეში. ოლეგარიო“.

„იცით, რა არის ღალატი? როდესაც ფარისევლური ღიმილით ხვდები ადამიანს, ზურგს უკან კი ლანძღავ და ათასნაირ ინტრიგას უმზადებ. გშურს მისი და შეხვედრისას აქებ, სხვებთან კი აძაგებ, განსჯი, გაკიცხავ, ლაფში ამოსვრი და ამავე დროს, შენ თვითონ ხარ კისრამდე სიბინძურესა და ღალატში ჩაფლული. თ. სურმანიძე“.

„როდესაც ბათუმის კათოლიკური ეკლესია აშენდა, უამრავი მართლმადიდებელი, გრიგორიანელი და მუსლიმანი მოაწყდა. ყველა ჭეშმარიტ კათოლიკობას იბრალებდა. მიზეზი კი საზღვარგარეთ იოლად წასვლის შანსი იყო ან მღვდლისთვის ფულის, სამუშაოს და ა.შ. შეწერა. ზოგიერთს გამოუვიდა, ზოგიერთს — არა. შემდეგ უმრავლესობა (ვისაც „გამოუვიდა“ და ვისაც არა) ეკლესიიდან წავიდა. აი, ეს არის ნამდვილი ორმაგი ღალატი და ასეთი ადამიანი ღმერთისგან ნამდვილ სასჯელს იმსახურებს“.

„როცა ისეთი შინაარსის მესიჯებს ვკითხულობ, სადაც გეუბნებიან: აუ, რატომ არ მიბეჭდავ მესიჯებს, რატომ ამომიჩემეო... არ მჯერა, რომ არ უბეჭდავ. ალბათ იტყუებიან, ხომ? ჰოდა, იმედია, მე დამიბეჭდავ. მართლა პირველად გწერ და არ მაწყენინო, მარიკუნა. მპა, მპა, მპა...“ :):):)

„ეჰ, მარი, მარი! რა იყო, რა დაგიშავე, მესიჯებს რომ არ მიბეჭდავ? მაგრამ მე მაინც მიყვარხარ, მაკრინე! დიდი ღალატი არ განმიცდია და ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ რაღაც წვრილმანი — კი. ახლა მინდა ჩემს დაქალზე მოგწეროთ. შეყვარებული ჰყავდა და მე-5 კლასიდან მოყოლებული დღემდე უყვართ ერთმანეთი. ამ ბიჭმა კი ცოლი მოიყვანა და შვილიც ჰყავს უკვე. ჩემს სულელ დაქალს ატყუებს, ცოლს გავცილდები და შენ მოგიყვანო. ამასაც სჯერა. არადა, ერთი უნამუსო, მოღალატე ბიჭია. რომ ვცადე, დაქალისთვის დამენახვებინა მისი ნამდვილი სახე, ადგა და გამებუტა. 3 დღეა, ვურეკავ და არ მპასუხობს. ვიცი, „გზას“ კითხულობს და მინდა, ბედნიერება ვუსურვო, მაგრამ ეგ შენი ზურა მოღალატეა. ცოლსაც ატყუებს და შენცმოღალატე კი უნდა დაისაჯოს. მიყვარხარ, თეო“...

„სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ნათესავები მყავს. როცა იქ მივდივართ, გზად ერთი დაბურული, ხავსიანი სახლია. როცა ამ სახლს ხედავს დედაჩემი, ყოველთვის ჰყვება ხოლმე ერთ ამბავს. თურმე აქ ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, მგონი შილებიც ჰყვდათ. ქმარი მაგარი მექალთანე ყოფილა. ქალებში წავიდოდა, გაერთობოდა, დათვრებოდა, შინ დაბრუნებული კი ცოლს სცემდა და ყველას თვალწინ შეურაცხყოფდა. ერთხელ ცოლმა თურმე შურისძიება გადაწყვიტა. ღამე მთვრალი ქმარი სა-

წოლზე მიაბა და ნაჯახით სასქესო ორგანო მოაჭრა... ის არც კანიბალი იყო და არც მანიაკი. უბრალოდ, ღალატისთვის დასაჯა ქმარი. კაცი გარდაიცვალა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ცოლი არ დაუპატიმრებიათ. მეგრელი კანიბალკა“.

„მინდა ჩემზე მოგიყვეთ. ერთი ადამიანი მიმესიჯებდა. ის ჩემზე 11 წლით უფროსი იყო. არ მომწონს არასერიოზული ბიჭები, ამიტომ ის ჭკუადამჯდარ ადამიანად მივიჩნიე და მესიჯებზე ვპასუხობდი. ისეთ სიტყვებს მწერდა, რომ „ლუბოი“ გოგოს „დაკერავდა“. თავი მოიკლა, სანამ „ემემესით“ ჩემი სურათი არ გამაგზავნინა. მეც მისი გამოცდა გადავწყვიტე და რომელი სურათიც ყველაზე ცუდი იყო, ის გავუგზავნე. იცით, რა მომწერა? უფრო უკეთესს მოველოდი, იმედები გამიცრუვდაო. მე მივწერე: ეგ ყველაზე კარგი სურათია, ისე უფრო ცუდი ვარ-მეთქი. რა თქმა უნდა, დაიჯერა. თვითონ მომწერა: ვიცი, გული გატკინე, მაგრამ შენ ისეთი კარგი ადამიანი ხარ, შენი მოტყუება არ მინდოდაო. რა ცინიზმია, არა? ამით რისი თქმა მინდა, იცით? ყველა მამაკაცი ლაჩარია. მარი, მაპატიე, ასე ადრიანად რომ დაგიმესიჯე. ეს მესიჯი დამიბეჭდე, ძალიან მინდა, რომ იკამ წაიკითხოს და თავის დანაშაულს მიხვდეს“.

„რომ იტყვიან, მართლაც ყველაფერში ბედი უნდა გქონდეს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ვწუწუნებდე. წუწუნი კაცის საქმე არ არის, მაგრამ გათხოვილი ქალი მიყვარს. ყველა თხოვნას ვუსრულებ, მაგრამ ვერ ვუმხელ, რომ მიყვარს. არ დამიჯერებ, მაგრამ სიზმარშიც ვერ ვეუბნები სიმართლეს. მისი სიყვარული მის ორ შვილზე გადამაქვს“. ლევანი, ახალციხე“.

დაგვიანებული მესიჯები

მურმანი

„ჩემს ორ მეგობარს ერთმანეთი შეუყვარდათ. ამის შესახებ თვითონ არაფერი იციან. ჩარევას არ ვაპირებდი. უბრალოდ, მოუთმენლად ველოდი, როდის გაიხსნებოდა სასიყვარულო კვანძი და... დღეს აღმოვაჩინე, რომ არსებობს „მურმანი“, რომელიც ბიჭის საუკეთესო მეგობარია. ჰოოოდა, სასიყვარულო სამკუთხედიც შეიკრააა... ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მე და ჩემმა დაქალმა ვიცით. თავი ბრაზილიურ სერიალში მგონია. ვერ გადაგვიწყვეტია, გავჩუმდეთ და მაყურებლებად დავრჩეთ თუ „მურმანს“ ვუთხრათ, რომ მესამეა? იქნებ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა „თქმა სჯობს, არა თქმასა“? მის ანაკონდა“.

სიძე სკამზე, პატარძალი – ჩემთან

„ერთხელ ნათესავის ქორწილში ვიყავი. ძალიან მაგარი დრო გავატარე, მაგრამ როგორც ჩანს, რაღაცამ მაწყინა და ცუდად გავხდი. გამიყვანეს ოთახში მოსასვენებლად, მაგრამ რად გინდა? ერთი სკამიც ვერ იპოვეს (საწოლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), რომ დავმჯდარიყავი... ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ ის ღამე პატარძლის გვერდით უნდა გამეტარებინა, სიძეს კი თავი „პალატკაში“ უკრეს და იქ სკამზე ეძინა. მოკლედ, სიძე-პატარძალს ქორწილის ღამე ჩავუშხამე. აი, ასე აღმოვჩნდი მესამე და ზედმეტი. ბებო“.

მაინც, რომელია მესამე?

„წელიწად-ნახევრის წინ ერთი ბიჭი მიყვარდა. მეგონა, რომ მასაც ისევე ვუყვარდი, როგორც მე, მაგრამ მწარედ ვცდებოდი. ამ დროს გავიცანი კიდევ ერთი ტიპი, რომელსაც ძალიან დავუახლოვდი. ის ჩემი შეყვარებულის ძმაკაცად მიიჩნეოდა. ჩვენ შორის მეგობრობის მეტი არაფერი ყოფილა, მაგრამ ჩემი შეყვარებული ხშირად ეჭვიანობდა და მას მესამეს, ზედმეტს ეძახდა. ამის გამო, მეგობართან ურთიერთობა გავწყვიტე და ერთმანეთი ხუთი თვის განმავლობაში არ გვინახავს. ერთ დღეს კი სრულიად შემთხვევით შემხვდა ქუჩაში და იმ დღის შემდეგ, მის მიმართ გრძნობა შემეცვალა. მისგან ის სითბო და ყურადღება მივიღე, რაც სხვის გვერდით არასოდეს მიგრძნია. ახლა ის ჩემი უსაყვარლესი მეუღლეა. აი, ასე იქცა მესამე და ზედმეტი ჩემი ცხოვრების პირველ, უმნიშვნელოვანეს და უსაყვარლეს ადამიანად. ბუსუ“.

ზედმეტი სვანი

„მარიკო, მესამე ყოველთვის არაა ზედმეტი. მაგალითად, შენ, „გზა“ და ჩვენ, შენი რუბრიკების ერთგული მკითხველები, უერთმანეთოდ როგორ გავძლებთ? არამც და არამც! :)) ნატა-21“.

„მე საცოდავმა რამდენიმე წელი ვიცხოვრე 13-სულიან ოჯახში. მარტო მესამე რომ ყოფილიყო, რას დავეძებდი? ახლა მარტო ვართ. გაუმარჯოს ცხოვრებას „მესამეების“ და „მეათეების“ გარეშე! ვაშაააა!..“

„მე და ჩემმა დაქალმა სრულიად შემთხვევით გავიცანით ერთი ბიჭი. მას ჩემი დაქალი მოეწონა, მე კი — ის... მათ ურთიერთობა გააგრძელეს და რადგან მესამე ყოველთვის ზედმეტია, ამიტომ მათთან ერთად არასოდეს დავდივარ. არ მინდა, გული მეტკინოს... გმადლობ, რომ მომისმინე... „პაკებიიი“... პატალა“.

„ჩემი მომავალი ქმარი პირველად რომ შემხვდა, თან ბიძა ახლდა. აინტერესებდა, როგორი ვიყავი. დაიწყო აქეთურ-იქითური და ვერ მიხვდა, რომ უნდა წასულიყო. არადა, მარტო გვინდოდა დარჩენა. 2 საათი იქაქანა და მერე, ძლივს მოიფიქრა წასვლა. ახლა ის მითხარი, არ იყო მესამე ზედმეტი? მაგრამ მიხვედრილობა აკლდა“.

„ჩემს სიცოცხლეს მივაკითხე სამსახურში. ის „მატორისტია“. ჩამოვხურეთ გარაჟი და ვართ განცხრომაში. ჰოდა, კლიენტმა დააკაკუნა: „პაკრიშკა“ დამეშვა და „ნასოსი“ მინდაო. ჩემმა „ლოვემ“ გასძახა: „ნასოსი“ არ მაქვსო. — „მატორისტი“ ხარ და „ნასოსი“ არ გაქვსო? — გაკვირვებული ხმით იკითხა უცნობმა. მოკლედ, არც ის გვეშვება და არც ჩვენ ვუღებთ კარს. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ თურმე, ის კაცი სვანი ყოფილა. ალბათ, იმიტომაც ითხოვდა „ნასოსს“ ასე დაჟინებით... ახლა გეკითხებით: ის სვანი ზედმეტი არ იყო? ჟუჟუ“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მაგია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com. მიამბეთ, გჯერათ თუ არა შავი ან თეთრი მაგიის, მკითხავისა და „მჩხიბავის“. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ყოლა გაცილებით ჰუმანური ამბავია, ვიდრე ჭოლი. მოცა ხიხლოს ეზოვენ, ყოლიები ბზუილს ბუკვენ.

ორიოდე წუთი დააკვირდით ამ ფოტოს და კონცენტრაცია მის შინაარსზე მოახდინეთ. იფიქრეთ იმაზე, რაც ამ დროს თავში მოგივათ. ეცადეთ გასცეთ პასუხი კითხვაზე — რას უნდა ნიშნავდეს მასზე გადმოცემული მოქმედება. ტესტის პასუხები იხილეთ ქვემოთ.

1. თუ სურათზე დაკვირვების პროცესში გაიფიქრეთ, რომ გაგიმართლებდათ, თუ ამ 1 ყუთ ლუდს ქალბატონი თქვენს მისამართზე მოიტანდა და გეტყოდათ, რომ ლატარიაში მოიგეთ, თქვენ მეოცნებე და ოპტიმისტი ყოფილხართ. მოგწონთ, როდესაც ყველა თქვენი ჩანაფიქრი ფრთას ისხამს, ოღონდ — თქვენი ძალისხმევის გარეშე. გიყვართ სიურპრიზები და მიგაჩნიათ, რომ ბედმა დაგჩაგრათ და ცხოვრებისგან ვერ იღებთ იმდენს, რამდენიც გეკუთვნით.

2. თუ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ ფოტოზე გამოსახული მამაკაცი გოგი თოფაძეა და მის ამოსაცნობად მხედველობა დაძაბეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ გიყვართ უცხო ადამიანებთან კონტაქტი და ყოველთვის ცდილობთ, ახალგაცნობილ ადამიანებთან საერთო ნაცნობები გამონახოთ. ხართ კონტაქტური და ბევრი მეგობარი გყავთ.

3. თუ გაიფიქრეთ, რომ მამაკაცის საქციელი არასწორია, ე.ი. ნამდვილი ჯენტლმენი ყოფილხართ. თქვენ გარშემო მუდმივად ტრიალებენ ქალბატონები და ქალთა საზოგადოების სული და გული ხართ.

4. თუ თქვენი ყურადღება მამაკაცის ჩაცმულობამ მიიპყრო, ნამდვილი დენდი ყოფილხართ. გაქვთ დახვეწილი გემოვნება და გიყვართ გარდერობის განახლება. სეზონზე 1-2 ძვირად ღირებულ ნივთს მაინც ყიდულობთ, თუნდაც ამისთვის ვალის აღება დაგჭირდეთ.

5. თქვენი ყურადღება ფოტოს უკანა პლანმა მიიპყრო? დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით. თუ პროფესიად იურისტობა არ აგირჩევიათ, დიდად შემცდარხართ და თქვენი სახით ნამდვილი შერლოკ ჰოლმსი დაკარგა ქვეყანამ. თუ ახალგაზრდა ხართ, ჯერ კიდევ გვიანი არ არის, იფიქროთ პროფესიის შეცვლაზე.

6. თუ აღგაშფოთათ იმან, რაც ფოტოზე ნახეთ, გაგიჩნდათ პროტესტის გრძნობა და სურვილი, იბრძოლოთ ქალთა უფლებების დასაცავად, ე.ი. ნამდვილი ქალბატონი ყოფილხართ და არ გიყვართ უხეშ და უზრდელ მამაკაცთან ურთიერთობა. ●

„ცოლი რომ არ გყავდეს, შემიყვარდებოდი"...

„მარი, გამაოგნა ამ ამბავმა, მაგრამ შენი მოგონილი ხომ არ არის? იქნებ, ზაზას მისცე ჩემი ნომერი და თუნდაც 1 სიტყვა მომწეროს?.. იქნებ, ყველაფრის შეცვლა შევძლოთ, თუ რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მართალია. იქნებ, სხვებსაც გაუჩნდეთ მისი დახმარების სურვილი?.. მაპატიე, უნდობლობისთვის", — მწერს ერთი მკითხველი. არ მეგონა, თუ ამ ამბის რეალობაში ეჭვი კიდევ შეეპარებოდა ვინმეს. რაც შეეხება ტელეფონის ნომრის გადაცემას, მკითხველს კიდევ ერთხელ ვეტყვი, რომ სამწუხაროდ, მე ზაზასთან ურთიერთობა არ მაქვს. აქედან გამომდინარე, ვერ მოვახერხებ მისთვის ხმის მიწვდენას. ჩვენს გმირს ტელეფონი და სხვა ფუფუნება რომ ჰქონდეს, აღარც მას ექნებოდა საფარდებელი და აღარც — დედამისს. ასე რომ, ამ ეტაპზე უნდა გაგაწბილოთ. თუმცა ზაზა რომ გათავისუფლდება, მაშინ შესაძლებელი იქნება მისი გაცნობა და თქვენი დაკავშირებაც იმ დროისთვის გადავდოთ. ალბათ, ძალიან დიდი ოპტიმისტი ვარ, რადგან იმედი მაქვს, ვიდრე ჩვენი „რეალურის" თხრობა დასრულდება, ზაზა გარეთ იქნება და არც ინტერვიუს დაგვამადლის. ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გავეცნოთ.

„მარი, თუ იცი, ზაზა საკანში „გზას" კითხულობს? ლეო-91".

„ზაზა მართლაც კარგი ადამიანია და ძალიან მეცოდება. მისი დედა, ნათელა ბებო ჩემი მეზობელია და ძალიან საყვარელი ქალია. მაგრად გვიყვარს მთელ ეზოს. თქვენი გვანცა და სალო".

„ზაზა, ვიცი, რამდენჯერმე კითხულობ ჩვენს მესიჯებს და არ ინერვიულო, გთხოვ".

„იცი, მარი, ზაზა ბიჭი ძალიან კარგი ადამიანია და რომ იცნობდე, მოგენატრებოდა. მე მომენატრა და მინდა, ეს ამ ჟურნალით ვუთხრა".

„ზაზა, შენ ამ ცხოვრებაში იმდენი სირთულე და ტანჯვა ნახე, რომ დარწმუნებული ვარ, ღმერთი მუდმივ სამყოფელს სამოთხეში დაგიმკვიდრებს. გამაგრდი. სამსუნგა".

„მე ზაზას მოგვარე ვარ, მაგრამ სამწუხაროდ, მას არ ვიცნობ. ზაზა, უფალს მიენდე, მისი რწმენა არ დაკარგო და ყველაფერი კარგად იქნება. მე და ჩემი ოჯახი კი შენთვის ვილოცებთ. ქეთუნა".

„მარი, გვითხარი, ნატას და ზურას ამბავი როგორ არის? „სიცოცხლემისჯილი" კარგია, მაგრამ ის უფრო მაგრობა იყო. თანაც, ხალხს ძალიან აინტერესებს მათი ამბის გაგრძელება. გთხოვ, პასუხი გამეცი, რა..."

„სულით ხორცამდე შემძრა ზაზას მდგომარეობამ და მისი შვილების წერილმა. შვილებო, გული არ გაიტეხოთ, მთელმა საქართველომ იცის, რომ მკვლელის შვილები არ ხართ. გასული საუკუნის 60-იანი წლების ამბავს გავიხსენებ. მკვლელობისთვის გასამართლებულმა უდანაშაულო ბიჭმა ციხეში თავი ჩამოიხრჩო. ნამდვილი მკვლელი კი ამის შემდეგ გამოჩნდა. მოსამართლემ, ვინც იმ უდანაშაულო ბიჭს განაჩენი გამოუტანა, იარაღით მოიკლა თავი. მას ეყო ვაჟკაცობა და თავისი დანაშაული ამით გამოისყიდა. ახლა კი სხვისი წამება სიამოვნებას ჰგვრის მოსამართლეებს".

„მინდა, „სიცოცხლემისჯილის" მთავარ გმირს, ზაზას ვუთხრა, რომ ის დამარცხებული კი არა, გამარჯვებულია, რადგან ასეთ დიდ უსამართლობას უძლებს. ეს ცხოვრება ძალიან უსამართლოა. მეც მყავს მამა ციხეში და ის თავისი სიკეთისთვის გაასამართლეს. თურმე ჩვენს ქვეყანაში სიკეთისთვისაც იჭერენ ხალხს. კარგად მესმის ზაზასი. მის შვილებს მამის სითბო აკლიათ, მაგრამ აი, ნახავთ, ჩემო პატარა ანგელოზებო, მალე თქვენი საყვარელი მამიკო თქვენთან იქნება. თქვენ ამქვეყნად საუკეთესო მამა გყავთ. ზაზა, ღმერთი გფარავდეს. არ დანებდე, ჯალათებს აჩვენე, როგორი ძლიერი ხარ. უფლის გეშინოდეთ, ჯალათებო. ლილე".

„იცით, რა მაინტერესებს? ნეტავ, ის ადამიანები თუ კითხულობენ ამ ამბავს, ვინც ზაზა ასეთ დღეში ჩააგდო? თუ კითხულობენ, ნეტავ, რას ფიქრობენ?"

„ზაზას სულ ცოტა დარჩა და ალბათ, მალე გარეთ იქნება. რა უნდა ქნას ამ ბიჭმა? რით უნდა გაიტანოს თავი? როგორ უნდა აიწყოს ცხოვრება? საუკეთესო წლები ციხეში გაატარა".

„მე ვიცი, ზაზას დედა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შვილს არაფერი მოაკლდეს. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ქალბატონი ნათელა, მაგრამ მაგას რომ რაიმე დაემართოს, ზაზას რა ეშველება? ვინ იქნება მისი პატრონი?"

„საინტერესო ამბავია, მაგრამ ძალიან მძიმედ იკითხება, რადგან ისე ვერ წაიკითხავ, თუ გულთან ახლოს არ მიიტანე. სულ რამდენიმე გვერდია, მაგრამ მათ რომ ჩავიკითხავ, ისეთ დაღლილობას ვგრძნობ, თითქოს მძიმე საქმე გამეკეთებინოს. ნუთუ, ამდენი წლის მანძილზე არ გამოჩნდა ადამიანი, ვინც ზაზას სიმართლეს ირწმუნებდა და გვერდით დაუდგებოდა? რა საშინელებაა... ამის წარმოდგენაც კი ცუდ დღეში გაგდებს და საკუთარ თავზე გამოცდა რა იქნება? რკინის კაცი ყოფილა ზაზა".

„ზაზას გამძლეობას ვუსურვებ. მარი, მის ოჯახს რატომ არ ახსენებ? საინტერესოა, მოხდა რამე? ძალიან დამწყდება გული, თუ გავიგებ, რომ ზაზას ოჯახი დაენგრა. ამას კი მართლა არ აპატიებს ღმერთი იმ ადამიანებს, ვინც ის ასეთ დღეში ჩააგდო. მარი, იმედია, დროთა განმავლობაში ყველაფერს გავიგებთ".

„ზაზა, გამარჯობა. ასე მგონია, რომ ჩემი ახლობელი ადამიანი ხარ. შენთან ერთად განვიცდი შენს გასაჭირს, შენთან ერთად მიხარია და შენსავით მტკივა. ნეტავ, შეიძლებოდეს, რომ გინახულო. მართალია, უცნობი ხარ, მაგრამ სიამოვნებით გაგიცნობდი. როგორც ვხედავ, ოჯახი გყავს. ცოლი რომ არ გყავდეს, ალბათ, შემიყვარდებოდი. კარგი ხარ. გკოცნი".

1995 წლის 29 დეკემბერს საკუთარ სახლში, შვილის დაბადების დღეს დააპატიმრეს პოლიციელი ზაზა ჩუთლაშვილი. ის მცხეთის პოლიციაში მიიყვანეს და იმავე ღამეს 2 ადამიანის მკვლელობაში წაუყენეს ბრალი. ზაზა ცდილობს, პოლიციელები დაარწმუნოს, რომ დამნაშავე არ არის, მაგრამ სამართალდამცველები მას საშინლად აწამებენ, რის შედეგადაც, მესამე დღეს მისგან აღიარებით ჩვენებას მიიღებენ. მკვლელობის მოწმე გახლავთ არასრულწლოვანი ნიკა ტატიშვილი, რომელსაც მოწმის სტატუსი ეჭვმიტანილის სტატუსით შეუცვალეს და დააპატიმრეს. ამასობაში, ზაზა კიდევ ერთხელ გაჰყავთ დაკითხვაზე, სადაც პირველად შეხვდება დედის მიერ აყვანილ ადვოკატს. უკან, საკანში დაბრუნებულს კი ახალი თანამესაკნე ხვდება, რომელიც უკვე მე-3 „სროკზე“ მიდის. ზაზა მისგან იგებს, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ციხეში გადაიყვანენ. ახალი მეზობელი თავისი კრიმინალური ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს უყვება. ამასობაში კი გამომძიებელი ლაშა გულდედავა 2 ცრუმოწმის დაყოლიებას ცდილობს, რომ მათ ზაზას წინააღმდეგ მისცენ ჩვენება. ზაზა თანამესაკნეს უყვება, როგორ მოხვდა პოლიციაში. შემდეგ ის დაკითხვაზე გაჰყავთ, სადაც 3 მოწმესაც შეიყვანენ, „დამნაშავის“ ამოსაცნობად. ერთ-ერთმა მათგანმა ზაზაში მკვლელი ამოიცნო, მეორემ კი — ვერა. წინა ნომერში თხრობა იქ შევწყვიტეთ, როდესაც მასთან მესამე მოწმე, ნიკა ტატიშვილი შეიყვანეს და ჰკითხეს, იცნობდა თუ არა ზაზას? ნიკა უხერხულად შეიშმუშნა.

დასაწყისი იხ. „გზა“ №10

მარი ჯაფარიძე

— დიახ, — თქვა ჩუმად, თითქმის ჩურჩულით. — ვიცნობ.

— სად გაიცანი? — ჰკითხა ნანამ.

— დიდუბის მეტროსთან. გზაზე გადავდიოდი. ჩემკენ მომავალი მანქანა ვერ შევნიშნე და ლამის საბურავებში შევუვარდი. მძღოლმა დაამუხრუჭა და მანქანიდან ყვირილით გადმოვიდა. მე გავჩუმდი. შემდეგ ხელი ჩამომართვა და მითხრა: ზაზა ჩუთლაშვილი ვარ, ვიცნობდეთ ერთმანეთსო. მეც ჩამოვართვი ხელი. მერე თქვა: სხვა დროს ფრთხილად იყავი, მანქანას ქვეშ არ შეუვარდეო.

— მსგავსი ტყუილი არ გამეგონა. გაოგნებული ვუყურებდი ამ ბიჭს და ხმას ვერ ვიღებდი. ველოდი, როდის დაამთავრებდა ლაპარაკს. თავი არ აუწევია, საუბრის დროს თავის ხელებს დაჰყურებდა და ფრაზებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა.

— მე გითხარი ეს ყველაფერი? — ვკითხე ბოლოს, როცა დიდი პაუზა გააკეთა. გაჩუმდა. — თვალებში შემომხედე და ისე მითხარი, რომ რასაც ამბობ, სიმართლეა. — იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის შემოეხედა, ლაშას გახედა.

— სიმართლეა, აბა, საიდან მოიტანდა? — შეეშველა ლაშა.

— კი, მაგრამ ჯერ გეჩხუბა, მერე უცებ გაგეცნო და ჭკუაც დაგარიგა? — ჰკითხა ნანამ.

— დიახ, — თავი დააქნია ნიკამ.

— მერე მანქანაშიც ჩაგსვა და სიხარულიძისა და მეტრეველის მოსაკლავად წაგიყვანა?

— არა, ეგ მერე იყო.

— რა იყო მერე? — ნერვებმა ისევ მიმტყუნა და ხმამაღლა ვიყვირე. ნიკა გაჩუმდა.

— ბიჭო, ნუ გაჰყვირი, თორემ ჭკუაზე მოსაყვანი წამალი... — დაიწყო ლაშამ ლაპარაკი, მაგრამ სიტყვა გავაწყვეტინე.

— ჭკუაზე მოსაყვანი წამალი მე კი არა, თქვენ გჭირდებათ, თქვენი... საიდან მოგაქვთ ეს ზღაპრები, ვინ იგონებს ამ ტყუილებს? იცოდეთ, თქვენი ცოდვები თქვენვე მოგახრჩობთ.

— ხმას დაუწიე, — ხმაში მუქარა გაურია ლაშამ. — მეორედ როდის შეხვდი ჩუთლაშვილს? — მიუბრუნდა ნიკას.

— რამდენიმე დღის შემდეგ.

— სად? — ეს უკვე ნანა იყო.

— ისევ დიდუბის მეტროსთან, ისევ იმ ადგილზე, ისევ გზაზე გადავდიოდი. ზაზამ დამინახა და მანქანა გააჩერა. გვერდით ვიღაც კაცი ეჯდა. სად მიდიხარო? — მკითხა. ვუთხარი, რომ...

— გაათრიეთ აქედან, — მთელი ხმით ვიღრიალე და თვალებიდან ცრემლები უნებურად ჩამომიგორდა. ეს იმედგაცრუების ცრემლი იყო, ბოლო იმედიც მომიკვდა. მივხვდი, რომ ამ ამბიდან თავის დაღწევა ძალზე ძნელი იქნებოდა. ძნელი კი არა, შეუძლებელი. — რატომ მე? რატომ მაინცდამაინც მე? რატომ გამწირეთ? — ვბღაოდი ხმამაღლა. ნიკა სასწრაფოდ გაიყვანეს ოთახიდან. ნანა მაწყნარებდა, მაგრამ ვერ ვმშვიდდებოდი. ლაშამ გრაფინიდან წყალი ჩამოასხა და ჭიქა ჩემკენ გადმოდგა.

— გამიყვანეთ აქედან, — კბილებში გამოვცერი ბოლოს. ლაშამ სულაძეს დაუძახა და საკანში დამაბრუნა. იმ წუთში იმაზე გაცილებით ცუდად ვიყავი, ვიდრე მაშინ, როცა ჯალათები მაწამებდნენ, რადგან მაშინ ვფიქრობდი, რომ ადრე თუ გვიან, სიმართლე გაირკვეოდა. ახლა კი დარწმუნებული ვიყავი, რომ სიმართლის გარკვევას არავინ შეეცდებოდა. ჩემი სიმართლე ყველას ფეხებზე ეკიდა. ამ ადამიანებისთვის მთავარი ის იყო, რომ ამ საქმის გამო ვიღაც დაესაჯათ. ეს ვიღაც კი მე აღმოვჩნდი მხოლოდ იმიტომ, რომ ყვითელი ფერის „ჟიგული“ მყავდა.

საკანში წელმოწყვეტილი შევედი. როგორც ჩანს, გოგიტა მიხვდა, რომ ძალზე ცუდ გუნებაზე ვიყავი და ხმა არ გაუცია ჩემთვის. დავწექი, კედლისკენ შევბრუნდი და მთელი 2 დღე და ღამე ხმა არ ამომიღია. ფიქრის თავიც არ მქონდა. თუმცა რაზე უნდა მეფიქრა? ჩემს მომავალს ჩემ ნაცვლად სხვები გეგმავდნენ, ჩემზე სხვები ფიქრობდნენ და ისეთი ადამიანების ხელში იყო ჩემი ბედი, რომლებსაც ადამიანური არაფერი შერჩენოდათ. იმ 2 დღის განმავლობაში არც არავინ შემხმიანებია. ხანდახან, გოგიტა ცდილობდა დალაპარაკებას, მაგრამ ხმას არ ვცემდი. ისიც ძირითადად იმიტომ მეხმიანებოდა, რომ შეეხსენებინა — საჭმელი ჭამეო, მაგრამ ხმას რომ არ ვცემ-

დი, თავს მალევე მანებებდა. მესამე დღეს, დილით სულაძე ჩამოვიდა ჩემს წასაყვანად. მითხრა: დაკითხვაზე გეძახიანო. გავყევი. ლაშასთან ერთად ოთახში სანდრო კავსაძე და გივი არსოშვილი დამხვდნენ. ორივეს ხელი ჩამოვართვი. ლაშას გამოწვდილ მარჯვენას ისევ თვალი ავარიდე. ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორც ჩანს, აშკარად მეტყობოდა, რომ ცუდად ვიყავი, რადგან ბატონმა სანდრომ სკამი მომაწოდა და თან, დაჯდომისას ხელი შემაშველა. თვითონ წინ დამიჯდა.

— როგორ ხარ, ზაზა? — მკითხა.

— როგორ ვარ? — სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადამირბინა. — კარგად ვარ, ბატონო სანდრო. რა სჯობს იმას, დილა-საღამოს დუბინკებით რომ დამამუშავებენ, მერე ბუხრიან ოთახში წამომაწვენენ, — ჩავიცინე.

— ჩვენი ბრალია... ასე ჰუმანურად რომ ვექცევით მკვლელებს და მამაძაღლებს, მერე დიდი პრეტენზიები აქვთ ხოლმე, — ჩაერია ლაპარაკში ლაშა. სანდროს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

— გცემეს? — მკითხა. მე თავი დავუქნიე და სვიტერი ავიწიე. ჩემი დალურჯებული სხეულის დანახვაზე, სანდრომ თავი გადააქნია.

— ბატონო ლაშა, კლავდით? — ჰკითხა გამომძიებელს.

— ხელიც არ დამიკარებია, ბატონო სანდრო, — მლიქვნელური ღიმილი გადაეფინა სახეზე ლაშას.

— ჰო, შენ რა თქმა უნდა, არ დაგიკარებია, ასეთი საქმეებისთვის გეყოლებათ რამდენიმე კაცი და ისინი იზამდნენ, თქვენი ბრძანებით, ასე არ არის?

— როგორ გეკადრებათ, ჩვენთან ასეთი რაღაცები არ ხდება.

— აბა, ტანი თვითონ დაილურჯა პატიმარმა? — წარბები ასწია სანდრომ.

— არა, თვითონ არა, მაგრამ დაპატიმრებამდე 1 დღით ადრე ავარია მოუხდა და სწორედ იმ დროს დაშავდა, — უცებ მოძებნა თავის დაძვრენის გზა ლაშამ.

— ასე იყო? — მე მომიბრუნდა ბატონი სანდრო. ისევ ჩავიცინე.

— ჩემს მანქანას გვერდი გაჰკრა „ვოლგამ“. სერიოზული არაფერი ყოფილა, შუბლზე კოპიც კი არ დამჯდომია. როგორც ვხვდები, ის ავარიაც ამათი პროვოცირებული იყო, სპეციალურად მომიწყვეს.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ მკვლელობის ადგილზე ფიგურირებს ყვითელი „ჟიგული“, ოღონდ — „დაუშპაკლავი“. ყველა მოწმე ამბობს, რომ მანქანა ყვითელი ფერის იყო და მას არავითარი ლაქები არ ჰქონდა. ჩემი მანქანა კი დიდი ხნის წინ „დავშპაკლე“. ესენი ცდილობენ, მათქმევინონ, რომ ეს ახლახან ანუ მკვლელობის მერე გავაკეთე. ამით გაამართლებენ და გაამყარებენ ჩემი დაჭერისა და დამნაშავეობის ფაქტს. ნამდვილმა მოწმემ თქვა, რომ პირველად მხედავს და ის კაცი, ვინც ყვითელი მანქანით მივიდა სოფელში და რომელმაც მსხვერპლის სახელი იკითხა, საშუალო სიმაღლის იყო, მე არ მგავდა.

ჩვენამდე გარკვევით აღწევდა მათი ყვირილის, კვნესის არაადამიანური და შემზარავი ხმები

— ნამდვილი მოწმე რას ნიშნავს? — იკითხა ბატონმა სანდრომ.

— იმას ნიშნავს, რომ ამათ კიდევ ჰყავთ რამდენიმე მოსყიდული მოწმე. უფრო სწორად, ერთი მოსყიდული, მეორე კი — დაშანტაჟებული, არასრულწლოვანი მოწმე. ის დაიჭირეს, როგორც ეჭვმიტანილი და ალბათ თავისუფლების სანაცვლოდ შესთავაზეს, რომ ჩემს წინააღმდეგ მიეცა ჩვენება. — ბატონი სანდრო დაფიქრდა.

— ამ ბიჭს ექსპერტი დაუნიშნეთ. მან უნდა გაარკვიოს, რა გზით აქვს მიყენებული დაზიანებები.

— ჩემი ადვოკატისგან ვიცი, რომ ექსპერტი მოსული გახლდათ, მაგრამ ამათ ჩემამდე არ მოუშვეს, უთხრეს, რომ თურმე, მე მასთან შეხვედრის წინააღმდეგი ვიყავი და უკან გააბრუნეს.

— მდაა... — ჩაილაპარაკა სანდრომ. — ექსპერტიზა დანიშნეთ და პასუხი უშუალოდ მომახსენეთ, — თქვა და წამოდგა. დამშვიდობებისას მითხრა: — ნუ გეშინია, ყველაფერი გაირკვევა, მე თვალყურს ვადევნებ შენს საქმეს და არ დავუშვებ, რომ უკანონო გადაწყვეტილებები მიიღონ. ისე, საინტერესოა, ამდენი ხანი პატიმარს აქ რატომ აჩერებთ? ეს კანონის დარღვევა არ არის? — მიუბრუნდა ლაშას.

— დღეს ან ხვალ ვაპირებთ ციხეზე გადაყვანას, ბატონო სანდრო, — აიწურა ლაშა.

სანდრო კავსაძის გამოჩენამ ის ჩამქრალი იმედის ნაპერწკალი ისევ გამიღვივა და საკანში შედარებით მშვიდი სახით დავბრუნდი.

— ვაა, გიშვებენ? — გოგიტას თვალს არ გამოეპარა ჩემი განწყობილება.

— ჰო, მიშვებენ, — ჩავიცინე მე.

— მოდი, რა, სანამ გაგიშვებენ, საჭმელი ვჭამოთ. წელან შემოიტანეს „პერედაჩი“, შენს დას მოუტანია. ალბათ არ იცოდა, რომ გიშვებდნენ, — ხუმრობის გუნებაზე იყო გოგიტა. — ვინც შემოიტანა, იმან თქვა, 1-2 „პაჩკა“ სიგარეტი ამოვიღეთო. ამათი ნაბოზვარი დედები... ციხეზე ასე არ არის, ძმაო, „არესტანტის“ წილს ხელს არავინ ჰკიდებს. იქ „პერედაჩი“ რომ შემოდის, თან სია მოჰყვება, რა დევს. აქ ასე არ ხდება...

— კარგი, ამოიღეს და ამოიღეს, არა უშავს. რა მოგვიტანეს? — ვიკითხე და ვიგრძენი, როგორ მეწვოდა კუჭი შიმშილისგან.

— რა ვიცი, ძმაო, მე უშენოდ ხელი არ მიხლია არაფრისთვის, შიგ არც კი ჩამიხედავს, მაგრამ „იასნია“, კარგი რამე იქნება. „კამერაში“ რა სუნი დადგა, ვერ ხედავ?

თბილმა ხაჭაპურმა დედა, სახლი და... ირინაც კი გამახსენა.

სტუდენტი რომ გავხდი, ლაგოდეხიდან თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. თავიდან ხან ერთ ნათესავთან ვიყავი, ხან — მეორესთან. მერე ერთ ჯგუფელ ბიჭს დავუმეგობრდი, რომელიც ჩემსავით რაიონიდან იყო ჩამოსული და გადავწყვიტეთ, ბინა დაგვექირავებინა და ერთად გვეცხოვრა. მართლაც, ასე მოვიქეცით და „მომთაბარე“ ცხოვრებას შევეშვი. ის პერიოდი ძალზე მძიმე იყო: პროდუქტი ძნელად იშოვებოდა და პურზეც მუდამ კილომეტრიანი რიგი იყო. ერთ დღეს, პურის რიგში, ჩემ წინ ახალგაზრდა გოგონა იდგა, რომელიც ჩემზე 5-6 წლით უფროსი იქნებოდა. ღია წაბლისფერი, ხვეული თმა ჰქონდა. მისგან ისეთი საოცარი სურნელი მოდიოდა, რომ თავბრუ დამეხვა. საშუალო სიმაღლის

იყო და ღამის ზემოდან დავყურებდი. რამდენჯერმე განგებ ჩავყავი ცხვირი მის თმაში და სურნელი შევისუნთქე — კინაღამ წავიქეცი. რიგის ბოლოში ვიყავით და საკმარისი დრო მქონდა საიმისოდ, რომ ეს გოგონა გამეცნო. სასაუბრო თემა უცებ მოვძებნე და ლაპარაკი გავუბი. პური ვიყიდეთ და ერთად წამოვედით. საბურთალოზე ცხოვრობდა. სახლამდე ფეხით გავაცილე. როცა ასაკი მკითხა, დავუმალე, რომ 19 წლის ვიყავი და 2-3 წელი მოვატყუე. თავად მიამბო, რომ ქმარს გაცილებული იყო და ერთი პატარა გოგონა ჰყავდა. დამშვიდობებისას შევიპირე, რომ მეორე დღეს შემხვდებოდა და პაემანზე დავითანხმე. ამის მერე, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მის მიმართ გრძნობაც გამიჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, ერთმანეთისთვის ძალზე ახლობლები გავხდით. უჩემოდ ვერ ძლებდა. მეც სულ მენატრებოდა, როდესაც ჩემ გვერდით არ იყო. ვინაიდან ბავშვთან ერთად მარტო ცხოვრობდა, შემომთავაზა, საცხოვრებლად მასთან გადავსულიყავი. მე უარზე ვიყავი, რადგან მიუხედავად მის მიმართ ჩემი გრძნობისა, არ მინდოდა, ჩვენს ურთიერთობას ოფიციალური სახე ჰქონოდა. მალე სოფელში მომიწია წასვლამ. საღამოს დედა დავიმარტოხელე და გამოვუტყდი, რომ შვილიანი ქალი მიყვარდა და მასთან საცხოვრებლად გადასვლას ვაპირებდი. წინასწარ გავაფრთხილე, რომ ცოლი კი არ მომყავდა, უბრალოდ, ერთმანეთი გვიყვარდა და გარკვეული დროით მასთან ვიცხოვრებდი.

— შენი საქმის შენ იცი, შვილო, თუ გიყვარს, მე რა უფლება მაქვს, შენს საქმეში ჩავერიო. თუ იმ გოგოს ცოლად მოყვანა გსურს, ნურც მაგას დამიმალავ, შენ ვინც გინდა, მეც ის მენდომება რძლად, — მითხრა დედამ. დედა ყოველთვის და ყველაფერში მიგებდა და გვერდით მედგა. რაიონიდან რომ დავბრუნდი, ირინასთან გადავედი საცხოვრებლად და მთელი 3 წლის განმავლობაში ერთად ვიყავით.

ზაზა ჩუთლაშვილი

არც ისე ცუდად ყოფილა ჩემი საქმე, ირინა რომ გამახსნდა-მეთქი, — გავიფიქრე და გამეღიმა.

— ძლივს არ გაიღიმე? — გოგიტამ უკომენტაროდ არ დატოვა ჩემი სახის გამომეტყველება. — თუ გინდა, დავნაძლევდეთ, რომ ახლა ქალზე ფიქრობდი.

— შენ რა იცი? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— სახეზე გეწერა. მამაკაცებს ასეთი გამომეტყველება მხოლოდ ქალებზე ფიქრის დროს გვაქვს. — თავი გადავაქნიე.

— შენი სახით ნიჭიერი კაცი დაკარგა საზოგადოებამ და სამაგიეროდ, დამნაშავეთა სამყარომ შეიძინა.

— აზრზე ხარ, ტო, ცხოვრება რა არის? შენ პოლიციელი ხარ, მე — დამნაშავე და მაინც ერთად ვზივართ, ამ „კამერაში“. შენ დაჭერილი რომ არ ყოფილიყავი, შესაძლოა, ჩემი აყვანის ოპერაციაში მიგელო მონაწილეობა, არა?

— ჰო, არ არის გამორიცხული.

— ჰოდა, ახლა გვერდიგვერდ ვსხედვართ და ცხოვრების ამაოებაზე ვბჭობთ, — საჩვენებელი თითი ჭერისკენ მიმართა. — ისე, კარგი ტიპი ხარ და დასანანია, რომ მე და შენ ერთ ზონაში ვერ მოვხვდებით...

— მერე, ფულის მეტი რა გაქვს? თუ ჩააწყობ, ჩემთან მოხვდები...

— სადა, ტო, წითელ ზონაში? კაი, თუ ძმა ხარ... მე, გამოუსწორებელი კრიმინალი, პოლიციელების ზონაში? — ხმამაღლა გადაიხარხარა. — აბა, რას ამბობ?

ამ დროს, კარში გასაღები აჩხაკუნდა და ვიღაც ახალგაზრდა ტიპის თავი გამოჩნდა. პირველად ვხედავდი ამ ადამიანს.

— ჩუთლაშვილი რომელია?

— მე ვარ, — ვუთხარი და ყურები ვცქვიტე.

— გაემზადე, ხვალ ციხეზე გადაგიყვანენ, — თქვა და კარი ისევ საიმედოდ ჩაკეტა.

— აუფ, გავემზადო, თორემ მეც ახლა ჩემოდანი არ მქონდეს ჩასალაგებელი.

— ჰალსტუხი არ დაგრჩეს, ჰალსტუხი, — ხმამაღლა იცინოდა გოგიტა.

დილით ჩაი დავლიეთ თუ არა, მაშინვე დამიძახეს. გოგიტა გადამეხვია.

— აბა, „ს ბოგომ, ჟელაიუ ლიოგკოი პოსადკი“, — მითხრა და მხარზე ხელი დამკრა. — თუ არ გაგიშვეს და ზონაში მოხვდი, მერე ქსივას გამოგიშვებ... — ისე შევეჩვიე ამ ადამიანს, რომ თითქოს გული დამწყდა, ჩემთან ერთად რომ არ მოდიოდა. გარეთ რომ გავედი, მზის სინათლემ თვალი მომჭრა — მოუთოვია და ქათქათა თოვლიდან არეკლილ სხივს თვალს ვერ ვუსწორებდი. იქვე მანქანა იდგა და ბადრაგი მელოდა. იმ დღეს კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. გზაში ყველაფერს ხარბად ვუყურებდი. ასე მეგონა, მთელი საუკუნე იყო გასული, რაც გარეთ არ გამიხედავს. სინამდვილეში კი ჩემი დაპატიმრებიდან მხოლოდ 20 დღე გახლდათ გასული. 20 დღე, რომელიც 20 საუკუნის ტოლფასია... წამების, ტკივილის, უიმედობის 20 დღე. შსს საგამოძიებო იზოლატორში მიმიყვანეს და პატარა ოთახში შემიყვანეს, სადაც მხოლოდ ერთი კაცი იყო. მას მეტსახელად ბერიას ეძახდნენ. ჩემს საბუთებს ჩახედა, მერე მე ამომხედა და მეგრული აქცენტით მკითხა:

— რატომ მოკალი, „ბლიად“? — ხმა არ ამოვიღე.

ეეე, ახლა ამას აუხსენი, რომ დამნაშავე არ ხარ... — ეს მხოლოდ გავიფიქრე. ხმამაღლა არაფერი მითქვამს, რადგან სამინისტროს თანამშრომლებზე ბევრი საზიზღრობა მქონდა გაგონილი და გაჩუმება ვამჯობინე. მერე ბერიამ გამჩხრიკა. რა უნდა მქონოდა თან ისეთი? სახლიდან ხომ არ მიმიყვანეს? ბოლოს, როგორც იქნა, დასრულდა ეს პროცედურა და მეორე „კამერაში“ შემიყვანეს.

10-კაციან საკანში სულ 4 ადამიანი დამხვდა. ერთი კაცი მეცნო. კარგად დავაკვირდი და მასში ის ადამიანი ამოვიცანი, რომელიც თემურ მღებრიშვილთან მუშაობის დროს, სპეცოპერაციისას დავიჭირეთ. ის ერთ-

ერთი დიდი წარმოების ხელმძღვანელი გახლდათ და სახელმწიფო ფულის გაფლანგვისთვის დააპატიმრეს. ის დღე გამახსენდა: წინადღეს ბრძანება მივიღეთ და დილაუთენია, 5 საათზე დავადექით ამ კაცს თავზე. კარი მაშინვე გააღო, როგორც კი ჩვენი ვინაობა ვუთხარით, მაგრამ მერე წინააღმდეგობა გაგვიწია. კარგა ხნის ძიძგილაობის შემდეგ ხელბორკილი დავადეთ და წამოვიყვანეთ. ეს ყველაფერი აურზაურის გარეშე მოხდა, რადგან სახლში ბავშვს ეძინა და რომ არ გაღვიძებოდა. რა თქმა უნდა, ამ კაცმა ვერ მიცნო და არც მე მითქვამს რაიმე. ერთ-ერთი მათგანი, გურამი მრავალჯერ ნასამართლევი, დიდი კრიმინალური ბიოგრაფიის პატრონი გახლდათ. პირველად სწორედ ის დამელაპარაკა.

— რას გედავებიან, ძმაო? — მე მთელი გულისტკივილით ვუამბე ჩემი გასჭირი. ვუთხარი, რომ 2 ადამიანის მკვლელობას მაბრალებდნენ. ვუხსნიდი, რომ საერთოდ არანაირი კავშირი არ მქონდა ამ დანაშაულთან...

— ეეჰ, ძმაო, აქ ყველას ყველაფერს გვაბრალებენ... — მითხრა გურამმა და მივხვდი, რომ ჩემი უდანაშაულობის ამბავი არ დაიჯერა. ძალიან დამწყდა გული და ყელში რაღაც

— არა, ასე არ შეიძლება, თქვენ, როგორც ჩანს, ბედს შეურიგდით, მე კი ხელის ჩაქნევას არ ვაპირებ, — აღელვებული ვლაპარაკობდი. ჩემი ნათქვამი მათ მხიარულებას იწვევდა, რადგან იცოდნენ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, მეც მათსავით შევეგუებოდი ბედს და ახალი მოსული პატიმრის გულუბრყვილობაზე, მეც სწორედ ისეთივე რეაქცია მექნებოდა, როგორიც ახლა მათ ჰქონდათ.

რამდენჯერმე განგებ ჩავყავი ცხვირი მის თმაში და სურნელი შევისუნთქე — კინაღამ წავიქეცი

როცა დაღამდა, რაღაც უცნაური ხმები მომესმა. მივაყურადე და აშკარად გავიგონე ადამიანების ყვირილის ხმა.

— რა ხდება? — ვიკითხე გაოცებულმა.

— ცოტა ხანს მოითმინე და თვითონვე გაიგებო, — მითხრეს. თურმე დაღამდებოდა თუ არა, პატიმრები ზევით აჰყავდათ და აწამებდნენ, სცემდნენ... ჩვენამდე

მრავალჯერ ნასამართლევი, დიდი კრიმინალური ბიოგრაფიის პატრონი გახლდათ

ბურთივით გამეჩხირა. ღამის დავიხრჩე. თურმე, ასე ყოფილა ანუ არც ერთ დამნაშავეს არ უნდა, რომ შენი უდანაშაულობა დაიჯეროს. კარგა ხანს ხმას აღარ ვიღებდი. „კამერა“ სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი და სულ სხვა სურათი დამხვდა. ყველა თავისთვის იყო და როგორც შეეძლოთ, ისე ირთობდნენ თავს. ვუყურებდი ამ ხალხს და მიკვირდა, რატომ ჰქონდათ ასეთი უდარდელი სახეები, როგორ შეეძლოთ, თავის გასაჭირზე ასეთი იუმორით ღაპარაკი... იქურობას რომ შევეჩვიე, მერე მათაც ვუთხარი ჩემი აზრი. ჩემი ნათქვამი სასაცილოდ არ ეყოთ.

— ეჰ, ზაზა, შეეჩვევი და მერე შენც ჩვენსავით იქნები, — მითხრა ერთმა.

გარკვევით აღწევდა მათი ყვირილის, კვნესის არაადამიანური და შემზარავი ხმები. გიჟი უნდა იყო ადამიანი, რომ არ შეგეშინდეს. ღამის სული გამძვრა, როცა ამ ხმებს ვუსმენდი. მართალია, ყურებს თითებით ვიცობდი, მაგრამ მაინც მესმოდა...

ასე გრძელდებოდა მთელი 2 კვირა. მერე, ერთ დილით საგულდაგულოდ გამჩხრიკეს და მანქანაში ჩამსვეს. გზაში, ჩემ წინ მჯდომი მამაკაცი შემობრუნდა და მკითხა:

— ზაზა, ბიჭო, შენ ხარო? — კარგად დავაკვირდი. მასში ჩემი ყოფილი თანამშრომელი ამოვიცანი, რომელიც სამუშაოდ სამინისტროში გადმოსულიყო. ერთმანეთი თბილად მოვიკითხეთ. ჩემი ეტაპირება სამინისტროდან ციხემდე მისთვის მიუნდვიათ. ციხეში ასეთი წესი იყო, რომ ახალი პატიმარი 1 კვირა ე.წ. „კარანტინში“ უნდა

ჰყოლოდათ. ვინაიდან იმ საშინელი წამების შემდეგ გადაადგილება ჯერ კიდევ მიჭირდა, ჩემმა გამცილებელმა მორიგეს სთხოვა, რომ პირდაპირ „კამერაში“ ავეყვანე. ფორმალური ჩხრეკის შემდეგ მეხუთე სართულზე ამიყვანეს. ვიდრე ბადრაგი კარს გააღებდა, „კამერაზე“ მიკრულ ნომერს შევხედე — №99 ეწერა.

— „დევიტ-დევიტ“, — გავიფიქრე და გოგიტა გამახსენდა. სწორედ მან მიწინასწარმეტყველა, რომ მე „დევიტ-დევიტში“ მოვხვდებოდი. თუმცა იქ მხოლოდ 2 დღე გამაჩერეს და მერე „დევიტ-სემში“ გადამიყვანეს. 99-ე საკანი 10-კაციანი იყო და შესაბამისად, იქ ცოტა ადამიანი იჯდა. 97-ე „კამერის“ კარი რომ გამიღეს, ჯერ სიგარეტის კვამლი მეცა, მერე კვამლში ძლივს გავარჩიე, რა ხდებოდა ოთახში. ეს საკანი 30 კაცზე იყო გათვლილი, მაგრამ იმხანად, იქ 45 ადამიანი ელოდა განაჩენს. პატიმრების ძირითადი შემადგენლობა მხედრიონელები და გვარდიელები, შიგადაშიგ კი პოლიციელებიც იყვნენ. საერთოდ, იმ პერიოდში პოლიციელებს თითქმის არ აპატიმრებდნენ და თუ იჭერდნენ, მხოლოდ რიგითებს, ისიც ისეთებს, ვისაც პატრონი არ ჰყავდა. სიტუაციაში რომ გავერკვიე, აღმოჩნდა, რომ „კამერაში“ ყველაზე დიდი წოდება უფროსი ლეიტენანტი იყო. მისი პატრონი „გაის“ თანამშრომელი გახლდათ, რომელიც ქრთამის აღებაზე დააპატიმრეს. ძალიან გამიკვირდა, როგორ მოხვდა „გაის“ თანამშრომელი ციხეში, რადგან მაშინ ყველა „გაიშნიკი“ ქრთამს იღებდა და არავის აპატიმრებდნენ. ჩემი გაოცებული სახე რომ დაინახა, მითხრა:

— გაგიკვირდა? ეს ჩემი ცხოვრების კურიოზია, აქ ყველამ იცის და თუ გინდა, შენც მოგიყვებიო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ვეძებ 38 წლის წინ დაკარგულ შვილს



მარი, ამ ჩემს მონათხრობს სათაურად რაც გინდა, ის დაარქვი. ვარ 61 წლის ქალი და არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს მომიწევს ამ დარდის ტარება. არ მინდა, ისე მოვკვდე, რომ ეს ამბავი გაურკვევლად დარჩეს. შესაძლოა, სულაც, ჩემი ეჭვები იყოს, მაგრამ მგონია, რომ ეს ეჭვი საფუძველს მოკლებული არ არის.

1979 წლის ივნის-ივლისში (ზუსტად არ მახსოვს), ვიმშობიარე თბილისის №1 სამშობიარო სახლში. მესამე შვილი გავაჩინე — გოგონა. ბავშვი 7-თვიანი იყო და ამის გამო დღენაკლულთა განყოფილებაში, ე.წ. ინკუბატორში მოათავსეს. ბავშვთან მე თვითონ მივდიოდი ხოლმე და რძე მიმქონდა. მართალია ბავშვი სუსტად იყო, მაგრამ წონაში მაინც იმატებდა. ერთ დღეს, როდესაც ბავშვს მივაკითხე და ჩვეულებისამებრ, რძე მივუტანე, ექიმმა 2 ჩვილზე მიმითითა და მითხრა: — ნახე, რა საყვარელი და კარგი ბავშვები დატოვეს დედებმაო. ბიჭი უკვე 3 თვის იყო. მერე მკითხა — რამდენი შვილი გყავსო? ვუთხარი: — გოგო და ბიჭი-მეთქი. — აბა, მაშინ ნუ ინერვიულებ (?!), რადგან შესაძლოა, შენმა შვილმა ვერ იცოცხლოსო. სწორედ ეს სიტყვები ცოტა მოგვიანებით, ჩემი ეჭვების საბაბი გახდა.

მთელი 2 კვირა მივდიოდი ბავშვთან და მიმქონდა რძე. მე-15 დღეს, როდესაც კვლავ მივედი ბავშვთან, ექიმმა მითხრა: — შეგიძლია სახლში გაეწერო, რადგან შესაძლოა, ბავშვს კიდევ დიდხანს მოუწიოს აქ გაჩერებამ და რძეც სახლიდან მოუტანეო. დავთანხმდი, რადგან სახლში მყავდა მძიმე ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი დედამთილი. მეც და ჩემი დედამთილიც ჩემი მეუღლის მისახედი ვიყავით. შემეცოდა ჩემი მეუღლე და წამოვედი შინ. ბავშვი კი ექიმებს დავუტოვე, როგორც კრავი მგლებს. სახლიდან რძე კიდევ 2 დღეს მივუტანე ბავშვს. მშობიარობიდან მე-17 დღეს კი მითხრეს, რომ ბავშვი დაიღუპა. ძნელი მისახვედრი არ არის, რაც განვიცადე. არც ის მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი გარეთ, სადაც მეუღლე მელოდა. ის მე მაწყნარებდა. ძალიან განიცადა ბავშვის დაღუპვა, მაგრამ იმ წუთში ჩემი მდგომარეობა უფრო აღელვებდა და ამის გამო ვერ მოიფიქრა, გარდაცვლილი ბავშვი ენახა და მისი უსულო სხეული შინ წამოესვენებინა, რომ ჩვენ დაგვესაფლავებინა. შემდეგ, როდესაც უკვე გონს მოვეგე და სტრესმა გამიარა, დავინტერესდი, რა ბედი ეწევათ ხოლმე, სამშობიაროში გარდაცვლილ ჩვილ ბავშვებს. აღმოჩნდა, რომ თურმე მათ ცხედარს წვავენ. ამან სულ გადამრია და ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე გამიუარესა. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, მეც ბედს შევურიგდი. თან 2 ბავშვი მყავდა გასაზრდელი. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მემატებოდა სურვილი, ჩემი შვილი მომეძებნა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მივედი სამშობიაროში და ჩემი საბუთები მოვიკითხე, მაგრამ მითხრეს, ძველ საბუთებს ვანადგურებთო. შემდეგ დაემატა ისიც, რომ იმ პერიოდში გახმაურდა ამბავი, როგორ გაყიდეს პირველი სამშობიაროდან ბავშვები. ამან უფრო გაამძაფრა ჩემი ეჭვები. ახლა კი გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა ეს ამბავი. ხომ შესაძლებელია, რომ ჩემი შვილი მართლა ცოცხალი და ბედნიერი იყოს თავის გამზრდელთან? მე არავითარი პრეტენზია არ მაქვს, ოღონდ ის იცოდეს, რომ მას ჰყავს და და ძმა. შესაძლოა, ყველა დედისერთამ ან აყვანილმა შვილმა, რომელიც 1979 წლის ივნის-ივლისშია დაბადებული, თავის თავზე მიიღოს ეს ამბავი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ. როდესაც ბავშვი იღუპება, მშობლებს რაღაც საბუთზე ხელს აწერინებენ. ჩვენთვის კი არავის უთქვამს ამის შესახებ. გთხოვთ დამეხმაროთ და თუ ვინმეს რაიმე ინფორმაცია აქვს ამის შესახებ, შემეხმიანოს. ამაზე დიდი ტრაგედია რა შეიძლება გადაიტანოს დედამ?

ვალენტინა ხორგუაშვილი-ხიმშიაშვილი

შვილი საკუთარი ნებით დაეტოვე და არასოდეს მოეკითხავ

რამდენიმე კვირის წინ „გზავნილებში" დაიბეჭდა ვრცელი მესიჯი, სათაურით — „პატარა დედა", სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, რომ 18 წლის გოგონა შეყვარებულმა შეაცდინა და მისგან შვილი, გიორგი შეეძინა. ვინაიდან გოგონას მშობლები არ ჰყავს და მატერიალურადაც ძალზე უჭირს, მან ბავშვი სამშობიაროში დატოვა. გოგონა გვწერდა, რომ ამ ამბავს ძალზე განიცდიდა, მაგრამ ვერაფერს შეცვლიდა. მესიჯმა მკითხელის თანაგრძნობა გამოიწვია და უამრავი გამოხმაურება მივიღეთ. თქვენთვის, ჩვენი მკითხველისთვის კომპლიმენტი ხშირად მითქვამს სწორედ იმის გამო, რომ არა მარტო თანაგრძნობა შეგიძლიათ, არამედ ის, თუ როგორ დაეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს. ვინაიდან აღნიშნულმა მესიჯმა დიდი ინტერესი გამოიწვია, გადავწყვიტე, „პატარა დედას" დავკავშირებოდი და გავსაუბრებოდი. ვიდრე ჩვენი დიალოგის შინაარსს გაგაცნობთ, იმ წერილის მოკლე შინაარსს გადმოგცემთ, რომელიც „პატარა დედამ" რედაქციაში გამოგზავნა.

„გამარჯობა. მე სალომე ვარ. წერილს იმიტომ გწერთ, რომ ამ თემაზე უცრემლოდ ლაპარაკი არ შემიძლია, მე კი არ მინდა, რომ უცხო ადამიანის წინაშე ავტირდე. 18 წლის ვარ. მყავს ძმა, ვანო, რომელსაც მე ვზრდი. მამა ადრე დაგვეღუპა. დედა ყველაფერს აკეთებდა, რომ შვილებისთვის არაფერი მოეკლო. ის მდიდარ ოჯახებში დადიოდა და სახლებს ალაგებდა, რომ 2 „კაპიკი" ეშოვა და საღამოს ჩვენთვის პური მოეტანა. სამწუხაროდ, ცხოვრებამ არც დედა დაინდო. ის 2001 წელს ტუბერკულოზით დაავადდა. მხოლოდ მკურნალობის მცირე კურსი ჩაიტარა, რადგან სხვა საშუ-

ალება არ ჰქონდა. ავადმყოფი მაინც აგრძელებდა მუშაობას. ვეხვეწებოდი, რომ საავადმყოფოში დაწოლილიყო, მაგრამ უარზე იყო, რადგან თუ ის არ იმუშავებდა, მე და ჩემი ძმა მშივრები დავრჩებოდით. დედისგან ტუბერკულოზი მეც გადმომედო და 2002 წელს ბავშვთა განყოფილებაში მომათავსეს. ახლა დედას ახალი საზრუნავი გაუჩნდა და თავის ჯანმრთელობას სულ ვეღარ აქცევდა ყურადღებას. ჩემმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. ამის გამო 2003 წელს მომათავსეს ქირურგიულ განყოფილებაში და საოპერაციოდ დაიწყეს ჩემი მზადება, მაგრამ ექიმები უარზე იყვნენ, რადგან ძალზე სუსტი ვიყავი და შიშობდნენ, რომ ოპერაციას ვერ გადავიტანდი. 2004 წლის მაისში მართლაც, გამოჯანმრთელებული დავბრუნდი შინ. ექიმები გაოცებას ვერ ფარავდნენ: კავერნა, რომელიც 20-თეთრიანზე უფრო დიდი იყო, შეხორცდა. ეს იყო სასწაული, რომელსაც მე იმას მივაწერ, რომ მამა გაბრიელის საფლავიდან წამოღებულ ზეთს ვსვამდი. საავადმყოფოდან გამოვედი, მაგრამ ახალი ჭირი დამემატა. ერთ-ერთმა წამალმა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ვსვამდი, სმენა დამიქვეითა. ახლა თუ აპარატი არ გავიკეთე, არაფერი მესმის. 2005 წლის ნოემბერში ჩემი ნატანჯი დედა ლოგინად ჩავარდა. ის ხვდებოდა, რომ მალე სიცოცხლეს გამოესალმებოდა და მხოლოდ ჩვენი ჯავრი ჰქონდა. დედა 17 დეკემბერს 39 წლის გახდა, ხოლო 19 დეკემბერს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ დამიძახა და მითხრა: — ანი, ვანოს მიხედე, შენ კი არასოდეს იტირო, რადგან არ მიყვარს, შენ რომ ტირიო... პირჯვარი გარდამსახა და სული განუტევა. დავრჩით მე და ვანო ბედის ანაბარად. 11 კლასი ისე დავამთავრე, სკოლაში თითქმის არ მივლია. ბედმა კი სულ მალე ახალი განსაცდელი მომივლინა. 2006 წლის ახალი წლის ღამეს ჩემივე ახლობელმა ჩემზე ძალა იხმარა და უმანკოება დამაკარგვინა. იმ ბიჭს ცოლად არ გავყევი, რადგან არ მიყვარდა. ახლა ის ბიჭი გარდაცვლილია. 6 თვის შემდეგ გავიგე, რომ თურმე ფეხმძიმედ ვყოფილვარ. შოკში ჩავვარდი, მაგრამ რაღას ვიზამდი? 26 სექტემბერს ვიმშობიარე და ჩემი პატარა გიო სამშობიაროში ჩემი ნებით დავტოვე. ცრემლებით გავაცილე ჩემი პატარა. არ მინდოდა მისი დატოვება, მაგრამ მე და ჩემი ძმა ნახევრად მშივრები ვართ. ხშირად, მშივრები დავწოლილვარ, რომ ჩემი წილი პური მეორე დღეს ვანოს ეჭამა. ასეთ სიტუაციაში პატარას ვერ გავზრდიდი. მყავდა მეგობარი მამაკაცი, რომელიც მე და ვანოს საჭმელს არ გვაკლებდა, მაგრამ იმ კაცის გვერდით თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ზიზღი მიპყრობდა, როცა მეფერებოდა. მივატოვე, არ შემეძლო მასთან გაჩერება. ახლა პენსიით ვირჩენთ თავს, რომელიც 2 დღეც კი არ გვყოფნის. აი, ეს არის ჩემი გაჭირვება, რის შესახებაც თქვენთან ლაპარაკი მინდოდა.

ახლა კი ინტერვიუ, რომელიც რედაქციაში ჩავწერეთ. ვინაიდან სალომეს სმენის აპარატი გაუტყდა, მის გარეშე კი მხოლოდ ძლიერი ხმაური ესმის, კითხვებს ფურცელზე ვუწერდი, ის კი მპასუხობდა.

— სალომე, როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი? შენ უკვე დიდი გოგო ხარ. რას აპირებ საიმისოდ, რომ შენი და შენი ძმის მდგომარეობა ცოტათი მაინც შეიცვალოს?

— ახლა ჩემი მომავალი ძალზე ბუნდოვნად მეჩვენება. ბავშვობიდან ვოცნებობდი ფოტომოდელობაზე. არ ვიცი, ავიხდენ თუ არა ამ ოცნებას ოდესმე.

— ნუთუ ნათესავი საერთოდ არ გყავს?

— მყავს მხოლოდ მამიდაშვილი, რომელთანაც ცუდი ურთიერთობა მაქვს. მეტი არავინ. მამა სულ პატარას გარდამეცვალა. დედამ ძალიან განიცადა, მაგრამ მე ვყავდი გასაზრდელი და თავს მოერია...

— ვანო მოზარდია. მშობლებს თავის შვილებთან მუდმივად ექმნებათ პრობლემები, შენ არ გიჭირს მისი აღზრდა?

— ვანო სკოლაში აღარ დადის. ის ჯერ 9 წლისაა, მაგრამ უკვე დიდი კაცივით იქცევა. თუმცა ხშირად შემინიშნავს, რომ ჩუმად ტირის. შრომისმოყვარე ბავშვია, როდესაც სოფელში, ბებიასთან მიდის ხოლმე, ეხმარება საოჯახო საქმესა და ეზოს მოვლაშიც.

— თუ იცი, ვინ იშვილა შენი გიო?

— კონკრეტულად არ ვიცი, მაგრამ მითხრეს, რომ საკმაოდ მდიდარ ოჯახს აუყვანია. მე ხშირად ვლოცულობ, რომ ისინი კარგად იყვნენ და ბავშვს არაფერი მოაკლონ. როდესაც დაიბადა, ექიმებმა მკითხეს, რას დაარქმევ? სახელი „გიო“ მე შევურჩიე. ბავშვს არ ვნახულობდი, რადგან შესაძლოა, მერე ვეღარ დამეთმო. მხოლოდ სამშობიაროდან წამოსვლის წინადღეს ვნახე. პატარა, ლამაზი ტუჩები ჰქონდა და პაწაწა ცხვირი. სულ თვალწინ მიდგას მისი სახე.

— დრო რომ გავა, იქნებ მოინდომო შვილის დაბრუნება?

— არა, რადგან ჯერ ერთი, არ ვიცი, ვინ იშვილა, მეორეც — მე ხელწერილი დავწერე ჩემი ნებით, რომ თანახმა ვიყავი გაშვილებაზე და არასოდეს მოვიკითხავდი შვილს. მე პირობას შევასრულებ.

— რომ გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი და სამსახური შეგთავაზოს, რას იზამ? გინდა მუშაობის დაწყება?

— კი, რა თქმა უნდა, მინდა, მაგრამ ყველანაირ სამუშაოზე ვერ წავალ. მძიმე სამუშაოს შესრულება გამიჭირდება. მთელი დღეც ვერ გავძლებ სამსახურში, რადგან მე ფაქტობრივად, სახლშიც ვმუშაობ. ვრეცხავ, ვალაგებ და ათას საქმეს ვაკეთებ. მიმტანად ვერ ვიმუშავებ, რადგან სმენა დაქვეითებული მაქვს. ჭურჭლის მრეცხავად კი შეიძლება, მაგრამ მხოლოდ 4-5 საათით.

ჩემი და სალომეს ინტერვიუ დასრულდა, მაგრამ მასზე ფიქრი კარგა ხანს გამყვა. რაღაცნაირი, გაორებული გრძნობა დამრჩა. მებრალებოდა „პატარა დედა“, მაგრამ თითქოს რაღაცას ვერ ვაპატიებდი... ბევრ რამეში არაგულწრფელიც მომეჩვენა. როდესაც ნათესავებზე ვკითხე, მითხრა, არავინ მყავსო. მერე თვითონვე თქვა, რომ მისი ძმა ბებიასთან სოფელში სტუმრად მიდის ხოლმე... მეორე დღეს კი მესიჯი მივიღე, რომლითაც კიდევ ერთი სიახლე შემატყობინა: „მარი, გუშინ დამავიწყდა მეთქვა, რომ მყავს მამა, ალეკო წიკლაური. ამ კაცმა დედა სტუდენტობისას შეაცდინა. როდესაც გაიგო, რომ დედა ფეხმძიმედ იყო, მაშინვე მიატოვა. ალეკო ცოცხალია, მაგრამ 18 წელია, არ გავხსენებივარ“.

დედან მხოლოდ ამჯერ, მჭირდა დამადგენინა და ანახოთან განმარტებინა ეხმარ ხაკუთარი ყოველი გამედან.

იმისთვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოაგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია). და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვეხმაურები ცოტნეს, რომელიც განადგურებულია და ცოლი უნდა. აქამდე სად იყავი, პატარავ? მეც შენს დღეში ვარ. სიყვარული ვერ მიპოვია. ნომერი მარის გამოართვი. 18 წლის ნინი. გელი.

2. ვეძებ 30-40 წლის სერიოზულ კაცს (ოჯახის შექმნის მიზნით), დასაქმებულს და არა — ალფონსს, მავნე ჩვევების გარეშე. ვარ სიმპათიური. გამრთობები — სტოპ! მიმი.

3. ეჰ, პატრიოტო, მეც არ ვიტყოდი უარს ერთ „უმოწყალოდ“ პირველყოფილ ფილიპინელზე, მაგრამ... საერთო ინტერესები გვაქვს და ბარემ, ჩვენ გავიცნოთ ერთმანეთი. :) მეგრელი კანიბალკა.

4. ვარ 25 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სამსახურით უზრუნველყოფილი გოგო. გავიცნობდი 35 წლამდე ასაკის, განათლებულ მამაკაცს. ლელა.

5. სამეგობროდ გავიცნობ 16-20 წლის ბიჭს. თუ გსურთ გაიცნოთ ბუტია გოგო, დამიმესიჯეთ. პატარა.

6. ვარ 31 წლის ქალიშვილი, უმაღლესი განათლებით, საკმაოდ ერუდირებული და სასიამოვნო მოსაუბრე. ვეძებ განათლებულ და ჩამოყალიბებულ პიროვნებას.

7. ვარ 38 წლის, კარგი აღნაგობის და გარეგნობის ეშხიანი ქალბატონი. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სიმპათიური მამაკაცი. დანარჩენი — პირადად. მაკო.

8. გვყავს „სტარაია დევა“, ქალიშვილი, მოცეკვავე, ექიმი, შემკული ყველა მწარე თვისებით. გარეგნულად ბადალი არ ჰყავს. გამოეხმაუროს 35 წელს გადაცილებული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. ეს მესიჯი მხოლოდ მათთვისაა, ვისაც არ ეშინია.

9. მე-12 ნომრის, 50-ე მესიჯის ავტორს. პატრიოტო, ისეთი გოგო, როგორსაც შენ ეძებ, დარწმუნებული ვარ, შემორჩენილია საქართველოში. პატრიოტი გოგო.

10. გავიცნობდი სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ნომერი მარისთან იკითხეთ.

11. ვარ 16 წლის, ძალიან სექსუალური გოგო. ვეძებ 30 წლამდე ასაკის მამაკაცს. გთხოვთ, გამომეხმაურეთ. თამრო.

12. ვარ 30 წლის, გასათხოვარი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ, განათლებულ, ტრადიციულ, ნამდვილ მამაკაცს. ზღვისპირელი.

13. ვარ 35 წლის, განათხოვარი, სასიამოვნო გარეგნობის ქალი. მყავს გოგონა. ცხოვრებაში არ გამიმართლა. ძალიან მინდა, გვერდით ნამდვილი მამაკაცი მყავდეს.

14. შეყვარებული მყავდა და ისეთი პატარა იყო, რომ ჩემდა უნებურად ნაგავს გავაყოლე. ახლა ცოტა დიდ ბიჭს ვეძებ, 16-დან 21 წლამდე. პატარები არ გამომეხმაუროთ. გვანცა, 15 წლის.

15. სამეგობროდ გავიცნობ მხოლოდ სერიოზულ, განათლებულ და ერთგულ ბიჭს. სასურველია იყოს ეკლესიური. ვარ 26 წლის, თბილისელი გოგო. ცოლიანები ნუ შეწუხდებით.

16. ვარ მომხიბვლელი, მაღალი, თხელი აღნაგობის, ქერა, ცისფერთვალება, გასათხოვარი, სერიოზული გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მაღალ, სიმპათიურ, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს.

17. ვარ 26 წლის, სიმპათიური გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ წესიერ, 26-30 წლის მამაკაცს. მაკა.

18. ვარ 15 წლის. ვეძებ მეგობარ ბიჭს, 20 წლამდე. ვინც დაინტერესდება, შემდეგ ხუთშაბათს თავისი ტელეფონის ნომერი მომწეროს. გელოდებით, ანგელოზი.

19. გავიცნობ „სმს“-მეგობარს. თვალხატულა, 24 წლის. დასავლეთი.

20. ვარ 23 წლის, ძალიან თბილი და რომანტიკოსი. გავიცნობ 23-27 წლის, მაღალ, სერიოზულ, სიმპათიურ, დასაქმებულ და მორწმუნე ბიჭს. მელანქოლია.

21. ვარ 36 წლის, სიმპათიური, თბილი ბუნების გოგო. ვეძებ ადამიანს, რომელსაც უნდა ნამდვილი ქრისტიანული ოჯახის შექმნა. სხვები ნუ გამომეხმაურებიან. ლილიანა.

22. მინდა, სამეგობროდ გავიცნო 28-35 წლის მამაკაცი. ალფონსებმა დარეკვა არ გაბედოთ, გაილანძღებით. კაცი ქალის ხარჯზე არ უნდა ცხოვრობდეს. ნენსი-29.

23. მარი, პირველად გწერ. ვარ 20 წლის, განათლებული გოგო. ვეუფლები სერიოზულ პროფესიას. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ განათლებულ, საქმიან, მშვიდ მამაკაცს.

24. ვარ 23 წლის, ჩვეულებრივი, თბილისელი გოგო. თავის ქებას ნამდვილად არ დავიწყებ. სამეგობროდ გავიცნობდი ჩემსავით უბრალო ადამიანს. მარი, წინასწარ დიდი მადლობა. ზოი. 306.972.131.106.

ბიჭები

1. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის გოგოს, სამეგობროდ. მარი, ნომერი გამოაქვეყნე: 8.55.74.21.62.

2. ისე, სერიოზული ურთიერთობისთვის კი გავიცნობდი ლამაზი გარეგნობის პატიოსან გოგოს. მე 26 წლის ვარ, სიმპათიური, საქმიანი. ნომერი მარისთან იკითხეთ. ლევანი-26.

3. ვარ სიმპათიური, 21 წლის ბიჭი. მსურს, გავიცნო ლამაზი, 17-19 წლის გოგო. დათო.

4. ძმისთვის ვეძებ ისეთ საცოლეს, რომელსაც თბილისში ბინა ექნება. გამოგვეხმაუროს 40 წლამდე ასაკის ქალი. ტელეფონი მარისთანაა.

5. მარი, მომეცი მე-9 მესიჯის ავტორის, 30 წლის ქალბატონის ნომერი. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო. ვარ 32 წლის, უპატიოსნესი, დასაქმებული მამაკაცი.

6. მარი, ვარ დასაქმებული, 30/178/80, უკომპლექსო და უტყუარი მამაკაცი. მინდა, 17-35 წლის გოგო გავიცნო, სამეგობროდ, არახშირი შეხვედრისთვის. გელით. მარი, გთხოვ, ნომერი გამოაქვეყნე: 8.55.61.24.58.

7. მარი, გთხოვ „გზა"№14, მე-3 მესიჯის ავტორის, გვანცას ნომერი მომეცი. გკოცნით და გეფერებით.

8. მინდა, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნო ლამაზი გარეგნობის, პატიოსანი, კარგი ოჯახის გოგო. ვარ 26 წლის, 171 სმ სიმაღლის, სიმპათიური, დასაქმებული ბიჭი. ნომერი მარისთანაა.

9. ვარ თბილისელი, 31 წლის მამაკაცი. გავიცნობ სერიოზულ, არამწეველ გოგონას, წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან. სასურველია, თბილისში ან თბილისთან ახლოს ცხოვრობდეს. გამომეხმაურონ მხოლოდ აღნიშნული რეგიონიდან ისინი, ვისაც აინტერესებს ჩემი გაცნობა და არა განცხადების ტექსტი. რომანტიკულ მესიჯებს და „შემთხვევით მოხვედრილებს" ვერ ვუპასუხებ. დამიმესიჯეთ: 8.98.14.47.90. მომწერეთ, რომელი რაიონიდან ხართ და ასაკი. გოჩა.

10. მარი, გთხოვ, მომეცი „გზა" №15, 26-ე მესიჯის ავტორი ქალბატონის სახელი და ნომერი. X-მენ.

11. მე ვარ შაკო, 25 წლის, თბილისელი. გავიცნობ 23-30 წლის მანდილოსანს, ხანგრძლივი რომანტიკული და ლამაზი ურთიერთობისთვის. ჩემი ნომერია 8.55.28.47.39.

12. ვეხმიანები „გზა" №14, მე-10 მესიჯის ავტორს. მარი, გთხოვ, მისი ნომერი მომეცი. ცუდი ბიჭი.

13. უკაცრავად, გვიანია. ქართველი, ნორმალური მამაკაცი ვარ. სიხარულით მივიღებ თქვენს გამოხმაურებას. უსაზღვროდ მიყვარს სიცოცხლე. რა, არ მაქვს უფლება?

14. ვარ 17/70/180, ცისფერთვალება, სიმპათიური, თბილისელი ბიჭი. ვისაც გსურთ ჩემი გაცნობა, დამიმესიჯეთ ნომერზე: 855.73.74.14.

15. ვარ 34 წლის, 177 სმ სიმაღლის მამაკაცი. მინდა, სამეგობროდ გავიცნო 25-40 წლის მანდილოსანი. დამიკავშირდით ნომერზე: 8.95.37.30.75. ვანო.

16. ვარ 33/190/82, სიმპათიური ბიჭი. ვეხმაურები „გზა" №15, მე-6 მესიჯის ავტორს. შემეხმიანეთ ან მომეცით ნომერი.

17. ვეხმაურები „გზა" №15, 24-ე მესიჯის ავტორს. ვარ 31 წლის, სერიოზული მამაკაცი. ჩემით თუ დაინტერესდით, ნომერი მარისთან იქნება. თენგო.

18. მე-15 ნომრის მე-18 მესიჯის ავტორის, იას ნომერი გამომიგზავნეთ. მეც მინდა, წმინდა სიყვარული. გელა.

19. ვეხმაურები 29 წლის ლალიკოს, მე-15 ნომრიდან. ვარ 193 სმ სიმაღლის, სპორტული აღნაგობის, მხატვარი, 37 წლის, ქერა. გაგიცნობდი, თუ სურვილი გექნება. ნომერი მარისთანაა. მირო.

20. ვარ 27 წლის ბიჭი. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის პატიოსან გოგონას, სერიოზული ურთიერთობისთვის. გაითვალისწინეთ, რომ თბილისელი არ ვარ და კიდევ, გასართობად არ მცალია. გია.

21. ვარ 28 წლის დათო. დაფარული ნომრით რატომ დამირეკე? გამომეხმაურე, გთხოვ. მაშინდელზე — ბოდიში. გელოდები.

22. მოგესალმებით ყველას. სურვილი მაქვს, გავიცნო ბათუმელი, ლამაზი გოგო, რადგან მეც ბათუმელი ვარ, 27 წლის. დანარჩენზე მერე ვისაუბროთ.

23. ვარ 32 წლის კაცი. გავიცნობ შეძლებულ მანდილოსანს, რომელსაც შევუსრულებ ყველა ქალურ მოთხოვნილებას. ნომერი მარისთანაა. გთხოვთ, დაამესიჯეთ.

24. ვარ 30 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი, უცოლო ახალგაზრდა. მინდა, 30 წლამდე ასაკის, სიმპათიური გოგონა გავიცნო.

25. ვარ სამსახურით უზრუნველყოფილი მამაკაცი. მინდა, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 20-30 წლამდე ასაკის მანდილოსანი. იმედი მაქვს, გამომეხმაურებით. იკა.

26. ვარ 24 წლის. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ულამაზეს მანდილოსანს. ისეთს, მზერით გულს რომ აგიფორიაქებს. :) დათკა.

27. ვარ სიმპათიური მამაკაცი, 28 წლის, რომელსაც ოჯახი დაენგრა რაღაც მითქმა-მოთქმის გამო. რას ვიზამთ, ცხოვრებაში ასეთებიც ხდება.

28. თუ შეგიძლიათ, „გზა" №11, 42-ე მესიჯის ავტორი ქალბატონის ნომერი მომეცით.

29. გავიცნობ (სამეგობროდ, შემდეგ — ვნახოთ) სიმპათიურ, არამწეველ, სუფთა წარსულის მქონე ქალბატონს. ვარ ყველანაირად უზრუნველყოფილი, უცოლო, 40 წლის მამაკაცი. დამიმესიჯეთ.

30. ვარ 41 წლის, სერიოზული კაცი, მაღალი, სიმპათიური. გავიცნობდი 30-35 წლამდე მაღალ, სერიოზულ, ზრდილობიან მანდილოსანს. დამიკავშირდით.

31. მარი, იქნებ, „გზა" №14, მე-6 მესიჯის ავტორი, ლიმა გამაცნო. ვარ ნორმალური, სერიოზული კაცი.

32. გავიცნობ 30-38 წლის, კეთილშობილ მანდილოსანს, ვისაც ვანაცვალებ სიცოცხლეს. უცნობი.

33. ვეხმაურები „გზა" №15, 33-ე მესიჯის ავტორ ქალბატონს. გთხოვთ, მისი ტელეფონის ნომერი მომეცით.

34. გავიცნობ 20-40 წლის, მხოლოდ თბილისელ, მარტო მცხოვრებ, ვნებიან, ტემპერამენტიან, სექსუალურ, არამსუქან ქალბატონს. დამირეკეთ! 8.93.48.47.46. ოთო.

35. ვარ 28 წლის. ამ ცხოვრებაში ბედმა ზურგი მაქცია და მარი, იმედი მაქვს, რომ „გზის" საშუალებით გავიცნობ კარგ გოგოს.

36. ვეხმაურები 31-ე მესიჯის ავტორს. ვარ 32 წლის, მაღალი და სიმპათიური ბიჭი. არც მატყუარა ვარ და არც — უსაქმური. ნომერს მარი მოგცემთ.

37. ვარ 28 წლის, ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი. სამესიჯოდ გავიცნობდი 25-30 წლის გოგონას.

38. ვარ 33 წლის, თითქმის სერიოზული მამაკაცი. დამღალა ამდენმა არასერიოზულმა ურთიერთობებმა. აღარ მინდა ქალიშვილები და მარტო მათი სიყვარული, გიჟი ქალი მინდა.

39. გოგონებო მესხეთიდან, შემეხმიანეთ, 42 წლის ძამია ისევ უცოლო მყავს.

40. ვარ 19 წლის ბიჭი. 180 სმ სიმაღლის, სიმპათიური. გავიც-

გავიცნობ ლამაზ, დაცემა გოგან, მყარი ოჯახის შესაქმნელად, 1 ლამია.

ნობ 19 წლამდე ასაკის გოგოს, სიმპათიურს. ვეძებ სიყვარულს. დამიმესიჯეთ მსურველებმა. გუჯა.

41. ჩემი დეიდაშვილი ძალიან სიმპათური და განათლებული ბიჭია. არ ჰყავს მეგობარი გოგო. მინდა, დაურეკოს თბილისელმა, 17-19 წლის გოგომ. ჩემზე არაფერი თქვათ.

42. მარი, პირველად გწერ და გთხოვ, გამოაქვეყნე. ვარ 17 წლის, 175 სმ სიმაღლის. გავიცნობ 16-18 წლის გოგონებს, სერიოზული ურთიერთობისთვის. გამომეხმაურეთ: 8.55.11.61.83. გიორგი.

43. გავიცნობ ერთ მშვენიერ გოგონას. ცოლი მინდა, ცოლი! რუსთავი. 26 წლის გიო. აბა, გელოდები, სად ხარ, ჩემო სიყვარულო? ნამდვილი ქართველი გოგო მჭირდება. თან გადავყვები.

44. 15 წლის ჯოლის ვეხმაურები. მარი, ჩემი ნომერი მიეცი.

45. გოგონებო, ვისაც გინდათ ბაღდათში გათხოვება, შემეხმიანეთ. ვარ სტამბულის კაჟივით. მარი, დამიბეჭდე და საირმეში დასვენება ჩემზე იყოს.

46. გამარჯობა, მარი. პირველად გწერ. მე მამუკა მქვია, ვარ 36 წლის. „გზა“ №15, მე-5, მე-9, მე-18, 24-ე, 29-ე და 33-ე მესიჯების ავტორების ნომრები მომეცი ან მათ მიეცი ჩემი ნომერი.

47. მყავს უცოლო, ძალიან სიმპათიური ძმა. ცხოვრობს რაიონში. დაუმესიჯეთ 25-30 წლის გოგონებმა. სასურველია, მეგრელი ან იმერელი იყოთ. მისი ნომერია: 8.99.77.18.35. არ ინანებთ.

48. გავიცნობდი 18-20 წლის გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. მე პაატა ვარ, რაჭიდან, 19/86/188. ჩემი ნომერია: 8.55.60.8972. გელოდებით.

49. გავიცნობ 20-35 წლის სიმპათიურ გოგოს, სამეგობროდ. ვარ დასაქმებული. მატერიალურ მხარეს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, გული. ნომერი მარისთანაა. კირჩხიბი.

• „გზა“ №15, მე-6 და მე-7 მესიჯის ავტორების ნომრები მომეცით.

• მინდა ადამიანი, ვისაც ჩემსავით მოჰბეზრდა სიმარტოვე. 35-45 წლამდე.

• თუ შეგიძლია, მომეცი „გზა“ №15, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი. მადლობა.

• მარი, ჩემს მესიჯებს რატომ ბეჭდავ სხვანაირად? მე წინა ნომერში დავწერე — ვეხმაურები „ხ-2“-ს და არა „სტიქიას“, შენ კი „ხ-2“-ის მაგივრად „სტიქია“ დამიწერე. ისტერიჩკა.

• არა, ჩემო კარგო, მინდია კუხიანიძე არც მესხეთიდანაა და არც ცოლიანია. კითხვები თუ კიდევ დაგრჩა, ყურადღებით გისმენ. :) თეკლა.

• მინდა, „გზა“ №14-ში, რუბრიკა „სხვადასხვაში“ გამოქვეყნებული იმ მესიჯის ავტორის ნომერი, რომელიც მოთამაშეა და დახმარებას ითხოვს, ამ სენის დასაძლევად.

• ნეტავ, ასე გაუგებრად ვლაპარაკობ? :) „ცელუიუ“ არის გკოცნი-მეთქი, ვააახ... :) „ზმიზმი“ კი ნიკია, ჩემი, ოფფ. :) ახლა გაიგეთ? გიო.

• მარი, ახლა შენთან მაქვს ბაზარი, :) უფრო სწორად, სათქმელი. :) „პაჩტი“ სისხლის გათეთრება დამემართა და ეგ „ჟურნალი ჟურნალში“ აღარ გვეღირსება? ო, „ბოჟე“, რაა. :) „ზმიზმი“.

• ვის არ სჯერა ჩემი რაჭველობის? მამით რაჭველი ვარ და დედით — ვანელი. ისე, ქუთაისში ვცხოვრობ, ნუუუ. :) ჭელიძე და ფრანგი, აბა? :) „ზმიზმი“.

• კაკუუუ! ლა კაქი ხალ, იცი? მაგრად მინდა შენი გაცნობა! მაგრა, მაგრა... არ შეიძლება? ნომერი მიიინდა შენი და როგორ გავიგო? მინდა, ლაააა! ბაო-ბაო.

• აბა, მოვიდა გურიიია. :) ვაიმე, მის სიო გურულია? გამიხარდა, ნამეტანი! რა ვართ ეს გურული ქალები, მოკლედ, რა! :) ყველანი მაგრები ხართ, გენათალეთ! ბაო-ბაო.

• აუ, ამ სვან ისტერიჩკას გავუსიებ თავს! ცოტა წესიერად გენა, რა! კაკუ ჯიგარია, აბა, რააა! მინდა ლა, შენი ნომერი, კაკუ! ზაზუნა-22, კაქი ქალ! ბაო-ბაო.

• მთით აფრენილო არწივნო, კლდის ქიმზე დაჩეკილებო, ვაჟნო ლომგულნო, მდაბალნო, ფშავ-ხევსურეთის შვილებო. ჩვენი ხატივით ძლიერნო, ყმანო ლომისის ნიშისა, არაგველების შვილებო, არ გამტეხელნო ფიცისა... ეძღვნება ყველა მთის შვილს. თქვენ გაიხარეთ. მზევინარი.

• ჩვენ თავის ქება არ მოგვდგამს, არც ბლატაობა, ტრაბახი, უბრალოდ ყველა ხევსური, დავიბადენით ამაყნი. ერთურთს რად ვმტრობთ? გვიყვარდეს ხალხნო, ერცხვა. მზევინარი.

• „ზმიზმი“, ჩართე ძველი ნომრები და გეტყვი, ვინც ვარ, შე სულელო ბავშვოოო. :) ნუცი ვარ. :) გაგახსენდი, პაწიავ? :)) ზაზუნა-22.

• სვანებმა დაახვიეთო? კი, მაგრამ მარი ჯაფარიძე რომ სვანია? მაგან რომ დაახვიოს „გზიდან“, მერე, რა გეშველებათ? მაგის იმედად არ ბლატაობთ ყველანი? ეეე, წრუწუნ, დალიე და სვანებს თავი დაანებე, რა! ისე, მარი, სვან ისტერიჩკას დიდი არეულობა შემოაქვს და ნუ დაუბეჭდავ მესიჯებს. ჩვენ ხომ ხედავ, როგორ გუგულებივით ვართ. საშლელი.

• აქა ვარ, ჩემო ფშაველო, ნატრული შენი ნახვისა, ცოტა ალერსიც მაღირსე, ნუ მამკლავ ხაჭოს ჭამითა. ლელა.

• აბა, სვანებს თავი დავანებოთ, რაა! ყველანი ძალიან კარგები ხართ და მგონი, იმაზე კამათი, ვინ უფრო მაგარია, ჩემი აზრით, მაგარი უაზრობაა. ზაზუნა-22.

• ნელკა, ძალიან კარგი ხარ, ჩემო კარგო. :) გაიხარე. ზაზუნა-22.

• იმედა, თუ გგონია, რომ მიყვარხარ, ძალიან ცდები. უბრალოდ, „გეაფირისტები“. ისე, მაგარი სიმპო ხარ! ტატა.

• „ტიხკო“, მიგიღებთ, სიხარულო, აბა, რა! კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს დიდ და ბედნიერ ოჯახში. :) მეც გეხუტუნე, მაგ თბილ და საყვარელ გულუკაშიიი... ზაზუნა-22.

• მარი, გეხვეწები, ეს მესიჯი დამიბეჭდე, რაა... ძალიან მიყვარს „გზა“ და შენ, მარიკუნა. დადუ-15.

• პელაგია, გაიხარე, რაა... მაგარი სიტყვებია. ზაზუნა-22.

• დღეს „გზა“ ვიყიდე და ისე გავერთე ჯიხურთან მესიჯების კითხვით, დრო სულ დამავიწყდა. გამყიდველმა მითხრა: შვილო, უპატრონო და უსახლკარო ხომ არ ხარო? ნეტავ, რატომ? ხელს ვუშლიდი, ვითომ? :) ლეო91.

• პრივეტები ყველას, როგორ ხართ? მე ახალი ვარ თქვენს „სასტავში“, თუმცა „გზის“ უერთგულესი მკითხველი გახლავართ. ყველანი ძალიან საყვარლები ხააართ. მპუა, თქვენა. „სევდა“.

• გამარჯობა, მოვედი გვიან, როგორც ყოველთვის. მაპატიე,

გალოდინე, ამინდია სალოგინე, ჩამეძინა, იცი? ნუ ხარ ასე ფიცხი! ვეღარა გცნობ, რა გჭირს? მოგეფერო? გაჭრის? ლეო91.

• ვერ წარმოიდგენთ, ჩემს დირექტორს როგორ უნდა ჩემი სკოლიდან გარიცხვა, მაგრამ ნიშნებს რას უზამს? არადა, თუ რაიმე ოპოზიციის აქციაა, პირველი მე გავრბივარ. ლეო91.

• ტაძარში დანთებულ სანთელს გაუმარჯოს, სანთლებთან დაჩოქილ მუხლებს გაუმარჯოს, მუხლებზე დაცემულ ცრემლებს გაუმარჯოს, ცრემლებზე დაჩოქილ სიყვარულს გაუმარჯოს.

• მდაა... მარი, ბოლოს ჟურნალ „გზას“ მარი და მესიჯოფობიით *(ალბათ, უნდა იყოს მესიჯომანიით. — მ.ჯ.)* შეპყრობილები დაერქმევა. ჰა... ჰა... ხვალ ვტოვებ სვანეთს, არადა, აქ კარგია. ორია.

• კაკუ, ჩემო კარგო, ყველას ლაპარაკი ფეხზე დაიკიდე და არ ინერვიულო, კარგი? მპუა, შენ. სად უნდა გამოგეხმაურო? აქ ყველა კარგი ადამიანია. „ვოტ ტაკ“! მის სიო.

• გამარჯობა, „ბოვშებო“. ერთი თხოვნა მექნება, იქნებ, რაფერცხა მიმიღოთ თქვენს „სასტავში“? აპა, ჰე! თქვენთან იგულეთ ედიშერი, იგივე ჯონდევიჩი.

• მოვედიიი. :) როგორ ხართ? მე ძალიან კარგად. სამეგობროდ გავიცნობდი კარგ ადამიანს. ზღარბუნია.

• იცით, შარშან, 15 აპრილს, ჩემი სიყვარულის გვერდით ვიყავი... მასთან ერთად სიყვარულის ნიჭი დავკარგე. მ.გ.

• გამარჯობა! მოვედიიი... კეთილი იყოს ჩემი ფეხი. ჰო, მართლა, მიმიღებთ? ნიკად რა ავიღო? ვიფიქრებ ან იქნებ, კეთილმა დეიდა მარიმ მომიხერხოს რამე? მპუაა.

• მე 22 წლის გოგო ვარ და დედა, რომელიც ასე ძალიან მჭირდება, ზუსტად ახლა წავიდა ამ ქვეყნიდან. საშინლად განადგურებული ვარ. ტაკვესია.

• მე ხევსური ვარ, ნუ გაიოცებ, ჯიუტი ვიყო, თანაც, ამაყი. მე ხევსური ვარ, ნუ გაიოცებ, ვერ შევურიგდე ტრფობაში ღალატს. მე ხევსური ვარ, შვილი მთებისა.

• ჩემს მომავალში მხოლოდ შენ გხედავ, მხოლოდ შენთან ვარ მე ბედნიერი, მსურს, ეს ოცნება მალე ასრულდეს, ჩვენ ორს გვეწოდოს სულ ბედნიერი. მიყვარხარ. რომა. შენ?

• აუ, გუშინ კაფეში ვიჩხუბე: ვთხოვე, უხახვო ლობიანი მომიტანეთ-მეთქი, მათ კი... ლამის თავზე დავაფშვენი თეფში. P.S. სამაგიეროდ, 3 ხაჭაპური და „კოლა“ უფასოდ მოვატანინე. ლეო91.

• მე ვარ კარლო ბერძენიშვილი და ძალიან მაინტერესებს, ვინ ხარ. გამომეხმაურე!

შენი ადგილი იცოდე, ბიჭო!

• „ზმიზმიიი“... ჩემიი ძმაა... რაჭა ჩვენი სიყვარულია, აბა, რაა... ნელკა და „ტემბოლეე“, თქვენც გაიხარეთ. ნეტავ, ვინ საიდან ხართ? მე ჯაშქვიდან... ჩაგპროშნეთ ყველა. კვატუსია.

• „სტიქიავ“, რაც არ უნდა ძალიან გაიჭიმო, განზე გაშალო მკლავები, შენ ჩემთან ისე ვერ მოხვალ, როგორც არწივთან ყვავები. გ.მ.გ.ა.

• მისს დეპპი, მეც ახალი ვარ. მეე... მე 21 წლის ვარ, უკვე ვბერდებიი... რა მიხარია, ნეტავ? აე, აე, აეე... არადა, დღეს ცუდად ვარ... გაკოცეეე... კვატუსია.

• სალიერ, შენც გილოცავ მოგვიანებით. მობრძანდი, გენაცვალეე... დაბრძანდიი... ყავას ხომ არ მიირთმევთ? :)) თუ პიტნის ჩაი გესიამოვნებათ, ლიმონით? :)) გაკოცეე... კვატუსია.

• ზაზუნა-22, ჭეშმარიტად, სიხარულიიი... უფალი გფარავდეს მუდამ... ძალიან სიხჩოობა ხარ, იცოდი? :)) გაკოცეე... კვატუსია.

• როიდი, აიტ, შე აბდალოო. :)) გურულებზე მეკეტებაა... ფანი ვაარ... მაბოდეეებს... გურიაა, გურიაა... გურიაში უნდა გავთხოვდე, რა. გამოვიჭერ ვინმე აბდალს და აიტ! :) კვატუსია.

• ბაბულიკაა, შენ გაიხარე, მაინცდამაიიინც. :)) რაჭა სულ სხვაა. :)) გაკოცეეე... კვატუსია.

• ბუბუ, ბუბუ, ბასტი-ბუბუუ, :)) მოდი, მოდი, მოდი ააქ... ნუ წახვალ იქ, მოდი ააქ! ეჰ, მაგარი იყო მეფე? :((კვატუსია.

• მოვედიიი, გაკოცეთ და წავედიიი... კვატუსია.

• კაკუ, შენმა მესიჯმა დამაფიქრა, გულზე მომაწვა დარდები, „გზას“ რომ წავიკითხავ, შენზედ დავფიქრდები, ფეხებს დავიბან და დავწვები. გ.მ.გ.ა.

• მე ახალი ვარ, ხომ მიმიღებთ? :) სახე.

• ეეეჰ... ჯაფარიძეების ქალბატონო, როცა დამთავრდა ნატალისა და ზურას რომანი, მაშინ მოკვდა „გზა“, სამწუხაროდ. მუდმივი მკითხველი.

• ჩემს მოსვლას და თქვენს დახვედრას გაუმარჯოს, ჯიგრებო, რაა :)) დამხვდებით? თუ ჯერ არ მოვსულვარ და უკვე წავიდე? :) აუ, კაქათ დამხვდით, رااااا! ბაო-ბაო.

• აუ, ეს ცხოვრება რა მოკლეა, არა? დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები. ჰოდა, ვეცადოთ, ეს მოკლე დრო ლამაზად გავატაროთ. ერთმანეთს ნუ ჭამთ, რა, გთხოვთ. ბაო-ბაო.

• ზესტაფონელი „სტიქია“, სულ ერთი ციცქნა ბიჭია, მისი ასაკიც მცირეა და არც გული აქვს დიდია, მის ძარღვში სვანის სისხლია, ჯაფარიძეთა რიგშია... ასე, ამრიგად, „სტიქიას“

ბიოგრაფია მითქვია. :) მაწუხებს ერთი ფიქრია, „სტიქო“ პასუხის ღირსია: შენს მეტი შენი რიგია, მამიკოს თუ ჰყავს ბიჭია? შენი ფანი ვარ! :) მეგრელი კანიბალკა.

• დღეს სწორედ იმ ჯიხურთან „გზა“ მივიტანე და სანამ არ დავიღალე ფეხზე დგომით, მანამდე ვკითხულობდი. ასე მოუხდება. ჯიუტებო მთელი „გზისა“, შეერთდით. ლეო91.

• ძალიან გამიხარდა, რომ „გზის“ ამ ნომერში ერთმანეთი თითქმის არ გაულანძღავთ. ისტერიჩკებო, გაჩერდით, რა! თუ ჩხუბი გინდათ, გარეთ ცოტა ხალხია? ასე რომ, მოთოკეთ ნერვები. ლეო91.

• მეგრელი, სვანი, გურული, ფშაველი... ყველანი აქ ხართ, მაგრამ იმერლების პასიურობა მაკვირვებს. არადა, ყველანი კარგები ვართ და თანაც, ცუდები.

• მინდა, კაკუს მივმართო: ყური არავის დაუგდო. ვერ გავიგე, ზოგს რატომ აღიზიანებს მისი ბავშვური და ხალასი იუმორი? მაგაზე მეტი ბოლმით სავსე მესიჯები მოდის აქ. ტაკვესია.

• ხალხო, სასაცილოა, რაჭველებიც რომ ბლატაობენ. მაგრად ვხალისობ რაჭველებზე. „იმენა“, კლასელი მყავს რაჭველი და მართლაც რომ რაჭველია... :):) ისტერიჩკა.

• იპოვეთ საკუთარი თავი და ბედნიერი იქნებით. გახსოვდეთ, რომ ამქვეყნად მეორე თქვენნაირი ადამიანი არ არსებობს. ზაზუნა-22.

• ყველა ადამიანი ცდილობს, მოიპოვოს ბედნიერება და თავიდან აიცილოს ტკივილი. ეცადე, დაეხმარო მათ ამაში და თუ დახმარებას ვერ შეძლებ, ხელს მაინც ნუ შეუშლი... ზაზუნა-22.

• ამქვეყნად ყველაზე დიდ ბედნიერებას გვანიჭებს რწმენა იმისა, რომ ვუყვარვართ სწორედ ისეთები, როგორებიც ვართ და მიუხედავად იმისა, რომ ასეთები ვართ... ზაზუნა-22.

• ჰაი, ახალგაზრდებს. მაგრად მომენატრა აქ ჩატაობა. „ზბორებზე“ ვიყავი წასული, ახლა დავბრუნდი საქართველოში. გაიხარეთ, ქართველებო!

• მიყვარს, როცა შენს ნერვებზე და გრძნობებზე ვთამაშობ, როცა შენს სიმშვიდეს ვარღვევ, სიცილით. გაიგე, ლეო? მის სატანა.

• სვანო ლეო91-ო, სვანი რომ ხარ, სვანებთან უნდა იყო. რაც შეეხება ნიკს, არ შევიცვლი. შენ რა იცი, მიხდება თუ არა ჩემი ნიკი? ვინც არ მიცნობს, გამიცნოს. ისტერიჩკა.

• სვანო ლეო91-ო, ჩემთან დაპირისპირებას არ გირჩევ. ჯობია, ვიმეგობროთ. კარგი? სვანო კესო, მაგარი ჯიგარი ხარ. გავიცნოთ ერთმანეთი. კარგი, სიხა? მპუა... ისტერიჩკა.

• მე ახალი ვარ. მიმიღებთ „სასტავში“? იმედია. მიყვარხართ ყველა. baby smile.

• „გზის“ წინა „რეალურს“, როგორც საპნის ოპერას, ისე ვკითხულობდი. „სიცოცხლემისჯილს“ კი ნამდვილად სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა. ლეო91.

• ეჰ, ნეტავ, რა გვჭირს ასეთი ამ ქართველებს, რომ ერთმანეთს ვერ ვიტანთ? ხალხო, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რომელი კუთხიდანაა? განა, ყველანი ქართველები არ ვართ?

• იცი, კაკუ, უკვე კარგა ხანია, რაც შენს მესიჯებს ვკითხულობ და ვფიქრობ, რომ ძალიან კეთილი ადამიანი ხარ! უფლის რწმენა არ დაკარგო! გაიღიმე და ყოველი წამით დატკბი.

• აუ, მაგარი „დაგრუზული“ ვარ ცხოვრებისგან. მაგრად მინდოდა სწავლა. ჩავაბარე და ვერ გამიშვეს მშობლებმა. არავინაა ისეთი, რომ გამამხიარულოს? „დამიმობილეთ“, რაა. სელა.

• ოთახში 3 ფეხით შევედი და 4-ით გამოვედი. ვინც გამოიცნობს, ერთ ქაქუცას ვაჩუქებ. დიდი მატყუარა.

• ყველგან სითბო, ყველგან ალერსი და სიყვარულის ფერები ხარობს. სადაც გავივლი, დადიან წყვილად, მხოლოდ მე ერთი დავდივარ მარტო. ტაკვესია.

• გრუნტი, რა გამაფრთხილე და რა ამისრულე? შენნაირი ვაჟკაცები რომ არსებობენ, იმიტომ დაინგრა ეს ქვეყანა. ნინოს ტუჩებამდე მთელი შენი საგვარეულო ვერ მივა! მინდია.

• კისკა, მე კარგად ვარ. შენ როგორ ხარ? ჰო, გოგო ვარ, გოგო... შენც გურული ხარ? აქ გურულებს კიდევ ვინ კითხულობდა? აქ ვარ, აქ! მის სიო.

• მე ახალი ვარ და თქვენთან მეგობრობა მინდა, თუ რა თქმა უნდა, პრობლემა არ იქნება. ჩვენ ყველა ერთნი ვართ, საქართველო ერთია. ამიტომ, ერთმანეთს ნუ შევჭამთ. მე თეკა ვარ, 18 წლის.

• ამ მესიჯს საბერძნეთში ერთი გოგო წაიკითხავს. ადამიანებს ვერ გავუგე ვერაფერი. ერთი გოგო მიმესიჯებდა და როცა გაიგო, რომ ცუდად ვიყავი ანუ „ცე“ ჰეპატიტი მქონდა, მიმატოვა. ეგონა, რომ ნარკომანი ვარ. ნატალი, მაინტერესებს, თუ მეგობრობას არ გამიწევდი, რატომ დაამესიჯე ჩემთან? არა, გენაცვალე, მე ნარკომანი არ ვარ. კარგად იყავი. შენი ნომერი წავშალე.

• ვიყიდე „გზა“ და მოვკვდი გადაფურცვლით, სანამ „მესიჯომანიას“ მივაგენი. :) ახლა მეც აქ ვაარ! იცით, რატომ? ვინმეს გაცნობა მინდაააა. ვარ 14 წლის.

• ამ წვიმაში მასწავლებელთან რომ არ წავიდე და გავაცდინო, ნეტავ, რა მოხდება? ლეო91.

• მომენატრები, უსაშველოდ მომენატრები და დაიცლება ფიქრებისგან სული ეული, დაგელოდები, უსაშველოდ დაგელოდები, მაგრამ შენ ჩემგან პატიებას ნუ ელოდები. თუ დაბრუნდები, ისევ ისე თუ დაბრუნდები, იქნებ, შევცდე და კიდევ ერთხელ იქნებ მიგიღო, ოღონდ ნუ წახვალ, გევედრები, ისევ ნუ წახვალ, შენ ხომ უჩემოდ ვერ იარსებებ, ვერც მე — უშენოდ. პუპსიკა.

• თურმე... ცხოვრებაში ზოგჯერ ასეც ხდება, თვალზე უნებურად ცრემლი მოგადგება, გული ვეღარ იტევს, სული მეხუთება, ისე მინდა შენთან, ჩემო მონატრებავ!

• კაკუ, სიხარულო, შენი მესიჯები ძალიან მახალისებს. შენმა ბოლო მესიჯმა კი გული მატკინა. რა გჭირს? რატომ ამბობ, შეიძლება ზეცაში წავიდეო? ძალიან მიყვარხარ. სევდია.

• მარი, დიდი მადლობა უნდა გითხრა, რადგან „მესიჯომანიის“ საშუალებით გავიცანი ადამიანი, რომელმაც ცხოვრება კარგი კუთხით დამანახვა. გოლიათო, მომენატრე. პატარა.

• მეგრელო კანიბალკა, გავიგე, „მაგთიჩატის“ ჩატერი ყოფილხარ. რა ნიკით იჩითები, ძვირფასო? მეგრელებო, გამომეხმაურეთ, გავიცნოთ ერთმანეთი. :) მეგრელი დადუ.

• იცი, რისთვის გიმესიჯებ, „სტიქიავ“? ჩემი ნიკის გარითმისთვის მადლობა არ მითქვამს. X-ვუმენ.

• ყველა ძალიან მიყვარხართ. კაკუ, გთხოვ, მითხარი, და გყავს?

ჭმანცლაჭული, ოცლოთმან მიმხმე მამაკაცი გაიცნობდა კუკლუნა, მეუხედავ, გაიუნათლებელ ქალთაცლინ ხალმისად, მამ დავმბმუნდე ჩემი ჭმანცლაჭების ხამმალთლანთმაში.

მაგარი ხარ, ძალიან. „სტიქიავ“, მაგარი ხარ. მიყვარხართ. იაზვა მარჯა.

• ლეო91 თურმე X კლასში ყოფილა. ისე, გეთანხმები, ეგ „დირიხილე“ მოსმენის ღირსი არაა. უტვინო კაცუნა! ჰოო, კანიბალკა, მეც მეგრელი ვარ. იდეაში შემოვდივარ. ჯოჯო.

• რა „იდეინი“ ბიჭი ხარ, ლექსების წერის მაგარი ნიჭი გაქვს, „სტიქია“ რატომ დაირქვი? კითხვა მაქვს შენთან ასეთი.

• დავიღალე, ადამიანებს გავურბივარ, ტკივილს მიტოვებს უკლებლივ ყველა. აუ, რამდენი დაგროვილა, არ გაძღა გული, არც გასკდა. თავს ვერ გავექეცი. შავი ღრუბელი.

• ყოველდღე ლოყებზე „საათი“ მახატია და იცი, რატომ? ჩემი 10 თვის გიო მკბენს, თანაც, დაუნდობლად. ასე ვთქვათ, კბილებს ილესავს. პუპსიკა.

• დიდია სურვილი მიბაძვის, კარგი მესიჯიც ბევრია, „სტიქიას“ შეცვლის სურვილი, მხოლოდ ოცნებაა ბევრის. შეუცვლელი ხარ, „სტიქიავ“. X-ვუმენ.

• მაო, სიხა, ბევრჯერ გითხარი და კიდევ გიმეორებ, ძალიან მაგარი ადამიანი ხარ! ამ დროში შენნაირი კაცები სანთლით საძებარია. ჯიგარი ხარ, აზრზე რომ მომიყვანე. მაზოხისტკა.

• გიო-19, შენი გაცნობა მინდა და შეიძლება? შემდეგ ნომერში მომწერე, კარგი, სიხ? ანგელოზი-15.

• კაკუ, ძალიან საყვარელი ხარ. ვისაც არ ევასები, მაგათი დედაც... „ზმიზმი“, შემოგევლე, გავიცნოთ ერთმანეთი. :) „სტიქიავ“, ნიკი გამირითმე, გთხოოოვ... მპუა, სიხარულებო. მაზოხისტკა. :)

• აუ, ვერ ვიძინებ, რაა... გზავნილომანებო, შეხვედრაზე არ გიფიქრიათ? მაგარი იქნება, მგონი. ოღონდ, მარიც თუ იქნება. :)) მარი, რას იტყვი? მის სიო.

• კაკუ, არ მიწყინო, კარგო, მაგრამ მაგდენ ლაგაც-ლაგაცებს ჯობია ცოტა დაწერო და დანარჩენი პატრიარქის ფონდში ჩარიცხო. ისედაც მოგვწონხარ. „ჩორტიოზნაეტი“.

• მაოცკუნები, ხანდახან მგონია, რომ მაგარი „სტრანნი“ ხარ. არ გაგეცინოს, რა... ისე, მთავარია, ერთმანეთს ვუგებთ. :) გკოცნი იმდენს, რამდენი ვარსკვლავიც ცაზეა. მპუაააა. :) მაზოხისტკა.

• პრივეტეეები, ჩემო ძვირფასებო. უსახელო ხევსურო, სვანებს სვანური ქუდი მაინც გვაქვს, ხევსურებს კი, რა გაქვთ? არაფერი. კომბალი? ااا, ცხვარი! ფაფუ! სვანი ისტერიჩკა. ;-)

• ახლა ფიზიკის ტურზე ვზივარ და იმის მაგივრად, რომ ფიზიკაზე ვიფიქრო, „გზავნილებზე“ ვფიქრობ. „სტიქიავ“, მგონი ყველას ნიკი გარითმე, ჩემი ნიკის გარდა.

• ეს „ჟურნალი ჟურნალში“ რაა, ნეტავ? მარი, ნატალის თავს რა ხდება, არ გვეტყვი? ლეო91.

• რაც მაგრები ვართ, მესიჯომანები ვართ! ხომ მეთანხმებით? ასე რომ, გვეყო ჩხუბი. „ტემბოლეე“, მაგარი ნიკი გაქვს. ლეო91.

• რა მეტაკა, არ ვიცი. გუშინ 4 ნაყინი ვჭამე და ყელი ისე მტკივა, ალბათ, მიქელას წერილს წავუღებ. P.S. თქვენგან რა გადავცე? ლეო91.

• ფაფუუუ... შეყვარებულს ყურში ნაცარი ჩავაყარე და... ახლა ახალ სიყვარულს ვეძებ.

• მე არ ვიცი, ის გოგო ხარ თუ ის ბიჭი, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ მე „გზიდან“ ვერც შენ და ვერც ვერავინ დამახვევინებს. მგონი, მალე ის გოგო დაახვევს აქედან. ისტერიჩკა.

• მარი, ძვირფასო, გილოცავ სიყვარულის დღეს! მადლობელი ვარ, რომ შესანიშნავი ადამიანი გამაცანი. გთხოვ, ჩემი ნომერი არავის გაანდო. ინტელექტუალი გოგო.

• ვინც რას ეძებს „გზაში“, ღმერთმა ყველას ყველაფერი აპოვნინოს და ვინც აფერისტობს, ყველას კბილი ასტკივდეს და ექიმი ვერ იპოვოს. აი, ასე! „ჩორტიოზნაეტი“.

• სვანები, ხევსურები, რაჭველები, ფშავლები, მთიულები, მეგრელები... ყველანი მაგრები ვაااართ. არ ჯობია, ჩხუბის ნაცვლად ვიმეგობროთ? :) სვანი გოგჩო.

• გილოცავთ სიყვარულის დღეს. ახლა პაპას ბაღში ვზივარ და კარუსელზე „ვკატაობ“, თან, „გზას“ ვკითხულობ. ხალხი შეშინებული მიყურებს. ალბათ ჰგონიათ, ბავშვობაშია დარჩენილიო.

• მეც დავხატავდი მზევინარ, შენს თოლებსა და სახესა, მაგრამ რა ვუთხრა ხევსურებს, „გზაში“ თუ სადმე მნახესა. ფშაველი.

• კაკუ, ჩემო პატარავ, ასე მოგმართავ იმიტომ, რომ თითქმის შენი ტოლი შვილი მყავს. მეც ძალიან ცუდად ვარ და ვიცი, ეგ რაც არის. არავის მიაქციო ყურადღება. ღმერთი გფარავდეს.

• მე ახალი ვარ. გამოაქვეყნე, რა, ეს მესიჯი, გთხოვ. ისტერიჩკა ხარ თუ ვიღაცა, აბა, შენი თავი წარმოიდგინე კაკუს ადგილზე, შე ნაგლო. კაკუ, არ მიაქციო ყურადღება.

• ვაი, ფუნჩულა, გენათალე, შენ... აქ ყველა კარგები ვართ. ხომ მეთანხმები? გაკოცე ბელი, ბელი, შენ... ისე, უკვე ზაფხული მინდა, დავიღალე სიცივით. :((მის სიო.

• კაკუზე ცუდი არავინ თქვათ, გაიგეეეთ?

• „გზავ“, ძალიან მაგარი ვინმე ხარ.

• რამ გაგამწარათ კაცებო, ამ სექსზე ისე, რომ ჟურნალშიც კი მაგას წერთ? ნუ გგონიათ, რომ თუ სამსახური და მანქანა გაქვთ, გოგონები თქვენზე დახამდებიან. გრცხვენოდეთ. „სევდია“.

• ვეხმაურები დაღონებულ ნატას. ლოცვა არ შეწყვიტო, ჩემო ნატა და ეკლესია არ მიატოვო. თუ დამიჯერებ და ილოცებ, ყველაფერი კარგად იქნება. ბედისწერა არ არსებობს. ლაშა-25.

• გეხვეწებით, არავინ გამოეხმაუროთ ქერათმიან, მწვანეთვალება, ქუთაისელ, 24 წლის გოგოს. მაინც უმადურია. მე გავუში მის მაგივრად ეს განცხადება და „შემჭამა“.

• აუ, მარი, მაგარი ხარ. „მესიჯომანია“ რომ არ არსებობდეს, რა გვეშველებოდა? შაბათს ჩემი დაბადების დღეა და იმედია, საჩუქრად ამ მესიჯს გამომიქვეყნებ. გურული დადუ.

• გამარჯობა, მესიჯომანებო. ჩემი საქმე ცუდადაა, რადგან ჩემზე ბევრად პატარა ბიჭი სიგიჟემდე მიყვარს. თან, ქმარშვილიანი ვარ. ნუ გამლანძღავთ, ისე მომეცით რჩევა.

• რა „ინტერნაციონალი“ მესიჯომანები გვყავს: ბერძენი, არაბი, ერთი ზანგიც და... :) ლეო91.

• გოგო-ქისო, ძალიან საყვარელი ხარ. შენთან ურთიერთობა მინდა. გამგუდე, გამგუდე. :) შენი ნომერი ვერ ვიჩალიჩე, გვიან ვიყიდე „გზა“ და... ჩემი ნომერი მარისთანაა. ბოხო.

• ჰაიიტ, რაფერ ხართ? კაკუ, სხვებს ნუ აჰყვები, ლა. ნუ ჩხუბობთ ხოლმე. ჩხუბს მოფერება არ სჯობს?! :):):) ასი, ასი,

თუ ვინდოთ იტიბნოთ ლაშაზ, მდიდარ და ქუდიან ჭალზე, ვალიკვლიხნინეთ, ამიტ ხამეკოლანობაზ ყანონი ამ ალიკვლიხნინებზ.

ასლამაზი, ასი კაბა მაცვი

სიყვარულით ლიკა, ეკა, მარინა და მაკა.

• საყვარელ ძამიკოს, რამაზ ზაზაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. აგნესა და თამო.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს ნათლიას, თიკო პირველს და ჩემს ბიძაშვილს, ლევან გუჯეჯიანს. მაგრად მიყვარხართ ორივე. პაჩები. ;-) ისტერიჩკა. ;-);-);-)

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, ალეკო ბახურაულს ვულოცავ სიყვარულის დღეს და ვუსურვებ ბედნიერებას, თავის ოჯახთან ერთად. შენი მეუღლე, ნანა. ძალიან მიყვარხარ.

• გამარჯობა. მინდა, ყველას მოგილოცოთ სიყვარულის დღე. ყველას ორმხრივ სიყვარულს გისურვებთ. ჩემს ბასასუნას კი ვეტყვი, რომ უზომოდ მიყვარს. რობ, მიყვარხარ. ტასი• კო.

• მესიჯომანებო, სიყვარულის დღეს გილოცავთ. სიყვარული და სითბო არ მოგკლებოდეთ. ლეო91.

• პაწუკა მარი ქებურია, დაბადების დღეს გილოცავ! ძალიან ბევრს გლოცავ! დაესწარი მრავალს! გისურვებ მთავარს: ულევ სიხარულს. და კიდევ, ერთი: გფარავდეს ღმერთი! მარი.

• ჩვენს საყვარელ ძამიკოს, გიო მოდებაძეს ვულოცავთ 3 წლის შესრულებას. ძამიკო, დაესწარი მრავალს. გვიყვარხარ ძალიან. მაცო და ეკა. ჭიათურა.

• მაიკო ხვედელიძეს და ნიკო გაფრინდაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 21 აპრილს. ვუსურვებ ბედნიერებას და ყველა ოცნების ასრულებას. ოლეგარიო.

• ლევან ედიშერაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ლევან, გისურვებ პირველ რიგში ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მერე კი — „სვაბოდას“, რომელსაც ყველანი მოუთმენლად ველით.

• ლია მერებაშვილს! „მანთაშო“, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერებას, სიხარულს, ჯანმრთელობას და ზღვა სიყვარულს გისურვებ. მიყვარხარ, გკოცნი, ჩემო საყვარელო. მარიკა.

• თეონა ბუჯიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 20 აპრილს. ვუსურვებთ წარმატებას და ბედნიერებას. თაკო და გვანცა.

• თამარ გოგიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს. მერაბი ზურაბიშვილი.

• ჩემს უსაყვარლეს მამიკოს, ბონდო ბიძინაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მამიკო, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ. ძალიან, ძალიან მიყვარხარ! თამუნა.

• მარი, მე ნათია ვარ, ახლა რომ გესაუბრე საბერძნეთიდან. მე და ჩემი მეუღლე 2 წელია, ათენში ვიმყოფებით. მას 22 აპრილს აქვს დაბადების დღე და მინდა, მივულოცო, დიდი სიყვარულით. შოთი, მინდა, ყოველთვის ჯანმრთელი და ბედნიერი იყო. დიდი სიყვარულით, შენი მეუღლე, ნათია.

• შოთო სვანაძე, გილოცავ დაბადების დღეს, ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ, შენს უსაყვარლეს მეუღლე ნატუშკისთან და პატარა ანგელოზ ლილესთან ერთად. შენი „ტრაპეცონას“ მეგობრები. რომ არა უსაბუთობა, ათენში სად გავიცნობდით ერთმანეთს?

• შოთიკო სვანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მანჩო.

• მარინას და გიას ვულოცავ გაბედნიერებას. აქ, ათენში ისეთი კარგი ქორწილი იყო, რომ ახლა ვიღაც კიდევ უნდა გავათხოვო. გკოცნით. მარი და გია, ჯიგრები ხართ.

• უბრალო ცნობისმოყვარეობა მაგზავნინებს შენთან მესიჯს. მინდა, ბათუმელ მინდიას გაბედნიერება მივულოცო. სალი.

• გთხოვთ, ეს მაინც დამიბეჭდეთ. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ, ხაშურიდან. თამარობას და დაბადების 22 წლის იუბილეს, გაბედნიერებას გულით და სულით ვულოცავ ხაშურელ თამუნა ალიკას ასულ ხაჩიძეს. ვუსურვებ ბედნიერ დედობას. რამაზ ლაზარიჩი.

• თენგო ობოლაძეს და მაკა ცხადაძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. ვუსურვებთ ლამაზ და ბედნიერ მომავალს. ვლოცავთ ათენში შეძენილი მეგობრები.



მამაცაცის ცხოვრებაში ამბებობს ჭრილიდები, ბოდიცაც მის ჭალი ამ ინცეგრებებ. ეს ჯახლავთ ფეხბურთის მაცრის ჭრაგელი და მეორე ლაბი.

• ვეძებ ლალი დათაშვილს, თამარაშენიდან. ლალი, სად დაიკარგე? გთხოვ, დამირეკე ნომერზე: 8.99.79.64.82. ნანა, აფხაზეთიდან.

• ვეძებ გუდაურელ ნათია ბედოიძეს. თუ ვინმე იცნობთ, დამიმესიჯეთ, გთხოვთ. 8.55.34.71.35.

• ვეძებ ჩემს ნათლიას, ფირუზას. აუ, გვარს ვერ ვიხსენებ. ვაი, სირცხვილო! მოკლედ, თუ წაიკითხავს, მიხვდება, რომ მასზეა დაწერილი და იმედია, გამომეხმაურება. ნათია.

• ვეძებ ბადრი სიხარულიძის ოჯახს. ისინი გურიიდან არიან და თბილისში ცხოვრობენ. ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობდით, ოსეთის ქუჩაზე. ოლიკო.

• ვეძებ მობილურით გაცნობილ მეგობარს, რომლის ნომერიც დავკარგე. მას ლულუ ჰქვია. მე დათო ვარ, ბათუმელი, გეგუთიდან. ლულუ, თუ წაიკითხე, მომწერე.

• ვეძებ მეგობარს, ტყიბულელ თეა კუბლაშვილს, რომელიც 15 წელია, არ მინახავს. მოსკოვიდან დიდი ხანია ჩამოვედი და ვერსად ვიპოვე. თეა, დამირეკე. ნომერს მარი მოგცემს. მაია.

• მარი, მომაძებნინე ლილოში მცხოვრები, 26 წლის მარი ბურდული. შემდეგ საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. ის ჩემი ტყუპისცალია.

• ვეძებ ნინო კვერნაძეს, რომელიც წყალტუბოში ცხოვრობს. ნინო, გთხოვ, გამომეხმაურე. ხათუნა მოსულიშვილი.

• ვეძებ ნათელა ასათიანს. თუ ვინმეს ამ ქალბატონის შესახებ რაიმე გსმენიათ, გთხოვთ, გამომეხმაურეთ..

• მარი, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე ეს მესიჯი. მე მირზა სისაური ვარ. მეძებდა ბავშვობის მეგობარი, დოდო. ჩემი ტელეფონის ნომერია: 8.93.91.11.03. დოდო, შემეხმიანე. მირზა, თიანეთი.

• ვეძებ თანაკურსელს, რომა ბუიშვილს. დამიკავშირდეს მარის მეშვეობით.

სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯის რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ასევე შეგიძლიათ გამოგზავნოთ „მესიჯომანიაში“ თავს გადახდენილი ამბები და მსურველებმა — ფოტოებიც. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს!

როგორ მოვხვდი თარხანთან

ამ ცოტა ხნის წინ ქალაქგარეთ ნათესავს ვეს-ტუმრე. მისი სახლის აივანი გზის მოპირდაპირე მხარეს, კერძო სახლებს გადაჰყურებს. დასახლების ბოლოში, ცოტა მოშორებით, ხეებში ჩაფლული სამსართულიანი, ფეშენებელური სახლი შევნიშნე. ხეები ჯერ არ გაფოთლილიყო, მაგრამ ცოტა ხანში იქ ალბათ პატარა წალკოტი გადაიშლებოდა. თუმცა მარადმწვანე მცენარეებიც შორიდან უხვად მოჩანდა. რა თქმა უნდა, სახლის პატრონის ვინაობით დავინტერესდი. „როგორც ვიცი, მანდ მარტოხელა, ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრობს, დანახვით არავის დაუნახავს, რადგან ეზოდან დაბურულ-მინებიანი, ძალიან ძვირად ღირებული მანქანით გამოდის. მასთანაც სულ „მდიდრული“ მანქანებით მოდიან სტუმრები. უბანში ბევრს ჭორაობენ მასზე, ზოგი რას ამბობს, ზოგი — რას. უკვე 3 წელია, რაც აქ ცხოვრობს და მის შესახებ სულ არაფერი ვიცით. არც მეზობლებთან ურთიერთობს და სახლსაც ისეთი მაღალი გალავანი აქვს, რომ ცნობისმოყვარე ადამიანის თვალი შიგნით ვერ აღწევს. ისე, ასეთი იდუმალებით მოცული რომ არის, უფრო დიდ ინტერესს იწვევს. მე ვფიქრობ, უბრალოდ, დიდი თანამდებობის პირია და მეტი არაფერი“, — მითხრა ჩემმა მასპინძელმა.

მარი ჯაფარიძე

რა თქმა უნდა, ჩემმა პროფესიულმა „ჭიამ“ არ მომასვენა და გადავწყვიტე, ამ იდუმალებით მოცულ ადამიანს შინ დაუპატიჟებლად ვწვეოდი. ვიდრე ჩემი მომავალი რესპონდენტის სახლამდე მივიდოდი, პატარა ორღობე გავიარე. ორღობე ეთქმის, თორემ პატარა, ქვებით მოკირწყლული ვიწრო ქუჩაა, რომელსაც ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე ყვავილებით სავსე, 2 ბილიკი მიუყვება. მაშინ მხოლოდ შროშანები, ნარცისები და ტიტები ყვაოდა, მაგრამ რამდენიმე კვირაში, ულამაზესი ყვავილები გაიშლება. გალავანი მართლაც ძალზე მაღალი და კაპიტალურადაა გაკეთებული. ჭიშკარი — რკინი, მოჩუქურთმებული. ამ კართან მდგომ ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, რომ ეზოში შეიხედოს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თურმე ის ყველასთვის არ იღება. ზარის ღილაკს თითი დავაჭირე. იქვე მიმაგრებული დომოფონი ახმაურდა და ქალის ხმამ ჩემი ვინაობა იკითხა. სახელი და გვარი ვუთხარი. — გრაფთან მიღებაზე ჩაწერილი ხართო? — გრაფი? ეს უკვე საინტერესო იყო. ამიტომ, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჭიშკრის შიგნით აუცილებლად უნდა მოვხვედრილიყავი. თუმცა იმასაც ვგრძნობდი, რომ იმ წუთში ჩემი იქ მოხვედრის შანსი ნულის ტოლი იყო.



— დიახ, ჩაწერილი ვარ-მეთქი, — ურცხვად მოვიტყუე, რადგან ცოცხალ გრაფთან შეხვედრის სურვილი ძალზე დიდი იყო. კარგა ხანს არავინ შემხმიანებია. როგორც ჩანს, გრაფთან გადაამოწმეს, ნამდვილად ვიყავი თუ არა ჩაწერილი... როგორც იქნა, კვლავ ახმაურდა დომოფონი. თქვენ მიღებაზე ჩაწერილი არ ხართ, ამიტომ, გთხოვთ, დატოვოთ აქაურობაო, — მითხრა ქალმა. ისევ მივაჭირე ზარის ღილაკს თითი. ისევ ქალბატონმა მიპასუხა. — ქალბატონო, ძალიან მჭირდება გრაფთან შეხვედრა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, — „გამოვაცხვე“ მორიგი „ცხელ-ცხელი“ ტყუილი. როგორც ჩანს, გრაფს შევებრალე და ორიოდე წუთში ჭიშკრის საკეტი ახმაურდა. კარი ავტომატურად გაიღო და ეზოში გაუბედავად შევედი.

ლამაზი, მოვლილი ეზოს შუაგულში კოხტა სახლი იდგა. სახლის წინ პატარა შადრევანი ჩუხჩუხებდა. მეგონა, აუზში თევზებიც იქნებოდა, მაგრამ ვერ გამოვიცანი. გამჭვირვალე ცისფერ წყალში მხოლოდ წყალმცენარეები ჩანდა.

სახლის ინტერიერი გემოვნებით იყო მოწყობილი. შესასვლელთან შუახნის ქალბატონი შემომხვდა, შეჭაღარავებული თმით, სადად ჩაცმული. მომესალმა და ერთ-ერთი ოთახისკენ გამიძღვა. ოთახს თვალი მოვავლე. ერთი კედელი ოვალური გახლდათ და მთლიანად მინის, თეთრი, გამჭვირვალე, ჰაეროვანი ფარდით დაფარული. ოთახი ჩვეულებრივი, ოთხკუთხედი კი არ იყო, არამედ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს რამდენიმე ფრთისგან შედგებოდა. კედლებზე, ჭერამდე უამრავი წიგნებით სავსე თარო მოჩანდა. ერთ მხარეს მაგიდა იდგა, მაგიდაზე კი — კომპიუტერი. კომპიუტერთან ვიღაც იჯდა, ოღონდ, მონიტორის ზემოთ მხოლოდ თმა ჩანდა. პატრონის ფეხებთან თეთრი კავკა-

სიური ნაგაზი წამოწოლილიყო, ცხვირი თათებზე დაედო და მიყურებდა. ჩემს დანახვაზე ძაღლი არ განძრეულა, მაგრამ მაინც შევშინდი.

— *მობრძანდით, არ გიკბენთ,*

— მხოლოდ ხმა მომესმა. ხმის პატრონს ისევ ვერ ვხედავდი. მაგიდას რომ მივუახლოვდი, გრაფი მხოლოდ მაშინ წამოიწია და ხელი გამომიწოდა. წარმოსადეგი, სიმპათიური, დახვეწილი სახის ნაკვთების მქონე მამაკაცი გახლდათ.

— *გრაფი თარხანი, — წარმომიდგა ის და მეც გავეცანი. გრაფი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. მანამდე კი იქვე მდგარ სავარძელზე მიმითითა და ღიმილით მკითხა: — რამ შეგაწუხათ? მითხრეს, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება თურმე.*

— **მე... ჟურნალისტი ვარ...**

— ყოყმანით, მაგრამ მაინც სიმართლე ვუთხარი, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, თუ რა თემაზე უნდა მესაუბრა.

— *აჰა. მე უარესს ველოდი... მერედა, რა აინტერესებს ჟურნალისტს?*

— **ინტერვიუ უნდა გთხოვოთ.**

— *როგორ გაიგეთ ჩემ შესახებ? — არ იუცხოვა ჩემი სურვილი.*

— **ამას მაშინ შეიტყობთ, როდესაც თქვენს ინტერვიუს წაიკითხავთ. ახლა ჯობს, კითხვები მე დავსვა და ინტერვიუ ჩავწეროთ.** — *დაძაბულობა მომეხსნა, გამბედაობა მომემატა, გამოვცოცხლდი და ჩანთიდან დიქტოფონი ამოვაძვრინე.*

— *კარგი, ოღონდ ერთი პირობით — თქვენთვისაც და მკითხველისთვისაც გრაფი თარხანი ვიქნები, საპასპორტო სახელი და გვარი არ მკითხოთ და რომელი კითხვაც არ მომეწონება, არც იმაზე გაგცემთ პასუხს.*

— **შევთანხმდით.**

— *მაშინ მაგიდასთან გადავინაცვლოთ. იქ გაცილებით მყუდროდ ვიგრძნობთ თავს. თანაც, ქალბატონმა ზიზიკომ ყავა მოგვართვა.*

— **ქალბატონი ზიზიკო დედათქვენია?**

— *არა, ქალბატონი ზიზიკო ჩემი „ეკონომკაა“. საოჯახო საქმეებში მეხმარება. მის გარდა ჩემთან ერთად ცხოვრობს კავკასიური ნაგაზი — ბომბორა, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ. კიდევ, საუკეთესო ჯიშის ულაყი — სინიორი, რომელიც შოტლანდიაში მაჩუქეს და სხვადასხვა სახეობის გარეული თუ შინაური ფრინველი და ცხოველი.*

— **როგორც მივხვდი, ოჯახი არ გაქვთ.**

— *არა და ამასთან დაკავშირებით ჩემი არგუმენტები მაქვს.*

— **ვისი გორისა ხართ?**

— *მამაჩემი ქართველი თავადების შთამომავალი გახლდათ. დედა კი შოტლანდიელი გრაფინია იყო.*

— **გრაფის ტიტული დედისგან შთამომავლობით გადმოგეცათ?**

— *ჯერ პირველ კითხვაზე გიპასუხებთ. ტიტული შთამომავლობით არ მიმიღია. მოვლილი მაქვს უამრავი ქვეყანა. ვიყავი დედის სამშობლოშიც, სადაც ჩემი ნათესავები მოვინახულე. დედა გვარად სტიუარტი გახლდათ და პირველი შოტლანდიელი გრაფის, რობერტ სტიუარტის შთამომავალი იყო. რობერტ სტიუარტი XVI საუკუნეში ცხოვრობდა. მას გრაფ ორკნეის ტიტული 1581 წელს მიენიჭა. შოტლანდიის მეფის, იაკობ მეხუთის უკანონო შვილი და ორკნეის კუნძულებზე ავტონომიური საგრაფოს დამფუძნებელი გახლდათ... მას ნახევარდამ, დედოფალმა მარიამ სტიუარტმა საერო მიწა და ორკნეის კუნძულებზე ყველანაირი უფლება უბოძა. ამავე კუნძულებზე არსებული საეკლესიო მიწა და საეპისკოპოსო უფლებები თავად რობერტმა დაისაკუთრა, ხელში ჩაიგდო როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო ხელისუფლება და მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარებოდა შოტლანდიის მეფეს. სწორედ ამ კაცის შთამომავალი გახლდათ დედაჩემი.*

— **საინტერესოა, მაგრამ ეს თქვენთან რა კავშირშია?**

— *მე პროფესიით ფსიქოლოგი ვარ. სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ იმის გამო ვმოგზაურობდი, რომ ჩემს პროფესიას რაც შეიძლება საფუძვლიანად დავუფლებოდი. ვსწავლობდი სხვადასხვა ხალხის ქცევებს, ტრადიციებს, მაქვს ძალზე მდიდარი ფოტოარქივი. შოტლანდიაში ყოფნის დროს ძირითადად მაღალ საზოგადოებაში მიწევდა ყოფნა. ამ ადამიანების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ ჩემთან ურთიერთობისას გულახდილები ხდებოდნენ.*

— **საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობთ. ქონება მოგზაურობის დროს დააგროვეთ?**

— *ეს სწორედ ის შეკითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა არ მსურს. მდიდარი ვარ, მაგრამ რაც მთავარია, ქონება უკანონო გზით არ დამიგროვებია.*

— **ალბათ განძს გადაანყდით, რომელიმე მივარდნილ კუნძულზე, არა?..**

— *ამ თემაზე ლაპარაკი დავამთავროთ.*

— **თქვენს პროფესიულ საქმიანობას ახლა თუ ეწევით?**

— *რა თქმა უნდა. პაციენტები მყავს, მაგრამ ისინი მხოლოდ*

მდიდარი და ცნობილი ადამიანები არიან. გვარებისა და სახელების ჩამოთვლა არ მთხოვოთ, მაინც არ გაგიმხელთ. ჩემი პაციენტები ის ადამიანები არიან, ვისაც გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავია. ჩემთან ერთი ვიზიტი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ამას ყველა ვერ შესწვდება.

— პაციენტი მრავლად გყავთ?

— არა, მათი რაოდენობა საკმაოდ მოკრძალებულია.

— მაშ, დრო ბევრი გექნებათ და რატომ არ იღებთ ჩვეულებრივ მოკვდავთ? იქნებ, მათაც ძალიან სჭირდებათ თქვენი დახმარება? მათთვის სპეციალური ტარიფი რომ დააწესოთ...

— სადმე კლინიკაში ან ოფისში კაბინეტის გახსნა არ მინდა. ისე, როგორ მივიღებ პაციენტებს? ხომ ხედავთ, რომ აქ განცალკევებით ვცხოვრობ. არ მინდა, სიმშვიდე დავკარგო.

— მოდი, ერთ წინადადებას შემოგთავაზებთ. იქნებ ჩემთან ითანამშრომლოთ. ჩვენი მკითხველი ხშირად საჭიროებს ფსიქოლოგის კონსულტაციას. ვიურთიერთოთ ინტერნეტის საშუალებით და გაუწიეთ მათ დახმარება.

— სიმართლე რომ გითხრათ, იოლი არ არის ადამიანებთან კონტაქტი მაშინ, როცა იძულებული ხარ, გარკვეული დისტანცია შეინარჩუნო, რადგან ფსიქოლოგთან ურთიერთობა უშუალოდ უნდა ხდებოდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პაციენტი ხედავდეს, როგორ უსმენს მას ფსიქოლოგი. მას არ უნდა დარჩეს შეგრძნება, თითქოს ვიღაც ინფორმაციას სძალავს. პაციენტთან ურთიერთობის დროს ფსიქოლოგის მზერაც კი მოზომილი უნდა იყოს. პროფესიონალი ფსიქოლოგი თავშეკავებული და ყურადღებიანი უნდა იყოს. პაციენტის პრობლემის გადაჭრაში ასეთ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფსიქოლოგთან პირველი ვიზიტის დროს არც ის გახლავთ უხერხული, რომ ჰკითხოთ მას, სად მიიღო განათლება, დიდი ხნის პრაქტიკა აქვს თუ არა? უნდა შეაფასოთ ის გარემო, სადაც საუბარი მიმდინარეობს. თუ ეს ყველაფერი გაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ დარჩეთ მის პაციენტად... თუმცა, ნამდვილ პროფესიონალს ამ ხნის განმავლობაში თქვენ უკვე შესწავლილი ეყოლებით, ვინაიდან თქვენი მიმიკა, სიარულის მანერა, ჟესტიკულაცია და ტანისამოსიც კი თქვენ შესახებ ბევრ ინფორმაციას იძლევა. ამის არ უნდა შეგეშინდეთ. პირიქით, რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნება მას თქვენზე, მით უფრო იოლად დაგაძლევინებთ კონკრეტულ პრობლემას. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ უარს ვამბობ თქვენს წინადადებაზე, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ თანხმობის შემთხვევაში ძალზე საინტერესო ინფორმაციას მივიღებ მკითხველისგან. ეს მით უფრო საჭიროა ჩემთვის, რომ ბოლო წლების განმავლობაში უცხოეთში ვცხოვრობდი და ქართველი ადამიანის ბუნებაში მომხდარი ცვლილებების შესწავლა მეც წამადგებოდა. მოვიფიქრებ. საინტერესო წინადადებაა... ხომ შეიძლება, პასუხი რამდენიმე დღის შემდეგ გაგცეთ?

— დიახ. ახლა კი იქნებ საინტერესო ამბები მოგვიყვეთ, რომლებიც ალბათ საკმაოდ უხვად გადაგხდენიათ თავს.

— ახლა პაციენტი უნდა მომივიდეს. ჩემს კლიენტებს არ უყვართ, როდესაც აქ სხვა ადამიანი ხვდებათ. მოდი, სხვა დროს გავაგრძელოთ.

— ტელეფონის ნომერს ჩავიწერ, რომ დაგიკავშირდეთ.

— არა, ელექტრონული ფოსტის მისამართი მითხარით და მე თვითონ დაგიკავშირდებით უახლოეს დღეებში.

მართლაც, გრაფმა პირობა შეასრულა და 3 დღის შემდეგ მისგან ასეთი შინაარსის წერილი მივიღე: გამარჯობა, მარი. ვიფიქრე თქვენს წინადადებაზე და გადავწყვიტე, დაგთანხმდეთ. სიამოვნებით მოვემსახურები თქვენს მკითხველს. ეს მეც წამადგება და მათაც. ოღონდ, ურთიერთობის ფორმა თქვენ მოიფიქრეთ. მე შემიძლია, წარმოგიდგინოთ უკვე დამუშავებული, თქვენთვის საინტერესო თემები და ასევე, პასუხი გავცე მკითხველთა ნებისმიერ შეკითხვას, მოვისმინო მათი საწუხარი და შესაბამისად, სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნაში დავეხმარო. პატივისცემით, გრაფი თარხანი.

ამგვარად, ჩვენს მკითხველს ეძლევა უნიკალური შანსი, იურთიერთოს ამ იდუმალ ადამიანთან. გრაფს შეგიძლიათ გაუგზავნოთ მესიჯი და მოუყვეთ თქვენი პრობლემის შესახებ ან დაუსვათ ნებისმიერი კითხვა, თქვენთვის საინტერესო თემებზე. ამისთვის საჭიროა: მობილურის SMS-ფუნქციაში აკრიბოთ სიტყვა Grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და გაგზავნოთ ნომერზე: 8884. პასუხებს თქვენს შეკითხვებზე „გზავნილებში“ იხილავთ. გრაფი ასევე შეგვპირდა, რომ ბევრ საინტერესო ამბავს მოგვიყვება თავისი ცხოვრებიდან და პირადი არქივიდან ფოტოების დაბეჭდვის უფლებასაც მოგვცემს.

P.S. *29-ე გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ გრაფის მიერ შემოთავაზებულ თემას — რა განსხვავებაა ქალსა და მამაკაცს შორის*

ნუ მეტყვი, მაგ უნდა გავაკეთო და ამ გეტყვი, ცად უნდა წახვიდე.

ვირტუალური ვიზიტი დოვგანთან

ანუ „მე სიყვარული ვარ!“

მარი ჯაფარიძე

როდესაც ახალგაცნობილ ფსიქოლოგს დავემშვიდობე, საკუთარ „მეს“ დავაკვირდი და აღმოვაჩინე, რომ თურმე მთელი ცხოვრების განმავლობაში არ მყოფნიდა სულიერი სიმშვიდე. გადავწყვიტე, ინტერნეტში „მომექექა“ გამოცდილი ფსიქოლოგების საიტები და საკუთარი თავისთვის ვირტუალური ტრენინგი ჩამეტარებინა. უამრავი მისამართი მომაწოდა ჩემმა კომპიუტერმა. მათ შორის ერთ-ერთი ამოვარჩიე — ბატონი ვლადიმერ დოვგანი. არჩევანი რატომ გავაკეთე მასზე, არ ვიცი. მგონი, გვარი მეცნო და იმიტომ. საიტის პირველი გვერდი კარგად შევათვალიერე და აღმოვაჩინე, რომ თურმე ხმოვანი ტრენინგის საშუალებაც მქონია. ჰოდა, მეც არ დავაყოვნე, თემა — როგორ მოვიპოვოთ სიმშვიდე და თავდაჯერებულობა — შევარჩიე, ყურსაცვამები მოვირგე და გამოცდილი ფსიქოლოგის რჩევების მოსასმენად მოვემზადე. რამდენიმე წამში ბატონი დოვგანის ხავერდოვანი ხმაც გავიგონე და იმედი მომეცა, რომ როგორც იქნა, მივაგენი სამუდამო ბედნიერების რეცეპტს. თურმე, მთელი ჩემი უბედურების თავიდათავი ის ნეგატიური ინფორმაცია ყოფილა, რომლითაც ჩემი თავია „გამოტენილი“. ბატონმა დოვგანმა მითხრა, რომ სულ უბრალოდ, უნდა „გამოვყარო“ ეს ინფორმაცია თავიდან გარეთ და საკუთარი თავი დავარწმუნო იმაში, რომ მე ყველაზე კარგი, ყველაზე მშვიდი და ყველაზე თავდაჯერებული ადამიანი ვარ მსოფლიოში. თავიდან, ბატონმა დოვგანმა შემომთავაზა, რომ ამეღო სუფთა ფურცელი და შუაზე გამეხია. რა თქმა უნდა, დავუჯერე. მერე მიბრძანა, რომ ერთ ფურცელზე ჩამომეწერა ის „სიტყვა-მკვლელები“, რომლებიც ჩემში ცუდ ასოციაციას იწვევს, ხოლო მეორეზე ის, რომელიც დადებითი ემოციით მმუხტავს. დავფიქრდი. მაგალითად, ტროლეიბუსს ბავშვობიდან ვერ ვიტან. ასევე ცუდ ასოციაციას იწვევს ჩემში ნატურალური, ძროხის რძე, მაგრამ მაქვს თუ არა უფლება, რომ პირველ ფურცელზე ჩამოვწერო — „ტროლეიბუსი“, „რძე“, „ჩემი მეზობელი კაკო“, — ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე, დამენებებინა თავი სიტყვებისთვის (მე თუ კიდევ საწერის მომატება მჭირდება...) და ბატონი დოვგანის მოსმენა განვაგრძე. რაღაც წყნარი მუსიკა ჩაირთო. თუ არ ვცდები, „ყვავილების ვალსი“ გახლდათ და ამ მუსიკის ფონზე დოვგანმა უცებ დაიყვირა: „მე სილამაზე ვარ! მე სიკეთე ვარ! მე თავდაჯერებულობა ვარ! ჩემი ღიმილი მსოფლიოს მოივლის! მე სიყვარული ვარ! ჩემი სული სიამაყით ივსება!“ ეს ყვირილი 20 წუთი გრძელდებოდა. შთაგონების სეანსის ეს მონაკვეთი მთავრდებოდა სიტყვებით: „მსოფლიო ტაშს მიკრავს!“ — და ამას მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვებოდა. მერე მითხრა: მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ ამ სიტყვებს და ამყევიო. „მე სილამაზე ვარ... — გაუბედავად დავიწყე მისი სიტყვების გამეორება. — მე სიყვარული ვარ! მე ბედნიერება ვარ!“ ვიმეორებდი გამოცდილი ფსიქოლოგის ხმასთან ერთად (კიდევ კარგი, შინ მარტო ვიყავი), მაგრამ ვერავითარ სულიერ სიმშვიდეს ვერ ვგრძნობდი. არადა, მეგონა, რომ ხელახლა დაბადებამდე სულ ერთი ხელის გაწვდენაზე ვიყავი... „მე ძალა ვარ! ჩემი ღიმილი მსოფლიოს მოივლის!“ — მოვუმატე ხმას როლში შეჭრილმა და გავიგონე, როგორ მოაკაკუნა კედელზე მეზობელმა. რა თქმა უნდა, მის კაკუნს ყურადღება არ მივაქციე, რადგან მკურნალობის კურსს ვიტარებდი და ეს ყველაზე მთავარი იყო, ჩემი კედლის მეზობლის სიმშვიდეზე მთავარიც კი! ამიტომ, კიდევ უფრო ხმამაღლა დავიწყე ყვირილი. „მე გრაცია ვარ! მე სილამაზე ვარ!“ — გავყვიროდი და ვატყობდი, რომ ჩემს ხმას დამაჯერებლობა აკლდა. ჩემი თუთიყუში კოკო ისე შევაშინე, გალიაში ჩამოკიდებულ სარკეს ამოეფარა და იქიდან ცალი თვალით მიყურებდა. მერე მეც შევშინდი და გავჩუმდი. როგორც ჩანს, თავიდან მხოლოდ ბატონი დოვგანისთვის უნდა მესმინა. ყვირილი ალბათ ცოტა ნაადრევი იყო. ჩემი პირველი ფსიქოთერაპიული სეანსი იმით დამთავრდა, რომ რამდენიმე დღით ხმა დავკარგე (ამას ის მკითხველებიც დაადასტურებენ, ვინც ამ დღეებში დამირეკა) და მეზობელმა პატრული და უფასო, განახლებული „03“ ერთად დამაყენა თავზე. ჰოდა, დავანებე დამოუკიდებელ, ვირტუალურ ფსიქოექსპერიმენტებს თავი და გადავწყვიტე, მეც გრაფ თარხანთან გავიარო კონსულტაციები ამა თუ იმ საკითხზე. ●

ხუცური ხვრელი
მამაკაცებმა ქალებს მიმის
გამო დაკარგეს.

იპოვეთ 65 განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის

ალბათ გაოცდებით, რომელ 65 განსხვავებაზეა ლაპარაკიო, მაგრამ მერწმუნეთ, ალბათ ღმერთს არაფერი მოუგონია ერთმანეთისგან ისე განსხვავებული, როგორც ქალი და მამაკაცი. თუმცა, მათ შორის მსგავსებაც თვალში საცემია. უამრავი მეცნიერი მუშაობს იმის დასამტკიცებლად, რომ ქალი და მამაკაცი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. არადა, ეს აზრი ხომ სამყაროსავით ძველია... ვცადე თავი მომეყარა სხვადასხვა ნაშრომში გაბნეული ჭეშმარიტებისთვის და თქვენთვის გადმომეცა. მაშ ასე, დატკბით ამ სქესთა შორის განსხვავებით.

ბრაფი თარხანი

1. ჩასახვის მომენტში ყველა ცოცხალი არსება მდედრობითი სქესის გახლავთ. მხოლოდ გამორჩეული ემბრიონები, განვითარების მე-6 კვირაში იკრებენ ძალას და იძენენ მამრობითი სქესის ნიშნებს.

2. მამაკაცის ტვინი 200-350 გრამით მძიმეა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტვინის წონა არანაირ კავშირში არ არის ინტელექტთან (ამას უკვე მეცნიერი ქალბატონები ამატებენ ხოლმე).

3. ახალდაბადებული ბიჭები წონით, სიგრძით და სხვა დანარჩენი პარამეტრებითაც უფრო დიდები არიან.

4. გოგონები ლაპარაკს გაცილებით ადრე იწყებენ.

5. გოგონები გაცილებით დამჯერები არიან და ვიდრე რამეს მოიმოქმედებენ, წინასწარ გაიაზრებენ, რა მოჰყვება ამას.

6. ბიჭები უფრო გვიან სწავლობენ კითხვას და ასევე გვიან ავლენენ ინერესს წიგნების მიმართ. ალბათ ამიტომაცაა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის გაცილებით მეტი ცნობილი მწერალი და პოეტია.

7. აკვნიდანვე გოგონებს გაცილებით მეტი მოსართავები აქვთ. 17-24 წლის გოგონების გარდერობში მამაკაცებთან შედარებით, საშუალოდ 44 ნივთით მეტია. მამაკაცები უფრო მოგვიანებით იწყებენ ზრუნვას საკუთარ გარეგნობაზე.

8. ქალებს დღე-ღამის განმავლობაში 1 საათით მეტი სძინავთ. ეს ჩვენთვის წელიწადში დამატებითი 365 საათია კარიერის შესაქმნელად, სანადიროდ, ლუდის დასალევად და ფეხბურთის საყურებლად.

9. მამაკაცებს დაბადებიდან აქვთ მიზეზი, რომ ჯარში არ იმსახურონ, რადგან ენურეზით (უნებლიე შარდვა) დაავადებულთა 90%, სწორედ ძლიერი სქესის წარმომადგენელი გახლავთ.

10. მამაკაცები გაცილებით ხშირად არიან ცაციები და საერთოდ, მამაკაცებს არ უჭირთ მარცხენა ხელის ხმარება. ეს გამოწვეულია ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს აქტიური მოქმედებით.

11. ბიჭები გაცილებით ნელა იზრდებიან, მაგრამ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე გოგონები.

12. ქალები ორჯერ უფრო ხშირად განიცდიან დეპრესიას. ამაში „დამნაშავე“ ჰორმონი ესტროგენი გახლავთ, რომელიც გამოიმუშავებს სეროტონინს. ეს უკანასკნელი კი „პასუხს აგებს“ განწყობილებაზე.

13. ქალებს ზედმიწევნით ზუსტი მუსიკალური სმენა აქვთ და გაცილებით იშვიათად იღებენ ყალბ ნოტს, მაგრამ ცნობილი კომპოზიტორების 90%-ს მამაკაცები წარმოადგენენ.

14. 15-24 წლის ახალგაზრდებში ბიჭების სიკვდილიანობა სამჯერ უფრო მეტია.

15. ხვრინავს მამაკაცების 48, ხოლო ქალების მხოლოდ 22%. ამის მიზეზი მეცნიერებისთვის უცნობია.

16. უძილობას უჩივის მამაკაცების 43, ხოლო ქალების 62%.

17. ქალები 3-ჯერ უფრო ხშირად სარგებლობენ ტელეფონით და საშუალოდ მამაკაცებზე 20-ჯერ მეტი ხანგრძლივობით საუბრობენ. მე მეჩვენება, რომ ეს მონაცემები მკვეთრად შემცირებულია, თუმცა, გამოცდილ მეცნიერებს ვერ შევეკამათები.

18. დედამიწაზე კაცების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. სტატისტიკის მიხედვით, 1 მამაკაცზე ახლა უკვე 4,5 ქალი მოდის. ასე, რომ თითოეულ ჩვენგანზე 4,5-ჯერ მეტი დატვირთვაა, ვიდრე ქალებზე. მით უმეტეს, რომ ამ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული სექსუალური უმცირესობა.

19. მამაკაცი, როგორც წესი, ქალზე მაღალია. რა თქმა უნდა, თუ არ გავითვალისწინებთ ქალის ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლეს და ზოგიერთი სახეობის თმის ვარცხნილობას.

20. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, მამაკაცი ასევე, ქალზე მძიმე უნდა იყოს, მაგრამ დიეტაზე სწორედ ქალები სხედან.

21. მამაკაცის ფილტვების მოცულობა 20%-ით უფრო მეტია. სწორედ ამიტომ, ორკესტრში, სპილენძის სასულე ინსტრუმენტებზე, რომელიც სამ კილოგრამზე მეტს იწონის, სწორედ მამაკაცები უკრავენ.

22. მამაკაცის გული 15%-ით ინტენსიურად მუშაობს.

23. შაკიკით დაავადებულთა 75% ქალებზე მოდის.

24. საშუალო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქალები მამაკაცებზე დიდხანს ცოცხლობენ, მაგრამ სამაგიეროდ, დაბერების პროცესი მათში გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ძლიერი სქესის წარმომადგენლებში. თანაც, თურმე 200 წლის წინ ჩვენ სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთნაირი გვქონია.

25. ქალებს გაცილებით მეტად უყვართ ტკბილეული, ხოლო მამაკაცებს — მჟავე და მარილიანი კერძები.

26. ქალები მამაკაცებზე უკეთ ითვისებენ უცხო ენას.

27. მამაკაცებში სმენის დაქვეითება 32 წლის ასაკიდან იწყება, მაშინ, როდესაც ქალებს კიდევ 5 წლის მანძილზე ასეთ პრობლე-

მასთან შეხებაც კი არ ემუქრებათ.

28. სამაგიეროდ, ქალებს თვალისჩინი 35 წლის ასაკიდან აკლდებათ, ხოლო მამაკაცებმა 10 წელი შეგვიძლია ვიაროთ არწივივით „თვალგამჭრიახებმა“.

29. ქალებს გაცილებით ხშირად ემართებათ კარიესი და ეს მაშინ, როდესაც კბილის პასტის მყიდველთა 76% სწორედ ქალბატონია.

30. მართალია, მე დიდ უსა-

მართლობად მიმაჩნია, მაგრამ სტატისტიკის მიხედვით, ოჯახის ბიუჯეტის 69% ქალის ხელშია.

31. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ თურმე მამაკაცებს გაცილებით უყვართ, როდესაც კოლეგების ყურადღების ცენტრში ექცევიან. მამაკაცების 81 და ქალების 40% აღიარებს, რომ დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

32. საერთოდ კი კაცები ისე არიან მოწყობილი, რომ ურჩევნიათ თავად ილაპარაკონ, ვიდრე მოსაუბრეს უსმინონ. შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს სტატისტიკური მონაცემებია და უნდა დავუჯეროთ.

33. მამაკაცები გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებენ, ხოლო ქალები აუცილებლად ითვალისწინებენ სხვის რჩევას.

34. პენსილვანიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქალებს გაცილებით კარგი ინტუიცია აქვთ. ისინი კარგად კითხულობენ მოსაუბრის განწყობილებას მის სახეზე.

35. სიმელოტე ტიპური მამაკაცური პრობლემაა. ქალებს ეს საკითხი არ ანაღვლებთ.

36. მამაკაცები გაცილებთ გვიან თვრებიან. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფერმენტები, რომელიც ალკოჰოლის დაშლას იწვევს, ქალის ორგანიზმში დაბალი აქტიურობით გამოირჩევიან.

37. მამაკაცის ტვინის ნახევარსფეროების მოქმედება გაცილებით მეტად დიფერენცირებულია. ეს კი ჩვენ საშუალებას გვაძლევს, სივრცულად ვიაზროვნოთ. ამის ბრალია, რომ ჩვენ გაცილებით უკეთ ვკითხულობთ რუკებსა და ვარჩევთ სქემებს.

38. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ქალები გაცილებით მეტ დროს ხარჯავენ. მართალია, ისინი უფრო ხშირად ავადმყოფობენ ვიდრე მამაკაცები, მაგრამ მათი ავადმყოფობა გაცილებით იოლ ფორმებში მიმდინარეობს.

39. მამაკაცების უმეტესობა შესაძლოა, ტირანად ჩავთვალოთ, რადგან სამსახურიდან შინ დაბრუნებულები მშვიდად უყურებენ ტელევიზორს, ხოლო ქალების 86% სამსახურის მერე სახლის დალაგებას იწყებს, 79% ბავშვების მოვლით არის დაკავებული, ხოლო 96% სარეცხს რეცხავს.

40. მამაკაცების ცხიმოვანი ქსოვილი ორგანიზმის მხოლოდ 11%-ს შეადგენს, ხოლო ქალების ცხიმოვანი ქსოვილის რაოდენობა 23%-ია.

41. ქალებს გაცილებით ფხიზლად სძინავთ, ვიდრე მამაკაცებს. ამის გამო, მათ გაცილებით ხშირად ეღვიძებათ ღამღამობით.

42. ყოველი მერვე ქალი და ყოველი მეოცე მამაკაცი ღამის კოშმარებით იტანჯება.

43. ტრანსსექსუალების 80% მამაკაცები გახლავთ.

44. მამაკაცები 3-ჯერ უფრო ხშირად ცდილობენ სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას.

45. მამაკაცები 4-ჯერ მეტად აგრესიულები არიან. ეს კი ორგანიზმში ტესტოსტერონის მაღალი დონით არის გამოწვეული.

46. მამაკაცების 44%-ს და ქალების 60%-ს უყვარს სარკეში საკუთარი თავის ყურება და მხოლოდ მამაკაცების 37% და ქალების 32% გახლავთ კმაყოფილი თავიანთი გარეგნობით.

47. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მამაკაცების საყვარელი ფერი წითელია, ხოლო ქალების — ცისფერი.

48. ფრანგი მეცნიერების აზრით, ქალების ცხოვრებისეული ინტერესი გაცილებით მრავალფეროვანია. მამაკაცები ძირითადად, პოლიტიკითა და სპორტით ინტერესდებიან.

49. ქალი საჭესთან ეს იგივეა, რაც მაიმუნი და სარკე. ისინი გაცილებით ფრთხილად მართავენ საჭეს და გარშემო მყოფთათვის ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ, მაგრამ ხშირად ხდებიან საცობების მიზეზი.

50. 10 დამნაშავიდან 9 მამაკაცია.

51. ქალები გაცილებით ხშირად იღიმებიან და ცდილობენ, მოსაუბრეს თვალებში უყურონ. მამაკაცები, ჩვეულებისამებრ პირდაპირ მზერას გაურბიან.

52. 5 ენაბლუდან 4 მამაკაცია.

53. 5 ტოქსიკომანიდან 4 მამაკაცია.

54. ქალები გაცილებით მგრძნობიარენი არიან ტკივილის მიმართ. სამაგიეროდ, მეტად მომთმენნი, ვიდრე მამაკაცები.

55. ქალები გაცილებით ხშირად არიან განქორწინების ინიციატორები.

56. ტელევიზორის დისტანციური მართვის პულტს ხელიდან არ უშვებს მამკაცების 55, ხოლო ქალების 32%.

57. ბიოლოგიურად გოგონები ბიჭებზე 3 წლით ადრე „მწიფდებიან“.

58. მამაკაცებს გაცილებით მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავთ (გამონაკლისებს არ ვგულისხმობთ).

59. გამოკითხვამ უჩვენა, რომ მამაკაცების 47%-ს ურჩევნია სექსი საღამოს ჰქონდეს. იმავე რაოდენობის ქალბატონები კი სექსს დილით ამჯობინებენ.

60. საშუალოდ, მამაკაცი სიცოცხლის მანძილზე 25 ტონა საკვებს და 37 ტონა სითხეს შთანთქავს, ხოლო ქალი — 22 ტონა საკვებს და 33 ტონა სითხეს.

61. მამაკაცები გაცილებით მოკლე ფრაზებით მეტყველებენ.

62. მამაკაცები გაცილებით ნაკლები ხალისით ლაპარაკობენ უცნობ ადამიანებთან.

63. მამაკაცების 87-მა და ქალების მხოლოდ 52%-მა დააყენა პირველ ადგილზე ცხოვრებისეულ პრიორიტეტებში ბედნიერი ოჯახური ცხოვრება.

64. მამაკაცებს გაცილებით სწრაფი რეაქციის უნარი აქვთ.

65. ქალების 38 და მამაკაცების მხოლოდ 9% ხარჯავს ბოლომდე კბილის პასტას.

სასიყვარულო ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-20.04

ამ კვირაში თქვენი საყვარელი ადამიანი შეეცდება, შეარჩიოს თქვენთან ურთიერთობის ყველაზე ოპტიმალური მოდელი. ასევე მოისურვებს, უფრო კარგად გაიცნოს თქვენი შინაგანი სამყარო. დაგინიშნავთ შეხვედრას და აგიხსნით მისეულ ვერსიას, თუ როგორ უნდა მოიქცეს შეყვარებული ადამიანი. იმედია, მისი შეხედულებები თქვენსას დაემთხვევა.

ხარო 21.04-20.05

თქვენი საყვარელი ადამიანი ყველაფერს ერთბაშად მოინდომებს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ყველა ღონეს იხმარს, თქვენი გულის საბოლოოდ დასაპყრობად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მოგიწევთ სადავეების ხელში აღება და მისი სურვილების რეალობად ქცევა.

ტყუპი 21.05-20.06

ტყუპების საყვარელი ადამიანები ამ პერიოდში სულიერ დისკომფორტს უნდა ელოდნენ. მხოლოდ თქვენ შეძლებთ მის განკურნებას და ტკივილების დაამებას. უბრალოდ მისი ტკივილები უნდა გაიზიაროთ და შეეხიდოთ კიდეც.

ხიბო 21.06-20.07

ამ კვირაში თქვენი საყვარელი ადამიანი იმ ვალს დაგიბრუნებთ, რომელზეც უკვე დიდი ხანია, ხელი გაქვთ ჩაქნეული. ეს თქვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება. ამიტომ არ ღირს, საგანგებოდ შეემზადოთ ამ მომენტისთვის, როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად.

ლომი 21.07-20.08

ლომები დარწმუნდებიან, რომ ბევრი ნაკლისა და არასწორი ქმედების მიუხედავად, მაინც უზომოდ არიან შეყვარებულნი მასზე. გრძნობა ძალზე მხურვალე და სასიამოვნო გახდება და ნაკლებ ტანჯვას მოგაყენებთ. გირჩევთ, ღრმად არ შეტოპოთ, რადგან ეს გრძნობა შორს ვერ წაგიყვანთ. დაიტოვეთ გულში სულ მცირე კრიტიკული აზრი მის შესახებ.

ქალწული 21.08-20.09

ამ პერიოდში თქვენს საყვარელ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, რომ თქვენს გზის მანათობელ ვარსკვლავად, ერთადერთ, განუმეორებელ, შეუცვლელ და საჭირო ადამიანად იქცეს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენ აღფრთოვანდებით ამის გამო, თუმცა ამაში არის რაღაც სასიამოვნო, რასაც აუცილებლად შეიგრძნობთ, თუ მოინდომებთ.

სასწორი 21.09-20.10

თქვენი საყვარელი ადამიანი გადაწყვეტს, რომ გულახდილი იყოს და გითხრათ ის, რასაც თქვენზე ფიქრობს, მაგრამ შესაძლოა, მას საამისოდ გამბედაობა არ ეყოს. თქვენ თვითონ მოგიწევთ, დაძაბოთ გონება და გამოიცნოთ, რისი თქმა უნდა. ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ...

მორიელი 21.10-20.11

საყვარელ ადამიანთან საქმის გარჩევა მოგიწევთ. ვერ შეძლებთ მის დარწმუნებას, რომ ტყუის და დამნაშავეა. ამიტომ, ჯობს, არ წამოიწყოთ საუბარი არასასიამოვნო თემაზე. უბრალოდ, ისე მოიქეცით, რომ თვითონ მიხვდეს დანაშაულს და იფიქროს, რომ სწორ დასკნამდეც თავად მივიდა.

მშვილდოსანი 21.11-20.12

საყვარელ ადამიანთან კამათი მოგიწევთ უმნიშვნელო, ფილოსოფიურ საკითხებზე და შესაძლოა კომპრომისამდე ვერც მიხვიდეთ. მთავარია, თქვენი კამათი არ გადაიზარდოს სერიოზულ დავაში, რაც თქვენს ურთიერთობას სასიკეთოდ არ წაადგება.

თხის რქა 21.12-20.01

ამ კვირაში თქვენს საყვარელ ადამიანს მოუწევს ყოფილ გულის სწორთან ურთიერთობის გარკვევა, რაშიც, რა თქმა უნდა, თქვენც იქნებით გარეული და მათი დაშორების მიზეზად სწორედ თქვენ დაგასახელებენ. უნდა შეეცადოთ და ითამაშოთ ბრძენი ადამიანის როლი და სასიკეთო რამ ურჩიოთ, რადგან ეს პირველ რიგში, თქვენს ინტერესებში შედის.

მერწყული 21.01-20.02

თქვენ და თქვენი გულის სწორი სხვადასხვა ენაზე ილაპარაკებთ. ის თქვენს „წაღმა“ ნათქვამს „უკუღმა“ გაიგებს. თანაც, ეს „უკუღმად“ ნათქვამი კარგა ხანს, ამ დღეს გაგახსენებთ.

თევზები 21.02-20.03

გააცნობიერებთ, რომ თქვენ და თქვენს გულის სწორს ბევრი საერთო გაქვთ და მასთან თავს კარგად გრძნობთ. ისეთი ბედნიერი სახე გექნებათ ამის გამო, რომ გარშემო მყოფნი გაოცებით შემოგხედავენ... ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ცხოვრებაა.

თუ თქვენი ოცნების ჭალი ყველ იპოვეთ, გიშრეთ, დანაშრენ ოცნებებს დაემშვიდობით.

რიგორ განვსაზღვროთ სასმლის დოზა და სად რიგორ ებრძვიან „პახმელიას"

ზოგიერთი ადამიანი სასმელს კარგად იტანს და შეუძლია, რამდენიმე ლიტრი ჩაისხას სტომაქში, ყანწი ყანწზე გამოცალოს და შინაც მშვიდობით, 2 ფეხით მივიდეს. ზოგიერთს კი — ერთი ჭიქაც ათრობს. როგორ უნდა განვსაზღვროთ, რა რაოდენობის ალკოჰოლი უნდა მივიღოთ? როდის უნდა შევწყვიტოთ სმა და რამდენია ნორმა...

თუ არაყს ან კონიაკს მირთმევთ, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი:

50 მლ — ამ რაოდენობის სასმლის მიღებისას სასიამოვნო სითბოს იგრძნობთ, მოგეხსნებათ დაძაბულობა და კარგი განწყობილებაც დაგეუფლებათ. ბევრ ქვეყანაში 50 მლ სპირტიანი სასმლის მიღების შემდეგ, საჭესთან დაჯდომა კანონით იკრძალება.

100 მლ — ამ რაოდენობის სასმელს თუ მიიღებთ, მოთენთილობას იგრძნობთ და ყურდღებაც გაგეფანტებათ. სპეციალური ტესტი ამ დროს მოძრაობის კოორდინაციის დარღვევას აფიქსირებს.

200 მლ — ამ დროს შესამჩნევად ირღვევა კოორდინაცია და სიტუაციის თვითშეფასების არაადეკვატური უნარი.

300 მლ — ამ რაოდენობის სასმლის მიღების შემდეგ, იწყებთ ხმამაღალ ლაპარაკს, ირღვევა თვითკონტროლის უნარი, მატულობს აღგზნებადობა, შეინიშნება მოძრაობის შენელება.

350 მლ — ეს უკვე საშუალოზე მომეტებული რაოდენობაა და მისი მიღების შემდეგ კარგავთ წონასწორობას. გერევათ ნაბიჯი და მოტეხილი ტოტივით ქანაობთ.

400 მლ — შესაძლოა ცნობიერების დაკარგვა.

500 მლ — ცნობიერების დაკარგვის საშიშროება სავსებით რეალური ხდება და ამ რაოდენობის სასმლის მიღებამ შესაძლოა, სუნთქვა შეგიჩეროთ და სიკვდილიც გამოიწვიოს.

500 მლ-ზე მეტი — შესაძლოა სუნთქვის შეჩერება და სიკვდილი.

ამ მონაცემების მიხედვით შეგიძლიათ განსაზღვროთ, სიმთვრალის რომელ სტადიაზე იმყოფებით. სასიამოვნო სითბოს გრძნობთ? მაშ, სუნთქვის გაჩერებამდე 10 იმდენი დაგრჩათ დასალევი, რაც აქამდე დალიეთ. თუ დილით საშინელი თავის ტკივილი გაგაღვიძებთ, სარკეში ჩახედვის მერე კი გიჩნდებათ კითხვა — ვინ არის ეს კაცი? პირი გიშრებათ, გულისრევის შეგრძნება გაქვთ და დედას იფიცებთ, რომ აღარასოდეს დალევთ, მაშ, „პახმელიაზე" ყოფილხართ. გლობალიზაციის ეპოქაში „პახმელიასთან" ბრძოლის მეთოდად მხოლოდ „სამამულო" წესს — „დილით ხაში, ზედ ღავაშს" ნუ გამოიყენებთ. სხვა ქვეყნებშიც სვამენ, თვრებიან და ნაბახუსევს თავს სხვადასხვა მეთოდით აღწევენ. საამისოდ მათ პატარ-პატარა საიდუმლოებებიც აქვთ.

იტალიაში ნაბახუსევზე ჭამენ და სვამენ ყველაფერს, რაც კი თეთრია. მაგალითად, ბრინჯი, თეთრი ღვინო, ყინული... და თავს იკავებენ წითელი შეფერილობის საკვებისგან. მაგალითად, როგორიცაა პომიდორი, წითელი ღვინო, ძეხვი...

სინგაპურში ნაბახუსევს ჟენშენით მომზადებული, მწვანე წვნიანით ებრძვიან.

მონღოლმა მასპინძელმა დილით, ნაბახუსევზე შესაძლოა, ერთი ჭიქა ტომატის წვენი და დამარილებული ცხვრის თვალი შემოგთავაზოთ.

ტიბეტში ნაბახუსევთან ბრძოლის უცნაური მეთოდი აქვთ შემუშავებული, რომელიც გარკვეულწილად მაგიას ეყრდნობა. იქ მასპინძელი შემოგთავაზებთ იმ ბოთლის საცობს, რომელიც თქვენს „პახმელიაშია" დამნაშავე და მასში 13 შავთავიანი ქინძისთავი უნდა ჩაარჭოთ.

ფინეთში, ნაბახუსევზე დილიდანვე საუნაში მიდიან და მარილიან თევზს და ლუდს მირთმევენ.

მოკლედ, ნათქვამია, ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი მოარჩენსო და ვფიქრობ, ქართული ხაში და არაყი ჩვენი მამაკაცებისთვის „პახმელიიდან" გამოსვლის საუკეთესო მეთოდად რჩება.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

მოხერხებული ცოლ-ქმარი, „ლა დეგენერატო“ და ენამახვილი ქართველები



Москва *მეგრულიდანაა და „მოი-სკუას“ ნიშნავს“... მოგვითხრობს ჯანსუღ ჩარკვიანი*

უცნაური ბარათი

ახალგაზრდა კაცი ვარ. სამი დღე ზედიზედ მთვრალი მივედი შინ. მეოთხე დღეს, დილით, ჩემმა მეუღლემ — ირმამ განაწყენებულმა მითხრა: თუ ამაღამაც ნასვამი მოხვალ, ხმას აღარ გაგცემო. რა ვქნა? მოხდა ისე, რომ ვერც მეოთხე დღე „ჩავაგდე“ და კიდევ ნაქეიფარი მივედი. ირმამ ხმა აღარ გამცა, მე კი დილაადრიან, ცხრა საათზე წასავლელი ვარ. არ გინდა, შენით გაიღვიძო?! რადგან ხმას არ მცემს, გადავწყვიტე, მეც არ გავცე ხმა... და მშვენიერი გამოსავალი მოვიფიქრე — პატარა ბარათი დავუწერე: „ირმა, დილის ცხრა საათზე გამაღვიძე. ჯანსუღი“. წერილი ბალიშთან დავდე და დავიძინე. გვიან გამეღვიძა. საათს დავხედე, თორმეტი საათი იყო. იქვე შევნიშნე ირმას საპასუხო ბარათი: „ჯანსუღ, ცხრა საათია და გაიღვიძე“...



მე სახლში ნაირ-ნაირი ყანწი მაქვს

„ლა დეგენერატო“

ანსამბლი — „რუსთავი“ იტალიაში ტურნეს მართავს. მთელი ერთი თვე მათთან ერთად ვიყავით მე და ჩემი ძვირფასი მეგობარი, რჩეული ქართველი, რევაზ თაბუკაშვილი. ოცდამესამე კონცერტი ტარდება ვენეციის მოედანზე. სამი ათასამდე კაცი ფეხზე დგას, ორი ათასი — ზის. მე ვეღარ ვაქტიურობ, მივეჩვიე ანსამბლის ყოველდღიურ საოცარ ფურორს და თან, მეჩქარება, მინდა, კონცერტი დროზე დამთავრდეს. მოედნის კუთხეში, ლუდის დასალევად მაგიდა მაქვს შეკვეთილი.

ჰამლეტ გონაშვილმა „ჩაკრულო“ „შეუბერა“. დაამთავრა და ვენეციის მოედანი ხუთი ათასი მსმენელის ტაშის გრიალით და შეძახილებით ინგრევა. მე ვდგავარ ჩემთვის და ტაშს არ ვუკრავ, ლუდზე ვფიქრობ. გვერდით ვიღაც იტალიელი კაცი ხმამაღლა და უდიერად მომმართავს, მეჩხუბება. მხოლოდ ერთი სიტყვა მეცნო მისი გამონათქვამებიდან — „ლა დეგენერატო“. მაშინვე თარჯიმანი მოვიყვანე. როცა გავარკვიეთ, ვინ ვინ იყო და რა მოხდა, ცალკე მე ამიტყდა სიცილი, ცალკე — იმ იტალიელს. ამ კაცს მეც იტალიელი ვეგონე თურმე და გაოცებული მეჩხუბებოდა, — შე დეგენერატო, უკეთესი რა მოგისმენია, ტაშს რომ არ უკრავ; ამ ხუთი ათას კაცში ერთადერთი უვიცი იტალიელი შენ ხარო.

ჩვენს სიცილ-ხარხარში კონცერტიც დამთავრდა და ის იტალიელი ლუდის დასალევად ჩვენთან ერთად წამოვიდა.

რამ დაგაღონა?

ნოდარ დუმბაძეზე ცუდი რომ დაგეწერა, ან ბოროტი უნდა ყოფილიყავი, ანდა ვიღაცის შეკვეთა შეგესრულებინა... ჰოდა, დაიწერა კიდევაც... ნოდარი ძალიან განაწყენებული იყო. ბევრი ვიფიქრე და სამ კაცთან ერთად გადავწყვიტე, „ბეთანიაში“ გაგვეშალა სუფრა და მოვფერებოდით. ვერაფრით დავითანხმე, ვერ გამოვიყვანე მდგომარეობიდან. ბოლოს, ვუთხარი: რა იყო, ნოდარა, ბიჭო, რამ დაგაღონა?! შენ დღეს იმ დონეზე ხარ, შენით თუ მეიჭამ, თვარა „სირს“ ვერავინ მოგჭამს-მეთქი.

ატეხა სიცილი, გაიხარა. ასე სიცილ-სიცილით გავუყევით მანქანით წყნეთის გზას.

რუსეთის ქალაქები

ჩემს ოჯახში სუფრაა გაშლილი. სტუმრად არიან ევგენი ევტუშენკო, ანდრეი ვოზნესენსკი, ედუარდ შევარდნაძე (მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი) და ნოდარ დუმბაძე. თამადად ნოდარი ავირჩიეთ. მე სახლში ნაირ-ნაირი ყანწი მაქვს და ნოდარს ახალი, ვეებერთელა, ჩაგრეხილი ყანწი მივართვი. მან ხაზი გაუსვა ამ ფაქტს და თქვა:

— Вот друзья, отсюда и есть ваш русский город – Кривой Рог.

მეც არ დავაყოვნე და დავამატე:

— Нодар, когда врёшь, не краснеешь; а если краснеешь, получается Краснодар;

ატყდა ხარხარი. შევარდნაძე ადგა და თქვა:

— არა, თქვენ ორთან ერთად, სუფრასთან ჯდომა არ შეიძლება. ახლა ის არ მითხრათ, რომ Москва მეგრულიდანაა და „მოი-სკუას“ ნიშნავს, თორემ სულ გაგიჟდება ეს ხალხი.

ვიცინეთ და გავიხარეთ ისე, როგორც ქართულ სუფრას შეშვენის... ■

ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲫᲝᲢᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ

ეროვნების საკარჩეო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი.

1. „პარასიტოს“ — ასე ეძახდნენ ძველ საბერძნეთში... ვის?
2. ერთმა საბჭოთა ავტომოყვარულმა 2222 საგნისგან შექმნა სურათი, რომელსაც სახელად „2222 წყევლა“ უწოდა. საგანთა შორის იყო: ლურსმნები, ჭანჭიკები, „შურუპები“, გიტარის სიმი, ფეხსაცმლის ლურსმანი, სტომატოლოგიური ბურღები, ველოსიპედის მანები, აკაციის ეკლები და ა.შ. სად მოაგროვა ეს ყველაფერი სურათის ავტორმა?
3. რისი ფორმა აქვს ქალაქ ბრაზილიას?
4. ვინ არის საგალობლის — „შენ ხარ ვენახი“ ტექსტის ავტორი?
5. რა არის კალმასობა?
6. რუსეთის დელეგაციასთან შეხვედრისას, სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ ამ ენაზე საუბრობდა.
7. რა მდებარეობს დღეს ბიბლიური სოდომის და გომორის ადგილზე?
8. წესრიგის უხეშ დამრღვევთა გამოსავლენად, პოლიციამ გადაწყვიტა, ქოვენთრის სტადიონზე ფარული კამერები დაემონტაჟებინა. რა სახის კონტრზომები მიიღეს გულშემატკივრებმა?
9. ვაშინგტონის ნაციონალურ პარკში ერთი პერიოდი ცხოვრობდა ღორი, რომელსაც სახელმწიფო პენსია ჰქონდა დანიშნული. რა დამსახურებისთვის?
10. ვის ეძახიან საფრანგეთში მეტსახელად პინგვინებს?
11. ბეთჰოვენმა უვერტიურაში „ლეონორა №3“ პირველად გამოიყენა საყვირი. ეს ინსტრუმენტი კულისებიდან ეღერდა. პრემიერა კინაღამ თეატრში მომუშავე მეხანძრემ ჩაშალა. როგორ?
12. ვინ ასწავლა ილია ჭავჭავაძეს ქართული წერა-კითხვა?
13. რა არის ხიფთანი?
14. დასავლეთ კაროლინის შტატის მცხოვრებლებმა თავიანთი კაპიტალი ძირითადად პლანტატორობით დააგროვეს. პლანტაციებში მათ ბრინჯი მოჰყავდათ. საიდან მოხვდა ამ მხარეში ეს მარცვლეული კულტურა?
15. ყველა დამპყრობელს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოდან ამ ხელობის მცოდნე ადამიანები მიჰყავდა.

ანეკდოტები

***

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

— ბრალდებულო, იცით თუ არა, რა გელით ცრუჩვენებისთვის?

— როგორ არა! ავტომობილი და ფულით სავსე დიპლომატი!

***

სვანი პაემანზე ზუსტად დანიშნულ დროს მივიდა.

— შენ როგორი პუნქტუალური ყოფილხარ! — შეაქო გოგომ.

— პუნქტუალურიც ხარ და შენი დედაც!..

***

გაქირავების პუნქტში:

— 55 ზომის ბათინკებისთვის თხილამურები თუ გაქვთ?

— კაი, თუ ძმა ხარ, ამხელა ზომის ფეხი თუ გაქვს, თხილამურები რაღად გინდა?!

***

— მოკლედ, დიდი ოპტიმისტია ეს ჩვენი იპოლიტე!

— რაზე შეატყვე?

— უკანასკნელი ორლარიანით საფულე იყიდა.

***

ინგლისელი ლორდი სახლში ბრუნდება. მსახური კარს უღებს და ეუბნება:

— ჰა, ბებერო ბრიყვო, მთელი დღე ისევ რესტორანში ეგდე, არა?!

— არა, სმენის აპარატი ვიყიდე.

***

შეუხედავ გოგოს თანაკლასელი დასცინის:

— შენ ისეთი უშნო და საშინელი ხარ, შუაღამისას მთვრალი ხულიგნების ბრბოს რომ გადააწყდე, იცი, რას გიზამენ? რას გიზამენ და — არაფერს!..

***

სტუდენტები ლექტორს ესალმებიან. ლექტორი ერთ-ერთ სტუდენტს ეუბნება:

— მე დებილებს არ ვესალმები!

— მე კი ვესალმები! — პასუხობს სტუდენტი.

***

ერთი ქუთაისელი უყვება მეორეს:

— გუშინ თერჯოლაში ვიყავი და ტროლეიბუსში სტალინი და ბერია ვნახე!

— ვის ატყუებ, რა უნდა თერჯოლაში ტროლეიბუსს!

***

მიმდინარეობს გამოკითხვა. შეკითხვას პირველ წყვილს უსვამენ:

— სექსის დროს ვაზელინს თუ იყენებთ?

— კი.

— როგორ?

— კარის სახელურზე ვუსვამთ, ბავშვები რომ არ შემოვიდნენ.

***

— როგორ მიდის ოჯახში საქმეები?

— ცუდად. ცოლმა განცხადება შეიტანა განქორწინებაზე — საძინებელში რომ ახალი გარდერობი გვაქვს, იმას არ უხდებიო.

***

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დაეწერათ თხზულება: „რას ვიზამ-

დი, მილიონი რომ მომეგო“. ცოტა ხნის შემდეგ ერთი მოსწავლე წამოდგა და მასწავლებელს ეუბნება:

— მასწავლებელო, ასი ათასს ხომ ვერ დამიმატებდით?!

***

მიხო შვილის სკოლის დღიურს ამოწმებს. ხედავს, სულ ორიანები ჰყავს, მარტო სიმღერაში ჰყავს ხუთიანი:

— ერთი გამაგებინა, რა ჯანდაბა გამღერებს!

***

— თქვენ ახლახან დაბრუნდით იტალიიდან?

— დიახ.

— მითხარით, მას მართლა ჩექმის ფორმა აქვს?

***

კორესპონდენტი მეძავს ეკითხება:

— როგორ გახდით მილიონერი?

— სამუშაოზე ყოველთვის ვიდეოკამერა დამქონდა.

***

ავტოინსპექტორი მანქანას აჩერებს და მძღოლს ეუბნება:

— აქ მაქსიმალური სიჩქარე საათში 40 კილომეტრია, თქვენ კი ოთხმოცით მოძრაობდით. ასე სად გეჩქარებათ?

— ეს ოცლარიანი მომქონდა თქვენთვის!

***

— ძვირფასო, რა ეჭვიანი ხარ!

— შენს ხელში აბა, რა მომივა!

— ჩემო კარგო, სულაც არ არის აუცილებელი, კარადაში ნაპოვნ ყველა კაცზე იფიქრო, რომ ის ჩემი საყვარელია.

***

კაცი საზღვარგარეთის საგზურებ-ის საყიდლად ტურისტულ სააგენტოში მივიდა. აგენტმა ჰკითხა:

— ამერიკაში წახვალ?

— ამერიკაში წასვლის მეშინია, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.

— მაშინ ისრაელში გაგიშვებ, — უთხრა აგენტმა.

— ვერც იქ წავალ, მეშინია, პალესტინელები სულ რაღაცას აფეთქებენ.

— გერმანიაში?

— გერმანიაშიც ბევრი კრიმინალია და მეშინია.

— მაშინ, აი, შენ გლობუსი, მე შესვენებაზე გავდივარ ერთი საათით და რომ დავბრუნდები, თითს სადაც დაადებ, იქ გაგიშვებ.

ერთი საათის შემდეგ აგენტი დაბრუნდა.

— აბა, რა გადაწყვიტე, სად გინდა წასვლა?

— სხვა გლობუსი ხომ არ გაქვთ?

***

— ექიმო, კედლებს იქით რაც ხდება, ყველაფერს ვხედავ. რა ვქნა?

— აბანოში წადი.

***

ოსმა თავის მოკვლა გადაწყვიტა და მატარებლის რელსზე დაჯდა, თან, ერთი დიდი ლავაშიც გაიყოლა.

— აქ რას აკეთებ? — ეკითხება გამვლელი.

— თავი უნდა მოვიკლა!

— ეგ პური რაღად გინდა?

— იქნებ, მატარებელმა მთელი დღე არ ჩამოიაროს და მშიერი ხომ არ მოვკვდები!..

ჯონჯის საპასუხეო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მუქთახორებსა და მუქთამჭამელებს.
2. ყველა ეს საგანი სხვადასხვა დროს დაშვებული საბურავებიდან იქნა ამოღებული.
3. თვითმფრინავის.
4. დავით აღმაშენებლის ვაჟი, საქართველოს მეფე დემეტრე პირველი.
5. ასე ერქვა კალოებზე ჩამოთხოვით ეკლესია-მონასტრებისთვის პურის (ან სურსათ-სანოვაგის) მოგროვებას.
6. ქართულ ენაზე.
7. მკვდარი ზღვა.
8. ქალაქის მაღაზიებში თითქმის აღარსად დარჩა საკარნავალო ნიღბები.
9. იგი ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ცხოველი იყო იმ სამასი ღორიდან, რომელიც ბირთვული გამოცდისას კუნძულ ბიკინიზე იმყოფებოდა.
10. ჟანდარმებს.
11. მას ეგონა, რომ კულისებში შეპარულ ვიღაც ხულიგანს კონცერტის ჩაშლა სურდა და მუსიკოსს ინსტრუმენტი ხელიდან გამოჰგლიჯა.
12. სოფლის დიაკვანმა.
13. აბჯრის ქვეშ ჩასაცმელი დაბამბული კურტაკი.
14. სრულიად შემთხვევით, დაზიანებული გემიდან მოხვდა, რომლის ეკიპაჟმაც რემონტის საფასური ბრინჯით გადაიხადა. გემის მეზღვაურებმა ადგილობრივ ფერმერებს ბრინჯის მოყვანაც ასწავლეს.
15. მჭედელი.

ინტერნეტ-ფანატიკოსი

უკომენტაროდ

24 წლის იყო ილია ჭავჭავაძე, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა. როგორ წარიმართა მისი ცხოვრება ამ ასაკიდან, ამას ჩვენს შემდეგ სტატიებში მოგითხრობთ. ამჯერად, თქვენს ყურადღებას ილიას ბავშვობისა და სტუდენტობის პერიოდზე შევაჩერებთ. იგი არა მარტო შემდგომ პერიოდში, არამედ ჰაკეს პანსიონსა და გიმნაზიაში, ბოლოს კი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროსაც, გამორჩეული ყოფილა თანატოლებისგან. ალბათ ბევრი თქვენგანისთვის არ არის ცნობილი, თუ როგორ ჩაუშალა მან მამას ჯვრისწერა, როდის ეწვია პირველი სიყვარული, ვის მიუძღვნა „გახსოვს, ტურფავ“, როგორ ცხოვრობდა პეტერბურგში და რატომ მიატოვა უნივერსიტეტი. ილიას პიროვნულ თვისებებზე, თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით მოგითხრობთ.

ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში

მამის ჩაშლილი ჯვრისწერა, პირველი სიყვარული და „მერე უნდა იცოდე, რა ქალია...“

თამუნა კვინიკაძე

გადმოცემის მიხედვით, ჭავჭავაძეები ოდესღაც კახეთში ხევსურეთიდან გადასულან. ისტორიაში ეს გვარი XV საუკუნიდან ჩნდება, ხოლო თავადობას კახეთის მეფის, კონსტანტინეს დროს, XV საუკუნის დამდეგს იღებენ. ილიას მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე სამხედრო პირი იყო, პორუჩიკის ჩინით ნიჟგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა. გარკვეული დროის შემდეგ კი სამსახურს თავი დაანება და სოფელში დაბრუნდა. ილიას დედა, მარიამი (მაგდანა) თბილისელი გაქართველებული სომხის, ბებურიშვილის ქალი იყო. იგი 14 წლის ყოფილა, როდესაც გრიგოლზე გათხოვილა, მართლმადიდებლურად მონათლულა და მარიამი დაურქმევია. ილიას დედა ქართული მწერლობის კარგი მცოდნე ყოფილა. მარიამს და გრიგოლს სულ 6 შვილი ჰყავდათ: კონსტანტინე, რომელიც 1854 წელს ლეკებთან შეტაკებისას მოკლეს; ნინო — ნიკოლოზ აფხაზის მეუღლე; ილია; ელისაბედი — ჯერ ჯამბაკურ ორბელიანის, ხოლო დაქვრივების შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტ საგინაშვილის მეუღლე; თეიმურაზი — რომელიც 18 წლის ასაკში მოსკოვში კადეტთა კორპუსში სწავლის დროს გარდაიცვალა და ნაბოლარა ვაჟი — სიმონი, რომელიც ადრეულ ასაკში გამოეცალათ ხელიდან.

ილია 10 წლამდე სოფელში იზრდებოდა. წერა-კითხვა მისთვის, ადგილობრივ გლეხის ბავშვებთან ერთად, სოფლის დიაკვანს უსწავლია. ილიას გამზრდელი, სალომე ლოლაძე მოგვითხრობს: „ილიას თამაში და ცელქობა არ უყვარდა, დროის დიდ ნაწილს მეცადინეობაში ატარებდა“... ილია ძალზე ხათრიანი ბავშვი ყოფილა. როდესაც მამიდა მუშების დასაძახებლად გაგზავნიდა, იგი უკან მარტო ბრუნდებოდა თურმე, გაჯავრებულ მამიდას კი ეუბნებოდა: ისე ტკბილად სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო. 11 წლის იყო ილია, როდესაც დედა გარდაეცვალა, მასზე მზრუნველობა მამიდა მაკრინემ თავის თავზე აიღო. იმავე წელს, ილია თბილისში იანიშევსკისა და ჰაკეს პანსიონში მიაბარეს. ეს იმ დროისათვის ყველაზე საუკეთესო სასწავლებლად მიიჩნეოდა საქართველოში. ჰაკე გერმანელი, ყოველმხრივ განათლებული კაცი ყოფილა. იგი გერმანიიდან კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალს, ნეიდგარტს თავისი შვილების აღსაზრდელად ჩამოუყვანია. შემდეგ კი თბილისში დარჩენილა და პედაგოგ იანიშევსკისთან ერთად პანსიონი მოუწყვია. ჰაკე შეუბრალებელი კაცი იყო, მაგრამ შეგირდების მიმართ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა. 1850 წელს ილია თბილისის გიმნაზიაში გადავიდა, სადაც ილიასთან ერთად, კოხტა აფხაზიც სწავლობდა.

ილიას დედა რომ გარდაეცვალა, მამამისმა გრიგოლმა მეორე ცოლის შერთვა მოინდომა. საცოლე ასაკით გრიგოლზე დიდი ყოფილა, მაგრამ სახარბიელო მზითვის გამო, ქორწინებას დათანხმებულა. „ჯვრისწერა ქაშუეთის ეკლესიაში უნდა შემდგარიყო. პატარა ილიას ძალზე სწყინდა მამის ქორწინების ამბავი. თავდაპირველად ვერას გახდა, შემდეგ კი ასეთი ოინი მოუწყო: ეკლესიაში შესულ ნეფე-დედოფალს, თავისი თანატოლი ბიჭები დაახვედრა, მათ ხელში ნაცრით სავსე კალათები ეჭირათ, ნაცარს ამტვერებდნენ და მღეროდნენ: „გოდორი და კალათა, ბებერს რთავენ ქალათა, გრიგოლ ჭავჭავაძესა, ჯვარსა სწერენ ძალათა“, — იხსენებს ილიას ბავშვობის მეგობარი, ეკატერინა კრიჟანოვსკი. გრიგოლი ამ ფაქტს ძალზე გაუღიზიანებია და ჯვრისწერაც ჩაშლილა.

კოხტა აფხაზის გადმოცემით (იგი ილიასთან ერთად, პეტერბურგის უნივერსიტეტშიც სწავლობდა), ილია გიმნაზიაში ნიჭიერ და გონებაგახსნილ მოსწავლედ მიიჩნეოდა, მაგრამ ზოგჯერ, სიზარმაცე სძლევდა; მის ღალატს ვერავინ გაიხსენებს, ყოველთვის ამხანაგის გატანა იცოდაო. IV კლასში მას ასეთი ნიშნები ჰყოლია: ქართულ და რუსულ ენებში — 5, გეომეტრიაში, ისტორიაში, ფრანგულსა და ნიჭიერებაში — 4, საღვთო სჯულში, ალგებრასა და ლათინურში — 3, გეოგრაფიაში — 2, ხოლო ყოფაქცევაში — 4,5.

ილიას პირველად, 14 წლის ასაკში გიმნაზიის დირექტორის, დემენტიევის ქალიშვილი შეჰყვარებია. „ხშირად მივუახლოვდებოდით ხოლმე მე და ილია მისი ღვთაების სარკმელს. იქიდან ღიმილით გადმოგვხედავდა ხოლმე პატარა ქალი“, — ვკითხულობთ კოხტა აფხაზის მოგონებებში.

ილიამ გიმნაზია 1856 წელს დაამთავრა, 1857 წლის 20 ივლისს კი, მისაღები გამოცდები ჩააბარა პეტერბურგის უნივერსიტეტში და იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ მეცნიერებათა განყოფილებაზე ჩაირიცხა. ილიას სტუდენტობის შესახებ ოფიციალური ცნობები თავის დროზე ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის არქივიდან ამოუკრებია, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ილიას პეტერბურგში, ამაღლების ქუჩაზე, კოლჩინას სახლში უცხოვრია. რამდენჯერმე გადახდილი აქვს სწავლის ფული — 25 მანეთი. როგორც უნივერსიტეტის ექიმი არედნი მოწმობს, ილიაზე ჩრდილოეთის ჰავას ცუდად უმოქმედია და სისხლის ღებინება დასწყებია. დასთან მიწერილ ერთ-ერთ ბარათში ამის შესახებ თვითონაც ჩივის: „ეს რა ქვეყანაში მოვხვდი, სამი თვეა, მზე არ მინახავს“.

პეტერბურგში გამგზავრებამდე ილიას ერთი მომხიბვლელი ქალბატონი ჰყვარებია (შემდეგში კოტე მარჯანიშვილის დედა). უცნობია, თუ რამ შეუშალა ხელი მათ რომანს, მაგრამ ის კი ნათელია, რომ მისი ხსოვნა ილიას გულში ღრმად ჩარჩა და ამას მისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსი მოწმობს. მათ შორისაა — „გახსოვს, ტურფავ“. მოგვიანებით, პეტერბურგში ჩასულ ილიას ეს სიყვარული სოფიო ჩაიკოვსკაიამ გაუნელა (იგი გენერლის ასული იყო). ამის შესახებ კოხტა აფხაზი მოგვითხრობს: „პეტერბურგ-

დიდი ილიას და — ნინო ჭავჭავაძე

ში ილია მეტად აღტაცებული იყო ჩაიკოვსკის ქალით. იმ ოჯახში ხშირად დავდიოდით, კარგად გვიღებდნენ და პატივს გვცემდნენ. მახსოვს, როდესაც პირველად მათთან სადარბაზოდ მისასვლელად მოვემზადეთ, დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირის მეტი არ გვქონდა. მარტო არც მე მინდოდა წასვლა და არც — ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა. სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორემ კი კარეტაში მოუცადოს. როდესაც პირველი დაბრუნდება, გადასცემს მუნდირს ამხანაგს, ახლა ის ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოა ნინოსადმი გაგზავნილი ილიას ერთი წერილი: „ერთი რამ მაქვს შენთვის სათხოვარი. თუ გიყვარდე, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა (ხანჯლითა) და დავპირდი. შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან. მერე უნდა იცოდე, რა ქალია!.. შენი სულის ჭირიმე, ნინო, სააღდგომოდ გამომიგზავნე. ვიცი, რომ გიყვარვარ“. სოფიოს პოეტმა ორი ლექსი უძღვნა: „სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი“ და „უცხო ქვეყნის ყარიბ მთქმელს“. ამ რომანის შემდგომ განვითარებაზე აღარაფერი ვიცით, არც ისაა ცნობილი, შეუსრულა თუ არა დამ ილიას თხოვნა. ფაქტია, რომ იგი პეტერბურგიდან სამშობლოში უცოლოდ დაბრუნდა.

სტუდენტობის წლებში ილია ხელმოკლეობას განიცდიდა. იგი იმდროინდელ პირად წერილებში ხშირად უფულობას უჩივის. დისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „ჩემ ჯიბეში ნეტა ჩამოგახედა, რა ამბავია. რუსულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვთ, რომ მეტი აღარ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოკრავენ ფეხს... ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზეც არ იქნება, ასე.“

ილიამ პეტერბურგის უნივერსიტეტში 1861 წლის 12 ოქტომბრამდე დაყო. გატაცებული იყო მაშინდელი პოლიტიკური ამბებით, განსაკუთრებით, ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობა აინტერესებდა. ძალიან ბევრ წიგნს კითხულობდა და როგორც ნიკო ნიკოლაძე მოწმობს, სტუდენტებში დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. სამწუხაროდ, ილია ბოლო კურსიდან (IV კურსიდან) დაითხოვეს. თუ რატომ, ამაზე მოგვიანებით მოგითხრობთ. ახლა კი ნიკო ნიკოლაძის ერთ მოგონებას შემოგთავაზებთ, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ილიას სხვა სტუდენტებთან. ერთ-ერთ სტუდენტს ნიკო ნიკოლაძისთვის შეუჩივლია: „სანამ ილია იყო აქ, მსჯელობას და ლაპარაკს მაინც გაიგონებდი კაცი მამულის სიყვარულზე. ის წავიდა და ახლა რაუზერზე და გოზეზე (პირველი ტანსაცმლის მკერავი იყო, მეორე — მეწაღე) თუ გაიგონებ სჯას, მეტზე არაფერზე“. ხოლო ერთ-ერთ ახალგაზრდას, რომელსაც ნიკოლაძე ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ჟურნალ „სოვრემენნიკის“ კითხვისას შეუსწრია, უთქვამს, — „შენც ისე არ წახდე, როგორც ილია ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის, სკოტის კითხვის მეტს არაფერს აკეთებდა და დაესხა თავს ლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა, უდიპლომოდ წაბრძანდა... აბა, ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?“

დიდი ილიას და — ელისაბედ (ლიზი) ჭავჭავაძე

რატომ მიატოვა ილიამ უნივერსიტეტი? — ამ კითხვის პასუხად კოხტა აფხაზის ერთი მოგონება შეიძლება მივიჩნიოთ: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. კითხულობდა ბევრ წიგნს, ეგზამენების მოახლოებისას დღე-ღამეში ხშირად, 18-20 საათს მუშაობდა. რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს, ჩაძინებია... მეც და ილიაც იძულებული ვიყავით, უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყავთ. ეს მოხდა ე.წ. მატრიკულების გამო... თითქმის ყველა სტუდენტმა ამის გამო პროტესტი გამოვაცხადეთ. მართალია, არც მე და არც ილია სტუდენტების კრებას არ დავსწრებივართ, მაგრამ მაინც გამოგვიცხადეს: ვინც მატრიკულებს არ დაემორჩილება (ეს იყო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული წესები, რომელიც ბევრი სტუდენტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა), პეტერბურგიდან 24 საათის განმავლობაში თავის სამშობლოში უნდა წავიდესო. ჩვენც წამოვედით“. წამოსვლამდე კი, ილია კოხტა აფხაზთან ერთად, ცარსკოე სელოში, სამეგრელოს მთავრის ასულთან მისულა სტუმრად. მასპინძელს მათთვის ბარათაშვილის ხელნაწერი „ბედი ქართლისა“ და „მერანი“ გაუცნია. ილიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ერთი კვირა ნიკოლოზ ბარათაშვილზე ლაპარაკობდაო, — იხსნებს კოხტა აფხაზი.

რუსეთში ყოფნამ და უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ დიდად იმოქმედა ილიაზე, მის მსოფლმხედველობაზე. „ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელესა და სინათლეს შორის, ბედისგან გადებული“, — ამბობდა ის პეტერბურგში გატარებული წლების შესახებ. მან სტუდენტობის პერიოდში, 1857-დან 1861 წლამდე დაწერა 86 ნაწარმოები, მათ შორის — „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, 62 ლექსი და თარგმნა 20-მდე ნაწარმოები.

1861 წელს, ევროპული სულისკვეთებით აღვსილი ილია, სამშობლოში ბრუნდება. „შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?!“, — და ბოლოს, ამაყად ამბობს — „შევძლებ!“.

როგორ საქართველოში დაბრუნდა ილია ჭავჭავაძე? როგორი პოლიტიკური ვითარება სუფევდა ქვეყანაში? ერთ-ერთ წერილში ილია გულისტკივილით ჩივის: „ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის... გავთითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალეთ. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, კახელი — კახელია, ქართველი — ქართველია... ცნება საქართველო აღარ არსებობს...“ ასეთ საქართველოში დაბრუნებისას, ილიას პირველი შეტაკება ძველი თაობის წარმომადგენლებთან მოუხდა. 1861 წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში იბეჭდება ილიას პირველი სტატია — „ორიოდე სიტყვა რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზე“. იგი ილაშქრებს კოზლოვის წინააღმდეგ და გაკვირვებას ვერ ფარავს: „თუ ვინმეს რუსულიდან თარგმნა უნდა, რატომ არ თარგმნიან პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს.. რაღა ამ წირპლიან კოზლოვს მიადგნენ“. თავისებურად, დაუზოგავად ამათრახებს მთარგმნელს და მას ენას უწუნებს. ილიას გაბედულმა სიტყვამ, ახალმა აზრმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია მაშინდელ მთვლემარე საზოგადოებაში. ილიას წინააღმდეგ, პირველი ბარბარე ჯორჯაძე გამოვიდა, შემდეგ — გიორგი ბარათოვი და ალექსიევ-მესხიევი. ილიამ მათ მკაცრი პასუხი გასცა: „ბარაქალა! ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში ხელში კალამი არ აუღია, იმასაც ააღებინე“. ბოლოს კი ასკვნის: „ცისკარი“ უვარგისია თქვენგან, ყვავებო, ფარშევანგების ფრთებით, ბულბულებო, ყორნის ჩხავილით“. საყურადღებოა, რომ „ცისკრის“ რედაქციამ ილიას პასუხის ყოველ ფურცელს თითოგვერდიანი შენიშვნა დაურთო და მას „ბელინსკის მიმდევარი“ უწოდა. ეს სალიტერატურო შეტაკება შედარებით მკრთალი გამოხატულება იყო იმ ბრძოლისა, რომელიც მაშინ, ძველსა და ახალ თაობებს შორის წარმოებდა. ერთი მხრივ, იყვნენ ძველი წყობილების, ბატონყმობის დამცველნი, მეორე მხრივ —

ბატონყმობის მოსპობის მომხრენი. მათ შორის არსებული დაძაბულობა ცოტა ხნის შემდეგ მკვეთრად გამოიხატა „საქართველოს მოამბის“ გამოსვლისას, მოგვიანებით კი ილიასა და გრიგოლ ორბელიანის შეტაკებაში.

1862 წლიდან, ილიამ საკუთარი ჟურნალის გამოსაცემად დაიწყო მზადება. თანამოაზრე ახალგაზრდები შემოიკრიბა, მოიწვია კრება, ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრეები და ა.შ. ჩვენს ხელთ არის ილიას პირადი წერილები ოლღა გურამიშვილისადმი. ერთ-ერთ წერილში ილია საცოლეს სწერს: „ელენესთან (ჩოლოყაშვილთან) გაიმართება სალიტერატურო საღამო, ახალგაზრდები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს. იქნებ მოახერხო და მოხვიდე, შენი პატარა რედაქტორი რამეს წავიკითხავ.“ ილიას მიერ 1863 წელს გამოცემული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ მოზრდილ წიგნს წარმოადგენდა, რომელიც მრავალ განყოფილებას მოიცავდა, „ცისკარზე“ უკეთესი შრიფტით და ფორმატით გამოირჩეოდა. ეს გარეგნული მხარე ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და უახლოეს ნომერში დაწერა: „საქართველოს მოამბემ“, „სოვრემენნიკის“ ფერი კაბა ჩაიცვა“. სინამდვილეში, ამ ჟურნალის გამოცემის შემდეგ, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, „თერგდალეულები“ თანდათან ფართოვდებოდნენ, მაგრამ ჟურნალს მალე ფინანსური პრობლემები შეექმნა, მიუხედავად იმისა, რომ „ცისკარზე“ მეტი ხელისმომწერი ჰყავდა (500-600 კაცი). მათ პრობლემა საკუთარი სტამბის არქონის გამო ვერ გადალახეს. არადა, მაშინ სტამბის საკუთრებაში ქონა ჟურნალისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი იყო. ამას მოწმობს ივანე კერესელიძის რაფიელ ერისთავისადმი მიწერილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ჯერ ამათ (ე. ი. „საქართველოს მოამბეს“) ასოები არა აქვთ მოსული, ესენი იბეჭდებიან ენფიანჯიანცის ტოპოგრაფიაში, წელიწადში მორიგებიან 160 თუმანს მარტო ბეჭდვაში, ქაღალდს და სხვას გარდა. იმათ მოჰყავდეთ 1000 და მე 500 (*ხელმომწერი იგულისხმება. — ავტ.*), იმათზე უკეთ და ბევრი უნდა გამოვცე, რადგან მე მოწყობილი ვარ (*ე.ი. სტამბა მაქვსო. — ავტ.*)“

იმ პერიოდისათვის, ფინანსურ პრობლემასთან ერთად, ჟურნალის გამოცემას ცენზურაც აბრკოლებდა. თითქმის 20 წლის შემდეგ ილია ირონიულად წერდა: „ეს წვრილფეხობათა რაღაცა, დაუჟინია და ყვირის, იდეა იმისთანა რამ არის, რომ ვერც ხმალი მოერევა და ვერც თოფი. სტყუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და მისი ჯანი“.

1864 წლიდან, ჟურნალი ცდილობდა, არაპირდაპირ და გადაკვრით მაინც შეხებოდა საჭირბოროტო საკითხებს, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს. დარჩა მხოლოდ მხატვრული სიტყვა, ისიც — შეკვეცილი, არტახებით გაკრული. ასეთ პირობებში სიცოცხლეს, „საქართველოს მოამბემ“ სიკვდილი არჩია. მან გამოცემიდან 1 წლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 1863 წელი „საქართველოს მოამბის“ გამოცემის გარდა, ილიასთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ წელს, მან ოლღა გურამიშვილზე იქორწინა. ■

გველის ქერქში

ველური წაბლის ხეივანი

დასაწყისი იხ. „გზა“ №15

ზაზა ვაჩნაძე

როგორც კი მურაზი წავიდა. თათიკომ დეას დაურეკა, რომელსაც ჯერ ისევ ეძინა და იმ ღამეს მომხდარი მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდა. მოკლედ, თათიკომ გოგოები და ირაკლიც გააფრთხილა: თუ ვინმე რაიმეს გკითხავთ, ყველაფერი როგორც იყო, ისე მოჰყევით, ზედმეტი არავისთან არაფერი წამოგცდეთო. ამ ახალმა ამბავმა ყველაზე მეტად ირაკლი დააფრთხო: ეს მინდოდა კიდევ? ყველა მხრიდან ერთნაირად მეხაზებაო, — ფიქრობდა.

შუადღე გადასული იყო, როცა ოფისში მივიდა. სამსახურში ახალმიღებულმა მდივანმა (ასეთ მდივნებს ირაკლი წარამარა ცვლიდა, ფული რომ არ გადაეხადა), უთხრა:

— რევიზორები ისე წავიდნენ, ბუღალტერიისთვის ლუქი აღარ დაუდვიათ. მითხრეს, შეგიძლიათ მუშაობა განაგრძოთ, არანაირი დარღვევა არ გაქვთო.

ირაკლი ამის გაგონებაზე უარესად დაფრთხა, რადგან იფიქრა: რაღაც საშინელებას მიმზადებენ, თორემ ასე ჩუმად რატომ წავიდოდნენო?! მაშინვე სხვა ფირმებსაც ჩამოურბინა და ყველგან ერთი და იგივე სიტუაცია დახვდა: ლუქი არც ერთს აღარ ედო და მუშაობის გაგრძელება ჩვეულებრივ შეიძლებოდა. ეს გამოცანა იყო ირაკლისთვის და მანაც თათიკოს დაურეკა, — რა ხდება ჩემს თავს, შენ ხომ ვერ მეტყვიო? თათიკომ, რა თქმა უნდა, ვერაფერი უთხრა და ირაკლისთვის გამოცანა კვლავ გამოცანად დარჩა. სინამდვილეში კი, აი რა იყო საქმის არსი:

მურაზ ლეშკაშელი სამსახურში მივიდა თუ არა, მაშინვე მათი დოსიეები მოითხოვა, ვინც მის ქალიშვილთან ერთად, იმ საღამოს რესტორანში სუფრას უსხდნენ. ერთ-ერთი ქალი, ბაია მღებრიშვილი მათივე აგენტი აღმოჩნდა, ორი — ჩვეულებრივი ქუჩის კახპა, ხოლო მამაკაცი, ირაკლი ბერიძე კი, როგორც ჩანდა, უამრავ საეჭვო საქმიანობას ეწეოდა — ფულის სესხებაგასესხებას; სამუშაოდ და სასწავლებლად მსურველების საზღვარგარეთ გაგზავნას; ამასთანავე, შოუბიზნესთანაც ჰქონდა კავშირი და ვიდეოფილმების გადაღებითაც ერთობოდა.

ირაკლი, იმ მომენტში სწორედ, თავის ვიდეოსტუდიაში იჯდა და გამალებული ტვინს იჭყლეტდა — რა ექნა, როგორ მოქცეულიყო...

— წავიდნენ და თქვეს, მუშაობა გააგრძელეთო, არა?

— დიახ, — უპასუხა მაკამ და მაგიდაზე დადებული დიდი ალბომის ფურცვლა განაგრძო, — იცით, ვინ მოიყვანეს გუშინ?

— ვინ?

— ზინაიდა გარდაფხაძის ქალიშვილი.

— არა-ა?!

— კი, კი... იცით, რა გოგოა? დათომ სინჯებიც გადაუღო უკვე და ფულიც გადაიხადეს.

— ჰოო? რამდენი?

— ორასი ლარი. პირველი შემოსატანი.

— გაატარე?

— არა. თქვენ არ მითხარით, უჩემოდ არ გაატაროო?

— ქვითარი მიეცი?

— კი.

— მომეცი ფული და დათოს უთხარი, ფოტოები შემომიტანოს.

მაკამ სეიფი გახსნა, ირაკლის ფული გადასცა და ფოტოების მოსატანად გავიდა.

ირაკლის ფოტოებიდან მაღალი, ტანწერწეტა, სუფთა ქართული იერის მქონე, ლამაზი გოგონა შემოსცქეროდა.

— რამდენი წლისაა?

— თვრამეტის. — უპასუხა მაკამ.

— მაგარია...

— ძალიან საყვარელია.

— სწავლობს?

— კი, სამსახიობოზე, პირველ კურსზეა.

— მართლა, ის მჯღაბნელი აღარ გამოჩენილა?

— რომელი მჯღაბნელი?

— აი ის მწერალი, დრამატურგი ვარო,

MK

ტვინი რომ წაიღო ტრაბახით იმ დღეს, დევი მოსაშვილი...

— კი, როგორ არა, გუშინ ორი საათი მაინც გელოდათ და მერე წავიდა. ხვალაც შემოვივლიო... ალბათ მოვა.

— ამ ბავშვის ტელეფონები და მისამართი ხომ ჩაიწერე? — ხელი დაადო სურათს ირაკლიმ.

— კი, რა თქმა უნდა.

— რა ჰქვია?

— მელანო. მელანო გარდაფხაძე.

— სახელიც ლამაზი ჰქონია.

— კი...

ირაკლი გაჩუმდა. სურათს ჩაფიქრებული დაჰყურებდა და ხმას არ იღებდა. რაღაც ძალიან მოეწონაო, გაიფიქრა მაკამ. მერე მაინც მოახერხა და ირაკლი და მწერალი ანუ მჯღაბნელი, როგორც ირაკლი ეძახდა, ერთმანეთს შეახვედრა. ერთი შეხედვით, ამ შეხვედრაში უცნაური არაფერია — ირაკლი ანუ ვიდეოსტუდიის მეპატრონე ხვდება რომელიღაც მწერალს, რათა სცენარი დაუკვეთოს.

— მე უკვე ყველაფერი ვიცი თქვენ შესახებ; ვიცი, რომ კარგად წერთ, — ეუბნებოდა ირაკლი, — ამიტომაც დაგირეკეთ, თორემ კარგად მოგეხსენებათ, ამ ქალაქში ქვა რომ ააგდო, მწერალს ან ჟურნალისტს დაეცემა თავში...

— მწერლობა სხვა რამ არის და ჟურნალისტობა — სხვა... — შეეკამათა იმწამს მწერალი.

— კი, კი, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები მწერლებთან ვერ მოვლენ, რასაკვირველია...

— რატომ? კარგი ჟურნალისტი, შესაძლოა, ცუდ მწერალს სჯობდეს კიდეც. ეს სხვა საკითხია... — გაცხარდა მაინც მწერალი, რომელიც, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა ლაპარაკობდა და ეტყობოდა, ნერვიულიც უნდა ყოფილიყო.

— გასაგებია, ამაზე კამათს ნუღარ გავაგრძელებთ, დროს ნუღარ დავკარგავთ... მიხვდით, ალბათ, რატომაც დაგიბარებდით, არა?

— ნუ, დაახლოებით... — დამშვიდდა მწერალი.

— ალბათ იცით, რომ ფილმებს ვიღებთ...

— კი, კი...

— ვიღებთ და კასეტებს ვყიდით. მშობლებიც ყიდულობენ, ბავშვებიც, მაგრამ მოგებას მაინც ვერ ვხედავთ, იმიტომ, რომ პროდუქცია არ გვივარგა. და რატომ, ალბათ ხვდებით!.. სულ ვტრაბახობთ, რომ ქართველები მაგარი ნიჭიერები ვართ, მაგარი მსახიობები გვყავს, მაგარი კომპოზიტორები, მაგარი მხატვრები, მაგარი მწერლები, ნორმალური სცენარი კი მაინც ვერავინ დამიწერა...

— თუ იმდენს უხდით, რამდენიც ამ ორი წლის წინ მე შემომთავაზეთ...

— თქვენ შემოგთავაზეთ? ჩვენ ადრეც შეეხვედრივართ ერთმანეთს? — გაუკვირდა ირაკლის.

— არ გახსოვთ, ორმოცსერიიანი სერიალის სცენარში მხოლოდ ოთხასი ლარი რომ შემომთავაზეთ?

— არა, არ მახსოვს, მაგრამ ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა. მე ვიცი, რომ თქვენ კარგი სცენარის დაწერა შეგიძლიათ.

— წინასწარ მაგას ვერავინ გეტყვით და რომც გითხრან, არ დაუჯეროთ... — გაცხარდა ისევ მწერალი.

— არც თქვენ დაგიჯეროთ? — შეეკითხა ირაკლი.

მწერალი ჩაფიქრდა.

— გააჩნია, რა გსურთ.

— ჰოო, ეს უკვე საქმიანი შეკითხვაა, — ირაკლი ფეხზე წამოდგა და მაკას მიუბრუნდა: — მაკა, გადი, რა, ცოტა ხნით დათოსთან! კონფიდენციალური საუბარი გვექნება.

— კი, ბატონო! — თქვა მაკამ და გავიდა.

— რა გვინდა, რა გვინდა... რა გვენდომება, თქვენი აზრით? — რატომღაც ოფიციალური იყო ირაკლი, რადგან ვერანაირად მიუდგა იმ კაცს, რომელიც მის პირდაპირ იჯდა.

— აბა, მე რა ვიცი, სონა მკითხავი კი არა ვარ... — გაეცინა მწერალს.

— ის ხომ იცით, რასაც ეტანება ხალხი, რა აინტერესებს და რისი ნახვა სურს?

— სადღა გვყავს ხალხი? — ხელები გაშალა მწერალმა. — იმ დღეს ქალი გამოდიოდა ტელევიზორში და — ნახირად, პირუტყვებად გვაქციესო, გაიძახოდა. არ იყო მართალი? დღეს ბრბოსაც ვერ დაარქმევ იმათ, ვინც დაგვრჩა.

— რას გულისხმობთ?

— აბა, რა ვიცი... აირია ქვეყანა, ზოგი საზღვარგარეთ გაიქცა, ნახევარი ციხეში ჩაყარეს...

ციხის გაგონებაზე, ირაკლის უსიამოვნოდ გაჰკენწლა.

— კარგი, გინდ ბრბო დავარქვათ და გინდ — ნახირი. მე გიკარნახოთ, როგორი ფილმი დაინტერესებთ?

— კი, ბატონო, გისმენთ! — სკამზე გასწორდა მწერალი.

— რა ენდომებათ?! — თითებზე ჩამოთვლა დაიწყო ირაკლიმ. — მკვლელობა, სისხლი, გაუპატიურება, ძალადობა, სექსი, ღალატი, ორგულება და რა ვიცი, ამგვარი თემები, „უჟასები“ მოკლედ...

— თქვენ ხომ საბავშვო ფილმებს იღებთ? — გაოცდა მწერალი.

— მართალია, მაგრამ შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ვიდეობიზნესში, იატაკქვეშა ბიზნესიც არსებობს და უფრო დიდი ქსელიც, ვიდრე გამჭვირვალე ანუ ჩვეულებრივ ბიზნესში. მართალია, ცენზურა გაუქმებულია, მაგრამ მაინც ხომ არის აკრძალული ფილმები ანუ ტაბუდადებული თემები...

— აკრძალული ფილმის გადაღებას აპირებთ?

— თქვენ როგორ ფიქრობთ?! თუკი იქ, სადაც კანონის უზენაესობა, ასე თუ ისე, დაცულია, მაინც იღებენ ასეთ ფილმებს, აქ, სადაც კანონი ყველას ცალ ფეხზე ჰკიდია — დაწყებული მაღალი ეშელონებით, დამთავრებული ბაზრის მოვაჭრეებით — ამის გაკეთება უფრო ადვილი არ იქნება? აი, მაგალითად, მაგარ მანიაკზე რომ გადავიღოთ, რომელიც, დავუშვათ, შედის დაბომბილ ჰოსპიტალში და იქ, გირებზე ფეხებდაკიდებულ, დაჭრილ და დაჩეხილ ჯარისკაცებს აუპატიურებს...

— კაცებს? — წარბები აზიდა მწერალმა.

— ჰო, კაცებს, კაცებს და ზოგიერთ მედდასაც. რა მოხდა მერე?!

მწერალი ერთბაშად ვერ გაერკვა, თუ ვის კაბინეტში იჯდა — საბავშვო სტუდიის დირექტორის თუ ვიღაც მონსტრის, რომელსაც პითონის თავი ება და თავისი ჭრელი, სლიკინა, ცივი კანით, მის მოხრჩობას ლამობდა.

— არ ვიცი, მე ჯერ ასეთი შინაარსის არც წიგნი წამიკითხავს და არც ფილმი მინახავს.

— ჰოდა, მით უმეტეს. სწორედაც რომ რაღაც ისეთის გადაღება მინდა, რაც ჯერ არავის გადაუღია...

— რეჟისორი გყავთ?

— აბა რა! რეჟისორებს ორ ლუკმას გადავუგდებ და გოშიებივით დამიწყებენ უკან დევნას. მაგრამ ჯერ სცენარი მჭირდება.

— თქვენ ისეთი სცენარი გინდათ, როგორიც შესაძლოა, ვერც ვერავინ დაგიწეროთ! — სკამიდან წამოხტა და ხელები გაშალა უცბად მწერალმა. — და არც ის ვიცი, რას მთავაზობთ, რა უნდა გადამიხადოთ!

— ასი დოლარი, — მოუჭრა ირაკლიმ.

— ასი დოლარი? ანუ ასსამოცდაათი ლარი?

— დიახ.

— თქვენ იცით, რას უხდიდა ავტორს ერთ სცენარში კომუნისტების დროს კინოსტუდია? — თხუთმეტი ათასს ანუ თხუთმეტი ათას დოლარს! სამოთახიან ბინას იყიდდი იმ ფულით.

— ასეთნაირად თუ შევხედავთ საკითხს, ტარანტინოს ოც მილიონსაც უხდიან სცენარში, მაგრამ დაწერთ თქვენ ტარანტი-

ნოსავით? ვერ დაწერთ. მოკლედ, მე მეტს ვერ გადავიხდი, ას დოლარს კი ნამდვილად ჩაგახუტებთ... თუ გინდათ, დაწერეთ, თუ არა და, სხვას მოვნახავთ.

— მაგრამ ისიც არ ვიცი, რა უნდა დავწერო... — მხრები აიჩეჩა მწერალმა.

როგორც ჩანს, ფულზე თანახმაა, დაასკვნა გუნებაში ირაკლიმ.

— ხომ აგიხსენით, რაც მინდა, რაც ხალხს უყვარს-მეთქი — სისხლი, ჩხუბი, მკვლელობა, გაუპატიურება... ან თუნდაც ნგრევა. არ გიხაროდათ, მანჰეტენი რომ ინგრეოდა? „ტყუპებს“ თვითმფრინავები რომ შეეჯახა, ხალხი ფანჯრებიდან რომ ცვიოდა და ცოცხლად იხრუკებოდა ცეცხლში, როგორი სანახაობა იყო?.. ანდა ინდონეზიაში, ზღვა რომ გადმოვიდა და ნახევარი ხმელეთი წალეკა... გცალიათ ერთიორი საათი?

— კი, რა საქმე მაქვს, თორმეტი წელია, უმუშევარი ვარ... — ხელი ჩაიქნია მწერალმა.

ირაკლიმ უჯრიდან ვიდეოკასეტა ამოიღო.

— მაშინ, აი, ჩაგირთავთ ამ კასეტას, უყურეთ და თვითონვე მიხვდებით...

— რა ფილმია, აკრძალული?

— დიახ, — და ირაკლიმ კასეტაზე დაწერილი სათაური წაიკითხა, — „კოშმარი, რომელმაც ცხრა დღეს გასტანა“. ნანახი გაქვთ?

— არა.

— ჰოდა, რასაც ახლა ნახავთ, ასეთი რაღაც მინდა! აი, ჩაგირთავთ და წავალ. მაკა შემოვა და რომ დამთავრდება, ის გამოგირთავთ, — ირაკლიმ ვიდეომაგნიტოფონი ჩართო, მწერალს დაემშვიდობა და წავიდა.

ეკრანი აინთო. ჯერ ტიტრები გამოჩნდა, მერე კი ფილმიც დაიწყო. მაკა შემოვიდა, ფიჯანი ყავა და თეფშით შოკოლადი მიართვა მწერალს. მერე კი, რატომღაც, კარი შიგნიდან გადაკეტა, მწერლის პირდაპირ დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, კანჭი ბოლომდე გამოაჩინა და ისიც ეკრანს მიაჩერდა.

მაკა ქერა, ოდნავ ჭორფლიანი იყო, ცოტათი გაბუშტული ცხვირი და ამობურცული ტუჩები ჰქონდა. ჯინსის მოკლე შორტი ეცვა და ჭიპი მუცლიანად მოუჩანდა. მოკლედ, მთლიანად „რაღა დაგიმალოს“ პონტში იყო გადაწყვეტილი და თვალებით ისეთ ვნებას აფრქვევდა, მხოლოდ ქართველ ქალს რომ შეუძლია.

ეკრანზე რაღაც აღმოსავლური ფილმი გადიოდა. მოქმედება უდაბნოში ხდებოდა და მუსლიმანები ბედაურებს დააგელვებდნენ.

— ეს რა ჩაუდვია, ეს რა ფილმია? — ამოიკივლა მაკამ ცოტა ხნის შემდეგ და ვიდეო გამორთო.

— რატომ გამომირთეთ, ჩართეთ რა, მაგრად მაინტერესებს, — უთხრა კაცმა სრული სერიოზულობით.

— იცით, თქვენ სულ სხვა ფილმი უნდა გენახათ. ეგ კასეტა მე გამოვცვალე, სხვა კასეტა ჩავდე ყუთში და ირაკლის შეეშალა. აი, თქვენ ეს ფილმი უნდა გენახათ.

მაკამ კასეტა გამოცვალა და ვიდეომაგნიტოფონი ისევ ჩართო.

ფილმი რუსული იყო, რომელშიც ისეთი საზიზღრობა ხდებოდა, ვერც ერთ ჟანრს ვერ მიაკუთვნებდით. მოკლედ, სექსუალურ ურთიერთობათა აღრევა მიდიოდა: ავადმყოფი, ინვალიდი, ჯანმრთელი, დიდი, პატარა, ბავშვი თუ მოხუცი — ყველა და ყველაფერი ერთმანეთში იყო არეულ-აზელილი... ერთი სიტყვით, გენიტალიების ცვენა ანუ სიწმინდეთა მსხვრევა და ყველა ის მანკიერება იყო ნაჩვენები, ჩვენმა „სახელოვანმა“ ანტისაუკუნემ რომ მოგვიტანა.

მაკა იჯდა და მწერალთან ერთად, სრულიად გულგრილად უმზერდა იმ სიბილწეს, რაც ეკრანზე ხდებოდა.

ფილმი დასრულდა. მწერალი პირმოკუმული იჯდა და აღშფოთებული, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— მოგეწონათ? — შეეკითხა მშვიდად მაკა მწერალს. — აი, დაახლოებით, ასეთ მანიაკებზე უნდა, რომ გადაიღოს. ჯერ ჩვენთან ასეთი რამ არავის გადაუღია. დაწერთ?

მწერალს ხმა არ ამოუღია, ქალს უმზერდა და ეჩვენებოდა, რომ ის ფილმში ნანახი პერსონაჟებისგან არაფრით განსხვავდებოდა. „არარაობა გამიგია, მაგრამ ასეთი? არარაობათა არარაობაა, ეს ჩემალალა“, — დაასკვნა გუნებაში და წამოდგა. კართან მივიდა, გამოაღო და მაკას თითით დაემუქრა.

— მაგ შენს ნაბიჭვარ უფროსს გადაეცი ჩემგან, — არსად შემხვდე, თორემ დედას მ...-თქო! — მერე კარი მთელი ძალით გაიჯახუნა და იქაურობას გაეცალა.

როცა ირაკლი დაბრუნდა და მაკას ჰკითხა, — რაო, იმ მჯღაბნელმა, რა თქვაო? — მაკამ კეკლუცად უპასუხა:

— აუცილებლად მოვიფიქრებ რამეს, დავწერ და მოგიტანთო.

— ყველა ასე ამბობს და ბოლოს ნაგავი და მაკულატურა მოაქვთ მარტო.

— იცით, ერთი ფილოსოფოსი ბიბლიოთეკებს რას უწოდებდა?

— რას?

— „უბორნიებს“, ტვინის ნეხვის „უბორნიებს“.

მოდი და გაუგე ამ ქვეყანას რამე...

ალბათ გაინტერესებთ, რატომ არ დაიჭირეს ირაკლი. ჩემი აზრით, მხოლოდ იმიტომ, რომ სამართალდამცავები მიხვდნენ — ირაკლი რა მოტივითაც არ უნდა დაეჭირათ, მასმედიის მიერ აგორებული გუტა გელაშვილის მკვლელობა გადაწონიდა და მის დაჭერას ვინ იცის, რას დაუდებდნენ სარჩულად... მოკლედ, საფიქრებელია, რომ ირაკლი რესტორანში მომხდარმა ინციდენტმა გადაარჩინა, რადგან ნაკლებსავარაუდოა, პარლამენტარ ილია ჭიჭინაძეს ამოეღო ხმა... თუმცა, ვინ იცის?! ყველაზე მეტად კი, ალბათ, ისევ მურაზ ლეშელის მცდელობამ გაჭრა, რომელსაც შვილის ბედი, თავის სკამზე ნაკლებად როდი ანაღვლებდა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ირაკლი გადარჩა და ისევ თავის „საზოგადოებრივ მოღვაწეობას“ დაუბრუნდა.

ამასობაში, ანიმ, რომელმაც ირაკლის ბოლოდროინდელი თავგადასავლების შესახებ არაფერი იცოდა, დაადო თავი და მისი წილი ფული სახლში აუტანა. იქ კი უცნობი ტიპები დახვდნენ.

— მობრძანდი, დაიკო! — შეიპატიჟა ანი შავსათვალიანმა და შავმაისურიანმა ბიჭმა.

ანი სახლში შევიდა თუ არა, ცხვირში წამლის უცნაური სუნი ეცა. იქაურობა ისევ ნაგვით იყო სავსე. ანი უცნობ ბიჭებს არ მოერიდა.

— რა ხდება, საღორეა? — იკითხა და მაგიდაზე დაყრილ „პლანის“ მომწვანო-მონაცრისფრო ფხვნილს დააცქერდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჰო! — მოკლედ მოჭრა სავარძელში გადათხლეშილმა ტიპმა, რომელიც რკინის მუნდშტუკით, ალბათ „პლანს“ აბოლებდა.

— ირაკლი სად არის? — იკითხა ანიმ, რომელიც ჯერ ისევ ფეხზე იდგა და ჩანთა გულში ჩაეხუტებინა.

— ციხეში... — თქვა იმავემ და მუნდშტუკი სათვალიანს მიაწოდა. იმანაც გამოართვა და ბოლი შეისრუტა. — დილას წაიყვანეს... — განაგრძო იმავემ. — ხვალ, ალბათ, ორთვიანს შეტენიან და მერე გაასამართლებენ.

— სად წაიყვანეს, რომელ განყოფილებაში? — იკითხა ანიმ.

— ალბათ, ვაკეში ჯერ... ან კაპეზეში... — თქვა სავარძელში გაბრტყელებულმა.

ძმის დაჭერა ანის არც გაჰკვირვებია და არც სწყენია. არც ის იცოდა, რა უნდა ეთქვა და უცბად წამოსცდა.

— თქვენ ვინ ხართ?

— შენ? — იქით დაუსვა შეკითხვა სავარძელში ჩაფლულმა ტიპმა და უკან დაბრუნებული მუნდშტუკი შეათვალიერა.

— მე ირაკლის და ვარ, — უპასუხა ანიმ.

— ჩვენ პოლიციას ველოდებით. სახლი უნდა დალუქონ და ხელს რომ არაფერი გააყოლონ, ვდარაჯობთ! — თქვა სავარძელში მჯდომმა და მეორეს შეხედა, — ხომ ასეა?

— ჰო! — თქვა მან და ფეხი ფეხს მიატკუცა.

— პოლიციას ელოდებით და „პლანს“ ექაჩებით? — გაიკვირვა ანიმ. — თან მაგიდაზეც გიყრიათ?

— თორმეტზე მოვალთო და თორმეტამდე ამის მოწევას რა უნდა?! — თქვა სავარძელში მჯდომმა და „პლანი“ სამი თითით მოსრისა. — აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო? — და ეს გაცვეთილი, „პლანაქეშების“ საყვარელი ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა.

— რაზე დაიჭირეს? — იკითხა ანიმ.

— ფინანსური მაქინაციები, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების დატაცება და გაფლანგვა...

— დიდი ოდენობის? მაინც რამდენის? — დაინტერესდა ანი.

— სამასი ათასის.

— სამასი ათასის? ირაკლიმ სამასი ათასი შეჭამა? — პირი დააღო ანიმ. — კარგი მადა ჰქონია.

— გიყვარდეს... მადა ჭამაში მოდისო. გინდა? — და სავარძელში მჯდომმა, ანის მუნდშტუკი გაუწოდა.

ანის, მართალია, არასოდეს მოეწია „პლანი“ და არც ახლა აპირებდა, მაგრამ მომენტი ჩაუვარდა; თანაც იცოდა, ერთი ნაფაზი არაფერს ავნებდა. ბოლოს და ბოლოს, მის გარშემო არავინ იყო ისეთი, ერთხელ მაინც არ ჰქონოდა გასინჯული. ჰოდა, მანაც გამოართვა.

— სკამზე დაჯდომას არ მთავაზობთ და „პლანს“ მტენინთ? ძალიან კარგი... — და ანიმ ოდნავ შეახო ტუჩები მუნდშტუკის პირს და მოქაჩა. მშრალი, რაღაც გრილი მასა ჩაეფინა ფილტვებში და მერე მთელ სხეულში ტალღასავით დაუარა.

— საღოლ! — მიაშტერდა სავარძელში მჯდომი, — უარს იტყვის-მეთქი, ვიფიქრე... მაგარი ყოფილხარ!

— პირველად გავსინჯე... — თქვა ანიმ და გაიცინა, — უბრალოდ, მაინტერესებდა.

— მერე? როგორი იყო? — შეეკითხა სავარძელში მჯდომი.

— ასე მგონია, ავფრინდები, რაღაც ძალიან ავმჩატდი... — თქვა ანიმ და კიდევ გადაიკისკისა. მერე კი ბიჭებს შეხედა. ნეტავ რა მემართებაო, — გაიფიქრა. ბიჭებიც იკრიჭებოდნენ.

— დაგველოდე და სამივე ერთად გავფრინდეთ, აბა ჰე, ავაფართხუნოთ ფრთები. სამი, ორი, ერთი, ფრიი! მივფრინავთ, მივფრინავთ!

— მე წავედი, თქვენ იფრინეთ! — თქვა ანიმ და გავიდა.

პირველი, რაც ანის უნდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ ირაკლის ფული დაებინავებინა. მაგრამ ბანკში რომ მის სახელზე შეეტანა, შესაძლო იყო, ირაკლის ფული დასჭირვებოდა და ვეღარ გამოეტანა. ანიც ადგა და თავის სახელზე შეიტანა. ბანკიდან გამოსვლის შემდეგ, ირაკლის ამბის გასაგებად, პოლიციაში მისვლა გადაწყვიტა და ავტობუსში ჩაჯდა. ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო, ქუჩა კი — მანქანებით გადატენილი. ნელა, ტაატით მიიწევდნენ წინ. ანი რაღაც უცნაურ გამოფიტვას და დაღლას

გრძნობდა. ვერც კი გაიგო, როდის და როგორ გადავიდა რეალური სამყაროდან ირეალურში.

...პატარა იყო, ალბათ, სულ ოთხი-ხუთი წლის. ფეხზე მწვანე „ბოსანოშკები“ ეცვა და დედასთან ერთად, ყვავილებიან ველზე პეპლებს დასდევდა.

— დავიჭირე, დავიჭირე, პატარა პეპელა დავიჭირე, — დაიყვირა ანიმ, როგორც კი პეპელას თავისი ბუნჩულა ხელი დააფარა. უეცრად ხელისგულზე ისეთი მწარე ჩხვლეტა იგრძნო, სიმწრით აღრიალდა და ხელი მაშინვე აუშვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: ფუტკარს მის რბილ კანში ნესტარი ჩაესო და ზედვე დაჰკონწიალებდა.

— მიკბინა, მიკბინა, პეპელამ მიკბინა! — ღრიალებდა ანი და გამწარებული ხელს იქნევდა, ფუტკარი რომ მოეცილებინა... და უცებ, ისე მაგრად მიარტყა ავტობუსის წინა სკამის რკინის საზურგეს თითები, რომ იმწამს რეალობას დაუბრუნდა.

„ნუთუ ჩამეძინა?“ — გაიფიქრა და მიიხედ-მოიხედა. სწორედ იმ ქუჩას მიახლოებოდნენ, სადაც პოლიციის შენობა იყო.

— რა გვარია? — შეეკითხა მორიგე პოლიციელი, როცა ანიმ საქმის ვითარება აუხსნა.

— ბერიძე. ბერიძე ირაკლი, — გარკვევით წარმოთქვა ანიმ.

— არა, ასეთი არავინ გვყავს.

— სხვაგან ხომ არ ეყოლებათ?

— მაცალე და ამწუთას გაგიგებ. — უპასუხა პოლიციელმა და ტელეფონის ყურმილი აიღო. — აქვსენტ, გიორგი ვარ... ნახე რა, თუ ძმა ხარ, ბერიძე...

— ირაკლი, — უკარნახა ანიმ.

— ბერიძე ირაკლი თუა დაკავებული? — და ანის მიუბრუნდა. — ახლავე, კომპიუტერში შეამოწმებს... — და ისევ ყურმილში ჩასძახა. — გუშინ ან დღეს, რა ვიცი... ჰო?

— კი, კი... — უპასუხა ანიმ.

— არაო, არც დღეს, არც გუშინ და არც ბოლო კვირას, ასეთი არავინ აუყვანიათო.

— იქნებ, არ არის კომპიუტერში შეყვანილი?

— გამორიცხულია, როგორ გეკადრებათ! თქვენი ვინ არის?

— მეგობარი... — იცრუა ანიმ, მორიგეს მადლობა გადაუხადა და გარეთ გამოვიდა. ქუჩა თავისი ჩვეული რიტმით ხმაურობდა. ანი ხალხის ნაკადს შეუერთდა.

ირაკლის, თქვენთვის ცნობილი, ობიექტური მიზეზების გამო, იმ დღეებში მობილური გამორთული ჰქონდა და ანიც ამიტომ ვერ უკავშირდებოდა. ისევ სცადა დაჰკავშირებოდა, მაგრამ კვლავ — უშედეგოდ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

klinikuri Zilis Semdeg boZebuli niWi

ნათელმხილველ ეკა სულაბერიძე-სილაგაძეს ბევრი ადამიანი ემადლიერება და უმეტესობა მას ყოვლისშემძლე ფსიქოლოგს უწოდებს.

ბავშვობიდანვე ვგრძნობდი, ამა თუ იმ ადამიანს რა ელოდა. 19 წლის ვიყავი, როცა მძიმე ქალური ოპერაცია გავიკეთე, რის შემდეგაც, 4 დღე კლინიკური ძილი მქონდა. მდგომარეობიდან რომ გამოვედი, ხილვები დამეწყო. სხვათა შორის, ბებიაჩემი, რომელიც იმ დროისთვის გარდაცვლილი გახლდათ, თავის დროზე ფიტოთერაპევტი იყო, მცენარეებით ჭლექით დაავადებულ ადამიანსაც კი არჩენდა. კლინიკური ძილის დროს ისიც გამომეცხადა და თავისი საიდუმლოებები გამანდო... ვხსნი საგვარეულო წყევლას, შემიძლია ჯადოს მოხსნა, ჩაკეტილი ბედის გახსნა, დანაკარგის პოვნა, დანგრეული ოჯახის აღდგენა და ა.შ. ამ ყველაფერს ვაკეთებ ლოცვებისა და სანთლების მეშვეობით... იყო ერთი შემთხვევა, როცა ჩემთან ბიზნესმენი გოგო მოვიდა, მას ოჯახში ფული ეკარგებოდა და არ იცოდა, ამას ვინ აკეთებდა. პირდაპირ დავუსახელე შინაურის სახელი. ერთ დღეს ის ისევ მოვიდა, ვიღაცის სურათი დამიდო და მითხრა: ეს სურათი სხვისია და მაინტერესებს, ამ პიროვნებას რა სჭირსო? ხილვა დამეწყო და ვუთხარი: ეს პიროვნება 2-3 წლის წინ სიკვდილს გადაურჩა. ახლა რაღაც გასაღებზე ნერვიულობთ და შენთვის უცხო პიროვნება კი არა, შენი ძმაა-მეთქი. გადაირია ის გოგო, მართალი ხარო... დღეში ბევრი ადამიანის მიღება არ შემიძლია, მხოლოდ ერთს ვიღებ. მას ერთი საათი მაინც ვესაუბრები და მერე, ენერგიისგან ვიცლები, მისი აურა ჩემზე გადმოდის და ცუდად ვხდები... ნათელმხილველობის ნიჭი უფალს ჩემთვის გამდიდრების მიზნით არ უსწავლებია, მე ხალხს უნდა დავეხმარო. სხვათა შორის, როცა ადამიანს ვეხები, ვგრძნობ, თუ რა პრობლემა აქვს მას, რა დაავადება სჭირს და ვუსვამ ისეთ დიაგნოზს, როგორსაც ექოსკოპია ადგენს. შემიძლია ქალის ორსულობის დადგენა და ბავშვის სქესის ამოცნობაც.

ქალბატონი ეკა გადავიდა მისამართზე: ლელაშვილის ჩიხი, №4. ტელეფონი: 96.78.01 და 8(93). 26.58.82. (ჩაეწერეთ წინასწარ).

R

„ზესტაფონში ცხოვრების პერიოდში, ერთადერთი, რითიც სხვებისგან გამოვირჩეოდი, ის იყო, რომ მეკეთა რკინისა და ტყავისგან დამზადებული სამაჯურები. სხვათა შორის, მათ თავადვე ვქმნიდი... მაგრამ დღეს, სხვებისგან რაღაცით მართლა გამოვირჩევი“, — ამბობს ნიკა გრიგოლია, რომელმაც ბავშვობის ოცნება მხოლოდ 22 წლის ასაკში აიხდინა.

ჯანტომ დაშოჯდა ნიკა ბჯიგოლია თავის „ეეგობაბჯს“ და სიუჯაჯიგი, ჯოგლითაც ეეულლე ეოსიგლა

„ჩიტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვულავ, როცა ძალიან მომშივდება“...

ლიკა ქაჯაია

— თინეიჯერი ბავშვი აღარ არის, ამიტომ ეს ასაკი ჩემთვის მხოლოდ მხიარულებასა და ლაღ ცხოვრებასთან არ ასოცირდება.

— 13 წლის ადამიანი ბავშვი არ არის?

— არა, 13 წლის ადამიანს უკვე ჭკუა მოეთხოვება.

— რითი განსხვავდებიან შენი თაობის თინეიჯერები დღევანდელებისგან?

— დღეს უფრო მეტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ, რაც მათ აძლევს იმის საშუალებას, რომ განსხვავებული ცხოვრების, ჩაცმის, სირბილის, ჭამის და სხვა რაღაცების სტილი თავადვე აირჩიონ.

— ამბობენ, რომ დღეს თინეიჯერები ძალიან უკომპლექსოები არიან...

— ამას ყველა თინეიჯერზე ვერ ვიტყვი. შეიძლება, მათ შორის ბევრი უკომპლექსო იყოს, მაგრამ ბევრიც კომპლექსიანია. ეს რომ შეამჩნიო, თვალის კარგად გახელაა საჭირო.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— ჭკვიანი ბავშვი ვიყავი, სკოლა ფრიადებზე დავამთავრე. გაკვეთილებს ვსწავლობდი და როცა ვეშმაკობდი, ამას ყველას არ ვუმხელდი. ჩვენს დროს, სკოლაში ე.წ. „დიმაუშკების“ აფეთქება იყო მოდაში. ის ბოლს რომ უშვებდა, ვიგუდებოდით, მაგრამ მაინც გვიხაროდა...

— რა გიხაროდათ?

— აბა, მე რა ვიცი, რა გვიხაროდა, მაგრამ ასე იყო. თანაც, ამ ჩვენს მაიმუნობას რაც მეტი მოსწავლე შეიტყობდა, უკეთესი იყო, რადგან ისინი მაგარ ბიჭად მიგიჩნევდნენ... მაგრამ მე ჩემი ხრიკები მქონდა, რომლის შესახებაც მხოლოდ მე და ჩემმა ორმა მეგობარმა ვიცოდით. ასე რომ, ჩემზე ვერავინ იფიქრებდა, ცუღლუტიაო.

— ანუ, ჩუმჩუმელა იყავი?

— ჰო *(იცინის)*.

— რა ხრიკები გქონდა?

— მასწავლებელს ჭიკარტებს ვუწყობდი სკამზე ან ლურსმანს ვუჭედებდი სკამის ქვეშ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სხვა რაღაცებს ვაკეთებდი.

— მაინც, რას აკეთებდი?

— მაგალითად, საკლასო ოთახის კედელში, კართან ახლოს, შტეფსელის ბუდეში პატარა მაგნიტოფონის დინამიკი ჩავამონტაჟე და ზონარი ისე გამოვიყვანე, რომ შეუმჩნეველი ყოფილიყო: ამომტვრეულ კედელს თაბაშირი თუ რაღაც მაგდაგვარი წავუსვით. მერხის ქვეშ დამალული მქონდა ფლეიერი, რომელსაც გაკვეთილზე ვრთავდი ხოლმე. მასწავლებელი რას მოიფიქრებდა, მუსიკის ხმა კედლიდან თუ გამოდიოდა და როცა მუსიკა აუღერდებოდა, ფიქრობდა, რომ გარეთ ვიღაცამ მაგნიტოფონი ჩართო. კართან მივიდოდა თუ არა, ფლეიერს გამოვრთავდი. ის გარეთ გავარდებოდა და პირველსავე შემხვედრ მოსწავლეს ეჩხუბებოდა...

— კლასში ჩამშვები ტიპები არ გყავდათ?

— ჩემს კლასში ასეთი არავინ იყო... იცი, ერთხელ სკოლაში ხვლიკი მივიყვანე და გამექცა. დარბოდა თავისთვის. მერე ძლივს დავიჭირე და სახლში წავიყვანე.

— სკოლაში მისი წაყვანა რამ გადაგაწყვეტინა?

— სპეციალურად არ წამიყვანია, უბრალოდ, სულ ჯიბით დამყავდა და სკოლაშიც „გამყვა“.

— მეგობრობდით?

— ჰო, თანაც, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში... აქაც მყავდა, ტელევიზიაში, მაგრამ მერე გავუშვი. ჩემს ხვლიკს გოგიტა ერქვა.

— მაინცდამაინც გოგიტა რატომ შეარქვი?

— რა ვიცი... შენ რატომ დაგარქვეს ლიკა? ჩემი ხვლიკი იყო და რაც მინდოდა, ის დავარქვი.

— „მეგობარს“ შენგან წასვლის უფლება რატომ მიეცი?

— იმიტომ, რომ ჩემთან მთლად კომფორტულად ვერ გრძნობდა თავს და შემეცოდა.

— ეს მას შემდეგ, რაც ცოლი მოიყვანე?

— *(იცინის)*. არა, კაცო, ეგ რა შუაშია?!. უბრალოდ, დისკების ყუთში მყავდა გამომწყვდეული და მოიწყინა...

— სკოლიდან „შატალოზე“ სად მიდიოდით?

— სადმე, ზესტაფონის „ქალაქგარეთ“ *(იცინის)*. სამწუხაროდ, ზოოპარკი არ გვქონდა, რომ ცხოველები მოგვენახულებინა, მაგრამ იყო რაღაც ადგილები, სადაც შეიძლებოდა, მასწავლებლებისაგან თავი დაგვეღწია. ძირითადად, შორაპნის ციხეში მივდიოდით. ეს იყო „შატალოსთვის“ ძალიან „ცვეტნოი“ ადგილი.

— იქ რითი ერთობოდით?

— არაფრით, რაღაც სიდებილეებს ვაკეთებდით. მთავარი ის იყო, რომ გაკვეთილებს ვაცდენდით და ეს სიამოვნებას გვანიჭებდა... რაღაცას დავლევდით, ვთქვათ, ერთ ჭიქა ღვინოს და „დაღლუწუნებულებს“ მერე გვეგონა, რომ მაგარი „როჟები“ ვიყავით და ეს გვიხაროდა.

— გაკვეთილის გაცდენის გამო მასწავლებლები არ გიბრაზდებოდნენ?

— სამასწავლებლოში შეგვყრიდნენ, საყვედურს გამოგვიცხადებდნენ და ეგ იყო... გვყავდა ისეთი მასწავლებლებიც, რომლებსაც მთელი კლასი უჯერებდა... მაგალითად, ბიოლოგიის მასწავლებელი მარტო იმას კი არ გვიხსნიდა, რომ ბაყაყი ნაწლავებისგან შედგება, არამედ უფრო საინტერესო თემებზეც გვესაუბრებოდა. მან ერთხელ ნახა, რომ ქუჩაში ტირის თოფით ჩიტებს ვხოცავდი და მეორე დღეს, გაკვეთილზე, მთელი 20 წუთი ბავშვებს იმას გვიხსნიდა, რომ ჩიტების დახოცვა არ შეიძლება. მართალია, ამის შემდეგ, მათ მაინც ვესროდი ტყვიას, მაგრამ რომელიმეს თუ მოვკლავდი, ამას განვიცდიდი.

— მაშინ, რატომ ხოცავდი?

— რა ვიცი... შურდულით ბავშვები მინებს რომ ამტვრევენ, ამას რატომ აკეთე-

ბენ?!. ჩემს პონტში, მონადირე ვიყავი: ვესროდი, ვკლავდი და მიხაროდა.

— **ჩიტებს ახლაც ხოცავ?**

— არა, ახლა ჩიტებისთვის აღარ მცალია.

— **და რომ მოიცალო?**

— ალბათ, აღარ დავხოცავ, რას ვერჩი იმ საცოდავებს?!. არა, ჩიტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვკლავ, როცა ძალიან მომშივდება და ჩიტის ხორცის გარდა, ვერაფერს შევჭამ (*იცინის*).

— **მშობლები რაიმეს თუ გიკრძალავდნენ?**

— მხოლოდ იმას მეუბნებოდნენ, სხვას ბოროტება არ გაუკეთოო.

— **ქუჩაში დგომას არ გიშლიდნენ?**

— არა, რადგან ზესტაფონში ქუჩაში თუ არ გაივლიდი, შეიძლება გაგეფრინა, რადგან სხვას ვერაფერს გააკეთებდი: შუქი არ იყო, სახლში საინტერესო არაფერი ხდებოდა...

— **„ქუჩის ბიჭებთან“ დგომას მშობლები არ გიკრძალავდნენ?**

— ჩემს უბანში ისეთი კარგი „ქუჩის ბიჭები“ არიან, რომ კარგი იქნება, თუ აქედან გავგზავნით ყველა თინეიჯერს და მათთან დავაყენებთ (*იცინის*)... იმაში, რასაც საქართველოში ქუჩის აკადემიას ეძახიან, კარგს ვერაფერს ვხედავ და მოარული ფრაზა: ბიჭმა ქუჩაც უნდა იცოდესო, — სისულელედ მიმაჩნია.

— **შენ როგორ ერთობოდი უბანში?**

— აქ სხვანაირი ქუჩაა, ზესტაფონში — სხვანაირი. იქ სიმყუდროვეა, ყველა ყველას იცნობს, მობილურის წასართმევად არავინ ჩაგისაფრდება. ბიჭებს გვქონდა გაკეთებული სკამები, ვიჯექით და ვსაუბრობდით საინტერესო თემებზე.

— **ანუ აბირუავებდით?**



ყველაზე მაგარი სიურპრიზი მაშინ მოვუწყვე, როცა ცოლად მოვიყვანე

— ჰო, აბა, რა. რომელი უბანია საქართველოში ბირჟის გარეშე?!

— **ალკოჰოლურ სასმელსაც სვამდით?**

— არა, ალკოჰოლი არასდროს მყვარებია. პირველად 16 წლის ასაკში დავლიე. მას მერე როდის დავთვერი, აღარც მახსოვს...

— **ეტყობა, პირველად ისე დათვერი, რომ მწარედ დაგამახსოვრდა, არა?**

— პირიქით, ძალიან მაგრად მახსოვს პირველი სიმთვრალე. მაშინ აბიტურიენტი ვიყავი, მათემატიკურზე ვაბარებდი. მეგობრის ოჯახში გახლდი, ახალ წელს ვზეიმობდით. მეუბნებოდნენ: აუ, რა მთვრალი ხარო. მათ ვუთხარი: დაგიმტკიცებთ, რომ ფხიზელი ვარ; მოდი, ნებისმიერი ამოცანა მითხარით და ამოვხსნი-მეთქი. მართლაც დავუმტკიცე ყველას, რომ გონზე ვიყავი... სმის მოყვარული არასდროს ვყოფილავარ და ლოთობას არც არავის ვურჩევ.

— **შენი თინეიჯერობის დროს მაგარ ბიჭობად რა მიიჩნეოდა?**

— ჩემთვის მაგარი ბიჭი არის ის, ვინც ინდივიდუალური ანუ დამოუკიდებელი (ამ სიტყვის სწორი გაგებით) ადამიანია, ჰყავს ბევრი მეგობარი, არის კეთილი, მხიარული და არა ის, ვინც დანას ან „აბრეზს“ ატარებს, უაზროდ ჩხუბობს, ბოროტებას სჩადის.

— **შენ არასდროს გიჩხუბია?**

— სხვათა შორის, ცხოვრებაში სულ თითზე ჩამოსათვლელად თუ მიჩხუბია. ერთხელ, შეიძლება ითქვას, რომ რაღაცის გამო მცემეს და დღეს ისინი ჩემი მეგობრები არიან. როცა ვიკრიბებით, იმ ამბავს ვიხსენებთ და კარგადაც ვხალისობთ. საერთოდ, ჩხუბი ყოველთვის ვიღაცის უტვინობის გამო ხდება, შარიანი ადამიანები ჩხუბობენ.

— **შენც შარიანი ხარ?**

— არა, მაგრამ მაშინ თინეიჯერები ვიყავით და რას ვბოდავდით, თვითონაც არ ვიცოდით.

— **ქალის გულისთვის სისულელეები თუ ჩაგიდენია?**

— ერთი „კასა“ მქონდა, სადაც მშობლები ფულს მიყრიდნენ ხოლმე, სხვათა შორის — კარგად ბლომად. ეს ისეთი „ნავაროჩენი“ რკინის კასა იყო, ვერ გატეხდი (მანამდე რაღაც თიხის ყულაბა გვქონდა, რომელსაც მე და ჩემი ძმა ვტეხდით და რაღაც სისულელეებში ვხარჯავდით). ეს „კასა“ გავხსენით და იმ ფულით შეყვარებულისთვის რაღაცებს ვყიდულობდი.

— **მაინც, რას?**

— მაშინ რა უნდა მეყიდა, კევებს ვყიდულობდი და მერე, ის ან არ მართმევდა, ხან მე მრცხვენოდა მიცემა და სხვებს ვჩუქნიდი. აბა, რად მინდოდა 20 კევი ან იმ გოგოს რად უნდოდა (*იცინის*)?!. სერენადები არასდროს მიმღერია, რადგან ნამდვილად ვიცი, ვინმეს რომ ვუმღერო, ჩემზე რომც გიჟდებოდეს, გადამიყვარებს.

— **რატომ?**

— ჩემი „სერენადული“ მონაცემების გამო (*იცინის*).

— **ქალებს სიურპრიზებით არ ანებივრებდი?**

— მხოლოდ იმას, ვინც მართლა ანუ სერიოზულად მიყვარდა და ვინც დღეს ჩემი ცოლია.

— **იქნებ, ერთი სიურპრიზი მაინც გაიხსენო, რომელმაც შენი მეუღლე ძალიან გაახარა...**

დაახლოებით 22 წლის ვიყავი, როცა ოცნების ახდენა თავად მოვახერხე...

— ვაჰ, კაცო, რომელი ერთი გავიხსენო... თან, რაღაც განსაკუთრებული გინდა, არა?.. აა, ყველაზე მაგარი სიურპრიზი მაშინ მოვუწყვე, როცა ცოლად მოვიყვანე (*იცინის*).

— **როცა ყური გაიხვრიტე და თმა შეიღებე, ამაზე შენი ოჯახის წევრებს და მეგობრებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— თავიდან არ მოეწონათ. მაგალითად, ჩემი ძმისთვის პირველად, მიუღებელი იყო ჩემი უცნაურად აბურძგნილი თმა (ჯერ კიდევ მანამ, სანამ ტელევიზორში გამოვჩნდებოდი). მაგრამ ის გონიერი ადამიანია და ამას შეეგუა. ასეთივე რეაქცია ჰქონდათ მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს... როცა ახლობელი ადამიანები ხედავენ, რომ ყურის გახვრეტაში ან მის მოჭრაში ცუდი არაფერია, ამით არაფერს აშავებ, მაშინ არავინ უნდა შეგეწინააღმდეგოს. ხოლო თუ უცნობ ადამიანს ჩემში რაიმე არ მოსწონს, სიმართლე გითხრა, ეს სულ არ მადარდებს... საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში, ადამიანს ნაკლებად აინტერესებს, ქუჩაში კაცი ყურგახვრეტილი დადის თუ რაიმე უჩანს. რამდენად მარტივად უნდა აზროვნებდეს ადამიანი, რომ სხვისი ჩაცმულობის გამო გაღიზიანდეს. მაგალითად, თუ ვიღაც მთელი ცხოვრება ასკინკილათი დადის, ჩვენთან შეიძლება პრობლემა მასაც შეუქმნან: ვიღაცები იტყვიან, — გიჟიაო და საქმის გასარჩევად მივლენ — ძმაო, ცალი ფეხით რატომ დახტუნავ, მეორეც დაადგიო. იხტუნოს, კაცო, რაში მაინტერესებს, ცალი ფეხით ივლის, ორით თუ მე-

სამეც გამოებმევა?.. ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ მაღიზიანებს.

— რას გულისხმობ?

— მარაზმს და იდიოტიზმს — ანუ იმას, როცა ვიგებ, რომ ვიღაცამ ვიღაც დაჭრა, ცემა, მოკლა. არ მესმის, რისი ან ვისი გულისთვის უნდა დაიდო ადამიანის ცოდვა.

— როგორ ფიქრობ, რითი განსხვავდებიან ქართველი და უცხოელი თინეიჯერები ერთმანეთისგან?

— სამწუხაროდ, უცხოელი თინეიჯერები უფრო მაგრად ერთობიან, ვიდრე ქართველები. ზოგი გართობას ჭამა-სმასა და ლოთობაში ხედავს. ჩემთვის გართობა მეგობრებთან ერთად ყოფნა, მათთან ერთად ცოტაოდენი ლუდის დალევა, კარგი მუსიკას მოსმენა, მოტოციკლეტით სიარული და რაღაც საინტერესო თემაზე მსჯელობაა. ზოგს ამ ყველაფერს კლუბში წასვლა ურჩევნია, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იქ გაერთოს და იცეკვოს, დათვრება, სიგარეტის მოწევით გასკდება და მერე ვიღაცას აუშარდება. სიგარეტის მოწევას სჯობს, სხვა რამით დაინტერესდნენ, ივარჯიშონ, ირბინონ, სიგარეტის ფული მოაგროვონ და ველოსიპედი იყიდონ. სამწუხაროდ, საქართველოში თინეიჯერების უმეტესობას ველოსიპედით სიარულს, შავ BMV-ში ჯდომა ურჩევნია.

— ალბათ იმიტომ, რომ გოგოებს მოაწონონ თავი...

— შენ გგონია, რომ გოგოებს ასეთი მარიაჟი ტიპები მოსწონთ?

— ბევრს მოსწონს...

— ჰო, მართალი ხარ, ბევრს მოსწონს ვითომ სერიოზული ტიპი ანუ ისეთი, რომელიც არ იღიმება, ძალიან „ძერსკია". მაგრამ დამიჯერე, ბევრი ისეთი მხიარულ ადამიანს ანიჭებს უპირატესობას, რომელიც თავისი ასაკის შესაფერისად იქცევა.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— მუსიკის (როკს ვუსმენდი) და მოტოციკლეტის. ყოველთვის ვოცნებობდი, მყოლოდა საკუთარი „მოტო".

— ეს ოცნება როდის აისრულე?

— დაახლოებით 22 წლის ვიყავი, როცა ოცნების ახდენა თავად მოვახერხე....

— სახლში როკერების პლაკატები თუ გქონდა გაკრული?

— სავარჯიშო ოთახში მქონდა ვიღაცების პლაკატები გაკრული.

— მუსიკაში ვარჯიშობდი თუ პლასტიკაში?

— *(იცინის).* არა, ფიზიკურ ვარჯიშში... მქონდა ჩემი სავარჯიშო „ლეიბი", ასაწევი ძელი, ჰანტელები, ტრენაჟორები და იქ გავაკარი როკერების პლაკატები.

— რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ყველა ადამიანს და განსაკუთრებით, თინეიჯერებს ვურჩევდი, რომ ყველანაირი ბოროტება ამოიგდონ თავიდან და იფიქრონ ნორმალურ გართობაზე. იმხიარულონ, იცინონ, არ „დაიგრუზონ", ბოროტებაზე არ იფიქრონ. ■

„მაჯლაღიბაში" ყალანაშაულებული „ყარაჩოხელი" ბალი და ფიფი რაშაბა ამხელრებული „აკაკიშვილი" ბაყა

ანუ „ბემიყვარდები, მაგრამ ცოლად ვერ მიგიყვან"...

გიორგი ბ, *21 წლის:*

„სოფო, სოფრინე, სოფიკო თუ როგორ მოგეფერო? ახლობლები როგორ მოგმართავენ? ძალიან მაგარი „მასტი" ხარ, ქალი „ყარაჩოხელი". შენა და, ძველი ბიჭი რომ შეგიყვარდეს, თანაც, „გალიაში გამომწყვდეული" (ციხეს ვგულისხმობ), ნეტავ, მერე რაღას იტყვი?.."

სოფო გორდაძე:

— ჩემი კარგო, „გალიაში გამომწყვდეული" ბიჭი იმ უბრალო მიზეზის გამო არ შემიყვარდება, რომ ციხეში არ დავდივარ და თუ ადამიანი არ ვნახე, ისე არავინ შემიყვარდება... სახლში სოფოს, ზაზუნას (ეს სახელი „ჯეიობარის" შემდეგ შემრჩა) და რა ვიცი, კიდევ რას აღარ მეძახიან. მაგრამ ვერ ვიტან, როცა სოფიკოთი მომმართავენ, ამიტომაც ამ სახელს არავინ მეძახის.

მიკი, *15 წლის:*

„სოფო, როგორ ხარ, სიხარულო? ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. აღფრთოვანებული ვარ შენი აზროვნებით და ამიტომაც, ძალიან მინდა, რაიმე მირჩიო. საქმე ის არის, რომ ერთმა ჩემმა „პაკლომ" (რომელიც ცოტა არ იყოს, მეც მომწონდა) გული შემიწუხა. ერთიორჯერ გავუღიმე და ჰგონია, რომ ჩემი კონტროლის უფლება აქვს. ყველა თაყვანისმცემელი ისე დამიშინა, რომ ჩემს დანახვაზე გარბიან. :)) რამდენიმესთვის უთქვამს: გვანცა ჩემი „ლოვეაო". ნამდვილად აკლია! უკვე ის ცოტაოდენი სიმპათიაც გამიქრა, რაც მის მიმართ მქონდა. არ ვიცი, რა მოვუხერხო. ვუთხარი: სხვებს ასეთ რაღაცებს ნუ ეუბნებიმეთქი, მაგრამ არ ესმის. ამას წინათ დედამ მისაყვედურა: გავიგე, „ლოვე" გყოლია და რატომ დამიმალეო? კინაღამ გავგიჟდი. მისი ლაპარაკის გამო ცუდ სიტუაციაში ჩავვარდი. სოფ, რა მოვუხერხო იმ ბიჭს? მირჩიე, რამე, გთხოვ. გაკოცე უამრავჯერ".

— მეც გაკოცე, უამრავჯერ. თავიდანვე უნდა შეგეტყო ადამიანისთვის, თუ რას წარმოადგენდა, მაგრამ რადგან „იაღლიში" უკვე მოგივიდა, შეეცადე, ისე „ტონკად" იმოქმედო და ნელ-ნელა მოიცილო თავიდან, რომ სხვები არ „დახოცოს". 21-ე საუკუნეში მოტაცება თუ „ჩოხის გადაფარება" მოდაში აღარ არის და თუ პაპუასი არ არის, მაშინ მიხვდება, რომ უნდა შეგეშვას. მაგრამ თუ მაინც გაგიჭირდება მისი ჩამოცილება ანუ იმ ბიჭს ვერაფერს მოუხერხებ, ლიკას მეშვეობით დამიკავშირდი და შევეცდები, პრობლემის მოგვარებაში თავად დაგეხმარო.

ნინი, *15 წლის:*

„აუ, სოფო, შენი თავი მაგარი გგონია? რაღაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებ, თითქოს მაგარი „გოგჩო" იყო, სინამდვილეში კი, კომპლექსებით ხარ სავსე. ირაკლი მარხულიას ფრჩხილადაც არ ღირხართ არც ერთი ძველი თუ ახალი „ჯეიობარელი".

— აუ, რა საინტერესო შედარებაა (იცინის)... მე გოგო ვარ, ირაკლი — ბიჭი (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია და იქნებ, ვცდები?) და მარტო ამიტომაც არ უნდა გვადარებდე ერთმანეთს, მაგრამ ეტყობა, შენი აზროვნება ამდენს ვერ „ტვინავს". მე არ ვიცი, შენ მაგარ „გოგჩოობაში" რას გულისხმობ, თორემ პასუხს ამაზეც გაგცემდი...

მაშა, *15 წლის:*

„აუ, ძალიან გთხოვთ, დამიბეჭდეთ ეს მესიჯი და მირჩიეთ რამე, თორემ შეიძლება, გავგიჟდე. უკვე 3 წელია, რაც ჩემი სკოლელი ბიჭი მიყვარს, ის კი ხან ყურადღებას იჩენს ჩემ მიმართ, ხან — არც მესალმება. ვამბობ, რომ უნდა დავივიწყო, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ. ძალიან მინდა, მანაც შემიყვაროს, მაგრამ არ ვიცი, ეს როგორ მოვახერხო... ამასთანავე მსურს, ყველას და მათ შორის, ერთ-ერთ ჩემს კლასელს დავუმტკიცო, რომ რაღაცის მიღწევა მეც შემიძლია. გთხოვთ, რამე მირჩიეთ. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას".

— მადლობა საჭირო არ არის. გირჩევ, იმ ბიჭს საერთოდ არ მიესალმო, რადგანაც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს (ქართველებს ვგულისხმობ) მოსწონთ, როცა გოგოები ყურადღებას არ აქცევენ. და ეს იცი, რისი ბრალია? — ქართველი ბიჭების დებილური მენტალიტეტის. ასე რომ, არ იდარდო, თუ შენი ღირსია, აუცილებლად შეძლებ მისი ყურადღების მიპყრობას.

ლიკა, *18 წლის:*

„ჰაი". მაინტერესებს, შენს ზაზუნას რა ბედი ეწია?.. როგორც გავიგე, საცოდავი მოკვდა. შენ ამბობ, რომ ცხოველები ძალიან

გიყვარს, სინამდვილეში კი, ერთ საბრალო არსებას ვერ მოუარე და მოკალი. ეს არის შენი ქალობა? იქნებ, კოსტამ გაწყენინა რამე და ამიტომაც მოგუდე?!.“

— რა სისულელეა?!. მე იმასაც კი ვერ ვიტან, როცა ვილაცები ბუზებს ხოცავენ. რაც შეეხება ჩემს ზაზუნას, მას ზამთარი და გაზაფხული ერთმანეთში აერია, როცა აცივდა, ეტყობა იფიქრა, ისევ ზამთარი მოვიდაო და დაიძინა (ზაზუნა ზამთარში დიდი ხნით იძინებს), მე კი მეგონა, მოკვდა, რაც ძალიან განვიცადე. ასე რომ, ჩემი ზაზუნა თავს კარგად გრძნობს და აქეთ-იქით ხალისიანად დარბის.

ვაჟა, *27 წლის:*

„სოფო, შენმა სიყვარულმა ისე გამაგიჟა, რომ ამხელა კაცმა ჟურნალში მესიჯი გამოვგზავნე. მითხარი, სად შეიძლება შენი გაცნობა და დამიჯერე, ყველა იმედგაცრუება წარსულში დარჩება. გკოცნი და გემშვიდობები, გაცნობამდე“.

— შენ ის ვაჟა ხომ არ ხარ, თეთრ რაშზე ამხედრებული ჩემკენ რომ მოიჩქარის?.. ჩემო კარგო, თბილისი პატარაა და იქნებ, სადმე შევხვდეთ კიდეც ერთმანეთს. აბა, ვნახოთ, თუ მიპოვი...

თამო, *15 წლის:*

„აღარ შემიძლია, რა, ამ მასწავლებლებს კი ვცემ დიდ პატივს, მაგრამ გამიწყალეს გული. მეუბნებიან: გაწეწილი თმით სკოლაში რატომ დადიხარო. არადა, თმა გაწეწილი სულაც არ მაქვს, ბუნებრივად ხვეულია. ჩემი მშობლები არაფერს მეუბნებიან და იმათ რა უნდათ, ვერ გავიგე...“

— არ იდარდო, მეც ასე მეუბნებოდნენ. 2 ყური რისთვის გაქვს? — ეგრევე გაატარე, რა. ასეთი თმა გვაქვს და შალს ხომ არ წავიკრავთ, მათი შიშით: არიქა, კულული არ გამოგვიჩდეს, თორემ ვილაც გაბრაზდებაო. ამ ამბავს შენ მასწავლებლები უნდა შეეგუონ.

ლაშა-გიორგი, *17 წლის:*

„სევდის ტბაში დაცურავდა მწუხარების გედი, ნაღვლიანი მზერა ჰქონდა, დარდიანი ბედი, წვავდა შორი მოგონება და ოცნება მალი, უშორესი მონატრებით გედი იყო მთვრალი. ტბა ბურუსით მოცულიყო, გედის გული ნისლით, ვერც სიღრმეში მშვიდდებოდა, ვერც ნაპირზე მისვლით. ჩანდა გზები მოფენილი ვარდითა და ეკლით, გედმა ეკლის გზა ირჩია, არ გათელა ვარდი და ამ გზაზე ეკალივით ესობოდა დარდი. ის, ვინც ამდენს ძლებდა, იმას სიყვარული ერქვა. სოფო, შენ დაგეძებდა“.

— მიყვარს ლექსები, მშვენერი იყო შენი პოეზიის 5 წუთი... „ბრავო“, „ბრავისიმო“, მქუხარე აპლოდისმენტებიი...

იაზვა, *15 წლის:*

„სოფი, სიხარულო, მაგარი საყვარელი ხარ და რაღაც მინდა, გკითხო. ბათუმში გავიცანი ბიჭი, რომელმაც მაკოცა... თბილისში რომ ჩამოვედი, ერთმანეთს ვემესიჯებოდით. მერე მითხრა: მოდი, მეგობრებად დავრჩეთო. დავთანხმდი. ბოლო ერთი წელია, თავი გაიგიჟა: მიყვარხარ და ვერ გივიწყებო. ის მაისში ჩამოდის და ვერ გავიგე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? მე ხომ ისიც არ ვიცი, მეკაიფება თუ არა. შენ რას მირჩევ, უნდა შეეხვდე?“

— თუ გიყვარს ან „ეფიქრება“, შეხვდი, თუ ფეხებზე გკიდია, მაინც შეხვდი, ამით ხომ ქვეყანა არც აშენდება და არც — დაიქცევა...

თამუნა, *17 წლის:*

„ძალიან მჭირდება თქვენი რჩევა. შეყვარებული მყავდა, რომელსაც 6 თვის წინ დავშორდი. ჩვენი დაშორება სკანდალურად მოხდა... ამ ამბის შემდეგ, სხვა ბიჭი გავიცანი და ახლა ჩვენი ურთიერთობა საწყის ეტაპზეა ანუ ორივემ ვიცით, რომ ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრობა არ გვინდა. იმის შიში მაქვს, რომ ამ ადამიანსაც დავკარგავ და ამას ძალიან განვიცდი. მირჩიეთ, როგორ დავძლიო ეს შიში? კანკალით ვხვდები ყოველ დილას, მგონია, რომ იმ დღეს აუცილებლად რაღაც ცუდი მოხდება. წინასწარ გიხდით მადლობას“.

— მოიცა, რა... იმდენი ბიჭი დამიკარგავს და კანკალი არა, „კვატი“... ნუ იდარდებ, ის თუ დაიკარგება, მერე ცხოვრებაში ის „სხვა“ გამოჩნდება, რომელიც აუცილებლად შენი ღირსი იქნება.

ბიჭი, *19 წლის:*

„ეჰ, მე ხომ ბედი არაფერში მაქვს, რა... სოფო, ძალიან მიყვარხარ, შენზე ვაფანატებ, მაგრამ ასაკით შენზე პატარა ვარ და ეს მიშლის ხელს, რომ ახლოს გაგიცნო. ვიცი, შემიყვარდები, მაგრამ ცოლად ვერ მოგიყვან (ასაკის გამო) და ჩვენს ურთიერთობას აზრი არ ექნება. მიყვარხარ. გკოცნი ბევრს და წარმატებებს გისურვებ“.

— დიდი მადლობა სიყვარულისთვის, მაგარი „როჟა“ ხარ...

ანნი, *17 წლის:*

„სოფ, ძალიან საყვარელი არსება ხარ. ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებ. შენთან ერთი თხოვნა მაქვს: ვლასი ძალიან მიყვარს, როგორც ძმა და ძალიან ვაფასებ მის ჯენტლმენურ თვისებებს. იქნებ, მისი ტელეფონის ნომერი მომცე? გთხოვ, არ დამაღალატო. გკოცნი“.

— ვლასკა დღეში 23-ჯერ მაინც იცვლის ნომერს და... მაგრამ შენს სიტყვებს აუცილებლად გადავცემ.

პატარა, *17 წლის:*

„პრივეტ“, სიხარულო. ძალიან მიყვარხარ, მეც შენნაირი განწყობილი თმა მაქვს და როცა „ჯეოპარში“ იყავი, მეგორები პატარა სოფოს მეძახდნენ. მაინტერესებს, რომელ რადიოში მუშაობ და რომელი გადაცემა მიგყავს? მინდა, მოგისმინო და გეჭუკჭუკო. გკოცნი“.

— „ჩვენ რადიოში“ (98/4 სიხშირის ტალღაზე) ორშაბათის გარდა, ყოველდღე ვმუშაობ. შეგიძლია, იქ დამირეკო და როგორც შენ ამბობ, მეჭუკჭუკო.

უცნობი, *18 წლის:*

„პირველად როცა დაგინახე, ვიფიქრე, რა ლამაზი თვალები ჰქონია-მეთქი. მართლა ასეთი ლამაზია შენი თვალები? თუ მე რომ მიყვარხარ, იმიტომ მეჩვენება?“

— ჩემო უცნობო, დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის. ახლა სარკის წინ არ ვდგავარ, თორემ შევამოწმებდი, მართლა ასეთი ლამაზი თვალები მაქვს თუ არა. მგონი, ჩვეულებრივი, ღია თაფლისფერი თვალების პატრონი ვარ...

დაბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც გამომეხმაურა. 15 წლის ნინის კი ირაკლის გაცნობას და მასთან დაწყვილებას ვუსურვებ. ისინი ერთმანეთს ნამდვილად გაუგებენ...

P.S. ძვირფასო მშობლებო! თუ გაგიჩნდათ სურვილი, ჩაერთოთ ამ რუბრიკაში და თქვენც გამოთქვათ აზრი თინეიჯერების შესახებ, ან ვერ უგებთ საკუთარ შვილებს, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27. შენ კი, ძვირფასო თინეიჯერო, ისევ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს? ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი და ის პრობლემები გაგვიზიარო, რომლებიც შენი თაობის ადამიანებს აწუხებთ ან უფროსებთან შეკამათება გსურს, დაგვიმესიჯე. მომავალ ნომერში ფსიქოლოგის რჩევას მიიღებთ. წარმატებებს გისურვებთ! ■

მეტ დეიმონი ოფიციანტის ერთგული ქმარი და სანიმუშო მეოჯახე

„იმის გაფიქრებაც კი მშარავს, რომ ამჯელინა ჯოლის უნდა ვაჯოცო...“

პატივმოყვარეობის, საჯაროობის წნეხისა და სამუშაო გრაფიკის შეუთავსებლობის გამო ვარსკვლავური ოჯახები ხშირად ინგრევა. განქორწინებათა რიცხვის ზრდის კვალდაკვალ, ვარსკვლავები სულ უფრო ხშირად ეძებენ პარტნიორებს მათ შორის, ვისაც ერთმა ენამოსწრებულმა ჟურნალისტმა „ჩვეულებრივი მოქალაქენი“ უწოდა. სწორედ ასე მოიქცა ჰოლივუდის „ოქროს ბიჭუნა“ — მეტ დეიმონი, რომელიც მოკრძალებულ მაიამელ ოფიციანტზე დაქორწინდა. მეტი თავს ბედნიერად გრძნობს და ცოლის სტატუსი სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორთა ფილმებში ითამაშოს და ბრწყინვალე ვარსკვლავური კარიერა კვლავ გააგრძელოს.

— წინასწარ მოგიდობიშებთ, ტრადიციული შეკითხვა უნდა დაგისვათ, მაგრამ იქნებ მიპასუხოთ: თქვენ — ასეთ სახელოვანსა და მოუცლელ ადამიანს, მეუღლისა და მამის მოვალეობის შესრულება ნუთუ არ გიძნელდებათ?

— საოცარია, ყველას ეს აინტერესებს! აბა მითხარით, ჩემს 9 თვის ქალიშვილს, იზაბელს როგორ ავუხსნა, რომ მისი მამიკო ჰოლივუდის ვარსკვლავია და ამიტომ ვერ ისაუზმებს? როგორ ვუთხრა: შვილო, დილით გადაღება მაქვს, ამიტომ შენს საწოვარაზე ზრუნვის თავი არ მაქვსმეთქი? არა, როდესაც ოჯახში ბავშვი ჩნდება, ყველა ერთ კანონს ემორჩილება. იცით, სიმართლეს გეტყვით — ადრე მამობის მეშინოდა! როდესაც სხვისი ბავშვის ხელში აყვანას ან მასთან თამაშს მთხოვდნენ, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი ხოლმე (*იცინის*), ხოლო როცა ჩემი შვილი დაიბადა, ერთი სული მქონდა, 2 წლის როდის გახდებოდა — ვფიქრობდი, რომ მასთან თანასწორი ურთიერთობის დამყარებას მხოლოდ ამ ასაკიდან შევძლებდი. ვიცი, რომ ჩემსავით ბევრი ფიქრობს, მაგრამ თამამად ვაცხადებ: ბავშვი დაბადებისთანავე პიროვნებაა და მასთან ურთიერთობა თავიდანვე საინტერესოა... ვგიჟდები, როდესაც იზაბელის პაწია ხელებს ვეთამაშები ან ვუღიტინებ. ამ დროს ეს პატარა არსება გულიანად ხარხარებს და სასაცილო ხმებს უშვებს.

— ჩვილის მოვლის უფრო საპასუხისმგებლო მხარეებს — ღამისთევას და კვებას როგორ უმკლავდებით?

— ეს საქმე ძალიან მომწონს. მსიამოვნებს, როდესაც მეუღლეს ვეხმარები. ჩვენ სპეციალური სისტემაც კი შევიმუშავეთ: ღამით მე ვდგები, ბავშვის საკვებს ვამზადებ და ისევ ვიძინებ. შემდეგ ცოლი იღვიძებს და იზაბელს აჭმევს. სისტემა მშვენივრად მუშაობს, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ბავშვი ღამის 2 საათზე იღვიძებს და დილის 6 საათამდე აღარ იძინებს. სწორედ ასე მოხდა ახლახან, როდესაც ევროპიდან დაქანცული დავბრუნდი. მაგრამ მაინც გავიღვიძე, გაწამებული ლუჩანა რომ შემეცვალა.

— კიდევ კარგი, რომ თქვენს ოჯახში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი პატარა ბავშვია. მაგრამ იზაბელის გარდა, უკვე რამდენი წელია, თქვენი მეუღლის უფროს ქალიშვილსაც ზრდით...

— დიახ, მე და ალექსი შესანიშნავად ვეწყობით ერთმანეთს. ის 9 წლისაა, უკვე დიდი გოგოა და ჩვენს ქორწილში პატარძლის ხელისმომკიდე იყო. მოკრძალებული ქორწილი გვქონდა, მხოლოდ ნათესავები დავპატიჟეთ. იცით, ცოლის არჩევანში ძალზე გამიმართლა. ლუჩანა ვარსკვლავი არ არის და არც ჩემი ვარსკვლავური სტატუსის გაზვიადება სჩვევია... მივხვდი, რომ მკაცრი მამა ვერასოდეს ვიქნები. ბავშვების გართობა, მათთან თამაში კარგად მეხერხება, მაგრამ მათი დატუქსვა არ შემიძლია. ერთად ვხულიგნობთ, ვხმაურობთ, ვღრიალებთ და სათამაშოებს აქეთ-იქით ვისვრით. შემდეგ კი, როდესაც მკაცრად ვაცხადებ: კმარა, დაწყნარდით და წესიერად მოიქეცით-მეთქი, არავინ მიჯერებს. ალექსი აღშფოთებული მეუბნება: „მოიცა, ჩვენ ხომ ერთი გუნდი ვართ?!“ უნდა შევეცადო, მოწესრიგებული მამა გავხდე და არა „პროფესიონალი ბიძა“, რომელიც მოდის, ბავშვებთან თამაშობს, შემდეგ მიდის და ფიქრობს, — ბავშვების აღზრდა მშობლების საქმეა, თავში ქვა იხალონ და წესრიგი მათ დაამყარონო (*იცინის*). მე ალბათ ყველა ბავშვის გატუტუცება შემიძლია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ ნებისმიერ ხუშტურს ვასრულებ. მაგალითად, არასდროს ვუყიდი იმ სათამაშოს, რომელიც მათ უკვე აქვთ.

— როგორც ჩანს, ოჯახის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაღებებზეც ერთად ხართ?

— სწორედ ასეა. ლუჩანა დაქორწინებამდეც ჩემთან ერთად მოგზაურობდა. ამ მოგზაურობების დროს ერთმანეთი კარგად გავიცანით, რასაც ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ადამიანს ძლიერ უნდა მივეჯაჭვო, რომ ჩემ გვერდით ყოფნის უფლება მივცე. ამ მოგზაურობებმა დაქორწინება გადამაწყვეტინა. ფილმის — „ბორნის ულტიმატუმი“ (ბორნის თავგადასავლების მესამე ნაწილი სულ მალე გამოვა ეკრანებზე) გადაღებების დროს მრავალ ქვეყანაში ვიმოგზაურეთ. ერთხელ ისე მოხდა, რომ როლზე მუშაობის დროს ტანჟერში მთელი 3 კვირა ახლობლების გარეშე ვცხოვრობდი. ნეტავ იცოდეთ, რა ცუდად ვგრძნობდი თავს! მაშინ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ გადაღებებზე მუდამ ცოლთან და ბავშვებთან ერთად მევლო.

— თქვენზე დიდი მოთხოვნაა, მრავალ სახელოვან რეჟისორთან გიმუშავიათ. მაინც რა იგრძენით, როდესაც დე ნირომ დაგირეკათ და თავის ფილმში — „მცდარი ცდუნება“ მიგიწვიათ?

— ეს საუკეთესო ზარი იყო! შოკში ჩავვარდი! განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღით ადრე, მარტინ სკორსეზემ დამირეკა და ფილმში —

ფილმის „კანდგომილნი“ გადასაღებ მოედანზე მარტინ სკორსეზესთან და ჯეკ ნიკოლსონთან ერთად. 2006 წ.

მეტ დეიმონი, ანჯელინა ჯოლი და რობერტ დე ნირო, ფილმის — „მცდარი ცდუნება“ გადაღებებზე. 2006 წ.

„განდგომილნი“ მიმიწვია! წარმოგიდგენიათ, თუ რას ვგრძნობდი? ერთდროულად დამეუფლა აღფრთოვანება და იმის შეგრძნება, რომ ეს ყველაფერი არარეალურია. როდესაც რობერტი გადაღებების დაწყებას გეგმავდა, მე გადაღებებზე სტივენ სოდერბერგთან უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ამ სიტუაციაში სოდერბერგმა საოცარი გულისხმიერება და სიბრძნე გამოამჟღავნა; მითხრა, რომ უფლება არა აქვს, დე ნიროსთან მუშაობაზე უარი მათქმევინოს და მზად არის, საკუთარი პროექტი რამდენიმე თვით გადადოს. როგორც სტივენმა განაცხადა — ის სხვაგვარად მოიქცეოდა, მე მხოლოდ ფულს რომ დავხარბებოდი და მორიგ ბლოკბასტერში მეთამაშა. ამ შემთხვევაში კი ცოდვით სულს ვერ დაიმძიმებს და დე ნიროსთან მუშაობის შანსს ვერ წამართმევს. ამის გამო მისი უზომოდ მადლიერი ვარ! ბანალურად ჟღერს, მაგრამ რობერტ დე ნირო — უმაღლესი კლასის ოსტატია. ერთი გენახათ, თითოეულ დეტალს როგორ ამუშავებდა; პირადად ამოწმებდა მსახიობებს, მათ შორის იმასაც, თუ სტატისტებს ქუდები როგორ ეხურათ... მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, მოქმედების თავისუფლებას არასდროს გვიზღუდავდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ დე ნირომ მთელი ჰონორარი „საერთო სალაროში“ ანუ ფილმის ბიუჯეტში ჩადო და თავისთვის ერთი ცენტიც არ დაიტოვა.

— თქვენი გმირი — პრესტიჟულ უნივერსიტეტში, ცნობილი დახურული სტუდენტური საზოგადოების — „თავის ქალა და ძვლები“ — წევრია. სტუდენტობის დროს მსგავსი კლუბის წევრი იყავით?

— ჰარვარდში სწავლის დროს (უნივერსიტეტის დასრულებამდე 2 სემესტრი მქონდა დარჩენილი, მაგრამ სწავლა მივატოვე და კინოში წავედი), მსგავსი საზოგადოების წევრი ვიყავი. მაგრამ იმ პერიოდში კლუბი იდუმალებით აღარ გამოირჩეოდა — უბრალოდ დროს ვატარებდით და ვერთობოდით. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ჩვენს დროში, როდესაც მთელ მსოფლიოში ჯაშუშობა და დაზვერვა ისევ გააქტიურდა და ძალას იკრებს, დე ნიროს ფილმი მაყურებელს ბევრ რამეს შესძენს...

— მართალია, თითქოს გითქვამთ, რომ სურათში თქვენი პარტნიორის — ანჯელინა ჯოლის კოცნა არ გსიამოვნებდათ?

— *(იცინის)* დიახ, სრული სიმართლეა! რა კოცნაზეა ლაპარაკი — ანჯელინა ხომ დასავით მიყვარს. ალბათ მსოფლიოში ერთადერთი მამაკაცი ვარ, რომელიც ბედავს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ანჯელინა ჯოლის კოცნაზე ფიქრიც კი ზარავს! გულწრფელად ვამბობ, ამგვარ სცენებს საერთოდ ვერ ვიტან. მაგალითად, როდესაც ფილმში — „ბორნის იდენტიფიკაცია“ ვთამაშობდი, ფრანკა პოტენტეს კოცნა საშინლად არ მსიამოვნებდა. ჯერ მარტო იმიტომ, რომ მის ბოიფრენდს კარგად ვიცნობდი.

— მარტინ სკორსეზესთან როგორ იმუშავეთ?

— მარტინის გადასაღებ მოედანზე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ტაძარში: არავინ ყვირის, არავინ ღრიალებს, ირგვლივ სიწყნარე სუფევს და ყურადღების კონცენტრაციის საშუალება გაქვს. ეს იმიტომ, რომ მარტინი გადაღების დროს ფიქრობს, თითოეულ სცენას იაზრებს; თვალდახუჭული, ჩუმად ზის და აზროვნებს. ამ დროს, სიჩუმის დარღვევას ვერავინ გაბედავს. საოცრად მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, სკორსეზეს „ოსკარი“ მიანიჭეს. მან ეს ჯილდო ათასჯერ მეტად დაიმსახურა, ვიდრე ყველამ, ერთად აღებულმა. მომწონს, რომ მარტინს არასდროს უთვალთმაქცია და სხვების მსგავსად არ დაუმალავს, რომ ამ ქანდაკების მიღება სურდა. ამიერიდან, ბირჟის აქციების მსგავსად, „ოსკარის“ ფასი სხვებისთვის განუზომლად გაიზარდა, რადგან მარტინ სკორსეზეს „ოსკარი“ ძალზე ძვირად ფასობს.

— ფილმამდე — „განდგომილნი“ ყოველმხრივ უარყოფითი გმირი არასდროს გითამაშიათ. ამ სურათში თქვენი „ცუდი პოლიციელი“ ლეონარდო დი კაპრიოს დადებით პერსონაჟს უპირისპირდება...

— დიახ, ვცდილობდი, ისეთი როლები არ მეთამაშა, სადაც სისასტიკე და ძალადობა გამართლებულია და იმარჯვებს კიდეც. ჩვენს კინემატოგრაფში ასეთი ფილმი მრავლადაა. ამის გამო ძალადობა და სისასტიკე რომანტიკულ საბურველში ეხვევა და ადამიანებისთვის აუცილებლობად გადაიქცევა. ჩემი გმირი მწარე საზღაურს იხდის იმისთვის, რაც ჩაიდინა. ეს კი ჩვენი საზოგადოებისთვის მაგალითი უნდა იყოს: ძალადობა სიკეთეს ვერასოდეს მოიტანს. დედაჩემი ბავშვთა ფსიქოლოგია, მისი სპეციალობა — კონფლიქტური სიტუაციების არაკონფლიქტური მეთოდებით, ძალადობრივი ზომების გამოყენების გარეშე განმუხტვაა. ასე რომ, მერწმუნეთ, ამ საკითხებში ბავშვობიდან კარგად ვერკვევი.

— იმედი მაქვს, ხანში შესული ქალბატონები სუპერმარკეტებში აღარ გდევნიან და სისასტიკეში აღარ გადანაშაულებენ...

— თითქოს თავი დამანებეს (*იცინის*). საბედნიეროდ, აღარ მდევნიან. თავის დროზე, როდესაც ფილმისთვის — „ჭკვიანი უილ ჰანტინგი“ მე და ბენ აფლეკმა „ოსკარები“ მივიღეთ, ბევრჯერ გამომლანძღეს, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ ძალზე მოსაწყენი ტიპი ვარ და თავი დამანებეს.

— მართლაც, ბარებში დებოშს არ ტეხთ, ორგიებში არ მონაწილეობთ... რალაც ძველმოდურად იქცევით...

— ეს ორგიები ვიდეოკამერით ჯერ არ გადამიღია, რათა შემდეგ მაღაზიებში გასაყიდად გავიტანო (*იცინის*). დიახ, მომწონს, რომ ნორმალური ბიჭი ვარ. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ — ფანატიკოსი თაყვანისმცემელი გოგონების ბრბო, — ჩემი, როგორც მსახიობის გამო როდი იკრიბება! ისტერიკულ-ეიფორიულ მდგომარეობას ისინი ერთად უკეთ აღწევენ. ვერაფრით ვხვდები, ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ამ ჯოჯოხეთურ ყურადღებასა და ინტერესს როგორ უძლებენ?! როდესაც გადაღებებში ჯოლისთან ერთად ვმონაწილეობდი, ვხედავდი, რომ

„ჩემი მეუღლე ვარსკვლავი არ არის, მაგრამ ჩემი ვარსკვლავური სტატუსიც არაფრად მიაჩნია“. ცოლთან ლუჩანასთან, ვერთან ალექსთან და პაგარა იმაბელთან ერთად მაიამი, 2007 წ.

მის გარშემო მუდამ თაყვანისმცემელთა არმია ტრიალებდა. ისინი მთელ დღეებს ანჯელინას მოლოდინში ატარებდნენ. ბრედ პიტსაც ასე უსაფრდებიან ხოლმე. მახსოვს, ერთხელ ჯორჯ კლუნიმ მითხრა: რომ არ გესმის, ამიტომაც ვერასდროს გახდებიო ბრედი!

— თქვენს ცხოვრებაში ალბათ ისეთი დროც იყო, როდესაც რეჟისორები იშვიათად გირეკავდნენ. ამ პერიოდში პანიკა გეუფლებოდათ?

— ასეთი პერიოდი ნამდვილად იყო, მაგრამ პანიკაში არასდროს ჩავვარდნილვარ. მსახიობთა მცირერიცხოვანი სიიდან ამოვარდნა კატასტროფას არ მოასწავებს, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ მსხვილბიუჯეტიან ბლოკბასტერში არ მიგიწვევენ. მაგრამ ბიზნესი მხოლოდ ამგვარი ფილმებით არ შემოიფარგლება! იმის თქმა სულაც არ მსურს, რომ შემოთავაზებული ჰონორარის რაოდენობა არ მაღელვებს. პირიქით, რაც უფრო დიდია ჩემი ჰონორარი, მით უფრო კმაყოფილი ვარ. არც იმას დაგიმალავთ — ბევრ ფილმში მხოლოდ იმიტომ ვითამაშე, რომ უმუშევრად ყოფნა ჩემთვის შეჩვენების ტოლფასია. ამიტომ ე.წ. „მეორე ნომრად“ ყოფნა არასდროს მიუკადრისებია. ახლო წარსულში ჰოლივუდში ყველა საინტერესო სცენარზე ტომ კრუზის თითის ანაბეჭდს აღმოაჩენდით, მაგრამ მას ხომ ერთდროულად ყველა სურათში თამაში არ შეუძლია?! ნუთუ როლზე მხოლოდ იმიტომ უნდა ვთქვა უარი, რომ „პირველ ნომერ“ ტომ კრუზს რაღაც არ მოეწონა და თუ ამ როლს მე ვითამაშებ, თავი მეორეხარისხოვან ადამიანად ვიგრძნო?

საუკეთესო მეგობართან ბენ აფლეკთან ერთად. მაიამი, 2006 წ.

მეიონს ნოულზს თეძოების ტხეევაში ვერავინ სჯობნის

ბრიტანული ტელეარხის Kiss Music TV მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ათასზე მეტი რესპონდენტი მონაწილეობდა. გამოკითხვამ ცხადყო, რომ იმ ვარსკვლავთა რეიტინგში, რომლებიც გამოსვლების დროს სხვებზე უკეთ არხევენ თეძოებს, საუკეთესო ბეიონს ნოულზი ყოფილა. მეორე ადგილი კოლუმბიელმა მომღერალმა შაკირამ დაისაკუთრა. ავსტრალიელმა ვარსკვლავმა კაილი მინოუგმა მესამე ადგილი დაიკავა. ყველაზე სექსუალურ მოცეკვავეთა რეიტინგში მეოთხე პოზიციაზე ჯგუფის Girls Aloud სოლისტი შერილ კოულია. ვარსკვლავთა ათეულში ბოლო, მეათე ადგილი პუერტორიკოელმა რიკი მარტინმა დაიკავა. 25 წლის ბეიონსი შოუბიზნესის სამყაროში ყველაზე ლამაზი ფეხების მფლობელთა ათეულში შევიდა.

სნუპ დოგს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

ლოს-ანჯელესის საოლქო პროკურატურის წარმომადგენელი აცხადებს, რომ უახლოეს პერიოდში რეპერ სნუპ დოგს მარიხუანის გადატანისა და იარაღის უკანონოდ შენახვის გამო ბრალს წაუყენებენ. პროკურატურა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, 35 წლის მუსიკოსს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სნუპ დოგის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზად ის ინციდენტი იქცა, რომელიც 2006 წლის ოქტომბერში ქალაქ ბერბანკის აეროპორტში მოხდა. პოლიციამ რეპერის ავტომობილში მარიხუანა აღმოაჩინა, მოგვიანებით კი დოგის სახლში დაურეგისტრირებელი ცეცხლსასროლი იარაღიც იპოვა, რის გამოც ბრალდებათა სიას იარაღის უკანონოდ შენახვის პუნქტიც დაემატა. მკითხველს შევახსენებთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში სნუპ დოგი ნარკოტიკების მოხმარებასა და შენახვაში ერთხელ უკვე გამოიჭირეს. 1993 წელს რეპერი მკვლელობის საქმეშიც იყო გარეული, მაგრამ მაშინ დანაშაულში მისი თანამონაწილეობა არ დამტკიცდა.

რობი უილიამსი Take That–ის უმრუნდება

ბრიტანელი პოპვარსკვლავის, რობი უილიამსის დედა — ჯენი აცხადებს, რომ რობი მის ყოფილ ჯგუფს Tahe That უბრუნდება, რომელიც მუსიკოსმა 1995 წელს სკანდალით დატოვა. — „Take That-ის აღდგენამ რობი დააინტერესა. ვფიქრობ, ერთად იმუშავებენ. კარგია, რომ წარსულს ჩაჰბარდა უსიამოვნებები და ახლა შესანიშნავი რამ ხდება“, — ამბობს ქ-ნი ჯენი. შარშან ჰარი ბარლოუ, მარკ ოუენი, ჰოვარდ დონალდი და ჯეისონ ორენჯი 10-წლიანი პაუზის შემდეგ, რობი უილიამსის გარეშე შეიკრიბნენ, რადგან მასთან შეთანხმება ვერ შეძლეს. სცენაზე მათ დაბრუნებას უდიდესი წარმატება მოჰყვა. ჯეისონ ორენჯი ჯგუფში რობი უილიამსის დაბრუნებას არ გამორიცხავს: „ვფიქრობ, თუ მომავალში ალბომებს გამოვუშვებთ, რობი ჩვენთან ერთად აუცილებლად იმღერებს“. რობი უილიამსი ნარკოლოგიური კლინიკიდან ცოტა ხნის წინ გამოეწერა. მას ამჟამად ძალზე რთული პერიოდი აქვს. მომღერლის ბოლო ალბომმა — Rudebox არაერთგვაროვანი შეფასება მიიღო, ხოლო ბევრმა ის გააკრიტიკა კიდეც. ალბომი პრესტიჟული მუსიკალური პრემიის — Brit Awards — მხოლოდ ერთ ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

ვუდი ალენი ახალ მუზას შემჩვარ კარტოთეკას არ მოაკლემს!

შარშან ვუდი ალენმა განაცხადა, რომ ახალი მუზა აღმოაჩინა. აქამდე ამ საპატიო ტიტულს მხოლოდ დაიან კიტონი და მია ფეროუ ფლობდნენ, ამჯერად კი ეს როლი სკარლეტ იოჰანსონს დაეკისრა. რეჟისორმა სკარლეტი ზედიზედ 2 ფილმში გადაიღო, ცოტა ხნის წინ კი ისევ დაამტკიცა, რომ კვლავაც მისი ერთგულია. ახლა სურათში, რომლის სამუშაო დასახელებაა „შუაღამე ბარსელონაში“, მთავარ როლს ისევ იოჰანსონი ითამაშებს. „სკარლეტი არც ერთ თანამედროვე მსახიობს არ ჰგავს, მასში არის რაღაც ისეთი, რაც მერილინ მონროს მოგვაგონებს! „იოჰანსონი უნამუსოდ სექსუალურია!“ — ამბობს ალენი და ახალი მუზის მიმართ გულისამაჩუყებელ მზრუნველობას ავლენს: მაგალითად, რეჟისორმა წინასწარ იზრუნა იმაზე, რომ ესპანეთში ფილმის გადასაღებ მოედანზე გამოულევლად იყოს „მაკდონალდსის“ შემწვარი კარტოფილი, რომელიც სკარლეტს უზომოდ უყვარს. როგორც ჩანს, წინდახედული ვუდი ალენი შიშობს, რომ ჩვეული რაციონის შეზღუდვა ჰოლივუდის ვარსკვლავის ყველასათვის ნაცნობ ფიგურას დააზარალებს. ■

„ჯანდამას კინო“ — აცხადემს უმა თურმანი

შეუდარებელ უმა თურმანს მაყურებელი კვლავ რომანტიკულ კომედიაში იხილავს. ფილმში — „შემთხვევითი ქმარი“, უმას იზაბელა როსელინი და კაილინ ფერტი გაუწევენ პარტნიორობას. სწორედ მათ აღმოაჩინეს, რომ ბოლო ხანებში თურმანი ზედმეტად ექსცენტრიკული გახდა. მსახიობი მუდამ ხუმრობის ხასიათზეა და გადასაღებ მოედანზე ხშირად ოინბაზობს. ერთ მშვენიერ დღეს, უმამ ცეცხლსაქრობი შლანგი ხელში ჩაიგდო და გარშემო ყველა თავიდან ფეხებამდე გაწუწა! საბედნიეროდ, გადამღები ჯგუფის წევრებიდან არავინ განაწყენებულა, რადგან კოლეგებმა კარგად იციან იმის შესახებ, რაც მსახიობს ბოლო ხანებში თავს გადახდა. სულ ცოტა ხნის წინ, უმა თურმანი ანდრე ბალაჟზე გათხოვებას აპირებდა, რომელსაც უკვე 3 წელია ხვდება, მაგრამ საპატარძლომ ქორწილი მოულოდნელად ჩაშალა და ბალაჟს დაშორდა. ამას წინათ კი განაცხადა, რომ კინოდან წასვლას აპირებს, რათა ცხოვრება შვილების — 8 წლის მაიასა და 5 წლის როანის აღზრდას მიუძღვნას. ამ განცხადებამ უმა თურმანის თაყვანისმცემლებს თავზარი დასცა. ისინი იმედოვნებენ, რომ მას შემდეგ, რაც მსახიობმა ფირმასთან — Vigin Mobile 35-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, მან თავს უბრალოდ, დასვენების უფლება მისცა. ■

ჯონ ტრავოლტა სქესს იცვლის!

„რატომ ხდება, რომ მიუზიკლებში საუკეთესო როლები მუდამ ქალებისთვის ინერება?! მუსიკალური ფილმები ძალიან მიყვარს, მაგრამ ამგვარ სურათებში ჩემს გემოზე ვერასდროს ვითამაშე!“ — ჩივის ჯონ ტრავოლტა. მსახიობმა გამოსავალი მაინც მოძებნა და მიუზიკლში ქალი განასახიერა! როდესაც რეჟისორმა ადამ შენკმენმა ბროდვეის ცნობილი მიუზიკლის — „თმის ღაქი“ ეკრანულ ვერსიაში ბალტიმორელი დიასახლისი ქალის როლის თამაში შესთავაზა, ტრავოლტას წუთითაც არ უჭოჭმანია. მით უმეტეს, რომ გადასაღებ მოედანზე მისი პარტნიორები თავად მიშელ პფაიფერი და კრისტოფერ უოკენი იყვნენ. ფილმის გადაღებისთვის მზადების პროცესი ტრავოლტასთვის ნამდვილ სიამოვნებად გადაიქცა. საქმე ისაა, რომ ვარსკვლავი უკვე მიეჩვია — გადაღებების წინ რეჟისორები მისგან ყოველთვის წონაში დაკლებას მოითხოვენ, ამჯერად კი პირიქით მოხდა. შენკენმა მსახიობს კატეგორიულად მოსთხოვა გასუქება, რადგან სცენარის მიხედვით, მისი პერსონაჟი 100 კგ-ს იწონის! ჯონ ტრავოლტა უზომოდ გასუქებას, სპეციალური კოსტიუმისა და გრიმის წყალობით გადაურჩა. მსახიობი იმანაც კი ვერ შეაშინა, რომ ურთულესი გრიმის გაკეთებას ყოველდღიურად რამდენიმე საათი სჭირდებოდა. ■

ჰოლივუდში მოფოქსის კრიზისი მძვინვარემს

ბრიტანელი მსახიობი კეიტ ბეკინსეილი ამბობს, რომ ამას წინათ მისი 8 წლის ქალიშვილის — ლილის სიტყვებმა გააოგნა. გოგონამ დედას განუცხადა, რომ ბოტოქსის ინიექციების კურსის გავლის გამო, სახეგაყინულ ჰოლივუდის ვარსკვლავთა უმეტესობა, მას პოტერიანის ერთ-ერთ პერსონაჟს, ლორდ ვოლდერმორტს მოაგონებს! კეიტი იმ ფაქტმა გააოცა, რომ 8 წლის გოგონა თითქმის უშეცდომოდ ხვდება, თუ რომელმა მსახიობმა ჩაიტარა კონტურული პლასტიკის კურსი. „ლოს-ანჯელესში ცხოვრებას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც ახლავს. ჩემი 8 წლის გოგონა ქუჩაში სეირნობის დროს თითს იშვერს და ამბობს: „ამ ქალბატონს სახეზე მეტისმეტად ბევრი ბოტოქსი აქვს! ის ლორდ ვოლდერმორტის სრული ასლია.“ ვარსკვლავთა სახეებზე ბოტულინური ტიპის პრეპარატების რაოდენობის საკითხი ჰოლივუდში ბავშვების გარდა, უფროსებსაც აღელვებს. კასტინგის გამოცდილი დირექტორების თქმით, დღეს ტელევიზიებში სანთლით საძებარია ისეთი ვარსკვლავი, რომელსაც სილამაზის ინიექციების გამო სახე მიცვალებულისას არ მიუგავდეს, ტუჩები კი კოლაგენით არ ჰქონდეს დაბერილი. ტელეკომპანიებში, სადაც ამჟამად გამალებით არჩევენ მსახიობებს შემოდგომა-ზამთრის სეზონის 113 სერიალისთვის, ირწმუნებიან, რომ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ცნობილი სახეები, რომლებიც საკუთარი ასაკის შესაფერისად გამოიყურებიან. „განსაკუთრებით ის ამბავი მაოცებს, რომ მსახიობები, რომლებიც გაახალგაზრდავების ამ საშუალებებს მიმართავენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან,“ — ამბობს დამოუკიდებელი კასტინგ-დირექტორი ჯეფ მეშელი. ცნობილია, რომ კინოკომპანიამ Warner Bros უკანასკნელ წლებში უცხოეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინგლისსა და კანადაში შტატიანი აგენტების რაოდენობა გააორმაგა, რადგან ამ ქვეყნებში ბოტოქსის ინიექციები ჯერჯერობით ნაკლებად არის გავრცელებული. ეთერში დღის საათებში გასაშვებად განსაზღვრული სერიალების სცენარისტები ირწმუნებიან, რომ იძულებულნი არიან, სცენარში ჩართონ დიალოგი პლასტიკური ქირურგიის შესახებ, რათა მაყურებელს როგორღაც აუხსნან, თუ რატომ გამოიყურებიან პერსონაჟები არაბუნებრივად ახალგაზრდულად. ■

სტალინის მკვლელები XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

დასაწყისი იხ. „გზა“ №15



ცნობილი ისტორიკოსი და პუბლიცისტი იური მუხინი გადმოგვცემს ბელადის დაღუპვის იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც სტალინი მისმა უახლოესმა გარემოცვამ — ნიკიტა ხრუშჩოვმა და „ძმათა მისთა“ მოკლეს, შემდეგ კი შეთხზეს მითი, თითქოს ეს ლავრენტი ბერიამ ჩაიდინა. „გზის“ წინა ნომერში დაბეჭდილ თავს ავტორი ასე ასრულებს: „როცა ხრუშჩოვი თავის მოგონებებს უკარნახებდა, არც კი ეჭვობდა, რომ სტალინის პირადი დაცვაც ჩააწერინებდა თავის ჩვენებას და მასავით იცრუებდა, — სხვა შემთხვევაში, ის რა თქმა უნდა, გაიმეორებდა დაცვის ვერსიას — თითქოს პირველად სტალინთან მალენკოვი და ბერია მივიდნენ და არა თავად ის — ხრუშჩოვი...“ — და განაგრძობს:

ასე და ამგვარად, იმ ვახშმის შემდეგ, რომელიც 1-ელი მარტის დადგომის ღამეს მოეწყო, სტალინის აგარაკზე ბერია პირველად მხოლოდ 2 მარტს, დილის 9 საათზე გამოჩნდა ექიმებთან ერთად. რაც შეეხება ხრუშჩოვსა და მალენკოვს, — ხრუშჩოვისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, — ისინი მანამდე უკვე ორჯერ იყვნენ იქ მისული! ე.ი. ხრუშჩოვმა და მალენკოვმა მესამე პირის თანდასწრებით პირადი დაცვის შეშინებაც მოასწრეს და დარიგებაც — თუ როგორ უნდა ეცრუათ ბერიასა და მთავრობის სხვა წევრების წინაშე. ამას ასე დარწმუნებით იმიტომ ვამბობ, რომ პატიოსანი მოწმე მყავს.

აკადემიკოსი, თერაპევტი, სისხლძარღვოვანი დაავადებების სპეციალისტი ა. მიასნიკოვი 1965 წელს გარდაიცვალა და მისი მოგონებები ცეკას არქივში გადაიტანეს — შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ამ ჩანაწერებში სწორედ იმ ტრაგიკულ მოვლენებს იხსენებს. აი, კერძოდ რას წერს მიასნიკოვი:

„1953 წლის 2 მარტს გვიან ღამით კრემლის საავადმყოფოს სპეცგანყოფილების თანამშრომელი შინ მეწვია და მითხრა: „თქვენს წასაყვანად მოვედი — ავადმყოფ პატრონთან უნდა გამყვეთ“. ცოლს სწრაფად დავემშვიდობე, კალინინის პროსპექტზე გავიარეთ — იქ პროფ. ნ. კონოვალოვი (წევროპათოლოგი) და ე. გარეევი გველოდებოდნენ და შემდეგ, კუნცესოსი მდებარე, სტალინის აგარაკისკენ გავემგზავრეთ...

როგორც იქნა, სახლში შევედით (ის ვრცელი ოთახებისგან შემდგარ დიდ პავილიონს წარმოადგენდა, რომლებშიც დიდი ტახტები იდგა; კედლები გაპრიალებული ფანერით იყო მოპირკეთებული). ერთერთ ოთახში ჯანდაცვის მინისტრი დაგვხვდა...

მინისტრმა გვიამბო, რომ 2 მარტის ღამით სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა, რამაც გრძნობისა და მეტყველების დაკარგვა და მარჯვენა ხელისა და ფეხის დამბლა გამოიწვია. ჯერ კიდევ გუშინ სტალინი, როგორც ყოველთვის, გვიან ღამემდე მუშაობდა თავის კაბინეტში. პირადი დაცვის მორიგე ოფიცერმა ღამის 3 საათზე დაინახა ის მაგიდასთან მჯდომი (ოფიცერმა კარის ჭუჭრუტანაში შეიხედა). მას შემდეგაც სულ ენთო შუქი, მაგრამ საერთოდ ასე იყო მიღებული: სტალინს სხვა ოთახში ეძინა, კაბინეტში დივანი იდგა, რომელზეც ბელადი ხშირად ისვენებდა. დილის 7 საათზე მცველმა კვლავ შეიხედა გასაღების ჭუჭრუტანაში და დაინახა სტალინი, რომელიც იატაკზე, მაგიდასა და დივანს შორის გაშლართულიყო. იგი უგრძნობლად იყო. ავადმყოფი დივანზე დააწვინეს, რომელზეც მთელი დანარჩენი დრო გაუნძრევლად იწვა“.

როგორც ხედავთ, დაცვამ ინსულტის დრო 2 მარტის დილაზე „გადაიტანა“. იმდენად, რამდენადაც ის (მისივე თქმით) 1-ელი მარტის საღამოდან მოყოლებული რეკავდა და ორჯერ ნახა აგარაკზე მალენკოვი და ხრუშჩოვი, ე.ი. მათთან შეუთანხმებლად ასეთ ტყუილს, ცხადია, ვერ იტყოდა. გამოდის, რომ ხრუშჩოვი და სტალინის პირადი მცველები თავიდანვე „შეკრულები“ იყვნენ. სწორედ ამიტომ აფარებს დაცვა ხელს ხრუშჩოვს თავის ჩვენებებში და მის ადგილას ბერიას ასახელებს — ბერია ხომ 1977 წელს უკვე მსოფლიო მნიშვნელობის ურჩხული იყო და მისთვის ყველაფრის დაბრალება შეიძლებოდა.

მეორეც: როგორც ჩანს, დაცვა არცთუ ისე უმწეო ყოფილა და მას კარის ჭუჭრუტანიდან სტალინისთვის თვალთვალი შეეძლო!..

და მესამე: აბსოლუტურად გაურკვეველია, თუ ბოლოს და ბოლოს, მაინც სად იპოვეს სტალინი. პირადი მცველების ვერსიის თანახმად — პატარა სასადილოში, ხრუშჩოვის ვერსიით — დიდ სასადილოში, ხოლო პირველადი ვერსიით — კაბინეტში, დივანის გვერდით.

სიცრუეზე აგებული სიმართლე

მოკლედ, სიცრუეა და მეტი არაფერი და მიუხედავად ამისა, ასეთი სიცრუე სიმართლეს ჰგავს იმდენად, რამდენადაც ის პრაქტიკულად, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რისი დაფარვაც მატყუარებს სურთ. აბა, დავფიქრდეთ: თუ მაგალითად, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ირწმუნება, რომ ის დანაშაულის ადგილზე არ იმყოფებოდა, მაშინ როდესაც თქვენ დანამდვილებით იცით, რომ ის იქ იყო, — ე.ი. სწორედაც ისაა მკვლელი, აბა, რატომღა დამალავდა, რომ იქ იყო?

მოდით, სწორედ ამ მეთოდით — მოცემული ვერსიის შებრუნებით აღვადგინოთ მომხდარის რეალური ვერსია.

ხრუშჩოვი და დაცვა ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქმის 1-ელი მარტის ღამით, დილამდე სტალინის აგარაკზე დიდი ღრეობა ჰქონდა.

ესე იგი, ეს მოგონილია!

ესე იგი, 28 თებერვალს საღამოს გაიმართა სერიოზული, უფრო მეტიც — მძიმე საუბარი, რადგან ხრუშჩოვი და დაცვა ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ სტალინი ძალზე მხიარული იყო, როცა სტუმრებს ემშვიდობებოდა.

რადგან ხრუშჩოვი და დაცვა ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ 1-ელი მარტს ღამით სტალინი ჯანმრთელად იყო, ესე იგი მას სწორედ იმ ღამით დაემართა ინსულტი.

რადგან დაცვა ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ დაცვის წევრებს ძალზე ეშინოდათ სტალინთან შესვლის და სულაც ეძინათ, — ეს ნიშნავს, რომ ინსულტის შესახებ მაშინვე შეიტყვეს, როგორც კი ბელადს შეტევა მოუვიდა: ან სტალინმა მოასწრო მათთან დარეკვა, ან დაცვის წევრთაგან ვიღაცამ ის კარის ჭუჭრუტანიდან იატაკზე მწოლიარე დაინახა, მაგრამ ეს იმავე, 1-ელი მარტის ღამით მოხდა.

სიმართლის შტრიხი, რომელიც სიცრუეს უბრალოდ არაფერს მატებს, ის გახლავთ, რომ სტალინს აკაპიწებული ჰქონდა პერანგის სახელოები (ისინი ბუტუსოვამ ჩამოუწია). სტალინი საკუთარი თავის მიმართ ძალზე მომჭირნე ადამიანი გახლდათ — მას არანაირი ზედმეტი ტანსაცმელი არ ჰქონდა და რაც ჰქონდა, იმასაც მანამ ხმარობდა, სანამ ბოლომდე არ გაცვეთდა. იმხანად ადამიანები, რომლებსაც მაგიდასთან მსხდომთ უხდებოდათ მუშაობა, სამკლავეებს ხმარობდნენ, რათა პერანგის მანჟეტები ნაკლებად გასცვეთოდათ, მაგრამ სტალინს ასეთი სამკლავეები არ ჰქონდა და მან თბილ ოთახში უბრალოდ კიტელი

გაიხადა და პერანგის სახელოები აიკაპიწა. აქედან გამომდინარე, ინსულტის მომენტში სტალინი ან კაბინეტში მაგიდასთან იჯდა, ან ჩაფიქრებული ბოლთას სცემდა (მისი ეს ჩვევა ყველასთვის კარგადაა ცნობილი). როცა ტვინში სისხლი ჩაექცა, სანამ გრძნობას დაკარგავდა, სცადა, დივნამდე მიეღწია და მის სიახლოვეს დაეცა. ეს პირველი ვერსიაში კარგად ჩანს, რადგან იმ სიცრუის მოსაფიქრებლად, სადაც გაზეთი, საათი, „ნარზანი“ და სხვა ამგვარი ფიგურირებს, მის ავტორებს დრო არ ჰქონდათ...

დაცემულ სტალინთან დაცვამ მიირბინა და ის დივანზე გადააწვინა. მაგრამ დაცვის წევრებს ერთმა ისეთმა დეტალმა აურია ტვინი, რომელსაც მეც, სხვათა შორის, თითქმის მთელი სიცოცხლე ვერ ვაფიქსირებდი. როგორც ჩანს, გრძნობის დაკარგვისას შარდის ბუშტის კუნთების მოშვება და უნებლიე შარდვა ხდება.

ჰოდა, ამის დანახვაზე დაცვა გაოგნდა: არავის არასდროს არ უნახავს სტალინი არათუ უგონოდ, არამედ იმ დონემდე მთვრალი, რომ თავზე კონტროლი დაეკარგა. ამ ფონზე კი ბუნებრივია, დაიბნნენ: ვაი და, მართლაც ძლიერ დათვრა ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად, წაიქცა და ჩაისველა კიდეც!.. თუ ასეა, ხვალ უეჭველად შერცხვება, მით უმეტეს, თუ იფიქრებს, რომ ვიღაცამ ასეთ მდგომარეობაში ნახა...

ასეა თუ ისე, განსაკუთრებული ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ და დაუყოვნებლივ დაურეკეს იმ ერთადერთ ადამიანს, ვისთვისაც ვალდებული იყვნენ, რომ დაერეკათ, — სამთავრობო დაცვის უფროსს. ასეთ დროს მოქმედებდა ინსტრუქცია და იოტისოდენი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ პირადმა მცველებმა პირნათლად შეასრულეს ეს ინსტრუქცია. ამიტომ დარწმუნებული ვარ — მათ დაუყოვნებლივ აცნობეს მას, ვისაც ჯერ არს, — რომ დასაცავი პირი უგრძნობლადაა!

უფროსი, ექიმთან ერთად, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს დასაცავ პირთან (აბა, რაღა საჭიროა დაცვის უფროსი?!).

მაგრამ ამ შემთხვევაში დაცვის უფროსს „ორიენტირი დაეკარგა“ — მან ხრუშჩოვიც გამოიძახა (ან მაშინვე ან შემდგომ — დიდი მნიშვნელობა არა აქვს). როცა სტალინთან შევიდნენ და დარწმუნდნენ, რომ სტალინს ინსულტი ჰქონდა, ეს არამზადები რისკზე წავიდნენ — ოთახიდან გამოვიდნენ და დაცვას აცნობეს, რომ წინადღეს სტალინმა (დაცვამ ხომ თავადაც იცოდა ვახშმის შესახებ) ზედმეტი დალია, მას „მარცხი მოუვიდა“ და უმჯობესი იქნება, თუ ხვალ ადგება, თვითონ გამოიცვლის, ჩვენ კი ყველანი ისე მოვიქცევით, თითქოს ამის შესახებ არაფერი ვიცითო.

მაშ, რა უნდა ექნათ პირად მცველებს? მათ წინ იდგა მათი უშუალო უფროსი, რომელიც ამ თანამდებობაზე თავად სტალინმა დანიშნა, იქვე იყვნენ ექიმი და ცეკას პრეზიდიუმის წევრი, შესაძლოა ორიც — თუკი ხრუშჩოვთან ერთად იქ მალენკოვიც იმყოფებოდა. აბა, როგორ არ დაეჯერებინათ მათთვის?! თანაც, უფროსებმა მომხდარს სავსებით გასაგები ახსნა მოუძებნეს და მათი მითითებაც სტალინისადმი პატივისცემის გათვალისწინებით იყო ნაკარნახევი!.. ბუნებრივია, რომ დაცვა ყველაფერში დაეთანხმა და დილამდე მოცდა გადაწყვიტა.

(ასე და ამგვარად, სტალინის აგარაკზე სწორედ ეს ვიზიტი გაასაღა ხრუშჩოვმა 2 მარტის ღამის 3 საათზე განხორციელებულ ვიზიტად. მან თითქოს მაშინ დაამშვიდა დაცვა იმით, რომ სტალინს თურმე ეძინა. მაგრამ აბა, დავფიქრდეთ — რამდენად რეალურია ეს 2 მარტთან მიმართებაში? სტალინს, თუნდაც ის 1-ელ მარტს დილის 7 საათზე დაწოლილიყო, გადაბმულად ეძინა 22 საათი?! ხრუშჩოვი თვითონვე იგრძნობდა თავს უხერხულად, საკუთარ სიცრუეს ცოტა უფრო ღრმად რომ ჩაჰფიქრებოდა.)

ხრუშჩოვი და სტალინის პირადი მცველები თავიდანვე „შეკრულები“ იყვნენ. სწორედ ამიტომ აფარებს დაცვა ხელს ხრუშჩოვს

გათენდა, უკვე შუადღეც დადგა, სტალინი კი არა და არ დგებოდა. დაცვა, რა თქმა უნდა, წუხდა და რა გააკეთა? რასაკვირველია, ის, რასაც მისგან ინსტრუქცია მოითხოვდა: მან კვლავ დაურეკა სამთავრობო დაცვის უფროსს და... კვლავ ელოდებოდა! რატომ? რა უთხრა მათ დაცვის უფროსმა, რით მოახდინა პირადი მცველების პარალიზება? ვფიქრობ, რომ უბრალო ტყუილით: უთხრა, რომ პირდაპირი ტელეფონით დაურეკა სტალინს და ბელადმა სთხოვა — დაცვას შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან გუშინდელი ვახშმის შემდეგ ცოტათი მაზიდებდა, ჭამა არ მინდა, „ნარზანი“ კი მაქვსო. მხოლოდ ასე შეიძლებოდა დაცვის პარალიზება კიდევ 5-6 საათით.

ხოლო მცველები მაინც შევიდნენ პატრონთან და დაინახეს, რომ სტალინი ზუსტად იმავე მდგომარეობაში, იმყოფებოდა, როგორშიც თვითონვე დატოვეს 1-ელი მარტის ღამეს. მათ კვლავ რეკვა ატეხეს. ამასობაში 2 მარტიც დადგა და ალბათ ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რომ ისინი ძალზე ვერაგულად და მოხერხებულად გამოიყენეს. აი, მაშინ კი — რაღა უნდა ექნათ? ეჩივლათ? ვისთან? ბერიასთან? მაგრამ ვინ იყო ბერია, რომ რაღაც მაინც მოემოქმედებინა მათი ჩივილის საპასუხოდ — თუნდაც, მათ დასაცავად? მათი „ცილისწამება“ ხომ პარტიის ბელადებს, მტკიცე ლენინელ-სტალინელებს — მალენკოვსა და ხრუშჩოვს შეეხებოდა!.. ვინ ირწმუნებდა პოლკოვნიკების სიტყვებს, რომლებიც თავად იყვნენ დამნაშავენი იმაში, რომ ამხანაგ სტალინს დახმარება არ აღმოუჩინეს და ცეკას პრეზიდიუმის ორ წევრს დაადანაშაულებდნენ?!.

ამიტომაც, მათ მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ მორჩილად დაეზეპირებინათ ის, რაც უნდა ელაპარაკათ მაშინ, როდესაც პრეზიდიუმისა და მთავრობის დანარჩენი წევრები და სხვა ექიმებიც გამოჩნდებოდნენ. ხრუშჩოვის ბრძანებით, ისინი უკვე საკუთარი თავის გადარჩენაზეც ზრუნავდნენ და იმავდროულად დამნაშავეებსაც აფარებდნენ ხელს. სწორედ ამიტომ, 25 წლის შემდეგ მიცემულ ჩვენებებში ხრუშჩოვი ბერიათი შეცვალეს, ხოლო სამთავრობო დაცვის უფროსზე საერთოდ არ ამოუღიათ ხმა.

მორცხვი მკვლელი

მოდით, ახლა მცირე ხნით მასზეც — სტალინის დაცვის უფროსზე შევაჩეროთ ყურადღება.

1927 წლიდან, სტალინზე თავდასხმის პირველი მცდელობიდან, ჯერ მის პირად დაცვას, შემდეგ კი მთელ სამთავრობო დაცვას სათავეში ედგა ნ. ვლასიკი, რომელსაც თანამდებობიდან მოხსნის მომენტში გენერალ-ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. მის დაქვემდებარებაში მყოფი, დაცვის მთავარი სამმართველო საკმაოდ დიდი უწყება გახლდათ, რომელშიც არა მარტო მთავრობის წევრთა პირადი მცველების შტატი, არამედ მათი სამედიცინო და მატერიალურ-სამეურნეო მომსახურებაც იყო გაერთიანებული. სამმართველო არა მარტო იცავდა მთავრობის წევრებს, არამედ შეეძლო, დამოუკიდებლად ეწარმოებინა საეჭვო პირთა აგენტურული „დამუშავება“ — ანუ ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სპეცსამსახური გახლდათ.

ორგანიზაციულად დაცვის მთავარი სამ-

მოლოტოვი, ხრუშჩოვი და სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე

მართველო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში შედიოდა, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს არ ექვემდებარებოდა. ასეთი ხერხით იქმნებოდა კონკურენცია და თუ გნებავთ, ურთიერთთვალთვალის ორგანიზება ხდებოდა: სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თვალს ადევნებდა, რომ დაცვის მთავარ სამმართველოში მტერი არ გაჩენილიყო, სამმართველოს კი საშუალება ჰქონდა, თვალი ედევნებინა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში საეჭვოდ მიჩნეული პირებისთვის.

ბერია ხომ 1977 წელს უკვე მსოფლიო მნიშვნელობის ურჩხული იყო და მისთვის ყველაფრის დაბრალება შეიძლებოდა

დაცვის მთავარი სამმართველოს აღნიშნული დამოუკიდებლობა თანამდებობიდან ნ. ვლასიკის მოხსნამდე იყო შენარჩუნებული. და სწორედ ამ მომენტში დაუშვა სტალინმა მისთვის საბედისწერო შეცდომა: თანამდებობიდან ვლასიკის მოხსნასთან ერთად, კრემლის კომენდანტად მან ერთგული კაცი დანიშნა, მაგრამ დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობისთვის შესაფერისი კაცი, როგორც ჩანს, მაშინვე ვერ იპოვა.

1953 წლის 28 თებერვლისთვის მის მოვალეობას თავად სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ს. იგნატიევი ასრულებდა და პირველ რიგში, სწორედ მას — თავის უშუალო უფროსს დაურეკა სტალინის პირადმა მცველმა სტაროსტინმა, რაშიც უნებლიეთ გამოტყდა კიდეც მოგვიანებით, თავის მონათხრობში.

იგნატიევი ძალზე უფერული პიროვნებაა მთელ საბჭოთა ისტორიაში და მისი ხსენებაც კი თითქოს „ერცხვინებათ“ ისტორიკოსებს. მაგალითად, შემიძლია მოვიტანო კ. სტოლიაროვისა და იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტ კატუსევის ერთობლივი წიგნი, რომელშიც 50-იანი წლების მიმოხილვისას ავტორები დიდ ადგილს უთმობენ იგნატიევის მოადგილეს — რიუმინს; თვით იგნატიევზე კი — სახელმწიფო უშიშროების მინისტრზე, პრაქტიკულად არაფერს წერენ!

იგნატიევი წმინდა წყლის პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენელი გახლდათ. კარიერა მხოლოდ პარტიული ხაზით გაიკეთა და შესაძლოა, სწორედ ამიტომ, ასე წინდაუხედავად ენდობოდა მას სტალინი. იგნატიევი სახელმწიფო უშიშროების მინისტრად 1951 წლის აგვისტოდან 1953 წლის მარტამდე მუშაობდა. ის ძალზე სუსტი მინისტრი იყო. მის დაქვემდებარებაში მყოფი პ. სუდოპლატოვი, რომელიც შესაძლოა, მასზე გაბრაზებული გახლდათ (ალბათ არცთუ ისე უსაფუძვლოდ), ასე ახასიათებს მას: *„ყოველთვის, როცა კი იგნატიევს ვხვდებოდი, მაოცებდა, მაინც რაოდენ არაკომპეტენტური ადამიანი იყო. ყოველ აგენტურულ შეტყობინებას ისე იღებდა, როგორც ამერიკის აღმოჩენას. ნებისმიერ რამეში შეიძლებოდა მისი დარწმუნება: საკმარისი იყო, მისთვის რაიმე დოკუმენტის წაკითხვა და ის უმალ ექცეოდა წაკითხულის გავლენის ქვეშ. არასოდეს ცდილობდა ფაქტების გადამოწმებას“.*

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიისა და ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხრუშჩოვი და მალენკოვი კურირებდნენ — ე.ი. ანუ იგნატიევი მათზე იყო დამოკიდებული, თუ სულაც მათი რეკომენდაციით არ იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე.

ჩვეულებრივ, ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა წარმოებს რომელიმე მაღალი, პრესტიჟული თანამდებობის დასაკავებლად. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ ახტა ზემოთ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, დავინახავთ, რომ ყველაზე მკვეთრი ნახტომი თანამდებობრივ კიბეზე მხოლოდ იგნატიევმა გააკეთა: მან სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტიდან ცეკას მდივნის სავარძელში გადაინაცვლა ანუ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოთხიდან ერთ-ერთ ხელმძღვანელად იქცა. თანამდებობრივად ხრუშჩოვსაც კი თითქმის გაუტოლდა. გარდა ამისა, მას დაავალეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული ხელმძღვანელობაც — ანუ ის ბერიას პარტიული უფროსი გახდა (თუმცა ბერიამ ერთი თვის შემდეგ უკვე მოისროლა იგნატიევი ამ თანამდებობიდან).

ამგვარად, თუ დავსვამთ შეკითხვას — მაინც ვისთვის იყო ხელსაყრელი სტალინის სიკვდილი? — მაშინ გასათვალისწინებელია, რომ კარიერული ნახტომის თვალსაზრისით, ერთმანეთს მიჰყვებიან მალენკოვი და იგნატიევი, ხოლო მათ შემდეგაა ხრუშჩოვი.

პირდაპირ ვიტყვით — სტალინის სიკვდილი იგნატიევისთვის არა უბრალოდ ხელსაყრელი იყო, არამედ ნამდვილ ხსნას წარმოადგენდა.

იგნატიევის თანამდებობრივ ნუსხას თუ გადახედავთ, რომელშიც წონიანს ვერაფერს ნახავთ (მაგალითად, ხრუშჩოვი უკრაინის ცეკას პირველი მდივანი იყო, მალენკოვი — ომის დროს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი), უთუოდ დაეჭვდებით იმაში, თუ როგორ ახტა ეს შეუმჩნეველი უფერული თაგვი ასე მაღლა.

უფრო მეტიც, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თარიღი — 2 მარტი იგნატიევისთვის ზღვრული იყო: 3 მარტს ის უკვე სახელმწიფო უშიშროების მინისტრიც აღარ იქნებოდა. მართალია, ისტორიკოსები კი ახსენებენ, მაგრამ მნიშვნელობას არ ანიჭებენ მიზანს, რომლის გამოც სტალინმა ცეკას პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი შაბათს, 28 თებერვალს სავახშმოდ დაპატიჟა. საქმე ის გახლავთ, რომ ორშაბათს, 2 მარტს უნდა გამართულიყო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა და სტალინმა ამხანაგები 28 თებერვალს იმისთვის შეკრიბა, რომ არაოფიციალურად განეხილათ ამ სხდომის დღის წესრიგის საკითხები. თუ რა საკითხები იყო ეს, ამაზე საუბარი დღეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება. ამას ცოტა მოგვიანებით მივუბრუნდებით, მანამდე კი ვიტყვით, რომ ერთი საკითხი აბსოლუტურად გარკვეულია: ორშაბათს, 1953 წლის 2 მარტს ცეკას პრეზიდიუმს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების ერთ სამინისტროდ გაერთიანების საკითხი უნდა გადაეწყვიტა და ამ სამინისტროს ხელმძღვანელად ლავრენტი ბერია უნდა დაენიშნა, რომელიც შეთავსებით ყველა სხვა თანამდებობასაც შეინარჩუნებდა. იკითხავთ — რატომ შეიძლება სავსებით დარწმუნებით ამის თქმა?

საქმე ის გახლავთ, რომ ამ რეორგანიზაციის საკითხი, სხვა 16 საკითხთან ერთად, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმებმა 1953 წლის 5 მარტს — სტალინის გარდაცვალების დღეს (ოღონდ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სტალინი ცოცხალი იყო) გადაწყვიტეს. 16-ვე საკითხის განხილვას პრეზიდიუმის წევრებმა სულ რაღაც 40 წუთი მოანდომეს. 5 მარტამდე პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები სტალინის საწოლთან მორიგეობდნენ და პრეზიდიუმის სხდომების ჩასატარებლად არ იკრიბებოდნენ. ისეთი საკითხი, როგორიცაა ორი უწყების რეორგანიზაცია, არ შეძლება, მყისიერად, 2,5 წუთში გადაწყდეს — ეს გამორიცხულია. ასეთი საკითხები წინასწარ და ძალზე დიდხანს განიხილება, რადგანაც მათ უამრავი თანამდევი პრობლემა ახლავს: დაწყებული ახალი უწყების საქმეთა მოცულობით — დამთავრებული საკადრო საკითხებით: ვინ უხელმძღვანელებს, ვინ იქნება მოადგილე, სად დაასაქმონ სამსახურიდან გათავისუფლებული კადრები და ასე შემდეგ. ამასთან, თვით ამ ორი უწყების გაერთიანების მიზანი თავისთავად ცოტა გაუგებარია: ყველა დიდ ქვეყანაში პოლიცია და სახელმწიფო უშიშროება განცალკევებულია. საბჭოთა კავშირში მათი განცალკევება ომამდე დაიწყეს და საბოლოოდ, 1943 წელს დაასრულეს. რაღა საჭიროა იყო ისევ

გაერთიანება, რომელიც მერეც — უკვე ბერიას მკვლელობის შემდეგ კვლავ გაყვეს?..

აქედან გამომდინარეობს ორი უეჭველი დასკვნა: ჯერ ერთი, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების გაერთიანების საკითხი უკვე დიდი ხნის მანძილზე განიხილებოდა და იმდენად იყო მომზადებული, რომ ხუთშაბათს, 5 მარტს უბრალოდ წერტილი დაესვა, ხოლო სტალინი ავად რომ არ გამხდარიყო და სხდომა 2 მარტს ჩაეტარებინა, მაშინ ამ გადაწყვეტილებას სწორედ ორშაბათს, ცეკას გეგმურ პრეზიდიუმზე დაადგამდნენ გვირგვინს.

მეორე — შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების გაუგებარი გაერთიანება სტალინის მიერ პერსონალურად ბერიაზე იყო გათვლილი — სხვა პასუხი უბრალოდ არ არსებობს. ეს კი ნიშნავს, რომ არც შინაგან საქმეთა მინისტრი კრუგლოვი და არც სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგნატიევი თავიანთ თანამდებობებს არ შეეფერებოდნენ, მათ სრულფასოვან შემცვლელებს სტალინი ვერ ხედავდა და გადაწყვიტა, ორივე უწყება კვლავ ბერიასთვის ჩაებარებინა (ის, რომ სტალინმა გადაწყვიტა ატომური საქმეებით გადატვირთული ბერიასთვის ეს სამინისტროებიც ჩაებარებინა, იმაზე მეტყველებს, რომ საკითხი ძალზე გამწვავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ორი მინისტრის შესაფერისი შემცვლელების ძიებას გარკვეულ დროს დაუთმობდნენ).

P.S. სუდოპლატოვი თავის მოგონებებში — „დაზვერვა და კრემლი“ წერს: „1953 წლის თებერვლის ბოლოს, სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, იგნატიევის ქცევაში მზარდი გაუბედაობა შევნიშნე“. „ბერიას საქმეში“ კი აღნიშნულია, რომ გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტის დაკავების შემდეგ ბერიას არაერთხელ განუმარტავს თავისი ხელქვეითებისთვის, რომ 1938 წელს პარტიამ ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თავკაცად იმისთვის დანიშნა, რომ მთლიანად გაენადგურებინა „ეიოვშჩინა“, დღეს კი მისი მიზანი „იგნატიევშჩინის“ განადგურებაა.

პირდაპირ ვიტყვით — სტალინის სიკვდილი იგნატიევისთვის არა უბრალოდ ხელსაყრელი იყო, არამედ ნამდვილ ხსნას წარმოადგენდა.

საინტერესოა იგნატიევის შემდგომი ბედი: აპრილში ბერია ენერგიულ მანევრს ახორციელებს და ამის შედეგად იგნატიევი უხმაუროდ შორს „მიფრინავს“: ჯერ „არსაით“ — 28 აპრილს პლენუმზე ის ცეკას შემადგენლობიდანაც კი გაიყვანეს, სულ ცოტა ხანში — 1953 წლის 2 ივლისს გამართულ პლენუმზე, რომელიც „ბერიას საქმეს“ ეძღვნებოდა, ხრუშჩოვის წინადადებით, იგნატიევი კვლავ აირჩიეს ცეკას წევრად, ხოლო ბერიას სასამართლოს შემდეგ — 1953 წლის დეკემბრიდან ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივნად გადაიყვანეს, 1957 წელს — თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივნად დანიშნეს, ხოლო 1960 წელს — 56 წლის ასაკში(!) — „დამსახურებულად“ პენსიაში გაისტუმრეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბინ ლადენი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსს გადაურჩენია

როგორც ირკვევა, 1988 წელს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მსოფლიოს პირველი ტერორისტის — უსამა ბინ ლადენის შესაპყრობად საფუძვლიანად ემზადებოდა. ის უშუალოდ მისი ციტადელიდან — ავღანური ყარდაღარიდან უნდა მოეტაცებინათ, მაგრამ ტერორისტი საბოლოოდ, ისევ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა — ჯორჯ ტენეტმა იხსნა, რადგან ოპერაციის გეგმა ნაგვის ყუთში სწორედ მან მოისროლა. მიზეზი კი ის იყო, რომ ხანგრძლივი მზადებისა და ყველაფრის აწონ-დაწონის შემდეგ, სამმართველოს ხელმძღვანელობამ დაასკვნა — ოპერაცია უკიდურესად სახიფათო იყო.

ამ ოპერაციის ჩაშლის შემდეგ, მასზე არსებული ინფორმაციის ნაწილმა პრესაში გაჟონა. ამ ფაქტზე საკუთარ წიგნში წერდა ამერიკული დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი რიჩარდ კლარკი, რომელიც უშუალოდ ტერორიზმთან ბრძოლაზე აგებდა პასუხს. ჟურნალისტი სტივ კოლი, ბინ ლადენის მოტაცების გეგმაზე Washington Post-ის მეშვეობით იტყობინებოდა, თუმცა ოპერაციის უტყუარი დეტალები ფართო საზოგადოებისთვის მაინც მხოლოდ 11 სექტემბრის ტერაქტების შემსწავლელი კომისიის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი. მასში დაწვრილებით იყო აღწერილი, თუ როგორ მზადდებოდა ოპერაცია და რას ფიქრობდნენ მასზე თეთრ სახლში, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და პენტაგონში. სწორედ ამ მოხსენებაზე დაყრდნობით, New York Times წერს, რომ ბინ ლადენის მოტაცების გეგმა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ჯაშუში თანამგზავრებიდან მიღებული ფოტოდოკუმენტებისა და მინისზედა დაზვერვის დაკვირვებების საფუძველზე შეადგინა. ბინ ლადენის შეპყრობის ოპერაციაში ძირითადი როლი სამმართველოს ავღანელ აგენტებს ეკისრებოდათ. სწორედ მათ უნდა შეესრულებინათ ყველაზე ბინძური და საშიში სამუშაოც — მოეტაცებინათ და შემდეგ ამერიკელებისთვის გადაეცათ მსოფლიოს პირველი ტერორისტი. როგორც კომისიის დასკვნაშია ნათქვამი, 11 სექტემბრის მოვლენებამდე ამ გეგმაზე უფრო სერიოზულ ანალიზსა და მომზადებას არც ერთი სხვა გეგმა არ ექვემდებარებოდა. ხოლო ჩაშლის შემდეგ, მის მომზადებაში მონაწილე, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრებს საფუძვლიანი გულგატეხილობის საბაბი მიეცათ... ■

„არა — კორუფციას!“ ანუ ახალი ინდური კუპიურები

ინდოეთში კორუფციამ შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო, ამიტომ ხელისუფლებამ მექრთამეობასთან ბრძოლის ახალ, ორიგინალურ ხერხს მიმართა — ქვეყანაში ნული ღირებულების კუპიურა გამოუშვეს, რომელზეც ინდოეთის ყველაზე საყვარელი ლიდერის, მაჰათმა განდის პორტრეტია გამოსახული. 50-რუპიიანი კუპიურის ზუსტი ასლები სპეციალურად იმისთვის დამზადდა, რომ ისინი მექრთამე ჩინოვნიკებს მისცენ. უკვე 25000 ბანკნოტი დაიბეჭდა და მათი უმრავლესობა ქალაქ ჩენაიში გავრცელდა. ამ უჩვეულო ფულის გამოშვების ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაციის — 5th Pillar წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ „ნულოვანი“ ბანკნოტების მოხმარება რიგით ინდოელებს კორუფციასთან ბრძოლაში დაეხმარება. ამასთან, ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ღია კონფრონტაციასაც თავს არიდებენ. 5th Pillar-ის პრეზიდენტი ვიჯაი ანანდი ამბობს, რომ ხალხი „ნულოვან ფულს“ უკვე წარმატებით იყენებს. „შუაღამისას პოლიციელმა ერთ-ერთი მძღოლი გააჩერა და მიანიშნა, რომ მას საფასურის გადახდის შემთხვევაში გაუშვებდა. მძღოლმა ახალი ბანკნოტი მისცა. პოლიციელი დაიბნა, მაგრამ მძღოლი მაინც გაუშვა. ამ აქციის მიზანი ის არის, რომ ადამიანებმა მექრთამეობაზე უარის თქმა ისწავლონ“, — ამბობს კმაყოფილი ანანდი.

ინიციატივის ავტორები აცხადებენ, რომ მათ საქმის სამართლებრივი მხარე შეისწავლეს. „ნულოვანი ბანკნოტები ყალბ ფულთან ვერ გაიგივდება, რადგან მასზე ნამდვილი

კუპიურის მხოლოდ ერთი მხარეა გამოსახული“. ინდოეთში მექრთამეობა ყოველდღიური ცხოვრების ნორმად გადაიქცა. ნებისმიერი მიმდინარე საკითხი — ტელეფონის ხაზის გაყვანა თუ პასპორტის ვადის გაგრძელება — მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებისთვის ქრთამის მიცემის მეშვეობით გადაიჭრება. ჩინოვნიკთა გამომძალველობა თითქმის არასდროს ისჯება, რადგან მოქალაქეები საკუთარ უფლებებში არ არიან გარკვეულნი. ამ პრობლემის გადასაჭრელად 5th Pillar-ის მესვეურებმა მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევის ცენტრები გახსნეს, სადაც ნებისმიერ იმ ადამიანს აღმოუჩენენ დახმარებას, რომელსაც საკუთარი პრობლემების კანონიერი გზით მოგვარება სურს. ■

შოთა არველაძე: «სააკაშვილი მეუღლესთან ერთად ამსტერდამში ორჯერ მესტუმრა»

ბომბარდირი ნაკრებიდან წასვლას გეგმავს

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში შოთა არველაძე 26 გატანილი გოლით ჩვენი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ. შოთამ თავის გამოჩენა გლაზგოში შოტლანდიელთა წინააღმდეგ მატჩშიც მოახერხა, მაგრამ შესაძლოა, მან საკუთარი მიღწევა ველარ გააუმჯობესოს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არველაძე ეროვნული გუნდის დატოვებაზე სერიოზულად ფიქრობს. საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ფორვარდმა შოტლანდიაში ჩატარებული მატჩის შემდეგ, იქაურ ჟურნალისტებთან საუბრისას ღიად დააფიქსირა: „ჯერ ბოლომდე არ გადამიწყვეტია, საქართველოს ნაკრებში ასპარეზობას როდის შევწყვეტ, მაგრამ არაა გამორიცხული, ასეთი ნაბიჯი მომდევნო საშინაო თამაშამდე მივიღო, რომელსაც ჩვენი გუნდი ოქტომბერში ჩაატარებს. იმ დროისთვის თითქმის 35 წლის ვიქნები და გადაწყვეტილება მანამდე უნდა მივიღო, ვიდრე გულშემატკივრები თბილად მხვდებიან და მეუბნებიან — „დიდი მადლობა“.

ლაშა თაბაგარი

სხვათა შორის, აღნიშნულ თემაზე საუბრისას, არველაძემ ჟურნალისტებთან იხუმრა კიდეც: „შოტლანდიის ნაკრების თავკაც ალექს მაკლიშს დაველაპარაკები და ვკითხავ, გავაგრძელო თუ არა კიდევ თამაში საქართველოს ეროვნულ გუნდში, რათა „სქოთების“ მეტოქეებს გოლები გავუტანო“.

აქვე გეტყვით, რომ „გლაზგო რეინჯერსში“ მაკლიში არველაძის მწვრთნელი გახლდათ და იგი ჩვენებურის თაობაზე საკმაოდ კარგი აზრისაა. შოტლანდიელმა ეს თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბრის დროსაც აღნიშნა: „მის თამაშს ზედმიწევნით კარგად ვიცნობ. შოთა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და იერიშის დროს ნებისმიერ სიტუაციაში სახიფათოა, რაც ჩვენს წინააღმდეგ თამაშის დროსაც დადასტურა. ის კარგად ურტყამს ორივე ფეხით, მშვენივრად ირჯება საჰაერო ორთაბრძოლისას. ვიცი, რომ საქართველოში არველაძეს აღმერთებენ. შოთა უმაღლესი კლასის ოსტატია და ამიტომაც გვიყვარდა. მაშინ „რეინჯერსში“ ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე პრეტენზიას მიხალ მოლსი და რონალდ დე ბური აცხადებდნენ, ხოლო მოგვიანებით დადო პრშო დაგვემატა. ამიტომ შოთას მარცხენა ფრთაზე გადაყვანა მომიხდა. არველაძემ მისთვის უჩვეულო ამპლუაშიც თავი მშვენივრად წარმოაჩინა და ძირითადი შემადგენლობიდან პეტერ ლოვენკრადსის „ამოგდება“ შეძლო. „რეინჯერსმა“ მას დარჩენა შესთავაზა, მაგრამ „ალკმაარმა“ უკეთესი წინადადებით მიმართა და მან საკუთარი არჩევანი გააკეთა“.

არველაძის პერსონის მიმართ ინტერესს მხოლოდ შოტლანდიური მასმედია როდი იჩენს და ის ხშირად აძლევს ინტერვიუს როგორც დასავლეთევროპელ, ასევე პოსტსაბჭოელ ჟურნალისტებს. ერთ-ერთი ჩვენი რუსი კოლეგა შოთას ჰოლანდიაში ესტუმრა და ჩაიწერა ინტერვიუ, რომელსაც ახლა გთავაზობთ:

— „ალკმაარში“ რომ გადახვედით, ბევრი ფიქრობდა, რომ არაფერი გამოგივიდოდათ, ვინაიდან ეს კლუბი სახელოვანთა რიგს არ მიეკუთვნება...

— „ალკმაარი“ ადრე იყო რიგითი გუნდი. წელიწადნახევრის წინ, აქ იმიტომ გადმოვედი, რომ მას ლუის ვან გაალი წვრთნიდა, რომელთან ერთადაც მუშაობა და ბევრი რამის სწავლა მსურდა. ჩემთვის პირველი სეზონი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ამ ჩემპიონატის დაწყებამდე კი გუნდი საგრძნობლად გადახალისდა, რადგან რვა ახალი მოთამაშე შემოგვემატა. ჩვენ ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობთ და ამას ყველა აღნიშნავს. თუმცა „ალკმაარის“ მთავარი მიზანი, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ჰოლანდიაში არსებული ფლეი-ოფების სისტემიდან გამომდინარე კი ამის გაკეთება ადვილი არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთან ერთად თუ უჩემოდ გუნდი ასეთ შედეგს მიაღწევს.

— უთქვენოდ? ეი. არ გამორიცხავთ, რომ „ალკმაარი“ თქვენს კარიერაში უკანასკნელი გუნდი იქნება?

— არ გამოვრიცხავ, რადგან 22 თებერვალს 34 წელი შემისრულდა.

— ფეხბურთს თავს რომ დაანებებთ, ცხოვრებას სად აპირებთ?

— ალბათ, თბილისში.

— დღესდღეობით ჰოლანდიაში სახლი სად გაქვთ?

— ამსტერდამში. ჩემი სახლი ალკმაარიდან ნახევარი საათის სავალზეა. ჰოლანდია არა მარტო ლამაზი, არამედ მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. თუმცა აქ სილამაზის საყურებლად და კარგი ცხოვრებისთვის არ დავბრუნებულვარ. იმ წლებმა, რომლებიც „აიაქსში“ გავატარე, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ისევ ჰოლანდიაში ჩამოსვლა. საქართველოში ყოფნა იშვიათად მიწევს. ფაქტობრივად, მაშინ ჩავდივარ, როდესაც ეროვნული ნაკრები საშინაო ოფიციალურ შეხვედრებს ატარებს.

— „აიაქსი“ ამსტერდამის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა არ გახლავთ. აღიარეთ, „კოფე შოპში“ ოდესმე ყოფილხართ?

— ვაღიარებ, რომ არა. მე სიგარეტსაც არ ვეწევი, უფრო სერიოზულზე რომ აღარაფერი ვთქვათ. საერთოდ, კვამლის სუნს ვერ ვიტან. საკუთარ ავტომანქანაში სხვებს სიგარეტის მოწევას ვუკრძალავ. ასე რომ, ჯანმრთელი მოვკვდები (*იცინის*).

— ჰოლანდიაში მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზების შემდეგ, საინტერესოა, ფეხბურთელებს დოპინგ-კონტროლს თუ უტარებენ?

— რა თქმა უნდა! იქიდან გამომდინარე, თუ ქვეყანაში რა არის დაშვებული, ფეხბურთის წესები არ იცვლება. ყოველ კვირას არა, მაგრამ დროდადრო ფეხბურთელებს დოპინგზე სინჯებს უტარებენ. იმავე „აიაქსთან“ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, ჩვენი გუნდის ორ მოთამაშეს ჩაუტარეს ასეთი ტესტი.

— სხვათა შორის, „აიაქსთან“ მატჩში გულშემატკივრის წინაშე ყველასდა გასაოცრად ულვაშით წარდექით, რომელიც ადრე არასოდეს გიტარებიათ?

— თებერვალში ჰოლანდიაში კიბოსთან ბრძოლის აქცია იმართებოდა, რომლის ორგანიზატორებმა მთხოვეს, მათთვის მხარი დამეჭირა და რატომღაც ულვაში არ გამეპარსა. მიცემული სიტყვა შევასრულე.

— მოსკოვში ქართველების დევნა რომ დაიწყეს, ეს პროცესი რომელიმე თქვენს ახლობელს ხომ არ შეხებია?

— ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. მოსკოვში მეგობრები მყავს, მაგრამ როგორც ვიცი, მათ ასეთი რამ არ შეხებიათ. საერთოდ, ყოველივე ეს სისულელეა და ამას რუსეთშიც კარგად უწყიან. რა უნდა გითხრათ? ეს პოლიტიკაა. ვფიქრობ, ურთიერთობა მხოლოდ პოლიტიკოსების დონეზე გაფუჭდა, ხოლო უბრალო ხალხს ერთმანეთთან როგორი კარგი დამოკიდებულებაც ჰქონდა, იგივე დარჩა. გასაყოფი რა გვაქვს?! გულდასაწყვეტია, რომ გარკვეული წრეები ორ ერს შორის შუღლის გაღვივებას ცდილობენ. რუსეთში ბევრი მეგობარი მყავს. „რეინჯერსში“ ანდრეი კანჩელსკისთან ერთად ვთამაშობდი და ერთმანეთთან ოჯახში სტუმრად ხშირად დავდიოდით. რუსეთში ბევრი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც პრობლემა არასოდეს შეჰქმნია. ვფიქრობ, მომავალშიც ასე გაგრძელდება. საერთოდ, ჩემი სურვილია, ჩვენს ქვეყნებს ისეთივე მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს, როგორიც სპორტსმენებს აქვთ. მჯერა, რომ მოვა დრო, როდესაც ერთად დავსხდებით, ვიქეიფებთ, ვიმღერებთ და დავლევთ როგორც ქართულ ღვინოს, ასევე რუსულ არაყს.

— საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნაკრების წამყვან ფეხბურთელებთან მეგობრობს. ამ მხრივ თქვენ გამონაკლისი ხომ არ ხართ?

— ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა, სააკაშვილი მეუღლესთან ერთად ამსტერდამში სახლში ორჯერ მესტუმრა. მისი ცოლი ჰოლანდიელია და ამიტომ, აქ ვიზიტისას ის ჩემთან მოსვლაზე უარს არ ამბობდა. ამჟამად ჩემი მეგობარი არ არის, არამედ ჩემი პრეზიდენტია, რომელსაც დიდ პატივს ვცემ...

— ამბობენ, ამჟამად „ალკმაარი“ ევროპაში ყველაზე რომანტიკულ ფეხბურთს აჩვენებს. ამ მოსაზრებას ეთანხმებით?

— დიდი სიამოვნებით დავეთანხმები.

— თქვენი აზრით, ეს კლუბი რომელ გრანდს ჰგავს?

— ვოცნებობ, რომ „ბარსელონას“ ჰგავდეს. თუმცა ვან გაალი არ ცდილობს, რომ ჩვენგან მეორე „ბარსა“ გააკეთოს. იმიტომ, რომ მას რივალდო, ფიგუ ან რონალდინიო არ ჰყავს. მის განკარგულებაში არველაძე და კიდევ რამდენიმე ბიჭია.

— ვან გაალთან წელიწად-ნახევრის მანძილზე მუშაობის შემდეგ, მიხვდით, თუ რატომ უწოდებენ მას დიდ მწვრთნელს?

— მივხვდი. იმისთვის, თუ როგორ „შიფრავს“ იგი მოწინააღმდეგე გუნდს, როგორ უხსნის თითოეულ ფეხბურთელს, თუ რა არის მისი თამაშის ძლიერი მხარე და როგორ უნდა გამოიყენოს იგი. ასევე, როგორ ასწავლის ფეხბურთელებს, რომ გუნდური თამაში უმთავრესია. ამასთან ერთად, ვან გაალი შემტევი ფეხბურთის ფანატია, რაც ყოველთვის სასიამოვნოა. ის „მეგამწვრთნელია“. მისდამი ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორიც პელეს, მარადონას ან მოურინიოს მიმართ. ადრე ჩვენთან ასე კონსტანტინ ბესკოვსა და ნოდარ ახალკაცს ეპყრობოდნენ. გამოთქმაც კი არსებობს — ცუდი ადამიანებისთვის მტრის მოძებნა ძნელია, ხოლო კარგებისთვის — ადვილი. ვან გაალზე შემიძლია ერთი რამ ვთქვა: რასაც ის გასახდელში ამბობს, მოედანზე იგივე ხდება. მსგავსი რამ კი იშვიათობაა.

— ინგლისში თამაში არასოდეს გსურდათ?

— ცხადია, მინდოდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მქონია. თავის დროზე, „ბლექბერნი“ და „ფულემი“ მიწვევდნენ, მაგრამ არ მსურდა იმ გუნდებში წასვლა, რომლებიც ერთ სეზონს კარგად ატარებენ, ხოლო მეორეში ლიგიდან „ვარდებიან“.

— გამოდის, რომ გირჩევნიათ, არცთუ ისე ძლიერ ჩემპიონატში ითამაშოთ, მაგრამ ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოთ...

— თამაშის აზრზს ხომ უნდა ხედავდე! მხოლოდ მოედანზე გამოსვლა, სამუშაოს შესრულება, ფულის აღება და სახლში წასვლა — ასეთი მიდგომა ჩემთვის მიუღებელია. მე გამარჯვებები მწყურია. იმ ქვეყნებში, სადაც მითამაშია, ამ მხრივ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად იყო.

— მართალია, რომ ერთადერთი რუსული კლუბი, რომელიც გეპატიჟებოდათ, სამარის „კრილია სოვეტოვი“ იყო?

— დიახ. მაშინ „რეინჯერსში“ ვთამაშობდი. უარი იქ წასვლაზე კი იმიტომ ვთქვი, რომ ეს არ იყო გუნდი, რომელიც მე მიზიდავდა.

— რუსეთის წამყვან კლუბებს რომ მიეწვიეთ, ასევე უარს იტყოდით?

— არ ვიცი. მე ხომ სხვა რუსულ კლუბებს არასოდეს მივუწვევივარ... სინამდვილეში, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შეიძლებოდა, თავის დროზე, „აიაქსიდან“ ან „რეინჯერსიდან“ სათამაშოდ რუსეთში წავსულიყავი.

— საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, მალხაზ ასათიანი რუსეთში თამაშობს და თავს მშვენივრად გრძნობს. ამიხსენით, რატომ გამოდიოდა იგი ეროვნულ გუნდში ნახევარდაცვაში, ხოლო „ლოკომოტივში“ — დაცვაში?

— ეს სიომინს უნდა ჰკითხოთ: სწორედ მან აქცია ასათიანი ცენტრალურ მცველად.

— ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების იმ იშვიათ წარმომადგენელთაგანი ხართ, ვინც სოლიდურ ევროპულ კლუბებში ასპარეზობისას წარმატებას მიაღწია. როგორ ფიქრობთ, რუს ფეხბურთელებს დასავლეთ ევროპაში სახელის მოსახვეჭად რა აკლიათ?

— ჩემი აზრით, დღესდღეობით მათ უკვე თავად არ სურთ სამშობლოს დატოვება. რუსეთის პრემიერლიგა დღესდღეობით მაღალი დონისაა, ვინაიდან გუნდები ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზე გამოდიან. ამიტომ, რა აზრის აქვს სადმე წასვლას? რუსული კლუბები უკვე თავად იწვევენ ბრაზილიელ, არგენტინელ და იტალიელ ფეხბურთელებს. ასეთი ფუფუნების უფლება კი ყველა ქვეყანას როდი აქვს. როგორც იცით, ედგარ დავიდსი „აიაქსში“ დაბრუნდა. რატომ არ უნდა მოქცეულიყო ასე? მისთვის ხომ ის მშობლიური კლუბია! საქართველოში მაღალ დონეზე თამაშის საშუალება რომ მქონოდა, არსადაც არ წავიდოდი.

— ალბათ ევროპაში თავს მყუდროდ გრძნობთ, არა?

— ცხადია, რადგან არაერთი წელია, აქ ვთამაშობ. მოედანზე ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან გვერდიგვერდ მიასპარეზია და ისეთი მწვრთნელები მავარჯიშებდნენ, როგორებიც მორტენ ოლსენი, ლუის ვან გაალი, დიკ ადვოკაატი არიან. მათთვის კი იმის დამტკიცება ადვილი ნამდვილად არ არის, რომ ფეხბურთში რაღაცას წარმოადგენ.

— რამდენიმე ტურის წინ, ჰოლანდიის ჩემპიონატში როტერდამის „სპარტის“ კარში ულამაზესი ბურთი გაიტანეთ. როგორც ამბობენ, შესაძლოა, ეს გოლი სეზონში საუკეთესოდაც აღიარონ...

— გოლი მართლაც კარგი გამოვიდა. თუ მას ყველაზე ლამაზად დაასახელებენ, ძალზე მოხარული ვიქნები. ■

იტალიაში საფეხბურთო კორუფციასთან ბრძოლას აგრძელებენ

იტალიაში კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება საფეხბურთო კორუფცია. ცოტა ხნის წინ ნეაპოლის პროკურორებისთვის 2004-2005 წლების სეზონში სერია A-ს მატჩებში მომხდარ გარიგებებთან დაკავშირებით ახალი დეტალები გახდა ცნობილი. საგამოძიებო მასალებში 48 სახელი ფიგურირებს. სიაში დიდი კლუბების მოქმედი და უკვე გადამდგარი წარმომადგენლები, აგრეთვე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი მუშაკები, ყოფილი და მოქმედი მოსამართლეები (ზოგიერთი მათგანი შარშან სასამართლოს წინაშე უკვე წარდგა) შედიან. უახლოს მომავალში იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში გადაწყვეტენ, საჭირო იქნება თუ არა საკუთარი გამოძიების ჩატარება. ორგანიზაციის პრეზიდენტი ირწმუნება, რომ მალე გაერკვევა სიტუაციაში. „ჩვენ ყველას დიდი სურვილი გვაქვს, რომ თითოეულ საქმეში სწრაფად გავერკვეთ“, — განაცხადა ჯანკარლო აბიეტემ ჟურნალისტებთან საუბრისას. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით, „იუვენტუსს“ ჩემპიონის ბოლო ორი ტიტული ჩამოართვეს. გარდა ამისა, ტურინული გრანდი დააქვეითეს — სერია B-ში გადაიყვანეს. „მილანმა“, „ფიორენტინამ“, „ლაციომ“ და „რეჯინამ“ კი, მიმდინარე სეზონი საჯარიმო ქულებით დაიწყეს. ■

სტაფილო და იხვები წაგებული გუნდის დასასჯელად

ყველასთვის ცნობილია, რომ იტალიაში ფეხბურთის ქომაგები აგრესიულობითა და ემოციურობით გამოირჩევიან. ამის გამო, მათ არაერთხელ მოუწყვიათ დიდი შეხლა-შემოხლა პოლიციელებთან. თავად ფეხბურთელები უკვე შეგუებული არიან ასეთ ვითარებაში ასპარეზობასა და მუქარებს, რომელსაც გულშემატკივართა მხრიდან წაგებული მატჩების შემდეგ ხშირად ისმენენ. ამიტომ გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე, განმეორებით მატჩში „მანჩესტერთან“ გამანადგურებელი ანგარიშით მარცხის შემდეგ (1:7), „რომას“ მისამართით არაერთი მუქარა გაისმა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული შეხვედრიდან ხუთი დღე იყო გასული, როდესაც კლუბს ოფისში ამანათით ასაფეთქებელი მოწყობილობა გაუგზავნეს. წარმოიდგინეთ, რაოდენ გაკვირვებული დარჩებოდნენ „რომას“ წარმომადგენლები, როდესაც ყუთში 120 კგ სტაფილო და რამდენიმე ცოცხალი იხვი აღმოაჩინეს. „დილით დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ტრიგირიაში მდებარე ჩვენს საწვრთნელ ბაზაზე მიტანილ ამანათში ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მოთავსებული, — ღიმილით ამბობს „რომას“ თავკაცი ლუჩანო სპალეტი, — მაგრამ როდესაც პოლიციამ ყუთი გახსნა, მასში სტაფილო და იხვები აღმოჩნდნენ“. ■

ეროტიკული ფოტოსესია როლერ-სპორტის პოპულარიზაციისთვის

როლერ-სპორტში მსოფლიო ჩემპიონმა, 19 წლის ნიკოლ ბეგმა ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. საინტერესოა მის მიერ გადადგმული ნაბიჯის მიზეზი: ბეგი ამ გადაღებაში მონაწილეობაზე სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით დათანხმებულა. თანაც, ახალზელანდიელმა სპორტსმენმა გადაწყვეტილება მამასთან და მწვრთნელთან ერთად მიიღო. აი, რას ამბობენ ისინი: „ჩვენ პლაჟის ფრენბურთელებს მივბაძეთ, რათა როლერ-სპორტის იმიჯი აგვემაღლებინა“. სხვათა შორის, პოპულარიზაციის მიზნით ასეთი ხერხისთვის მხოლოდ პლაჟის ფრენბურთელებს როდი მიუმართავთ. ფოტოკამერების წინ დედიშობილა პოზირებით ფრანგმა რაგბისტებმაც მიიქციეს ყურადღება, რომელთა კალენდარსაც პირველ რიგში, სუსტი სქესის წარმომადგენელთა დიდი მოწონება ხვდა წილად. გარდა ამისა, ეროტიკულ გადაღებაში მონაწილეობა მიუღიათ მოცურავეებს, მოთხილამურეებსა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებს, რომელთა შორის ბევრი მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. ■

სიმპსონი ვიქტორიას თანაუგრძნობს

მომღერალი ჯესიკა სიმპსონი, რომელიც ერთ-ერთ რეალურ შოუში მონაწილეობითაცაა ცნობილი, ვიქტორია ბექჰემს პრესის საშუალებით დაუკავშირდა და ურჩია — ქმარს უფრო მეტი ყურადღება მიაქციეო. საქმე ისაა, რომ ბოლო დროს მასმედიამ

კვლავ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს დევიდი კვლავაც ღალატობს მეუღლეს, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელიმ ბავშვების აღზრდითაა დაკავებული. ფეხბურთელის საყვარლებად კი, ისევ რებეკა ლოოსსა და სარა მარბეკს ასახელებენ. „ძალიან მეცოდება ვიქტორია, — ამბობს ჯესიკა სიმპსონი, — ყველა წვრილმანი არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცოლ-ქმარი თავის პრობლემებს გადაწყვეტს. მაგრამ ვიქტორია ერთი წამითაც არ უნდა მოშორდეს ქმარს“. ამასთან, სიმპსონი მიიჩნევს, რომ ვიქტორია ფეხბურთელს არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად: „ყოველთვის ვამბობდი, რომ სპორტსმენს ცოლად არ უნდა გაჰყვე. ისინი ხშირად უცხო ქალაქში ან საზღვარგარეთ იმყოფებიან და ყოველი მატჩის შემდეგ თაყვანისმცემელი ლამაზმანების გარემოცვაში ექცევიან. აბა, რა უნდა ქნა ასეთ შემთხვევაში?..“ ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

მადონა ვასაძე და ლაშა ცერიაშვილი

„არაჩვეულებრივი სიყვარულის ამბავი“, შემოკლებით „ასა“ — ასე დაარქვეს ტელესერიალს, რომელიც უკვე მეორე სეზონია, სამაუწყებლო კომპანია „მზის“ ეთერით გადის. ის ჟანრობრივად სიტკომს (სიტუაციური კომედია) განეკუთვნება და შესაბამისად, მასობრივი და ტრადიციული სერიალებისგან ამით ოდნავ განსხვავდება კიდეც. „ასას“ რეჟისორი ლაშა ცერიაშვილია. თავიდან მასში მხოლოდ ორი პერსონაჟი ანუ ორი პუპსიკა მონაწილეობდა, რომელთა როლებს მსახიობები — მალხაზ ქვრივიშვილი და გოგოლა კალანდაძე ასრულებდნენ. შემდეგ, პუპსიკების ცხოვრება ერთფერ-ოვანი და მოსაწყენი რომ არ გამხდარიყო, „ასა 2“-ში გადამღებმა ჯგუფმა ახალი პერსონაჟები დაამატა, რამაც ტელესერიალს სიხალისე შემატა. ახლა შეუძლებელია არ გამოყო მასში შემატებული მსახიობების (ეკა კახიანის, პაატა გულიაშვილის, ნანკა კალატოზიშვილის, თემიკო ჭიჭინაძის, დათუნა გოცირიძის) წვლილი და ოსტატობა.

მაყურებელს ყოველთვის აინტერესებს, თუ რა ხდება კულისებში, კადრს მიღმა. ამიტომ გადასაღებ მოედანზე შექმნილი სიტუაციის „თქვენთვის გადმოცემას“ ვეცდები. გადამღები ჯგუფი ტელესერიალს არა პავილიონში ან ტელევიზიის რომელიმე სტუდიაში, არამედ თბილისის ძველ უბანში, პლეხანოვზე, იტალიური ეზოს ერთ-ერთ სახლში იღებს.

როგორ გახდნენ „ასას“ მსახიობები ვიტალი ხაზარაძის „ოჯახის წევრები“

ლალი ფაცია

მადონა ვასაძე, *პროდიუსერი:*

— უკვე მეორე წელია, რაც ჩვენი გადამღები ჯგუფი აქ, ამ ბინაში იმყოფება. სასურველია, გადაღება სადმე სტუდიაში ან პავილიონში მიმდინარეობდეს, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ იყო, რადგან პავილიონი სხვა გადაცემებს ჰქონდა დაკავებული. ამიტომ იძულებულები გავხდით, შესაბამისი გარემო გვეპოვა და ამ სახლში დავბინავდით.

— მერე, რამდენად კომფორტულია თქვენთვის აქ მუშაობა?

— მუშაობის თვალსაზრისით, ნაკლებკომფორტულია, რადგან ქუჩიდან ხმაური შემოდის. მანქანების განუწყვეტელი გუგუნი ისმის; შესაძლოა, გადაღების პროცესში, ძაღლის ყეფაც გაისმას. ასე რომ, უამრავი რამ არის ისეთი, რაც იძულებულებს გვხდის, ბევრი დუბლი გადავლოთ. მაგრამ ამ სიტუაციას უკვე შევეგუეთ.

— იტალიურმა ეზომ, სამეზობლომ როგორ მიგიღოთ? მსახიობები, რეჟისორები, ხმაურიანი ხალხი ხართ და შესაძლოა, თქვენმა აქ ყოფნამ ბევრი მეზობელი შეაწუხა კიდეც.

— მართლაც, ხმა როგორც გარედან აღწევს, ასევე ჩვენი ბინიდანაც გადის, მაგრამ მეზობლებში გაგვიმართლა. მინდა, ჩვენთვის ერთი სასიამოვნო მოულოდნელობის შესახებაც გითხრათ: ჩვენი მეზობელი, ექსპარლამენტარი ვიტალი ხაზარაძე აღმოჩნდა.

— რას ამბობთ, ვიტალი ხაზარაძე თქვენი მეზობელია?

— დიახ და ბევრად უფრო სასიამოვნო ის არის, რომ იგი საუკეთესო მეზობელი აღმოჩნდა. ისე, რომ ლამის საკუთარი ოჯახის წევრებივით მიგვიღეს. თუკი რამე გვჭირდება, მის ოჯახში მივდივართ. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი ფატი, რომელიც ჩვენ მიმართ საოცრად კეთილგანწყობილია. რა უნდა დაგვჭირდეს, რომ არ გვათხოვოს (საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს ვგულისხმობ). ვაწუხებთ აგრეთვე იმნაძეების, აბესაძეების ოჯახებსაც: ჩვენი ჯგუფის სახელით მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ასეთი მეზობლები და მეზობლობა იშვიათია, თუმცა საქართველოში ეს არავის უკვირს...

— პირადად ბატონ ვიტალისთან თუ გქონიათ შეხვედრა?

— აქ რომ გადმოვედით, რამდენიმე დღეში ტაფა დაგვჭირდა; გავედით, დავუკაკუნეთ მეზობელს და აღმოჩნდა, რომ ბატონი ვიტალის ოჯახში მოვხვედით. ძალიან გაგვიხარდა მისი გაცნობა. გულღია და კარგი ადამიანია. ტაფა ქალბატონმა ფატიმ რომ გამოგვიტანა, ბატონმა ვიტალიმ მეუღლეს უთხრა — როგორ, ცარიელს ატან, იმის ნაცვლად, რომ პურმარილი გავუშალოთ ამ პატიოსან ხალხსო?!. სანამ ბატონ ვიტალის გავიცნობდი, მას ტელეეკრანიდან ვიცნობდი. საინტერესო, არაორდინარული, კოლორიტული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი პირადად გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მართლაც ასეთია, თან — არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობაც აქვს. ხაზარაძეები ერთი სართულით ზემოთ, ჩვენს თავზე ცხოვრობენ. მათი ოჯახი არასდროს გვაწუხებს, პირიქით, ჩვენ უფრო ვაწუხებთ, მაგრამ მათგან არანაირი საყვედური არ გვსმენია.

ლაშა ცერიაშვილი, *რეჟისორი:*

— პირადად მე, არასდროს შევხვედრივარ ბატონ ვიტალის პირისპირ. უფრო ხშირად მის მეუღლეს ვეხმიანებით. ერთხელ ქალბატონი ფატი კიბეზე შემხვდა და მძიმე ტვირთი ავატანინე სახლში... გადაღება მოგეხსნებათ, ხმაურთან არის დაკავშირებული; ყველანაირად ვცდილობთ, არ შევაწუხოთ მეზობლები, მაგრამ თუ ამას ბოლომდე ვერ ვახერხებთ, უნდა გვაპატიონ... საერთოდ, გადამღები ჯგუფის შეშვება ისეთ ობიექტებზე, როგორიც არის საცხოვრებელი სახლი, რესტორანი, ესა თუ ის დაწესებულება, რისკთან არის დაკავშირებული, ამიტომ ყოველთვის ცდილობენ, თავიდან აიცილონ. მაგრამ მეზობლებმა გულით მიგვიღეს. დღესდღეობით ამ სახლში შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივად ვცხოვრობთ.

— სერიალში რა სიახლეებია?

მადონა ვასაძე:

— სერიალში დაგვემატა ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობი — ზაზა პაპუაშვილი. ჩვენთვის მასთან მუშაობა დიდი ბედნიერებაა. საერთოდ, დიდი სურვილი გვქონდა, რომ მას „ასა 2“-ში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ მისი სურვილიც რომ არ ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა. ის გოგოლა კალანდაძის, იმავე პუპსიკას მამის როლს თამაშობს ანუ ეკრანზე ეკა კახიანის მეუღლეა.

— როგორია ზაზა პაპუაშვილთან მუშაობა?

ლაშა ცერიაშვილი:

— ძალიან საინტერესოა ზაზასთან მუშაობა. გრძნობ მის გამოცდილებას, პროფესიონალიზმს. საერთოდ, ის ჟანრი, რომელსაც ჩვენი სერიალი განეკუთვნება, მსახიობისგან განსხვავებულ თამაშსა და როლზე მუშაობას მოითხოვს. თუმცა ჩვენი მსახიობები ამას სწრაფად უღებენ ალღოს. მგონი, მათ მიერ შექმნილი პერსონაჟები მაყურებლისთვის გასაგები და მისაღებია. ■

სახლი, რომელშიც სერიალის გადამღები ჯგუფი მუშაობს

ზაზა პაპუაშვილი და პაატა გულიაშვილი

ჩემს ხელთაა ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული, ჟამთა სვლისაგან გაფერმკრთალებული, ნახევრად გაცრეცილი გაზეთების ნომრები და პროგრამები. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია გასული საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების ცნობილი ქართველი მოკრივის, ზემილ მაჭავარიანის პირადი არქივიდან. მედლები, დიპლომები და სხვა ჯილდოები ქუთაისში, ქართული სპორტის მუზეუმშია განთავსებული. ამ მედლებისა და ჯილდოების მიღმა, კრივისადმი ამაგდარი სპორტსმენის დიდ სიყვარულს, მუხლჩაუხრელ შრომასა და ბუნებით ბოძებულ ნიჭიერებას დაინახავს კაცის თვალი.

გამარჯვება მასპინძელ მოკრივე პურპონენთან (ჰელსინკი, 1962 წ.)

კრივის ჯენტლმენი

ანუ მოკრივე, რომელიც მოწინააღმდეგეს ნოკაუტისთვის ვერ იმეტებდა

მურმან ხაჭაპურიძე

...ყოველივე ეს კი 1953 წელს, ქუთაისში დაიწყო. ქალაქის ცენტრალურ სპორტულ დარბაზში ჩვეულებრივი მეცადინეობა მიმდინარეობდა. ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები და მოკრივეები ვარჯიშობდნენ. მოკრივეებმა დაიწყეს თუ არა ვარჯიში, კარს ამოფარებული ცამეტიოდე წლის ბიჭუნა მათკენ გაეშურა და ისეთ ადგილას დადგა, რომ მოკრივეებისთვის კარგად ედევნებინა თვალი. მწვრთნელს არაერთხელ შეუნიშნავს ეს ყმაწვილი. იგი ყოველთვის დიდი ინტერესით აკვირდებოდა მოკრივეებს. ერთხელაც, მწვრთნელმა მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— შენ ვისთან ხარ, ვის ელოდები?

ყმაწვილი ყურებამდე გაწითლდა, თავი დახარა და ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა:

— არა, ისე... ვუყურებ...

— ხომ არ გინდა, მოკრივე გახდე, ა? რას გაჩუმდი?

ბიჭუნა დუმდა და იმედმოცემულს თვალები უბრწყინავდა. დუმილი თანხმობის ნიშანიაო, ნათქვამია, მაგრამ იმისათვის, რომ ქალაქის მოკრივეთა სექციაში ჩაგრიცხონ, მარტოოდენ თანხმობა როდი კმარა. ამისათვის საჭიროა, სკოლაში სანიმუშო დისციპლინით გამოირჩეოდე და კარგად სწავლობდეო, — უთხრა მწვრთნელმა...

დახასიათების მისაღებად ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორის, ცნობილი პედაგოგის ედუარდ თავაძის კაბინეტის კარი მოკრძალებით შეაღო და როდესაც თავისი გულისნადები გაუმხილა, პასუხმაც არ დააყოვნა:

— აბა, შენ იცი, როგორ გვასახელებ! კრივს ძლიერი და ნებისყოფიანი ყმაწვილები ირჩევენ. არ დაივიწყო, რინგზე ბრძოლისას ცაციას დიდი უპირატესობა აქვს.

ორიოდე დღის შემდეგ, ზემილ მაჭავარიანი სკოლის დახასიათებით ხელში მწვრთნელთან გამოცხადდა და მალე ვარჯიში დაიწყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ივანე მარქაროვის ხელმღვანელობით.

ბევრი ისეთი ცნობილი მოკრივე აღზარდა ივანე მარქაროვმა, რომელმაც ქართულ კრივს სახელი გაუთქვა არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც.

...დღეები დღეებს მისდევდა, თვეები — თვეებს და ზემილ მაჭავარიანი გულისხმიერი და გამოცდილი მწვრთნელის დახმარებით ამ ვაჟკაცური სპორტის საიდუმლოებას ეზიარა. რინგზე ბრძოლისას მისი უპირატესობის საიდუმლო, ფოცხვერივით სწრაფი მოძრაობა და ძლიერი ცაცია გახლდათ. მოგვიანებით, მისი მწვრთნელი ივანე მარქაროვი ამბობდა: ზემილ მაჭავარიანს სამი კაცის ძალა ჰქონდაო!



ზემილ მაჭავარიანი (მარჯვენივ) პუგაჩოვთან ორთაბრძოლისას (მოსკოვი, საერთაშორისო ტურნირი)

მაჭავარიანის მიერ რინგზე მოპოვებული მონაგარი ძალზე თვალსაჩინოა. 63,5 კგ წონით კატეგორიაში ოფიციალურ შეჯიბრებებში რინგზე მან 170 ბრძოლა გამართა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აშკარა უპირატესობით მოიგო. ნოკაუტით გამარჯვება არცთუ ისე ბევრი აქვს. თუმცა, ამას ასე ხსნის: „როცა ბრძოლას აშკარა უპირატესობით იგებ, საშუალებაც რომ მოგეცეს, მოწინააღმდეგე ნოკაუტისთვის არ უნდა გაიმეტო. არ არის გამორიცხული, მან უნებურად უმძიმესი ტრავმა მიიღოს და საერთოდ, კრივს ჩამოსცილდეს კიდეც“.

22 წლის ასაკში საერთაშორისო სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. 14-ჯერ გახდა საქართველოს სპარტაკიადის და რესპუბლიკის პირველობის ჩემპიონი, იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, რამდენჯერმე — ვერცხლის თუ ბრინჯაოს მედლის მფლობელი მოზრდილთა შორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ზონალურ შეჯიბრებებზე — მოსკოვში, თბილისში, ბაქოში, ხაბაროვსკში, ტალინში, ლვოვში. წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირის სტუდენტური ნაკრების უცვლელი წევრი, 4-ჯერ მიღებული აქვს ტექნიკური და ტაქტიკური მოკრივის სპეციალური პრიზი. პირველად ეს პრიზი 18 წლის ასაკში, სოხუმში გამართულ საქართველოს პირველობაზე მიიღო.

ამ მოკრივის სპორტულ კარიერაში ბევრი მნიშვნელოვანი მომენტია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს ძალზე მოკრძალებულად იხსენებს.

1962 წლის იანვარში, ჰელსინკიში საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა. ზემილ მაჭავრიანი ფინალში ნაკრების ღირსებას იცავდა გამოცდილი ფინელი

მოკრივის, პერტი პურჰონენთან ბრძოლაში. ეს მოკრივე სკანდინავიის ქვეყნების მრავალგზის ჩემპიონი იყო და პროფესიონალებშიც რინგზე ბრძოლის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. თავის გამარჯვებაში დარწმუნებული ტიტულოვანი ფინელი მოკრივე არ ელოდა ქართველი მოკრივისგან ასეთ მედგარ წინააღმდეგობას, მით უმეტეს, ტექნიკურ უპირატესობას; საბოლოოდ, მან ბრძოლა წააგო. შეჯიბრების ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ქართველი მოკრივე, გამარჯვებულის მედალთან ერთად, „კრივის ჯენტლმენის“ სპეციალური პრიზით — ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მოკრივის ბიუსტით დააჯილდოეს.

ასე მოიპოვა ზემილ მაჭავარიანმა 22 წლის ასაკში, საერთაშორისო სპორტის ოსტატის საპატიო წოდებასთან ერთად, „კრივის ჯენტლმენის“ წოდებაც. იმ პერიოდში რინგზე ასეთი წარმატება დიდ მიღწევად მიიჩნეოდა.

ბაქოში საბჭოთა კავშირის ზონალურ ჩემპიონატზე გამოსვლისას, როდესაც ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ჩემპიონს — ყულიევს მოუგო და რინგიდან ჩამოდიოდა, გამარჯვება მას პირველად, მოწინააღმდეგის — ყულიევის მშვენიერმა მეუღლემ გულწრფელად მიულოცა — იმისათვის, რომ ერთ-ერთ მომენტში მას შეეძლო, ბაქოელი მოკრივე ნოკაუტით დაემარცხებინა, მაგრამ დაინდო...

ბატონმა ზემილმა გულნატკენმა გაიხსენა ისეთი ფაქტებიც, როცა ქართველი მოკრივეები დაუმსახურებელ უსამართლობასა და მოულოდნელობებს აწყდებოდნენ. მაგალითად, ხაბაროვსკში, ტოკიოს ოლიამპიადისწინა შესარჩევ შეჯიბრებაზე, ზემილ მაჭავარიანმა სახელგანთქმული რუსი მოკრივე ვალერი ფროლოვი დაჯაბნა, მაგრამ ოლიმპიადაზე მაინც ფროლოვი წაიყვანეს, ქართველმა მოკრივემ კი ამ ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღო. საგულისხმოა, რომ ვალერი ფროლოვთან და ოლეგ ბარანიკოვთან ერთად, ზემილ მაჭავარიანი ნაკრების წევრობის კანდიდატი ყოველთვის იყო. მაგრამ მაშინ, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ასეთ მოულოდნელობებს „ცენტრში“ — მოსკოვში მსხდომი, საბჭოთა სპორტის „ავტორიტეტული“ თავკაცები გეგმავდნენ. როგორც ცნობილია, ასეთი რამ სხვა ქართველ სპორტსმენებსაც უწვნევიათ საკუთარ თავზე...

ქართველმა მოკრივემ შვეიცარიელი სპორტსმენი აშკარად დაჯაბნა (თბილისი, 1960 წ)

ზემილ მაჭავარიანი თავის სპორტულ მიღწევებზე საუბრისას ძალზე სიტყვაძუნწი და მორიდებულია, მეტწილად სხვათა მიღწევებსა და ოსტატობაზე ლაპარაკობს. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებს სახელგანთქმულ მოკრივეებს — ჯუმბერ კვანტალიანს, მალხაზ მამამთავრიშვილს, ნოდარ და გივი დარბაისელებს, გოლიათ ბაბახანიდის, ნოდარ ამაშუკელს, სერგო ბერძენიშვილს, ზაურ კოზაევს, გაბრიელ გუბაევს, რაიმონდ რიაბუხას, ირაკლი ცერცვაძეს, ნოდარ ქიქავას, თათევოზ მიქაელიანს, რომა აკოფოვს, ავსტრიელ ბრანსმუტს, ფინელებს — პურჰონენს და ტოიანენს, სოხუმელ ჩუკიანს, ფოთელ მალიშსა და სხვებს, ხოლო მისი წინა თაობიდან აღფრთოვანებით საუბრობს ტყავის ხელთათმანის დიდოსტატების — ლომიძის, მელაძის, ტაბატაძის, თორთლაძის, გუჯაბიძის, მუხაძის ოსტატობასა და მიღწევებზე. და კიდევ: აღფრთოვანებით ლაპარაკობს თავის ახალგაზრდა კოლეგაზე, ჩვენს სახელგანთქმულ დავით კვაჭაძეზე, რომელმაც ქართული კრივის ისტორიაში პირველად მოუტანა ქვეყანას კონტინენტის ჩემპიონის მაღალი ტიტული.

ზემილ მაჭავარიანმა ავსტრიაში, თურქეთში, ფინეთში, შვედეთში, პოლონეთში, რუსეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში რინგზე გამარჯვებებით დაამშვენა ქართული კრივის მატიანე. კრივის ჯენტლმენი დიდად აფასებს თანამედროვე ქართველი მოკრივეების ოსტატობასა და მიღწევებს, განსაკუთრებით გამოყოფს გიორგი კანდელაკისა და ამერიკაში ტრაგიკულად დაღუპული აკაკი კაკაურიძის ოსტატობას. ბევრი სხვაც დაასახელა და ზოგიერთი მათგანის რინგზე ბრძოლის ინდივიდუალური მანერაც აღწერა. ვეტერანი მოკრივის თვალი იოლად ამჩნევს, თუ რინგის ღია ცენტრში ანუ დახურულ კუთხეში ვინ როგორ წარმართავს მოულოდნელი დარტყმების სერიას, როგორ ქმნის ნოკაუტისთვის ხელსაყრელ სიტუციას, როგორ აღწევს ტექნიკურ უპირატესობას...

დღეს 68 წელს მიღწეული ვეტერანი მოკრივე დაკვირვებით ადევნებს თვალყურს ქართული კრივის მდგომარეობას

18 წლის ზემილ მაჭავარიანი (მარჯვნივ) სოხუმში 1958 წელს პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი

და თითოეული სპორტსმენის წარმატებით ხარობს. ამასთანავე, განაწყენებული ამბობს: „გულსატკენია, როდესაც მავანსა და მავანს უცოდინარობის გამო მიაჩნია, თითქოს კრივმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, 1921 წლიდან აიდგა ფეხი. ისინი ძალიან ცდებიან“, — და იხსენებს ერთ ფაქტს ჟურნალისტ თამაზ ტყემალაძის წერილიდან:

„1818 წლის გვიანი შემოდგომაა. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან კავკასიის ახალდანიშნულმა მთავარმართებელმა — პეტრე ერმოლოვმა თბილისში, აბანოს უბანი დაათვალიერა, სეიდაბადიც მოიხილეს და უკან დაბრუნდნენ. მტკვარზე ტივი მიცურავდა, უკრავდა პიტრუსას მედუდუკეთა დასტა და ყარაჩოხელები ჭიქებით ხელში ადღეგრძელებდნენ მთავარმართებელს.

— რა ხალხია? ვინ არიან? — იკითხა ერმოლოვმა.

— მაგ ტივზე ქართველებთან ერთად, სომხებიც არიან და აზერბაიჯანელებიც. უმეტესნი ჩვენი ქებული მოკრივეები არიან.

— რა კარგია! აი, ეს მესმის! — აღფრთოვანება ვერ დამალა კავკასიის ახალმა მთავარმართებელმა.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ კი იქვე მიუგო: გაზაფხულზე კრივი იქნება ქალაქში და თუ ინებებს თქვენი ბრწყინვალება დასწრებას, ყველას გაგაცნობთ“...

მას შემდეგ თითქმის 200 წელი გავიდა. მანამდე?..

მანამდე კი ძველ ტფილისში, მეიდანთან ახლოს, მოდუდუნე მტკვრის სანახებში გაშენებულ ორთაჭალის მშვენიერ ბაღებში იმართებოდა კრივი. ■

ჯიჩოლი ლონდონიდან

რიჩარდ ჰარდეიკი

ქონიერი ქალი

დასაწყისი იხ. „გზა“, №15

ჯერი სილი კოტეჯიდან გამოვიდა. ხელში ფოტოაპარატი ეჭირა.

— დენ, რაც საჭირო იყო, ყველაფერი გადავიღე.

გვამი „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში მოათავსეს და წაასვენეს. დენ პივიმ ამოიოხრა და თქვა:

— ახლა კი საჭიროა, ყველა მობინადრე დავკითხოთ, იქნებ ვინმემ რაიმე იცის?

მისტერ დანვუდსა და მის მეუღლეს №4 კოტეჯი ეკავათ. დანვუდები ხანში შესული ცოლ-ქმარი იყო. „გეილ ინში“ მეგობრების რეკომენდაციით ჩამოვიდნენ.

— ერთი კვირაა, რაც აქ ვართ, შერიფო, — თქვა მისტერ დანვუდმა. — საზარელი საქმეა. მგონი, ეს ქალი ამ ორი დღის წინ, პლაჟზე დავინახე. ჩვეულებრივ, განმარტოებას არჩევდა.

— დილის შვიდიდან რვა საათამდე შინ იყავით? — შეეკითხე მე.

— დიახ. ცხრაზე გაგვეღვიძა. დღეს მოქცევა გვიან იყო და ადრე ადგომას აზრი არ ჰქონდა.

— რაიმე ხომ არ შემოგესმათ №2 სახლის მხრიდან? — შეეკითხა დენი. — ან მანქანის ძრავას ხმა, ან ქალის კივილი.

— არაფერი გამიგონია, სანამ გავიღვიძებდი. თხუნელასავით მეძინა. — და ცოლს მიუბრუნდა. — მეიბლ, შენ გაიგონე რაიმე?

— არა, არაფერი, — უპასუხა მისის დანვუდმა.

— გუშინ საღამოს ჭადრაკს ვთამაშობდი დოქტორ შელდონთან მის სახლში. გამანადგურა. ძალზე გონებაგახსნილი და ჭკვიანი ახალგაზრდაა. მომეწონა. მჯერა, რომ მას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ამ მკვლელობასთან.

— თუ გაგახსენდებათ რაიმე ისეთი, რაც თქვენი აზრით, შესაძლოა, გამოადგეს გამოძიებას, ჰორეისს შეატყობინეთ, — სთხოვა დენმა დამშვიდობებისას.

შემდეგ, მისტერ ადამ ლონდონს გავესაუბრეთ. მას მთავარ კორპუსში ჰქონდა აღებული ნომერი. ძალზე ასაკოვანი იყო. გვითხრა, რომ კარგად იცნობდა ჰორეისის მამას და არც გაუგია, თუ რა მოხდა კოტეჯში.

— ვეუბნებოდი ჰორეისს, რომ არ ღირდა ამ კოტეჯების ჩადგმა, ახლა ხომ თვითონაც დარწმუნდა ამაში.

სასტუმროს წინ წითელი „ფორდი“ გაჩერდა.

— ედელმანია, — გვითხრა ჰორეის ალენმა. — რა მალე ჩამოვიდა კინგსტონიდან: 105 კილომეტრს ერთი საათიც არ მოანდომა!..

მანქანიდან მსუქანი, მელოტი კაცი გადმოვიდა, ასე, ორმოცდაათიოდე წლის. თეთრი პერანგის სახელოები იდაყვებამდე აეკაპიწებინა. ჰალსტუხი ცოტა მოშვებული ჰქონდა. მშვიდი და სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

ჰორეის ალენმა ერთმანეთი გაგვაცნო. ედელმანმა მაშინვე გვკითხა:

— რა მოხდა? სად არის პოლი? სად არის დოქტორი შელდონი?

— ის თავის სახლშია, — უპასუხა დენმა. — დოქტორმა შელდონმა გვითხრა, რომ თქვენ მისი მოადგილე ხართ.

ედელმანმა მოუთმენლად დაუქნია თავი.

— მინდა, პოლი ვნახო და დაველაპარაკო. რაიმე უბედურება შეემთხვა?

დენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— შესაძლოა, ასეც იყოს, დოქტორო ედელმან. ჯერ მთლად დარწმუნებული არ ვართ. მასთან მიგაცილებთ.

დენი, მე და ედელმანი საზაფხულო კოტეჯებისკენ წავედით.

— თქვენ, როგორც ჩანს, მისი ახლო მეგობარი ხართ, — უთხრა დენმა. — სამთვრობო დაკვეთას მასთან ერთად ასრულებდით?

— არა, ფირმა „ბოუენში“ ვმსახურობ, დოქტორის ხარისხის მონიჭების დღიდან. დიდი ხანი დოქტორ ლონჟინოს მოადგილე ვიყავი. მას მერე კი, რაც ის გარდაიცვალა, პოლის მოადგილე გავხდი. მე და პოლს ბევრი რამ გვაქვს საერთო, ერთნაირი ინტერესები... ორივენი მარტოხელები ვართ: პოლი გაყრილია. ჰოდა, დავახლოვდით.

— აქ მკვლელობა მოხდა, — თქვა დენმა. — ქალი მოკლეს, შელდონის ძველი ნაცნობი მონიკა ბაროუზი.

ედელმანი ადგილზევე გაქვავდა.

— თქვენ თქვით — მონიკა ბაროუზი?

— დიახ.

ის მოიღუშა.

— არაა გასაკვირი, რომ პოლი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საძაგელი პატარა შანტაჟისტი...

ის გაჩუმდა და მელოტ თავზე ხელი გადაისვა.

— იქნებ მიამბოთ, მაინც რა მოხდა? მინდა პოლს როგორმე დავეხმარო, თუკი რამით შემიძლია. მაგრამ მინდა, სანამ შევხვდები, ყველაფერი მიუკერძოებელი ადამიანისგან შევიტყო... თავში არასდროს მომსვლია...

— მაგრამ თავდაპირველად, — თქვა დენმა, — მომიყევით, რა შანტაჟზეა ლაპარაკი.

— გინდათ თქვათ, რომ პოლი არ...

უარყოფის ნიშნად, დენმა ნელა გააქნია თავი.

— ახლა, როცა შანტაჟის შესახებ შევიტყვეთ, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, რომ ყოველივე დაწვრილებით გამოვიძიოთ. ხოლო თუ თანახმა ხართ დაგვეხმაროთ, მაშინ ამ საქმეზე ბევრი ოფლის ღვრა აღარ მოგვიწევს.

ედელმანს თვალებში დანაშაულის გრძნობა გაუკრთა, თითქოს მან უნებლიეთ მეგობარი გასცა...

— ეს ამ ცხრა წლის წინ მოხდა. პოლი სერიოზულ სახელმწიფო დაკვეთაზე მუშაობდა. ის დაქორწინებული იყო, მაგრამ შვილები არ ჰყავდა. სამსახურებრივ საქმეებზე ბევრი მოგზაურობა უწევდა, სახლს დიდი ხნით ტოვებდა. მამაკაცის ამბავი მოგეხსენებათ... ჩვეულებრივი ადამიანია და გამორჩეული ჭკუა-გონების მიუხედავად, მაინც დაუშვა შეცდომა. თანაც სამწუხაროდ, ისეთ ქალთან, რომელმაც შემდგომ მის დაშანტაჟებას მიჰყო ხელი. მთელი ორი წლის მანძილზე პოლი იძულებული იყო, მისთვის დიდი თანხა გადაეხადა. შემდეგ ის ცოლს გაეყარა, ოღონდ სულ სხვა მიზეზით, რომელიც ამ ქალთან არ იყო დაკავშირებული. გაყრის შემდეგ ის, ბუნებრივია, შანტაჟისტი ქალის კლანჭებისგან გათავისუფლდა... პოლმა ეს ამბავი რამდენიმე თვის წინ მიამბო.

— ხომ არ შეეძლო ამ ქალს, რაიმე სხვა საბაბით ისევ დაეშანტაჟებინა პოლი? — შეეკითხე მე.

MK

ედელმანმა ენერგიულად გააქნია თავი.

— რა თქმა უნდა, არა!

— მოვედით, — თქვა დენმა. — აი, ამ გზას შელდონის სახლთან მივყავართ. ჩვენ ვთხოვეთ, რომ არსად წასულიყო და არც არავინ მიეღო. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ და ესაუბროთ.

— გმადლობთ, შერიფო, — თქვა ედელმანმა და მტკიცედ დაადგა გზას შელდონის სახლისკენ.

მე დენს მივუბრუნდი:

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენ რაღაც ხელჩასაჭიდი გაგვიჩნდა, რომლითაც შესაძლებელია ამ საქმის წინ წაწევა, უკიდურეს შემთხვევაში, რაღაც მოტივის მაგვარი.

— შესაძლებელია. რომელი საათია, პიტ?

საათს დავხედე, ოთხის თხუთმეტს უჩვენებდა.

— რას ნიშნავს: შესაძლებელია? ხომ შეიძლებოდა, ამ ქალბატონს რაიმე ახალი მოეგონებინა იმისთვის, რომ შელდონისთვის ფული გამოეძალა. სხვა რა მიზეზით უნდა გამოჩენილიყო ისეთ ადგილას, როგორიც ეს სასტუმროა? ოღონდ ამჯერად შელდონმა, ცოტა „გაუბერა“ გადაღლილობის გამო — თავზე კონტროლი დაკარგა და შანტაჟისტმა ქალმაც, ფულის ნაცვლად, გულმკერდში დანის დარტყმა მიიღო.

— კი, მაგრამ როგორ დავაკავშიროთ შენი ეს ვერსია იმასთან, რაც სანაპიროზე მოხდა? — მკითხა დენმა. — გინდა თქვა, რომ ეს ყველაფერი გათამაშებული იყო?

მხრები ავიჩეჩე.

— ამაში ექიმი სტებინსი გაგვარკვევს: შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანმა ჩაიდინოს მკვლელობა, მერე წავიდეს დანაშაულის ადგილიდან და შემდეგ წარმოიდგინოს, თითქოს მის მიერ მოკლულს ვიღაც სხვა კლავს, თითქოსდა ამით სინდისის ქენჯნას იოკებს.

დენმა ჩაახველა და ხელი ნიკაპზე მოივლო.

— რაღაც საქმე მაქვს ოფისში. ჯერი ახლა ირგვლივ ყველაფერს ჩხრეკს — მკვლელობის იარაღს ეძებს. ხომ არ წაეხმარებოდი?..

სწორედ ამ მომენტში, გაღიმებული ჯერიც გამოჩნდა. მოგვიახლოვდა და თეთრი ცხვირსახოცი გამოგვიწოდა, რომელშიც სამზარეულოს გასისხლიანებული დანა იყო გახვეული.

— დენ, შესაძლოა, სწორედ ეს არის მკვლელობის იარაღი? — შეეკითხა იგი.

— შელდონის სახლთან, ბუჩქებში ვიპოვე. მაგრად არის გასვრილი. არა მგონია, თითების ანაბეჭდები ზედ კიდევ დარჩენილიყო.

დენმა იმ ადგილის ნახვა ისურვა, სადაც დანა იპოვეს. ჯერი წინ გაუძღვა.

— აი, აქ ცოტაოდენი სისხლი დარჩენილა ქვიშაზე.

დენ პივიმ ყურადღებით დაათვალიერა იქაურობა, მირტის ხშირი ბარდების ჩათვლით.

— პიტ, ჯერი, ნახეთ, ამ ფოთოლზე ლაქაა. სისხლს ჰგავს. როგორც ჩანს, მას დანა შეეხო, სანამ მიწაზე დავარდებოდა. ამით შესაძლებელია, დავადგინოთ, თუ საიდან გადმოაგდეს იგი. აშკარაა, რომ ის, მეისფილდის სახლის უკანა ბაქნიდანაა გადმოგდებული.

მომეჩვენა, რომ მივხვდი, საითკენ უმიზნებდა დენი და შევეკითხე:

— რატომ გადააგდებდა ბოროტმოქმედი მკვლელობის იარაღს საკუთარ ეზოში? მას ხომ ძიების პროცესში აუცილებლად იპოვიდნენ!

დენმა ჩაიბურტყუნა — ეს კითხვა მეც გამიჩნდაო. შემდეგ მითხრა, რომ უნდა დავრჩენილიყავი და შელდონის სახლისა და სასტუმროსთვის მედევნებინა თვალყური.

— მე მგონი, შელდონი უნდა დავაპატიმროთ.

— დაპატიმრებას მერეც მოვასწრებთ. ახლა კი, მოდი, თვალყური ვადევნოთ მის სახლს.

დენი და ჯერი ქალაქში წავიდნენ, მე კი სასტუმროს წინ ჩამოვჯექი. რამდენიმე წუთში სასტუმროში ედელმანი მოვიდა. სანამ სიტყვას იტყოდა, მოიღუშა და თავი გადააქნია:

— პოლი ბევრად უფრო დათრგუნვილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა... რა გადაწყვიტა შერიფმა?

— ჯერჯერობით არ ვიცი, — ვუპასუხე მე.

ის გაჩუმდა. შემდეგ მითხრა:

— ვშიშობ, რომ პოლს საფრთხე ემუქრება.

— საფრთხე? რას გულისხმობთ?

— იმის საშიშროება, რომ ხანგამოშვებით ჭკუიდან გადაცდეს. ძალიან მაშფოთებს მისი მდგომარეობა. შერიფი აქ არის?

— არა. მცირე ხნით ქალაქში წავიდა და მალე დაბრუნდება.

— მინდა, ნომერი ავიღო სასტუმროში. თუ შეიძლება, გადაეცით შერიფს, რომ მასთან საუბარი მინდა.

ედელმანის სიტყვებმა საკმაოდ შეგაშფოთა. შელდონის სახლისკენ გავიქეცი და კარზე დავაკაკუნე. როცა დოქტორის ხმა გავიგონე, გულზე მომეშვა.

— შემობრძანდით.

როგორც ადრე, ახლაც მხოლოდ ტრუსში იყო, იწვა და სიგარეტს ეწეოდა.

— დოქტორო, ხომ კარგად გრძნობთ თავს? თქვენი მეგობარი ძალიან ნერვიულობს თქვენ გამო.

— კარგად ვარ, მისტერ მილერ. მხოლოდ ის ამბავი მაკვირვებს, რომ შერიფმა ჯერ კიდევ არ მიკრა თავი გისოსებს მიღმა.

— დენ პივი დაუფიქრებელ ქმედებას არასდროს სჩადის.

— მან, ალბათ, იმიტომ დაგტოვათ, რომ ჩემთვის გედევნებინათ თვალი...

— ვაღიარებ, რომ ასეა.

შელდონმა ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— შესაძლოა, ეს თქვენთვის საინტერესო იყოს. იცით, ნაწილობრივ მე თვითონაც დარწმუნებული ვარ, რომ ის ქალი ჩემი მოკლულია. ადამიანის გონება ზოგჯერ ისეთ ოინს მოგიწყობს...

ის საწოლზე წამოჯდა და მწარედ გაიღიმა.

— ჭადრაკს თამაშობთ, მისტერ მილერ?

— არა, დოქტორო, მე მხოლოდ იმ თამაშს ვთამაშობ, რომელსაც „მგელი და ცხვარი“ ჰქვია.

დაახლოებით შვიდი საათისთვის გარედან მანქანის დამუხრუჭების ხმა გავიგონე. შელდონს უკვე ბევრი პარტია ჰქონდა ჩემთვის მოგებული. მასთან წაგება სულაც არ მწყინდა. წამოვდექი და კარი გავაღე. მანქანიდან დენ პივი გადმოვიდა და შემეკითხა:

— დოქტორი შელდონი აქ არის, პიტ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— უნდა დაველაპარაკო. სასტუმროში დავრეკე და ჰორეისმა მითხრა, რომ ედელმანმა „გეილ ინში“ ნომერი აიღო. ჯერისთან ერთად წახვალთ და ედელმანს აქ მოსვლის საშუალებას არ მისცემთ, სანამ მე არ გეტყვით.

— მაინც რა... — დავიწყე მე.

— მიდი, მიდი, — მითხრა დენმა და გარეთ გამისტუმრა.

როცა მანქანაში ჩავჯექი, ჯერის მაშინვე ვკითხე:

— რას აკეთებდით ქალაქში?

— დენმა თავის მეგობარს, ჰობარტს — კინგსტონის პოლიციის უფროსს დაურეკა. სთხოვა, რომ გაეგზავნა ორი გამომძიებელი და ამ ბაროუზის ბინა გაეჩხრიკათ. მაგრამ იქ ვერაფერი აღმოაჩინეს. მერე დენი „ბოუენ კორპორეიშენის“ ერთ-ერთ „ბობოლას“ ელაპარაკა. მერე კი თქვა — სანამ შელდონს დავატუსაღებდე, რაღაც კიდევ უნდა გადავამოწმოო.

როგორც ჩანს, დენ პივის დაავიწყდა, რომ შერიფის თანაშემწეებსაც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანებს, იშვიათად, მაგრამ მაინც შივდებათ... ვიეშმაკე და სამზარეულოდან ბუტერბროდები დავითრიე. ჯერი და მე გარეთ, ჰოლის წინ ჩამოვსხედით, რომ სასტუმროდან ედელმანის გასვლა არ გამოგვპარვოდა, თუკი ის ამას დააპირებდა.



დენ პივი ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა. უკვე ბინდდებოდა.

— დენ, დოქტორმა ედელმანმა მთხოვა, როგორც კი დაბრუნდებოდით, მეთქვა, რომ თქვენთან შეხვედრა სურს, — მოვახსენე მე.

— ჰორეისი სად არის? — იკითხა მან.

— ცოტა ხნის წინ სამზარეულოში დავინახე. ალბათ, ჯერაც იქაა.

დენმა ჩაიფრუტუნა და სასტუმროში შევიდა. რამდენიმე წუთში უკან გამოვიდა, კიბეს დაუყვა და მოგვაძახა:

— წამოდით, ბიჭებო. უკან, ქალაქში ვბრუნდებით.

— ქალაქში? — გაუკვირდა ჯერის და სკამიდან წამოხტა. — შელდონი ასე უმეთვალყურეოდ დავტოვოთ?

— ჩაჯექი მანქანაში, ჯერი! — უბრძანა დენმა და ხელით საჭეზე მიუთითა.

სიტყვის უთქმელად ქალაქის გზას დავადექით. როგორც კი მოსახვევში შევედით, დენ პივი ჯერის მიუბრუნდა:

— იმ სახლისკენ შეუხვიე, რომელიც ბაროუზს ეკავა.

— ქალაქში არ მივდივართ? — ჰკითხა გაკვირვებულმა ჯერიმ.

— ქალაქში არა. სახლთან გააჩერე. ახლა რაღაც-რაღაცების ჩადენას ვცდით.

— რას გულისხმობთ, დენ? — შეეკითხა ჯერი.

— მინდა, მკვლელი დავიჭირო. წავედით. ნუ ხმაურობთ!

დენ პივიმ პლაჟზე გაგვიყვანა, მარცხნივ შეუხვია და იმ კიბეს აუყვა, რომელსაც შელდონის სახლთან მივყავდით. ამასობაში უკვე მთლად დაბნელებულიყო. სახლში სინათლე ენთო. დენი სახლთან სულ ახლოს მივიდა და იმ ფანჯარებთან ჩაიმუხლა, რომლებზეც ფარდა იყო ჩამოფარებული. მთვარე სახლის მეორე მხარეს ანათებდა.

— შემომიერთდით, — ჩაგვჩურჩულა დენმა.

ჩვენც მის გვერდით ჩავიმუხლეთ. ერთ წუთში კოლოები შემოგვესივნენ.

ასე ვისხედით ოციოდე წუთი მაინც. ისიც კი გავიფიქრე, რომ დენს ასაკმა დარია ხელი... უეცრად სახლის კარზე დაკაკუნების ხმა გავიგონეთ.

— პოლ! — გაისმა მამაკაცის ხმა, რომელიც ნაღდად მისტერ ედელმანს ეკუთვნოდა. — პოლ! — კვლავ დაუძახა მან.

— ამოს?

— ჰო. ალენმა გადმომცა, რომ გითხოვია, ვახშმის შემდეგ შენთან შემომევლო.

— შემოდი, ამოს, მე მართლაც მინდოდა შენთან დალაპარაკება.

ჯერ ნაბიჯების ხმა გავიგონეთ, შემდეგ — კარმა გაიჭრიალა.

— კინაღამ თავი მოვიკალი ამ რევოლვერით, — თქვა შელდონმა, — ამ ყველაფერთან ერთად ლაბორატორიის საქმეებსაც მოვრჩებოდი. მგონი, მართლაც, ჭკუიდან შევიშალე...

— მთლად ასეც არაა, პოლ. უბრალოდ ნერვები გღალატობს, გადაღლილი ხარ.

— ახლა კი, ეს უბედურება. დარწმუნებული ვარ, რომ შერიფს მონიკას მკვლელი მე ვგონივარ. ჰგონია, რომ მონიკა აქ ჩემთან შესახვედრად ჩამოვიდა, რომ დავემარტოხელებინე და რაიმე ახალ შანტაჟზე წამოვეგე... ჰოდა, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ეჭვი ჩემზე უნდა ჰქონდეთ.

— ნუ ნერვიულობ, პოლ. პირველ რიგში, ადვოკატს შეგირჩევ.

— შენ როგორ ფიქრობ, ამოს, მონიკა მართლაც მე მოვკალი? იქნებ მე არ მომიკლავს?

— ვფიქრობ, რომ ფსიქიატრის გამოძახება მოგვიწევს...

— მაგრამ, — შეაწყვეტინა მას შელდონმა, — ამ საქმეს სულ სხვაგვარადაც შეიძლება შევხედოთ. ჩვენ ორივე ხომ პრაქტიკული ჭკუის პატრონი ხალხი — მკვლევარ-ექსპერიმენტატორები ვართ. შერიფმა თქვა, რომ ქალის ჩანთაში იდო ფურცლის ნაგლეჯი, რომელზეც ჩვენი ლაბორატორიის ტელეფონის ნომერი ეწერა. და მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ტვინში ამ ბოლო თვეების მანძილზე ბევრი უცნაურობა ხდებოდა, მაინც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არც ტელეფონით მისაუბრია მონიკასთან და არც პირადად შევხვედრივარ.

— დარწმუნებული ხარ?..

— კი, აბსოლუტურად. მაშასადამე, ამოს, მონიკას ტელეფონის ნომერი ჩემთან სალაპარაკოდ კი არა, ჩვენს რომელიმე სხვა თანამშრომელთან დასაკავშირებლად სჭირდებოდა.

— იქნებ წინასწარ იზრუნა და უახლოეს მომავალში აპირებდა შენთან დარეკვას?..

შელდონს გაეცინა.

— მონიკა? შენ მას ისე არ იცნობ, როგორც მე. თუ მან ტელეფონის ნომერი ჩაიწერა, ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტა, ერთი საათის განმავლობაში აუცილებლად გამოიყენებდა მას და კიდევ, ვთქვათ, ერთხელაც — მომავალში. არა, უეჭველია — მას ჩვენი ლაბორატორიის რომელიმე თანამშრომელთან დაკავშირება უნდოდა.

— მერე, ვინ უნდა იყოს ეს იდუმალი პიროვნება? — ედელმანის ხმას დაძაბულობა და სისასტიკე გაერია. და ის სულაც არ ჰგავდა იმ ადამიანის ხმას, რომელიც მეგობარს ესაუბრება...

— ჩემი აზრით, არცთუ ისე ძნელი ამოსაცნობია: ის შენ გირეკავდა, ამოს.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ედელმანმა ჩუმად ჩაიცინა:

— დამიჯერე, პოლ, თუ ასეთ მსჯელობას მიჰყოფ ხელს, ვიფიქრებ, რომ ნამდვილად ჭკუიდან იშლები.

— შემიძლია განვაგრძო, — თქვა შელდონმა. — ვფიქრობ, რომ სწორედ შენი მოწყობილია ის პატარ-პატარა კაზუსები, რომლებიც მემართებოდა. იმ ღამეს, როცა მე და შენ ლაბორატორიაში მარტონი ვიყავით, ის ხმები შენც გესმოდა. ფაქტობრივად, ისინი შენი ჩაწერილი იყო, იმ პატარა მაგნიტოფონზე, რომელიც ერთხელ შენს ხელში შევნიშნე. და თუ ერთი წამით დავუშვებთ, რომ ეს გიჟური ბრალდება სამართლიანია, მაშინ უნდა გკითხო — რატომ მოხდა ეს ყოველივე? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ასე არაა? მე ფირმამ გარედან მიმიწვია, ამოს. შენ „ახალწვეულს“ დაგაქვემდებარეს... ის ჯერ ოცდათხუთმეტი წლისაც არ იყო, შენ კი ამ ფირმაში მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარე. მესმის, რომ საშინლად დაგწყდებოდა გული: მე ხომ შენზე ბევრად ახალგაზრდა ვარ და გამოვიდა, რომ სამეცნიერო კვლევის დარგში დირექტორის თანამდებობა, პენსიაში გასვლამდე, აღარც გეღირსებოდა...

მძიმე დუმილი ჩამოვარდა. გარკვევით ისმოდა ზღვის ტალღების ხმაური. შემდეგ ედელმანი ალაპარაკდა:

— მაგრამ ვაკანსია ძალიან მალე გაჩნდება, პოლ. განა შესაძლებელია, რომ ბოუენმა დირექტორად მანიაკი-მკვლელი დატოვოს?!. მოკლედ, დირექტორის თანამდებობა გათავისუფლდება და ამჯერად მას უკვე ის ადამიანი დაიკავებს, ვინც დიდზე დიდი ხანია, ეს დაიმსახურა. ეს სწორედაც რომ ამოს ედელმანია.

— ამოს, შენ უნდა გესმოდეს, რომ ამ ყველაფერს მე შერიფს მოვუყვები. საფუძვლიანი გამოძიება გამოააშკარავებს შენს კავშირს მონიკასთან... მაგრამ მაინც მაინტერესებს — რანაირად მოახერხე, დიუნებზე გათამაშებულ სპექტაკლში მონაწილეობაზე დაგეყოლიებინა?

— ფული, პოლ, ფული. ვინ, ვინ და შენ კი კარგად უნდა იცოდე, როგორ უყვარდა მონიკას ფული. სხვათა შორის, ეგ „ჰალუცინაცია“ ფსიქიკურ აშლილობაშიც უნდა „წაგშველებოდა“, რაც უუნარო ხეიბრად გაქცევდა. ეს ჩემთვის ძალზე ხელსაყრელი იყო. თუმცა, რადგან მონიკას ხასიათი შენივე წყალობით ვიცოდი, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რომ მალე მეც დამიწყებდა დაშანტაჟებას. ასეთი აზრი მას ჩემთან პირველი შეხვედრისთანავე გაუჩნდა. ამიტომაც, როგორც კი სანაპიროზე შენთვის ის ნაცნობი სცენა გავითამაშეთ, წამოვიყვანე და თავისსავე სახლში, ზუსტად ისე მოვკალი, როგორც გათამაშებული სცენის დროს. მერე კინგსტონში გავემგზავრე. სხვათა შორის, მხოლოდ რამდენიმე წუთით დავიგვიანე სამსახურში.

— სახეს რაღა უყავი?.. ა-ა ნიღბით მუშაობდი?

— სწორედაც, პოლ. და ჩვენი ნაკვალევიც საფუძვლიანად წავშალე — მას შემდეგ, რაც შენ გაიქეცი.

— ძალიან ვწუხვარ ყოველივე ამის გამო, ამოს. ჩემთვის ძალზე ძვირფასი იყო ჩვენი მეგობრობა.

ფრთხილად წამოვდექი და ფანჯრის ჩარჩოსა და ფარდას შორის ჭრილში შევიხედე. ედელმანი კომოდთან მივიდა და ზედ დადებული პისტოლეტი აიღო.

— გაჩუმდი, პოლ, — თქვა მან. — შენ აქედან ვეღარსად წახვალ. შენ თვითონვე თქვი, რომ ამ პისტოლეტით თავის მოკვლას აპირებდი. ჰოდა, ამას გააკეთებ კიდეც. ნამდვილი თვითმკვლელობისგან ვერ გაარჩევს კაცი. ასე რომ, ჩვენი კინგსტონელი „ფარაონებიც“ სწორედ იმას იფიქრებენ, რომ შენ თავი მოიკალი.

დენს ხელზე მაგრად ჩამოვარტყი. ცხადი იყო, რომ ედელმანი შელდონის მოკვლას აღარ დააყოვნებდა.

— ვფიქრობ, დროა, შევიდეთ, — თქვა დენმა.

— თუ დაყვირებას აპირებთ, გადადება აღარ ღირს.

— საჩქარო არაფერია, პიტ, — სიტყვები გაწელა დენმა. — პისტოლეტი ჩემია, შიგ ტყვიები არ დევს.

ის შესასვლელი კარისკენ გაემართა, თან ბურტყუნებდა:

— კინგსტონელი „ფარაონები“...

დოქტორი ამოს ედელმანი შტატის ციხის საუკეთესო კამერაში გაამწესეს...

დენ პივის საწერი მაგიდის კიდეს მივუჯექი. შელდონი, ჰორეის ალენი, ჯერი, ექიმი სტებინსი და ჯიმ ბენსონი გაზეთ „უიკლი კლერიონიდან“ მაგიდას გარს შემოუსხდნენ.

— თქვენგან საოცრად დავალებული ვარ, შერიფო, — თქვა შელდონმა. — როგორც ჩანს, მეტისმეტად დავუახლოვდი ამოსს. ვერაფრით წარმოვიდგენდი ამ ყოველივეში მის მონაწილეობას.

— ეგებ ახლა მაინც გვითხრას ვინმემ, თუ რა მოხდა და როგორ? — ითხოვა ექიმმა სტებინსმა. — მე ხომ კერძო სამსახურიც მაქვს და არ შემიძლია, დღე და ღამე აქ ვიყურყუტო.

— დენ, — ჩაერია ჯერი სიღი, — როგორ მოახერხეთ ამ ედელმანის მხილება?

— ორი-სამი გარემოების წყალობით, — უპასუხა დენმა, — რომლებიც მიუთითებდა იმაზე, რომ ვიღაცას ამ ხათაბალაში შელდონის გახვევა სურდა, რათა ის ციხის საკანში გამოემწყვდიათ. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო, რომ ფირმა „ბოუენმა“ სამუშაოდ მიიწვია შელდონი, ხოლო ედელმანი მის ხელქვეითად დანიშნა — არადა, ის დიდი ხანი მუშაობდა იქ, ჯერ კიდევ შელდონის წინამორბედის მოადგილედ. დღეს ამ თემაზე კომპანიის პრეზიდენტს ვესაუბრე. მას ძალიან გაუკვირდა და მითხრა, რომ ედელმანს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, სამეცნიერო კვლევების დარგში დირექტორის ადგილზე ეფიქრა: ედელმანი კარგი მუშაკი იყო, მაგრამ ხელმძღვანელად არ გამოდგებოდაო... სწორედ ედელმანმა ურჩია შელდონს, რომ ამ სასტუმროში ჩამოსულიყო დასასვენებლად. მან კარგად იცოდა აქაური სახლების წყობა, ისიც, რომ ისინი კარგადაა ერთიმეორისგან იზოლირებული. სატელეფონო საუბრიდან იცოდა, რომ შელდონი ყოველდღე დილის ექვსი საათიდან სეირნობისას ყურემდე მიდიოდა და მერე უკან ბრუნდებოდა... ხოლო როცა შელდონმა თქვა, რომ მას ხუთი თუ ექვსი წელი არ ენახა ბაროუზი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მას იმავე ლაბორატორიის სხვა თანამშრომლისთვის უნდა დაერეკა. ყოველივე ამან საშუალება მომცა, დამეგო ხაფანგი, რომელშიც მკვლელი გაება კიდეც.

— მაგრამ რომ არ გაბმულიყო? რომ გაგსხლტომოდათ ხელიდან?

— მერე, ამით რას დავკარგავდით? — შეეკითხა დენი. — თუკი მას ბრალი მიუძღოდა მკვლელობაში, ის უეჭველად გაებმებოდა. იქ პიტოლეტი იდო. შელდონი თვითმკვლელობაზე ლაპარაკობდა. თან გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლებელი იყო, პოლიციას ედელმანისა და ბაროუზის კავშირის არსებობის შესახებ შეეტყო. ის საკუთარ უსაფრთხოებაში იმდენად დარწმუნებულიც აღარ იყო და ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა — მოეკლა შელდონი და როგორმე მოეხერხებინა, რომ ეს თვითმკვლელობას დამსგავსებოდა. ამით მის მიმართ ყველა ეჭვიც გაიფანტებოდა და იმ თანამდებობასაც დაიკავებდა, რომელზეც ოცნებობდა...

ჯიმ ბენსონმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრა და დენს მიმართა:

— ჩათვალეთ, რომ თავი ქუდში გაქვთ! ამ შემოდგომაზე ხომ შერიფების ახალი არჩევნები ტარდება. მეც მაგარი თემა მაქვს დასაწერად.

— კარგია, როცა შავისა და თეთრის გარჩევა ხერხდება, — მიუგო დენმა. — ოღონდ არ დაგავიწყდეს, სწორად დაწერო ჩემი გვარი. ის ასე იწერება: პ-ი-ვ-ი.

დასასრული

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

Porsche ტრანსიბერიული რალისთვის ემზადება

კომპანიამ — Porsche სპეციალური ვერსია — Cayenne S-Transsyberia შეიმუშავა. ეს ავტომობილი სულ 26 ცალად გამოვა და მომავალ ტრანსიბერიულ რალიში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც მოსკოვში 2 აგვისტოს დაიწყება და ულანბატორში 17 აგვისტოს დასრულდება. შეჯიბრების მონაწილეებს 6 ათას კილომეტრზე მეტი მანძილის გავლა მოუწევთ. მანქანის ძრავას არავითარი ცვლილება არ განუცდია — იგი რვაცილინდრიანი, 4,8 ლ მოცულობისაა, 385 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ახალი Porsche 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,8 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 190 კმ/სთ-ია. რალისთვის Cayenne სტაფილოსფერი ბორბლების 18-დუიმიანი, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული დისკებით აღჭურვეს.

ავტომობილის სალონში სპორტული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა და უსაფრთხოების ფოლადის კარკასია დამონტაჟებული. მანქანის მასის შესამცირებლად მისმა შემქმნელებმა უკანა სავარძლებზე, ხმის იზოლაციასა და ზოგიერთი სხვა დეტალზე უარი თქვეს. საბარგულში სათადარიგო ბორბლები, ორი 20-ლიტრიანი კანისტრა და ხელსაწყოების ყუთია მოთავსებული. ■

Kicherer-ის ტიუნინგ-პროგრამა „მერსედესისთვის"

გერმანულმა ტიუნინგ-ატელიემ — Kicherer ახალი Mercedes-Benz C-Class-ისთვის ტიუნინგის პროგრამა წარმოადგინა. სპორტპაკეტები ბენზინისა და დიზელისძრავიანი ავტომობილებისთვისაა გათვალისწინებული. Kicherer K 3.5 CS ბენზინისძრავიანი მოდელის — C350 — საფუძველზეა აწყობილი. საბაზო მოტორის სიმძლავრე 272-დან 306 ცხ.ძ-მდე გაიზარდა, ხოლო მისი მაქსიმალური ბრუნის მომენტი ამჟამად 380 ნ/მ-ა. Mercedes-Benz C320 CDI-ს დიზელის აგრეგატის სიმძლავრე 270 ცხ.ძ-ს აღწევს (ბრუნის

მომენტი — 600 ნ/მ). სტანდარტული მანქანის ძრავას სიმძლავრე კი 224 ცხ.ძ-ს არ აღემატება (ბრუნის მომენტი — 510 ნ/მ).

ტიუნინგის შედეგად ავტომობილს 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 6,9 წმ-ში შეუძლია, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე სპიდომეტრის მიხედვით 250 კმ/სთ-ია. გარეგნულად C-Class ექსკლუზიური 19-დუიმიანი საბორბლე დისკებით გამოირჩევა. გარდა ამისა, ტიუნინგის პროგრამაში უფრო ეფექტური სამუხრუჭე სისტემის დაყენებაც შედის. ■

მოამზადა
ალექსი რეხვიაშვილმა

● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები

გაპოლიტერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

გამოწერის დასახელება	I ჯერ ფასი	6 თვე
1. Авторевю	3,50	42,00
2 Автопилот	2,50	65,00
3 Классик	3,50	42,00
4 Автомобильный транспорт	37,00	222,00
5 Автопилот (комерсант)	10,00	60,00
6 Автоспорт	3,50	21,00
7 За рулем	7,00	42,00

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საგენტო
„ელვა"

ქ. თბილისი
ოსიპოვის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.



ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ჰონორი; 2. ია; 3. სუიციდი; 4. საჩხერე; 5. სტიქია; 6. ოლიფა; 7. ჩაი; 8. დაცანი; 9. ნუმიზმატკა; 10. ათენი; 11. პავლოვი; 12. ბახალა; 13. ქონი; 14. დირე; 15. ირონია; 16. აბოლიცია; 17. ბადაგი; 18. დავრიში; 19. ბონზა; 20. მეი; 21. ჭვავი; 22. ჭლექი; 23. სილვა; 24. აბრაამი; 25. კილოგრამი; 26. ფიალა; 27. ცაგერი; 28. ელადა; 29. ანდამატი; 30. ხაო; 31. ბაიტი; 32. ლიანა; 33. ცედრა; 34. საფანტი; 35. ტაიგა; 36. ჩილე; 37. მალამო; 38. ამაგი; 39. რამპა; 40. ქედანი; 41. ირა; 42. ტრატორია; 43. დინარი; 44. იდო; 45. კოჩარი; 46. ლამა.

სურათზე: ჰიუ გრანტი; სანდრა ბალოკი.

სიყვარული და თქვენ

შეგიძლიათ თუ არა სიყვარული და ხართ თუ არა ამ დიდი გრძნობის ღირსი? — ამ კითხვებზე პასუხს მიიღებთ, თუ ქვემოთ მოცემულ ტესტს შეავსებთ.

1. თქვენს რჩეულს რთული პერიოდი აქვს, თქვენ:

ა) შეეცდებით მხარში ამოუდგეთ და მასთან ერთად გაიზიაროთ მისი ტკივილი და მწუხარება — 3;

ბ) ცდილობთ გაუგოთ, თუმცა მხოლოდ ცდილობთ — 2;

გ) ის ისეთი მოსაწყენი გახდა, მასთან ურთიერთობა მეტად დამღლელია — 1.

2. შეყვარებული გთხოვთ, დროებით დაივიწყოთ თქვენი წყენა და გაჰყვეთ იქ, სადაც არცთუ ისე გიყვართ სტუმრობა, თქვენ:

ა) ფიქრობთ, რომ უმთავრესი საკუთარი თავია, დანარჩენი ყველაფერი უკანა პლანზე დგას — 1;

ბ) ფიქრობთ, მთავარია ის იყოს კარგად, თქვენი სურვილები კი მოიცდის — 3;

გ) რა თქმა უნდა, გაჰყვებით, თუმცა რამდენად შეძლებთ თავის შეკავებას, ეს უკვე სხვა საკითხია — 2.

3. როგორ იქცევით წვეულებაზე?

ა) შეყვარებულს გვერდიდან არ შორდებით — 1;

ბ) მცირე ხნით მასთან რჩებით, მერე კი ახალ ნაცნობობას ეწაფებით — 2;

გ) იქცევით სიტუაციიდან გამომდინარე, თუმცა თქვენს მეგობარს აბსოლუტურად ენდობით და რა თქმა უნდა, ისიც გენდობათ — 3.

4. როგორ ულოცავთ თქვენს რჩეულს დაბადების დღეს?

ა) ითვალისწინებთ მის სურვილებს და ცდილობთ აჩუქოთ ის, რაც ყველაზე მეტად უყვარს (რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალებას თქვენი მატერიალური მდგომარეობა იძლევა) — 3;

ბ) ცდილობთ დაიყოლიოთ, რომ ეს დღე ხალხმრავალ ადგილას აღნიშნოთ, სადაც კარგად გაერთობით და იხალისებთ — 1;

გ) დათანხმდებით, ეს დღე ორმა აღნიშნოთ, თუმცა ალბათ, ისეთ ადგილს არჩევდით, სადაც ყურადღების ცენტრში მოექცეოდით — 2.

5. მან ისეთი საჩუქარი მოგართვათ, რომელიც არ მოგეწონათ. თქვენ:

ა) აუცილებლად მოუწონებთ, თუნდაც ისეთი იყოს, რომლის დანახვაც აღგაშფოთებთ — 3;

ბ) საჩუქარს გვერდზე გადადებთ და მის არსებობას დაივიწყებთ — 1;

გ) საჩუქარს მოუწონებთ, თუმცა იქვე დაურთავთ, რომ რომელიმე ძვირად ღირებული სუნამო გერჩივნათ — 2.

6. გრძნობთ, თქვენს სიყვარულს საფრთხე ემუქრება, თქვენ:

ა) შეეგუებით ბედს, იფიქრებთ, რომ ეს რაღაცით საინტერესოც კი არის — 1;

ბ) ძალ-ღონეს არ დაიშურებთ მის გადასარჩენად, თუმცა ამისთვის სერიოზული ბრძოლა დაგჭირდებათ — 3;

გ) შეეცდებით, სიყვარული გადაარჩინოთ, თუმცა ამისთვის დიდადაც არ მოიკლავთ თავს, რადგან მიგაჩნიათ, რაც მოსახდენია, იმას მაინც ვერ ასცდებით — 2.



ტესტის შედეგები:

6-9 ქულა: ამ გრძნობას მეტად არასერიოზულად აღიქვამთ. მას მხოლოდ ისე უყურებთ, როგორც გართობის ერთ-ერთ საშუალებას. ფრთხილად იყავით, ერთ მშვენიერ დღეს თავად არ აღმოჩნდეთ სხვისი გართობის საგანი.

10-14 ქულა: სიყვარული — თავად ეს სიტყვა გიზიდავთ, თუმცა მისი დაცვა და გაფრთხილება რომ არის საჭირო, ეს ზოგჯერ გავიწყდებათ.

15-18 ქულა: მგზნებარე და ერთგული შეყვარებული ბრძანდებით, სიყვარულის დასაცავად ყველაფრისთვის მზად ხართ და ამიტომაც, ბედნიერებაც არ დაახანებს. თქვენ სიყვარულს ნამდვილად იმსახურებთ.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	4	6	3	7	2	9	1	8
2	7	8	1	4	9	6	5	3
1	3	9	8	5	6	7	4	2
8	6	2	7	3	5	4	9	1
4	9	1	2	6	8	3	7	5
7	5	3	4	9	1	2	8	6
9	8	7	6	1	3	5	2	4
3	2	4	5	8	7	1	6	9
6	1	5	9	2	4	8	3	7

6	9	3	5	2	7	1	4	8
2	7	1	8	6	4	5	3	9
5	4	8	3	9	1	2	6	7
9	3	6	1	4	8	7	2	5
4	1	7	2	5	6	9	8	3
8	5	2	7	3	9	4	1	6
7	8	4	6	1	5	3	9	2
1	2	5	9	8	3	6	7	4
3	6	9	4	7	2	8	5	1

9	5	3	2	8	1	7	6	4
1	4	8	3	7	6	5	9	2
6	2	7	4	5	9	1	8	3
7	1	4	6	2	8	9	3	5
2	3	9	1	4	5	8	7	6
8	6	5	9	3	7	4	2	1
4	9	6	8	1	3	2	5	7
5	8	2	7	6	4	3	1	9
3	7	1	5	9	2	6	4	8

* მარტივი

6		2			8	9		
	3		7		2		1	4
	8		9					7
		5		1			7	
4		1		9	7	3		8
	6			5		2		
3					6		8	
2	4		5		9		6	
		6	3			7		2

** საშუალო

					3	7		
		2		7			6	
	1		2				4	
6					5			8
	5			3	8		2	
4					7			6
	6				4		8	
	7			1		2		
		5	9					

*** რთული

		3						4
9					3		5	
2			7					
	8			1				6
	3		2				9	
4							1	
					8			3
	6		9					8
5						2		

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

(19 – 25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ კვირას თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება დაკავშირებული იქნება საშუამავლო და საორგანიზაციო საქმიანობასთან. აგრეთვე, მომგებიანი იქნება ყველა ის კავშირი, რომლებსაც საზღვარგარეთ მოგზაურობისას ან ახლო ნათესავების მეშვეობით დაამყარებთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

სრულიად მოულოდნელად, ახალ სასიყვარულო ინტრიგაში გაეხვევით, რაც შეიძლება მოხდეს სამსახურში, ტრანსპორტში, კლუბში... ვინაიდან საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ შეძლებთ, თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა მალე საჯარო განხილვის საგნად იქცევა და ოჯახურ კონფლიქტს გამოიწვევს.

ᲢᲧᲣᲜᲘ 21.05-21.06

ამ კვირას რომანტიკული შეხვედრა გელით, რაც თქვენი გეგმების განხორციელებაში ხელს შეგიშლით. ორიგინალური იდეებისა და ინტუიციის წყალობით თანამოაზრეთა წინამძღოლად იქცევით. ცხოვრების განახლების სურვილი შეგიპყრობთ და არ არის გამორიცხული, თქვენი სახლი სამუშაო სტუდიად აქციოთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ამ პერიოდში დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა. წარმატების მისაღწევად სითამამე გაკლიათ. მუსიკა დაგამშვიდებთ და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. ადვილად დაამყარებთ კავშირს უცხოელ პარტნიორებთან.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ზემდგომი პირების მფარველობა გაამწვავებს თქვენს ურთიერთობას თანამშრომლებთან. აღიარებისა და ავტორიტეტის მოპოვებისთვის ბრძოლაში შეეცადეთ, მოთმინება გამოიჩინოთ სხვა ადამიანების მიმართ. ფრთხილად იყავით, რადგან მოულოდნელად მიღებული მემკვიდრეობა შესაძლოა, ოჯახური განხეთქილების მიზეზად იქცეს.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ამ დღეებში პარტნიორებისთვის ახალი იდეების წყაროდ იქცევით. თქვენი შრომისუნარიანობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და პროფესიულ ასპარეზზე წარმატებისკენ სწრაფვა დადებითად აისახება თქვენსავე მატერიალურ მდგომარეობაზე. ნუ მოექცევით სხვისი გავლენის ქვეშ და ნუ დაკარგავთ საკუთარი თავის რწმენას.

ᲡᲐᲡᲬᲠᲘ 24.09-23.10

შეეცადეთ, დაივიწყოთ წყენა და მოაგვაროთ ურთიერთობები კოლეგებთან. თავი შეიკავეთ სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან, აზარტული თამაშებისა და კაპიტალდაბანდებებისგან. ამ პერიოდში წამოწყებული სასიყვარულო ურთიერთობები ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდება.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ამ დღეებში მატერიალური პრობლემები უფრო მომგებიანი შემოსავლის წყაროს ძიებისკენ გიბიძგებთ. მაგრამ თავს ძალიან ნუ გადაიტვირთავთ, თორემ შესაძლოა, ჯანმრთელობა შეგერყეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

სერიოზული კონფლიქტები გელით, რომელიც ღალატით ან ტყუილით იქნება გამოწვეული. სასიყვარულო ურთიერთობები ერთფეროვანი ყოველდღიურობის ნაწილად იქცევა. ამდენად, ეს პერიოდი უმჯობესია, გამაჯანსაღებელ პროცედურებსა და საკუთარი წარსულის გაანალიზებას დაუთმოთ.

ᲝᲜᲘᲡ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

დროის ამ მონაკვეთში არაერთი საინტერესო საღამო გელით. ურთიერთობას აღადგენთ ძველ მეგობრებსა და საიმედო საქმიან პარტნიორებთან. არ არის გამორიცხული, რომ სამუშაო ადგილის შეცვლაც მოგიხდეთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

სამსახურში გაგიჩნდებათ წინსვლისა და დამატებითი შემოსავლის წყაროს პოვნის პერსპექტივა. ამავე პერიოდში სიფრთხილე გმართებთ მანქანის ტარებისას, რადგან მაღალია ავარიების ალბათობა.

ᲗᲔᲗᲠᲘᲗᲘ 20.02-20.03

შეეცადეთ, თავი ზედმეტად არ გადაიტვირთოთ, რადგან ეს შეიძლება ნერვიული აშლილობით დასრულდეს. მთავარია, გჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების და ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვას მოახერხებთ. თამამად შეგიძლიათ დაარღვიოთ საზოგადოებრივი ნორმები — ამით მხოლოდ ყურადღებას მიიპყრობთ.

ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ



ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ...

ქალმაფინი, რომელსაც Givenchy-ს სუნამოს შეძენა ძვირად დაუჯდა...

კანადელი ქალბატონი, რომელიც ცნობილი ფირმის კლასიკურ სუნამოს ხმარობს, მეტისმეტად მძაფრი სურნელის გამო ავტობუსის მძღოლმა ტრანსპორტიდან ორჯერ გააძევა... ცოტა ხნის წინ, 25 წლის ქალმა Givenchy-ს სუნამო Very Irresistible შეიძინა (რომლის რეკლამა იუწყება, რომ ეს არომატი ქალს უშუალობასა და მგრძნობელობას მატებს), სახლიდან გასვლის წინ შეისხურა და... 2 დღის განმავლობაში სამსახურამდე ვერ მიაღწია, რადგან ავტობუსის მძღოლმა განაცხადა, რომ სუნამოს მძაფრი სუნის გამო მანქანის მართვა არ შეუძლია!.. „სხვა მგზავრების თვალწინ შეურაცხყოფა მომაყენეს. ავტობუსიდან ატირებული ჩამოვედი“, — ამბობს ამ ამბის მთავარი მოქმედი პირი. ამ მოვლენას მეცნიერები იმ ცვლილებებით ხსნიან, რომელიც ბოლო 10 წლის მანძილზე კანადელთა შეგრძნებებსა და ეტიკეტის წესებში მოხდა. სიგარეტის კვამლის მსგავსად, პარფიუმერიის მძაფრი სუნიც ძლიერ გაღიზიანებას იწვევს. „ადრე ის ადამიანი ტოვებდა ამა თუ იმ ადგილს, ვისაც სუნი აღიზიანებდა, ახლა კი მოქმედებს კანონი, რომელიც სხვის საჰაერო სივრცეში საკუთარი სუნით შეჭრას კრძალავს“, — ამბობს სუნების ექსპერტი როდი გრინი. 2000 წელს, კანადის ქალაქ გალიფაქსში, მუნიციპალურ შენობებში — სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მაღაზიებში, სასამართლოსა და სხვა ადგილებში სუნამოს მოხმარება აიკრძალა. ფილტვების დაავადებათა ასოციაცია ირწმუნება, რომ სულ უფრო იზრდება წერილების რაოდენობა, რომელთა ავტორები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მძაფრი არომატული ნივთიერების მოხმარების აკრძალვას მოითხოვენ, რადგან ყოველდღიურად იზრდება ასთმიანთა და ფილტვების სხვადასხვა პათოლოგიით დაავადებულთა რიცხვი, რომელთა მდგომარეობას ჰაერში არსებული გამაღიზიანებელი არომატი კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. ■

„ქალთა ქალაქი“ და დასჯილი მამაკაცები

ჩინეთში მსოფლიოში პირველი „ქალთა ქალაქი“ შეიქმნება, სადაც ყველანაირ გადაწყვეტილებას ქალები მიიღებენ, მამაკაცები კი ურჩობისთვის დაისჯებიან. 2,3 კვადრატულ კილომეტრზე განთავსებული „ქალთა ქალაქი“ ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში გაშენდება. მის კარიბჭეზე ამოტვიფრული იქნება წარწერა: „ქალები არასოდეს ცდებიან. მამაკაცს ქალის თხოვნაზე უარის თქმის უფლება არა აქვს“. „მშენებლობა 2 წელს გაგრძელდება. ქალაქი გართობისა და დასვენების შესანიშნავი ადგილი იქნება. „ქალთა ქალაქში“ ექსკურსიაზე მოსულ ტურისტულ ჯგუფებში სწორედ ქალები აირჩევენ მარშრუტს და იმას, თუ რამდენ დროსა და თანხას დახარჯავენ მაღაზიებში. ჩვენ ქალაქის ისეთ კანონ-პროექტზე ვმუშაობთ, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული, თუ რისთვის და როგორ დაისჯებიან ურჩი მამაკაცები. მათ რესტორანში ჭურჭელის გარეცხვა ან უსწორმასწორო ხის იატაკზე მუხლებზე დაჩოქება მიესჯებათ“, — აცხადებს ტურისტული ბიუროს დირექტორი ლი ჟიგანგი. ■

თურმე ნუ იფცქვით და, ეთერს ამერიკული „მიმინოემიც“ ანაგვიანემენ

ამერიკულმა ავიაკომპანიამ Northwest Airlines გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე ლას-ვეგასი-დეტროიტის რეისი გადადო, რადგან საჰაერო ლაინერის კაპიტანმა ტელეფონით საუბრის დროს გინება დაიწყო. როდესაც 180 მგზავრიდან ერთ-ერთმა კაპიტანს შენიშვნა მისცა, პილოტმა მგზავრიც მიალანძღა. „მისი გამოთქმები როგორც უცენზურო, ისე შევაფასეთ. კაპიტანი პილოტების კაბინიდან გამოვიდა და ტუალეტში ისე შევიდა, რომ ტელეფონით საუბარი არ შეუწყვეტია. თვითმფრინავის ბორტზე მყოფ მგზავრებს მისი გინება დახურულ კარს მიღმაც ესმოდათ“, — ამბობს აშშ-ის სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველოს წარმომადგენელი იან გრეგორი. თავდაპირველად პოლიციის თანამშრომლებს პილოტი მთვრალი ეგონათ, მაგრამ შემოწმებამ მის სისხლში ალკოჰოლის კვალი ვერ აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ავიაკომპანიის ხელმძღვანელობამ რეისის გადადების გადაწყვეტილება მიიღო და ნერვებაშლილი კაპიტანი დეტროიტის ბაზაზე გაისტუმრა. ამჟამად Northwest Airlines ინციდენტის შესწავლითაა დაკავებული და მგზავრებს უკვე მოუბოდიშა. კომპანიამ მგზავრები საკვებითა და სასტუმროში ნომრებით უზრუნველყო. დაზარალებული მგზავრები კომპანიისგან კომპენსაციასაც მიიღებენ. ■

ავტობუსით მგზავრობის მოყვარული კაცა

ინგლისის ქალაქ ვოლვერჰემპტონის ავტობუსის მძღოლები საგონებელში არიან ჩაცვენილნი. №311 ავტობუსს უჩვეულო მგზავრი შემოეჩვია. იანვრიდან მოყოლებული, კვირაში სამჯერ ავტობუსში უცნაური კაცი ადის, ორ გაჩერებას გაივლის და იმ მაღაზიასთან ჩადის, სადაც თევზეული და შემწვარი კარტოფილი იყიდება. „როგორც კი ავტობუსის კარს გავაღებ, კაცი შემოხტება... როგორც ჩანს, ეს მოგზაურობა ძალიან მოსწონს“, — ამბობს მძღოლი ბილ ხუნხუნი. „კაცი წინ ჯდება და მისთვის საჭირო გაჩერებას მოთმინებით ელოდება. თავდაპირველად უჩვეულოდ გვეჩვენებოდა, მაგრამ ახლა ეს აღარავის აკვირვებს. კაცი იდეალური მგზავრია. მისი ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ მგზავრობის საფასურს არ იხდის“, — განაცხადა 19 წლის მგზავრმა პოლ ბრენანმა. „კაცმა აშკარად იცის ავტობუსით მგზავრობის წესები და №311 მარშრუტის მუდმივი მგზავრია“, — ნათქვამია ავტობუსების კომპანია Travel West Midlands-ის კომენტარში. ■

ცოლი... გაქირავემით?!

ბელგიის ქალთა პროფკავშირები ინტერნეტსაიტის Rent-a-wife (ცოლი გაქირავებით) სარეკლამო კამპანიამ აღაშფოთა, რომელიც „მომხმარებელს“ ცოლების სახლში მირთმევას სთავაზობს. 35-წამიან სარეკლამო რგოლში მამაკაცი თავის ბებერ ცოლს კოლოფში ჩატენის და კარისკენ მიდის, სადაც უკვე ელოდება ფოსტალიონი, რომელმაც მას კოლოფში შეფუთული ქერათმიანი საცოლე მოჰგვარა. ვებსაიტი მსურველს 9584 გოგონადან ერთ-ერთის არჩევას და საოჯახო საქმისთვის მის დაქირავებას სთავაზობს. სარეკლამო რგოლში არარსებული „კმაყოფილი კლიენტების“ გამონათქვამებიცაა მოყვანილი. ამ რგოლის შემქმნელი კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბერნარ უილმეტი აცხადებს, რომ „მაქსიმალურ ეფექტზე გათვლილი“ რეკლამა „არასერიოზული“ იყო. ამასთანავე აღიარებს, რომ სარეკლამო რგოლი უგემოვნებობის ზღვარს უახლოვდება. ბელგიის ერთ-ერთი წამყვანი ყოველდღიური გაზეთი Metro იუწყება, რომ მისი 840 ათასი მკითხველის 53% რეკლამის აკრძალვას მოითხოვს და მხოლოდ 40% ფიქრობს, რომ ეს სასაცილო და ორიგინალური რგოლია. ბელგიის ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუტი კომპანიას სასამართლო პროცესით ემუქრება. ვებსაიტის ახალ იდეას „მწვანეები“ და სოციალისტური პარტიაც გმობენ. ■

ფოტოკუთხეები



TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

b 85/14

ლიმალელე — გურამიშვილი

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

PASCHAI

ბინები 57 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")